ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

სულხან-საბა ორბელიანი

კრებული

სულხან-საბა ორბელიანი

კრებული

სიბრძნე სიცრუისა

იყო ხელმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არავისგან მოიგონებიან, რომელსა სიკეთისა და სიქველისაგან ეგოდენი მოწყალებანი შეეკრიბნა გულსა თვისსა, თავად არ აღირაცხოდა; სიფიცხლე და უწყალოება ჯავრისანი გულისაგან ღვთის შიშისა ნიავით გაექარვებინა. სიუხვე მისის ნოტიოს ღრუბლისაგან უმრავლესად გაეგრილა და ყოველთა კაცთა ზედა საბოძვარი ცათა წვიმისათვის გარდაემატებინა.

მისი შიში და ზარი ესრეთ განფენილ იყო პირსა ყოვლისა ქვეყანისასა, მეხის ტეხის უსაზარლესად მიაჩნდათ. მისი სიტკბო და ალერსი ესრეთ შეეტკბოთ, ჩჩვილთა წულთაებრ, სძისა და ძუძუთა უსაყვარლესად მიეზიდათ.

და იყო სახელი დიდისა მის და მაღლისა მეფისა ფინეზ.

და ჰყვა ვაზირი ეგეთი, რომე სიბრძნითა მისითა ცათა აღწევნილ იყო, ჭკუითა ხმელთა სიგრძე და განი სრულად განეზომა, მეცნიერებითა ზღვათა უფსკრულთა მიწევნილ იყო, ჰაერთა და ვარსკვლავთა საქმენი გულის ფიცართა გამოეწერა; ესეთი სიტყვის სიტკბო ჰქონდა, მხეცთა კაცთა მსგავსად მოაქცევდის, ტინთა ცვილებრ დაადნობდის და მფრინველთა კაცებრ აუბნებდის.

და იყო სახელი ვაზირისა მის სედრაქ.

დიდად უყვარდა მეფესა ვაზირი იგი. და არა იყო გულსა მეფისასა ზრუნვა, გინა შეჭირვება უძეობისა კიდე, რომე შვილი არა ესვა.

დღესა ერთსა გახსნა და გასცა განძი ურიცხვი გლახაკთა ზედა, რათა ევედრონ ღმერთსა ძისა ბოძებისა მისისათვის.

და იყო საჭურისი მეფისა კაცი გულჩქარი და ფიცხელი. სეფეთ-უხუცესი იყო და გულითადი მეფისა, რომელსა ერქვა რუქა; და თქვა: რომელსა მეფეთაგანსა გარდაუგია სალარო ესე ოდენი?

თქვა სედრაქ არაკი:
მეფე ხორასნისა

იყო ერთი მეფე ხორასანსა დიდებული, კეთილ-გონიერი, უხვი და მოწყალე. დღესა ერთსა გახსნა სამნი სალარონი და უხმო ყოველსა საბრძანებელსა, რათა ყოველმან დიდმან და მცირემან, დიდებულმან, გინა გლახაკმან ათორმეტსა ჟამსა, რაცა ეძლოს, წარიღონ. და წარიღეს

ყოველთა და ვერა დაასრულეს სამნი იგი სალარონი.

მას დღესა ნადიმი გარდაიხადა, აფუცა ვაზირთა მისთა, თუცა რომელთა ასმოდეს, ანუ იცოდეს მისი მსგავსი მდიდარი და უუხვესი მეფე. ექვსთა ვაზირთა ფუცეს უსმენელობისათვის მსგავსისა მისისა. და უმცროსსა ვაზირსა გაეცინა.

ჰკითხა მეფემან:

რის მიზეზისათვის იცინიო?

მან ფიცი სთხოვა მოუკვლელობისათვის და მეფემან თავისი თავი ფუცა.

მას ვაზირსა რა გული შეუჯერდა, მოახსენა: ჩინეთის ქვეყანას ერთი ურია არის, მალქოზ ჰქვიან და მისი მოყმე

არის დიდებული ვინმე. მისებრივ უხვი არც უწინარეს ყოფილა და არც დღეის წალმართ იქმნებისო.

ეწყინა მეფესა, მაგრამ ვაზირი იგი ფიცისად ვეღარ მოკლა და პატიმარ ჰყო. და თვით სამეფო სამოსელი განიძარცვა, სხვა შეიმოსა და წარვიდა მის კაცისა ნახვად. მუნ მივიდა, სადა იგი ესახლა. თურმე წესი იყო კაცისა მის: სადაცა ვის უცხოსა ნახევდის, თვისსა მოიყვანის, აბანის, შემოსის, გაასვენის, საბოძვარი მისცის და განუტევის.

დღე ერთ ვლიდა ქალაქთა მათ გარემოს. და ნახა მეფე ესე სახითა გლახაკისათა; წარიყვანა და რომელი სხვათათვის წესი იყო, იგი მას უქმნა. რა შემოსა, ნახა, დიდად საპატიო იყო, ჰკითხა სადაურობა და ვინაობა და ყოველივე აამბობინა. ოდეს სცნა მეფობა მისი, დავარდა მიწასა ულირსად და დადვა თავი თვისი და ევედრებოდა უცნობობისათვის.

აწვია და შეიყვანა სახლსა ერთსა ეგეთსა, რომე მას მეფესა მის სახლის მსგავსი არ ედგა უცხო და უცხოდ მორთული: ანუ საფენი, ანუ ფარდაგი ყოველივე სტავრა იყო. ნადიმი გარდაიხადა. ჭურჭელი ყოველივე შეწყობილი თვალი იყო. ყოველივე უძღვნა.

ცხრა დღე განუსვენა, დღე ყოველ უმჯობესსა სახლსა დასმიდის. მჯობი და უძვირფასესი ჭურჭელი მოიღის, უმხიარულე ნადიმი დაუდვის და ყოველივე უძღვნის. უკვირდა მეფესა დიდება და უხვობა მის კაცისა.

მეცხრესა დღესა ერთსა ასეთსა სახლსა აწვია, რომე დიდად უცხო იყო, და არცა მისი ქმნულება ითქმის. საფენი და ფარდაგი - საფერი, და ჭურჭელი მთელი თვალი იყო. გამოთლილი ყვავილნი იყვნეს და ხენი თვალისანი, შეფერებულნი მსგავსად, შვენიერნი. და

ყოველივე უძღვნა. სამნი ესეთნი მგოსანნი ქალნი უძღვნნა, ვერც თვალი უკეკლუცესსა ნახევდა და ვერც ყური უამესსა ისმენდა.

წამოვიდა მეფე. არა წამოიღო რა განძთაგან: ერთი ალმასის თასი, და ერთი იაგუნდის საწდე, და ერთი ყვავილი თვალისა და სამნი მგოსანნი ქალნი. მადლი უბრძანა მასპინძელსა: ღვთის მოწყალებით მეც შემოგზღოო.

წამოვიდა და მოვიდა მისსა ქალაქსა. ვაზირი იგი პატიმარი პატიოსან ჰყო და ილხენდა.

მის კაცისა პატრონი იგი ურია მისანი იყო. სცნა ყოველი იგი ყოფილი, გაწყრა კაცსა მას ზედა, შეიპყრა, აიალაფა, მეხრლმეთ მისცა სიკვდილად.

წაიყვანეს მათ სიკვდილად. ევედრა მკვლელთა მათ მოუკლველობისათვის. და სამხრესა შინა ჰქონდა თვალი ძვირფასი; მით იყიდა სისხლი თვისი.

მათ კაცთა ეგრე არქვეს: პატრონი ჩვენი, თვითვე იცი, მოგვია, და თუცა ხმელთა ვლიდე, სამისნოთა სცნობს და შენ წილ ჩვენ დაგვხოცს. აწე ამას გიზამთ: კიდობანსა ჩაგსვამთ და მკვდრის აკლდამათა შთაგდებთო. და ჩადვეს.

ნახა ურიამან სამისნო მისი: ხმელთა ზედა აღარ იყო. დაიჯერა მოკლვა მისი.

მას ჟამსა მპარავნი აღდგეს, რომე აღარ დაუტევეს სახლი, გინა საფლავი დაუთხრელი. მოიწივნეს სადაც იყო საფლავი და კიდობანი იგი, დათხარეს, პოვეს და გამოიღეს. ნახეს მუნ - შიგ კაცი ჯდა და განუტევეს.

წავიდა კაცი იგი, მოვლო მრავალი ქვეყანა და უცნაურად მოვიდა ქალაქსა მას მეფისასა. მეფე მაღალთა დერეფანთა ზედა ჯდა ნადიმად და მგოსანნი იგი იმღერდეს. ერთმან მათგანმან იცნა პატრონი მისი ქვე გავლილი, ატირდა და ჩანგი ხელთაგან განვარდა.

ჰკითხა მეფემან: რა დაგემთხვიაო?

მან მოახსენა ნახული მისი. მონახეს კაცი იგი და პოვეს. აბანეს, შემოსეს, გამოასვენეს. მეორესა კვირასა შეჯდა მეფე, მიუხდა, ურია იგი მოსრა და საბატონო მისი მას მისცა. მას კაცს ესრეთ შეჰზღო.

- ეს არაკი ამისთვის მოგახსენე: ვერც ასეთს გასაცემს იქმს კაცი, რომ სხვას არ ექმნას, და არც კარგსა საქმესა ღმერთი დაუკარგავს. რუქავ, შენგან მიკვირს ეგეთი საუბარი!

გამოხდეს ხანი და ჟამი რაოდენიმე. შეიწყალა ღმერთმან და მისცა მეფესა ძე ესეთი, რომე სინათლითა მზე მოშურნეობდა, ათხუთმეტისა დღისა მთვარე ნათელსა მისგან ითხოვდა, ვარსკვლავნი მისსა კამკამებასა გაეცვიფრებინა, შავნი მერცხლისა მხარნი ბროლთა ზედან განპყრობით დაეშვენებინა, მელნის გუბენი გიშრის ლერწმით შემოესარა, ვარდი და ზამბახი ერთმანერთში აეყვავებინა. სახელად ჯუმბერ უწოდეს.

რა მოიზარდა, გამოიყვანა მეფემან, ვაზირსა თვისსა სედრაქს და საპატრონოთა თვისთა აჩვენა. აიყვანა ვაზირმან, დალოცა და მოახსენა:

- მეფეო, ღმერთმან გიცოცხლოს და, ბედნიერმცა არს ძე შენი ესე და კურთხეულ ამიერითგან უკუნისამდე, და მიეცეს ამას გულისხმიერობა ვირისა, ერთგულობა

ძაღლისა და ძალი ჯინჭვლისა.

ესმა რა ესე რუქა საჭურისსა, აღშფოთდა და უთხრა ვაზირსა:

- რად მიიღე წყევა ძესა ზედა მეფისასა? ვაზირი გონიერი, წყნარი და სიტყვამარჯვე ხამს, ამად რომე ხელმწიფესთან მყოფს ხუთნი საქმენი უნდა სჭირდეს:

ერთი: სიტყვა ტკბილი უნდა ჰქონდეს;

მეორე: გამწყრალი დააწყნაროს, არა თუ მხიარული გააწყროს;

მესამე: პირიდამ ავი სიტყვა არ წაიცთუნოს;

მეოთხე: სიტყვის თქმის ჟამი იცოდეს;

მეხუთე: რაც თქვას, ყოველს კაცს მოაწონოს.

შეხედა სედრაქ და რქვა:

- შენ ყოველსა მართალსა იტყვი, მაგრამ ოდეს მამაკაცსა სამამაკაცო დაეკვეთოს, დიაცის ბუნება მიეცემის. ამით სცან, რომე ულვაშნი და წვერნი მისნი თან აღმოიფხვრას. საჭურისსა სამნი საქმენი მართებან:

პირველად: მხევლებრივ მორცხვობა;

მეორედ: ავთა ენათა შენახვა;

მესამედ: პატრონის ხვაშიადის დაკრძალვა;

თვარემ მე ძე მეფისა არ დამიწყევლია. თუცა გინებს,

ადრე სცნობ.

ვირი ერთსა უყესა ტალახსა შიგან გაატარე, რათა დაეფლას მერმე გზა იგი გაახმე. თუცა შენ ვირი გზასა მას ზედა გაატარო, უგუნურმცა არს.

ძაღლი კაცისა გლახაკისა, მჭლე და დიდად უსუქარი, მიიყვანე და მდიდარსა კაცსა მიაბარე, რათა გაასუქოს. მერმე ორთავე უხმონ. თუცა პირველი, დამამჭლობელი, დაუტეოს და რომელმან გაასუქა, მას გაჰყვეს, ორგულ არს.

ჯინჭველი შეიპყარ და ერთსა ჭიქასა ათორმეტნი დღენი დააყოფინე მშიერსა და მერმე გამოუტევე. თუცა თვისისა ზომისაგან ოთხი წილი მეტი არ აიღოს წაღებად, უსუსურმცა არს და მე სიტყვამცდარიო, თვარა რად გამკიცხეო!

მოასხეს სამნივე და ჰყვეს ეგრეთ და ყოველივე თქმულებრ იყო. იხარებდა მეფე დიდად ვაზირისა სიტყვასა და ძისა მისისა სიკეთესა ზედა.

ღამესა ერთსა ეჩვენა მეფესა ჭაბუკი ვინმე შვენიერი, მსგავსი ლომისა, მხნე, ახოვანი, პირმწყაზარი, ტანსარო. ახლად სუმბული ამოსვლოდა და მცირედ ქუფრი მოჰხვეოდა საყვარლად სახილველი.

უთხრა მეფესა: ღმერთმან გიდღეგრძელოს ძე ეგე შენი და თუცა მე არა მომაბარებ, ნება შენდა, ვერვინ გასწვართოს; თუ მეძებო, მპოვო, თუ არა, შენვე ინანდეო.

სახე თვისი, ეტრატსა ზედა გამოწერილი, ხელთა მისცა და უთხრა: მეძებე, თავმან შენმანო და თვით წავიდა.

გაელვიძა მეფესა და ნახა, ხელთა ეტრატი ჰქონდა, სხვა არავინ იყო მისთანა. რა იგი ჭაბუკი ვეღარა ნახა, ეგრე დაჭმუნდა, ვითა ძე იგი მოკდომოდა და დიდი ურვა შეექმნა.

შევიდა სედრაქ, ნახა მეფე საგებელსა ზედა მწოლი და დიდად დაღრეჯილი. მოახსენა:

- მეფეო, მრავალნი ჟამნი არიან მე ჩრდილთა ქვეშე თქვენთა ვიმყოფები, ესრეთ შეჭირვებული არ მინახავხარ, სნეულება ღმერთმან მიგრიდოს.

უბრძანა მეფემან: არა სნეული ვარ. სიზმარი მეზმანა და მით დამიღრეჯიაო.

ჯერეთ ვაზირმან ზმანება არა ჰკითხა და მოახსენა არაკი:

ხარბი გლახაკი

გლახაკი ვინმე იყო უპოვარი ყოვლისაგან ნივთისა. ეზმანა მას: სამეოცი ცხოვარი ჰყვა და ენება განსყიდვა. მოვიდა კაცი ერთი და მოსცა თითოსათვის ხუთ-ხუთი კირმანეული. ცხოვარისა პატრონმან ექვს-ექვსი სთხოვა. შეცილებასა ზედა გაეღვიძა კაცსა მას და სინანული იწყო. თვალნი ეგრეთვე დაიხუჭნა და ხელი მიუღო ვაჭარსა: ოროლი კირმანეული მომეც, მოგცემო! ანუ ვინღა მისცემდა ვეცხლსა, ანუ ვისღა მიჰყიდდა?

ესრეთ არს ყოველივე ზმანება, მეფეო! რად შეიჭირვებ ეშმაურსა საქმესა ზედაო?

უბრძანა მეფემან:

- არა ეგრეთ არს სიზმარი ჩემი.

უთხრა ყოველივე და ეტრატი ხელთა მისცა.

გაუკვირდა ვაზირსა სიკეთე სახისა მისისა და ეგრე მოახსენა:

- თუცა თვით არ მოვიდეს კაცი იგი, პოვნა მისი საჭირო არს, ამად რომე თემი მისი არა ვიცით, სახელი მისი არა უთქვამს. რით უნდა ვპოვოთ? ქარი ხელითა არ დაიჭირვის და თვალს ზარმაცი ვერ მიეწევის. რაც ბედი აქვს კაცსა ღვთისაგან, ის დაემართების.

თქვა ვაზირმან არაკი:
ძუნწი ვაჭარი

ერთი დიდვაჭარი იყო. ეგზომი განძი შეყარა, სალაროთა რიცხვი არ იცოდა. სიბერემდე არა სვა, არა ჭამა, არცა რა

შეიმოსა. მერმე თქვა: ეგოდენი შემიკრებიან, აწ დავჯდები, ვილხენ, ვიხარებ, ხარჯვას დაუწყებო!

მოვიდა ერთსა სალაროსა, დაკლეტილი ვერ გააღო; მეორესა და მესამესა - და ყოველივე ნახა და ვერა რომელი გააღო.

გაწყრა და გინება დაიწყო.

სალაროდამე ხმა გამოვიდა: რომელი აღებ კარსა, რა საქმე გიცსო?

მან მდიდარმან სახელი თვისი უთხრა: ჩემია, დახარჯვა მნებავსო.

მუნით ესრე ესმა: თუცა შენი იყო, დღეისამდე არცა შენ იხმარე და არცა ცოლსა და შვილსა ახმარე. ესე ყოველივე

ხურო ნაზარისა არისო.

იწყინა მან კაცმან და ეგრე თქვა: «ესეთსა საქმესა ვიქმ, ჩემთვისა და მისთვის სწორად დავკარგო».

აიღო ვალი, მოაღებინა მრავალი ძელი, გამოახვრეტინა, ყოველი საუნჯე შიგ ჩაყარა და პირი გარდაუჭედა და შადის მდინარესა ჩაყარა. იგი ხურო თურე ბაღდადელი იყო, შადი სადაც ჩადის.

დილას განთიად ხურო იგი მდინარის კიდესა განვიდა: ნუთუ ტივი მოაქვნდეს ვისმეო? ნახა, უამრავი ძელი მდინარესა მოაქვს უკაცურად. მისცა ფასი მცურავთა, შეგზავნა და გამოაზიდვინა. ყველა კარსა ზედა ხუროსასა დაახორავეს.

კაცი იგი ნამდიდრევი შეუდგა კვალსა ძელისასა: ვისი

ბედი იყოს, ვიცნაო.

მოვიდა, ნახა კარსა ზედა ხუროსასა. ჰკითხა: ვინ ხარო?

მან უთხრა: მე ნაზარი ხურო ვარო.

უთხრა ხუროს: აიღე ერთი ძელი და შინა სახლსა შეიღეო.

რა შეიღეს, უთხრა: ეჩო ჰკარ ხესა ამას, რა ძესო!

რა ძელსა შეხეთქა, თვალი პატიოსანი და მარგალიტი გამოსცვივდა.

შესწრაფა ხუროსა და მან კაცმან ეგრე უთხრა: ესე რომელსა ჰხედავ, ყოველივე ძელი ესრეთ არს, ღმერთმან მე წამართო და შენ მოგცაო.

რქვა ხურომან: ღმერთმან შენვე მოგცეს, ეგრევ წარიღეო. ნამდიდრევმან არ ინება არც ნახევარი და არც ნაოთხალი. ერთი და ორი ეუბნა, და არც ერთი ფული არ წამოიღო.

მერმე ხურომ უთხრა: ორიოდ-სამი პურიც არის, წაიღეო!

ნება დართო. შევიდა, ცოლს უთხრა:

- სამი დიდი პური გამოაცხევ და შიგ კარგი და პატიოსანი თვლები ჩადევ. ეგება იმ კაცმან წაიღოს, ცოლ-შვილი მშიერი არ დაეხოცოს.

ადრე უსმინა ცოლმან, პურნი არდაგსა გაუხვივნა, მოსცა და წარიღო კაცმან მან და წავიდა.

მიმავალმან ნახა, უდაბნოსა ხარგა ერთი დგა თხისა ბალნისა. მივიდა, გლახაკი არაბთაგანი იყო. ცოლი ყრმასა

ზედა დასწოლოდა. სხვა მეზობლები აგარაკთა ადგილთა წარსრულიყვნეს და იგი ვერ გაყოლოდა. არა რა აქვნდათ, არცა ქვეშსაგებელი, არცა ყრმისა შესახვეველი.

მან კაცმან სიგლახაკისათვის შეიწყალნა და პურნი იგი მისცნა და უთხრა: წარვედ ბაღდადად ხურო ნაზარისასა, ეს უძღვენ, იგი კაცი ღვთის მოშიში არის და აკვანსა და სახვეველს მოგცემსო.

ნამდიდრევი იგი წარვიდა, და არაბმან პურნი ხუროსავე მიუტანა. მან ყოველივე სათხოვარი მისცა და მოვიდა ხურო ცოლთან და მოართვნა პურნი იგი.

უთხრა ცოლსა არაკი:
ცხრილიანი კაცი

კაცი ერთი მდინარისა კიდესა ჯდა და ცხრილი ხელთა

ჰქონდა. ჩაჰყვის ცხრილი წყალთა და რა აივსის, თქვის: ვისაც ღმერთი მისცემს, ესრეთ მისცემსო. ამოიღის ცხრილი, და რა წყალი გაედინის, თქვის: ვისაც წაართმევს, ესრეთ წაართმევსო.

- ღმერთმან ბედი კარზედ გვისვიანაო.

- მეფეო, თუცა ღმერთსა კაცი იგი შენთვის უნდა, კართავე შენთა მოიყვანს, თვარემ პოვნა ძნელი არის.

თქვა რუქამ: «წვიმა არ არის და თოვლი, კართა ჩვენთა მოვიდეს. თუცა ჩვენ არა ვიცით ადგილი მისი, მან რა იცის თემი ჩვენი? კაცი გავგზავნოთ, პოვნას ვეცადნეთ. რომელსა კაცსა ჩასდებია საჭმელი უხელოდ, რომელსა შეჰმოსია სამოსელი გაურჯელად?»

თქვა რუქამ არაკი:

უგუნური მცურავი

მცურავი ერთი მოჰქონდა წყალსა. თქვა: ღმერთო მიშველეო! მეორე ამხანაგმა უთხრა: ხელი გაიქნიე, გახვალ და ნაშველები იქმნებიო.

- მოვნახოთ და ვპოვოთ.

ვაზირმან უთხრა საჭურისსა:

- დია კეთილგონიერი ხარ. თუცა უღთოთ ცდით საქმე იქმნება, რად არ ეცდები სამამაკაცოთ ასოთა გამობმასა, ცოლთან და შვილთან სიხარულსა და შვებასა?

თქვა ვაზირმან არაკი:
უბედური დიდვაჭარი

იყო დიდვაჭარი ერთი, რომელი ღმერთსა არა ესვიდა. გასცა ყოველი თვისი მონაგები და პური იყიდა: მომავალსა წელსა უკეთუ დამცირდეს, ერთსა სამ-ოთხად გავყიდიო.

მომავალსა წელსა უმრავლესი მოვიდა. კვალად იყიდა იაფად, გონებდა, სხვას წელს გავყიდი უკეთაო. ყოველთა წელთა უმრავლესი და უმრავლესი მოვიდა. და დაულპა ყოველი პური მისი და განქარდა ყოველი მონაგები მისი. აღარა დარჩა რა.

გამოუღო ცოლსა თვისსა სამკაული, რაცა აქვნდა, და წარვიდა საფრანგეთს, განყიდა, ივაჭრა, ეგოდენი ქონება შეყარა, რიცხვი არ ეგებოდა. შინ აღარ მიიქცა სიხარბით. ჩაჯდა ხომალდსა, გონებდა უფროსსა სარგებელსა. აუღელდა ზღვა, დაემსხვრა ნავი და ქონება დაენთქა. თვითონ ერთს ფიცარზედ შერჩა და ღადომ ნაპირს

გააგდო.

დიდად შეწუხებული ერთს ქალაქში მივიდა, პოვა პატრონი მის ადგილისა და ესე ყოველი გარდასავალი თვისი უამბო.

მან მეპატრონემან ესრე უთხრა: რადგან მდიდარი ესრეთ დავარდნილხარ, აქ იყავ ერთსა წელსა; მამულისა ჩემისა მოურაობას მოგცემო და მეტი ქონებისა შენისა შეიკრიბეო.

დადგა მოურავად. პირველადვე პური და ბრინჯი მოიპარა, არამც ცოტა მერგოსო. გასრულებასა წლისასა მრავალი ქონება ხვდა. თქვა: «ავად მიქნია». თავის ბეღლიდამ ამოღება იწყო და პატრონისა ბეღელსა ჩაყრა, რომელი ნაპარევი ჰქონდა.

ნახეს კაცთა კაცი იგი ღამე პატრონის ბეღელსა მავალი, პარვა ეგონათ. აუწყეს პატრონსა. გაწყრა, გამოუღო ყოველივე მონაგები და განაძო.

წარვიდა მტირალი, მივიდა ზღვის პირსა, ნახა ნავი მომავალი, ათნი ვაჭარნი მსხდომნი. მათაც აუწყა საქმენი მისნი და მათ თითომან თითო ძვირფასი თვალი მისცეს და განუტევეს. ხუთი თვალი ბარკალთა დაიკრა ძონძსა და ხუთი პირსა ჩაიდვა.

სვლასა შინა მეკობრენი შეხვდენ, სამნი, გაეუბნეს და მან ხმა არ გასცა. პირთა აყაფი ედვა. მეკობრეთა უტყვი ეგონათ.

ერთმან თქვა: გავძარცოთო.

მეორემ თქვა: რა წაუღოთო?

მესამემ თქვა: არაკად თქმულა, თორმეტნი შიშველს ნიფხავსა ხდიდნენ და ვერ გახადესო.

ამ სიტყვასა ზედა მას კაცსა გაეცინა და ორი თვალი პირით გამოაგდო. ყია შეუპყრეს და სამი იგი თვალიცა ამოუღეს და ხუთი იგი ვერ პოვეს, რომელი ძონძთა გამოეკრა.

წავიდნენ მეკობრენი ქალაქად, განსყიდვა ენებათ თვალთა მათ. დახვდენ მეფისა ვაჭარნი, ცნეს მათი მპარაობა. თვალნი წაუხვნეს სამეფოდ და კაცნი სიკვდილსა შეაბეს. აწ ესეცა მივიდა მას ქალაქსა, თვალნი გამოიღო განსყიდვად. პოვეს ესეცა მათვე კაცთა, თვალნი წაუხვნეს, მოსაკლავად წარიყვანეს. ძოღან რომელთა ვაჭართა მოეცათ, იგინი მუნ დახვდეს. შეეხვეწა ვაჭართა მათ:

- რომელნი თვალნი თქვენ მომეცით ათნი, ხუთნი მეკობრეთა წამიხვნეს და ხუთნი ამათ, აწ მოკვლაცა ჩემი უნებთ.

მათ ვაჭართა ფიცი უთხრეს მათგან მიცემულობისათვის, აღარა მოაკვლევინეს და მეფესა ყოველივე აუწყეს.

ბრძანა მეფემან: რადგან ეგოდენი ჭირი უნახავს, აწ ჩემთა სალაროთა უხუცესად დავადგენ, უმრავლესსა შეიკრებსო.

მიაბარეს სალარო.

დღესა ერთსა კლიტე გაელმდა, ორი ფული არ გაიმეტა, რათა მჭედელსა გაეკეთა. თითონ ქვა აიღო, კედელზედან მიადვა, ქვა დაჰკრა, თურმე კედელი ცალპირი აგური იყო,

გარდაიქცა და მეფის ჯალაბთა სახლი გამოჩნდა. მოვიდნენ საჭურისნი და მოახსენეს მეფესა, შეიპყრეს კაცი იგი და ორნივე თვალნი აღმოხადეს.

- ესე არაკი მისთვის მოგახსენე, თუ ღმერთი კაცს არ მისცემს, თვისისა ცდითა არა ღონე არ დაიდების და ცუდი შრომა შერჩების, ღმერთსა უნდა სთხოვოს კაცმან.

უბრძანა მეფემან ვაზირს:

ყოველსა კეთილად იტყვი ბრძნისა გონებისა თქვენისა მსგავსსა, შენ და რუქასა საუბარი არ დაგელევათ. აწე უბრძანე სპათა ამხედრება და მეცა აღვჯდე ტაიჭსა. მივიდეთ ადგილსა კეთილსა და ამოსა, ვინადიროთ, და მსგეფსი ერთი მუნ დავყოთ!

- ოდეს სცნეს ჭაბუკთა ნადირობად გასვლა მეფისა,

ეგოდენი ჯარი შეიყარა, მიწასა ემძიმებოდა. და მოხუცებულნი ყრმათაებრ ხლდებოდენ: გვემცაღირსაო სიახლესა მეფისასა სლვა. და ყრმანი ხანდაზმულებრ იქცეოდნენ: თუცა მეფისა ბრძანება გვეწიოსო. ესრეთ შეფრფინვა იყო.

დაყვეს რვანი დღენი. ნადირი ურიცხვი მოსწყვიდეს. შემოიქცა და მოვიდა ადგილსა ერთსა. კვიპაროზი იდგა შვენიერი, ძირს წყარონი დინდეს და კორდნი ყვავილითა შემკულნი. მნახავსა სევდანი გაექცეოდეს.

ხის ჩრდილსა ჭაბუკი მძინარე იყო, თან აკაზმული ცხენი ება. მოუწოდეს ჭაბუკსა მას. მოვიდა და ნახა მეფემან. ფუცა: მსგავსი მის ეტრატისა სახისა არისო! ყოველს კაცსა უკვირდა სიკეთე მისი.

წარმოდგა ყრმა იგი, მეფე დალოცა, დიდი ქება შეასხა,

ხელს აკოცა. მეფემან აღსვა ცხენსა და წაიტანა თანა. ჰკითხა სადაურობა, ვინაობა და სადა მიმავალობა.

მან მოახსენა:

- მე არა ვიცი სადაური ვარ, მეფობისა წინაშე რა ვიკადრო? ეს ვიცი: მე ლეონ მქვიან, მამაჩემი დედის ჩემისა ჩემზედ ორსულობასა მომკვდარა და დედაჩემი ჩემსა შობასა და მე აქა-იქ სვლითა გავზრდილვარ.

რქვა რუქამ ლეონს:

- თავმან მეფისამან, დიდად ბედუკეთური თურე ხარ!

შემოხედა ლეონ და სცნა საჭურისობა მისი, უთხრა:

- მართალსა იტყვი. თუცა ბედკეთილი ვყოფილვიყავ,

დღეს შენ არა გნახევდიო. ეჰა, შენი ბედსვიანობა ღირს? თუცა მამაკაცი ხარ, წვერი და ულვაში სადა არს? თუცა დიაცი ხარ, სადა არს თმანი ნათხზენი? თუცა ჭაბუკი ხარ, სადა არს ძლიერება მაჯათა? და თუცა ქალი ხარ, შვენიერთა ძუძუთა შემიხვიე: თუცა კაცი ხარ, არა გაქვს სიმხნე ასოთა, თუცა დედათაგანი ხარ, არა ძალ-გიც შობა შვილისა. ავბედო! შენი წესია, თვით არა ძალგიც და თუცა დიაცი დაინებო, სხვათა მიაყოლებ. შავბედო! მამაცისა საქმე არა გაც და ღმერთმან ნურც როსკიპი დიაცი გადაროს! სადაცა სიტყვა საჭურისისა გავიდეს, მუნცა ცოლი არა იყოს ცოლი ქმრისა თვისისა.

თქვა ლეონ არაკი:
საჭურისი ალაბიდამ

იყო დიდებული ქალაქსა ალაბისასა და ყვა საჭურისი ერთი. დიდად გულითადი იყო. და ერთი სხვა მონა იყო

მის კაცისა, სახითადა ზროთი მსგავსი მის საჭურისისა. დიდად მოყვარენი იყვნენ ორთავე. შეკრეს პირი. საჭურისი შეადგა ცოლსა თავის პატრონისასა და ეტყოდა:

- მე ვიცი, უფალსა ჩემსა ნებავს განტევება შენი და შერთვა სხვისა!

თავს ეწიე ცნობასუსტი დიაცი აცთუნა და გამოუცვალა სიყვარული სიძულვილად. უთხრა ქალმან მან:

- რადგან ჩემი ეგრე კეთილის მდომე ხარ, თუცა ქმარი მიტევებს, მითხარ, რა მიჯობს, რა ვყო?

- რქვა საჭურისმან:

- მე ესეთი წამალი მოგცე, ფერხთა შესცხო, წამსავე მოკვდეს, და ესე მოყვასი ჩემი, შვენიერი და კეთილი

კაცი, და იგი შეირთე და იყოს ნებისა შენისა!

სცთა ქალი იგი, მოკლა ქმარი თვისი და იგი კაცი მის წილ შეირთო და ყოველი მონაგები მისი მას მისცა.

- ესე არაკი ამისთვის მოგახსენე, ყოველი მსგავსი შენი უარესსა იქმს ამისთვის, რომე არა ეშინის ღვთისა და არცა სცხვენის კაცთა.

უთხრა ვაზირმან ლეონს:

- დია მიხარის სიტყვატკბილობა შენი და მომწონს ზრდილობანი და ქცევანი შენნი. აწ მოვედ, მეფესა ემსახურე და იყო თავი ვაზირთა და უხუცესი ჩემი, და მეფემან ძმურად პატივ გცეს.

რქვა ლეონ სედრაქ ვაზირსა.

- ვითა მამა საყვარელსა შვილსა მასწავლი, ეგრეცა ვყო. და შენ მისმინე სიტყვა ესე!

თქვა ლეონ არაკი:
ინდოთ მეფე და ვაზირნი

მამისა მამა ჩემი, მასმია, ინდოთ მეფისა ხუთთა ვაზირთა უხუცესი ყოფილა. იგი უხუცვსი ვაზირი მეფესა დიდად უყვარდა, თავსაცა თვისსა ერჩივნა. იგი ოთხნი აუმტერდენ, თქვეს:

- რამცა ვუყოთ მას, რომე მეფე მისსა სიტყვასა ზედა დგას და მორჩილი რჩევისა მისისა არს და ჩვენ არარა გვეკითხვის?

შეკრეს პირი. მოვიდა განთიად ერთი მეფესთანა და

მოახსენა: წუხელის მეზმანა მე დიდი მეფე, ინდოთა მპყრობელი, მამათქვენი, მიბრძანა მოხსენება თქვენი. დიდი ვაზირი იხმო: ცოტა საქმე მიც, დავასრულო და მალე გარემცავაქცევო.

მოვიდა მეორე და მოახსენა მანცა იგივე ზმანება და უცხოსა და შვენიერსა ადგილსა ნახვა მამისა მისისა, დათხოვა ვაზირისა და ეგრეთეე გამოშვება.

მესამემან და მეოთხემან იგივე ზმანება თქვეს, ვითა დაედვათ პირი. გაუკვირდა მეფესა და სიქიშპე მათი ვერ აგრძნა. თქვა: «თუცა ერთსა ეთქვა, ტყუვილიმცა იყო. აწ ყოველთა ერთი ჩვენება უნახავთ, მართალ არს უცილოდ».

უხმო ბერი ვაზირი და ყოველივე უთხრა. შეიგნა ვაზირმან, ყოველივე ამხანაგთა ხრიკი იყო, მაგრამ რას

იტყოდა? თქმა უარესი იყო. ესე მოახსენა:

- მეფობასა თქვენსა ამას ვევედრები, ჩემსა დასაწვავად სხვათა ხარი, ანუ მუშა არ დაშვრეს. ბედნიერს მეფესა ცოდვილი არ შევეყარო. ორმოცი დღე მაცადე, შეშა და ნივთები მოვამზადო, ფასი ჩემი მივსცე და სიხარულით დიდს მეფესთან წავიდე!

აცადეს ორმოცი დღე. გაანდო ოთხს გულითადს მონათა. მოასხნეს ორნი მთხრელნი მიწისანი. ვაზირის სახლიდამ გარეთ ასპარეზამდინ გახვრიტეს ქალაქი. და ასპარეზში ხვრელი რომ გაიღეს, ზედ შეშა დადგეს მრავალი, მსგავსი ბორცვისა. ბანი ზეჩასაძრომელი უქმნეს.

რა გასრულდა ორმოცი დღე, მოვიდა ვაზირი მეფესთან, მოახსენა:

- მობრძანდეს მეფე, იხილოს დაწვა მონისა თვისისა, რომელი მამასა შენსა თანა მივა!

გავიდა მეფე და ყოველი ერი ჭვრეტად მისა. აღვიდა ვაზირი ზედა შეშასა. შემოაყარეს ნაძენძი, დაასხეს ნავთი და აღუდვეს ცეცხლი.

რა კვამლი ამაღლდა, ვაზირი ხვრელსა ჩაძვრა, ნახვრეტი გაიარა ქვეშე ქალაქისა და მივიდა სახლსა თვისსა. შეშა იგი დაიწვა. ნაცარი დაანიავეს და ვეღარც ძვალი პოვეს. ხვრელი ნაცარმან ამოავსო.

ვაზირმან ოცი დღე შინ დაყო მალვით და მერმე შეიმოსა თეთრი სამოსელი, არგანი ხელში აიღო და განთიად მეფისა კარსა მივიდა. აცნობეს მეფესა მოსლვა მის ვაზირისა. ზე აიჭრა მეფე, გარ გამოვიდა. ყელს მოეჭდო, აკოცებდა და მუნით მოსლვასა გონებდა.

კითხა ამბავი მამისა მისისა, მისვლა და მოსლვა მისი. ვაზირმან სამოთხის ამბავი მოახსენა და მრავალი ტყუვილი შემოშჭევრა, მართლ მართალსა ამჯობინა და მერმე ეს მოახსენა:

- რაც ჩემთან ესაქმებოდა, ყველა აღვასრულე. აწ ეს ოთხნი ვაზირნი იხმო და მაგათაც უფრო მალე გაახლებს, ცოტა საქმე აქვს.

სიზმარს დაუჯერეს, ცხადად მოსულს ვინ არ დაუჯერებდა? მოასხეს ვაზირნი. უბრძანა წასვლა მეფემან. იგი ხრიკი მათ კი არ იცოდეს. ჩაყარეს ცეცხლში და დაიწვნენ. თავიანთ ნაქმარი მათვე გარდახდა.

- ესე არაკი მისთვის მოგახსენე, მამაო სედრაქ, ყოველი კაცი ხარბია, უკანის არამც გამიმტერდენ და მიხრიკონ

რამე.

იამა მეფესა ესრეთ სიტყვატკბილობა მისი და უხაროდა. უბრძანა: თუცა დამემორჩილო და წამომყვე, მეფობისა ჩემისა კიდე, რომელიცა მთხოვო, მოგცეო!

თქვა რუქამ არაკი:
ჯოჯოხეთში დაუტევნელი

კაცი ვინმე იყო ყოვლისა ბოროტისა მოქმედი და დიდად მლოცავი. რა ბოროტისაგან მოიცალის, დაიწყის ლოცვა და ტირილი.

მოვიდა ანგელოზი და უთხრა კაცსა მას: ავნაქმართა შენთათვის სამოთხე არ მოგცა უფალმან და, რადგან ესრეთ მლოცავი ხარ, სამოთხისა კიდე, რაცა ითხოვო, მოგცესო.

მან კაცმან ესრე უთხრა:

- თუცა სამოთხე არ მომეცემის და სხვას სათხოვარს აღმისრულებს, ესრეთ დიდი შემქნას, ჩემგან მეტი ჯოჯოხეთში ვერვინ დაეტიოს!

ეს ვეღარ უყო ღმერთმან და ისრევ სამოთხე მისცა მას კაცსა.

ეგე ესეთის გრძნებისა მოქმედია, ესრეთს რასმეს გვითხრობს, მისი ქმნა არ ეგებოდეს და მეფობავე შენი მიიღოს.

გაიცინა ლეონ და თქვა არაკი:
ბერი და ყრმა

ერთი ბერი უკბილო კაცი და ერთი ცოტა ყრმა ერთად სხდეს და საჭმელსა სჭამდეს. ორთავე ტირილი იწყეს.

ჰკითხეს ბერსა: რად სტირიო?

თქვა ბერმან: მე კბილი არა მაქვს და ცოხნა არ ძალმიც. ამ ყრმამან სულ შეჭამა და მე მშიერი დავრჩიო .

ყრმას ჰკითხეს: შენ რაღას სტირიო!

მან ეგრე თქვა: მე ვირემ გამოვცოხნიდე, ეს მთლივ შენთქამს, და მე მშიერი დავრჩიო.

მათი რომელი უმართლე იყო ყველაყამ იცოდენ, მაგრამ ერთმანერთს აბრალებდენ.

- აწ მის მსგავსად ჩვენც ყველანი გვხედვენ, ვინ ავი ვართ

და ვინ კარგი, და მეფეცა სცნობს ღვთითა.

უბრძანა მეფემან:

- რასათვის ძნიად გიჩნს ყოფა ჩემთანა?

მოახსენა ლეონ:

- მეფისა თანა მყოფი კაცი და ზამთარ დიდ ცეცხლთან მჯდომი სწორია. თუ ახლოს ზის, სიცხე დასწვავს და თუცა შორს წავა, ყინვა დაჰზრავს. მეფისა თანა მყოფსა კაცსა ხუთნი ძნელნი საქმენი უნდა სჭირდეს:

ერთი: რომე ორის თვალისაგან ერთი ასეთი მხედველი უნდა იყოს, რომე ასის თვალისაგან უმეტესს ხედვიდეს და მეორის თვალით ბრმისაგან უბრმესი იყოს.

მეორე: აგრევ ცალი ყური ასმინოს და ერთი დაიყრუვოს.

მესამე: გული ფუნდუკისაგან უდიდესი ჰქონდეს, რაც ყურიდამ შევიდეს, დაიგროვოს და შეინახოს.

მეოთხე: რომელიც არ ვარგიყოს, გაგონილი არა თქვას და რომელიც კარგი და ჭკუათ საფერი იყოს, იგი გამოიღოს და თქვას. მეხუთე: ასეთი ენა ჰქონდეს, თაფლი და სამსალა ორივ სდიოდეს.

თქმა ლეონ არაკი:
უტკბესი და უმწარესი

ერთმან მეფემან უბრძანა თვისსა ვაზირსა: წადი, ასეთი საჭმელი მომიტანეო, რომე ხმელზე მის უტკბესი არა იყოსო და არცა ზღვათა შინა იპოვებოდესო!

წავიდა ვაზირი, ენა უყიდა, მოუტანა, შეწვა, აჭამა და მოეწონა. უბრძანა კიდევ: წადი, ასეთი რამ მომიტანე, ქვეყანაზე მისი უმწარესი არ იპოვებოდესო!

წავიდა, კიდევ ენა უყიდა და მოუტანა.

უბრძანა მეფემან: მწარე ვითხოვე, ენა მომიტანე და ტკბილი ვითხოვე და ენა მომიტანეო!

მოახსენა ვაზირმან: თავმან შენმან, არცარა ენის უტკბოსი იქნების და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა ქვეყნისასაო.

- აწ მეფეო, ხელმწიფეთა წინა მდგომი კაცი სანთელია: თავსა თვისსა დასწვავს და სხვათ გაუნათლებს; მეფისა საყვარელსა კაცსა სხვანი სძულობენ და ხრიკითა მასცა შეაძულებენ.

თქვა ლეონ არაკი:
დუკა და აზნაური

კაცი ვინმე იყო აზნაური ქვეყანასა ბეჩისასა. ჰყვა ვაჟიშვილი ერთი, შემკული ყოვლითა სიკეთითა და დიდად შვენიერი იყო. უთხრა მამასა თვისსა:

- მნებავს მსახურ-ყოფა დუკასი, წარმიყვანე და შემავედრე!

უთხრა მამამან:

- ორსა მცნებასა გასწავლი, მეფუცე დაიმარხო და ნებასა აღგისრულებ!

ჰფიცა ძემან მისმან:

- ყოველი მცნება შენი ვყო.

ამცნო:

- პატრონისა შენისა სახლსა შინა ნუ ისიძავ და მეორე, თუცა რეკა გესმას, ტაძრად მივედ, დიდიცა საშური საქმე გედვას, ვირე ლოცვისა დასრულებადმდე ნუ წახვალ!

და იმცნო ესე. წარიყვანა და მიართვა დუკასა, პატრონსა ბეჩისასა. ესრე კეთილ-მსახურ ექმნა და შეაყვარა თავი, ძეთა თვისთა იგი ერჩივა და ყოველი საქმე მისი ხელთა მისთა მისცა. შეგზავნა შინა საქმესა რასმე ზედა. თვალაგნა ცოლმან მისმან და ევედრა მასთანა დაწოლას. მან არა ჰყო პატრონისა ორგულება და მამის მცნების გატეხა.

სხვა იყო შვილი აზნაურთა იგიცა, ორნივე ამხანაგად მსახურებდენ. იგი მეორე შეიხვია და მას ყრმასა ერისხებოდა. მეორედ შევიდა საქმესა რასამე ზედა, ნახა ორნივე იგინი ერთად. გამოვიდა და არა თქვა რა.

შევიდა დუკა ცოლთანა. დიდად გარისხებული დახვდა. უთხრა:

- თუცა კაცი იყო, მონა შენი მე არა ხელსა მყოფდა.

შეასმინა ყრმა იგი, რომელმან ნება მისი არა ჰყო. გამოვიდა დუკა გარისხებული. დილასა უბრძანა მეხრმლესა:

- დღეს პირველად რომელი გამოვგზავნო შენთანა და გითხრას: რა ჰქენი ბრძანებულიო? მას თავი მოკვეთე და მეორედ რომელი მოვიდეს, მას მიეც თავი მისი და

გამომიგზავნე!

უბრძანა ყრმასა მას უბრალოსა:

- წადი, კაცსა მას უთხარ რა უყო ბრძანებული?

წავიდა ყრმა იგი და მიმავალსა ესმა რეკა, მოაგონდა მცნება მამისა, მიექცა, ლოცვის დასრულებადმდე დაეყოვნა. მერმე გაგზავნა ყრმა იგი შემცოდე. მივიდა პირველად იგი, უთხრა კაცსა მას: რა უყავ ბრძანებულიო? შეიპყრა და თავი მოჰკვეთა და დადვა მუნ. დასრულებასა ლოცვისასა წარვიდა ესეცა. მივიდა კაცსა მასთანა. მოსცა მან კაცმან თავი იგი და მოართვა დუკასა.

რა ნახა დუკამ, დიდად გაკვირდა და უთხრა: აქამომდე სად დაიყოვნეო?

მოახსენა მან ყრმამან მამას ვით ემცნო და ანუ ვით ფიცი მიეცა და ტაძრად დაყოვნება. მერმედ აფიცა დუკამან და ყოველივე ნახული ათქმევინა. რა უბრალობა შეიტყო, სწორ თავისა ჰყო.

- მეფეო, პატრონსა თუცა მონა უყვარს, ადრე არ უნდა შეიბეზღოს. მეფისა კართა მდგომნი კაცნი მრავალს ოცნებას იქმონენ და ხერხსა და ხრიკსა ცდილობენ, რათა შეაძაგონ იგი.

უბრძანა მეფემან:

- რა გინდ ბევრი იუბნა, ღმერთს თავი შენი ჩემთვის მოუცია. აჰა ნიშანი შენი, რომელი შენვე მომეც ძილსა შინა!

ნახა სახე თვისი, თაყვანი სცა მეფესა და დამორჩილდა,

წამოყვა, წამოვიდნენ. მოვიდენ ქალაქსა მეფისასა, დაიდვეს ნადიმი, განისვენეს.

ოდეს გათენდა და შავთა უფსკრულთა ფარდაგი ცეცხლისა ალისა მსგავსისა მზის შუქითა დაიხივა, მისნი ელვარე მოციქულნი ხმელეთსა გამოუგზავნნა, წავიდა მეფესთან ლეონ.

მეფემან მოიყვანა ძე თვისი საყვარელი ჯუმბერ, მოსცა ხელთა და უთხრა: ეგე ორნივე ღვთისათვის და ეგ შენდა შემოგივედრებიაო!

მოახსენა ლეონ:

- დღეს ვნახე ნიშანი წახდენისა ჩემისა. მე მონა ვარ შენი და დაგემონო. ძისა შენისა გაწვრთნა არ ძალმიც. მე ვითაც ველოდი მტერთაგან ჩემსა წახდენასა და შესმენასა

წინაშე მეფობისა თქვენისა, აწ ამით უდიდე შემცოდე ვიპოვები.

თქვა ლეონ არაკი:
მეფე და მხატვარი

მეფე ლავდიკიისა იყო ბრმა ცალის თვალითა. ჰყვა მხატვარი ხელოვანი და მიზეზსა ეძებდა მის მხატვრისასა. უბრძანა:

- მინდა მსგავსი ჩემი სახე დამიხატო!

თქვა გულსა შინა მხატვარმან: აჰა, მოვიდა დღე აღსასრულისა ჩემისაო, თუ ბრმა დავხატო, მომკლავს. ვით მკადრეო, და თუცა ორთვალი, მომკლავს: ოდეს არს მსგავსი ჩემიო?

მოიპოვა ესე ღონე: დახატა ირემი და მეფესა ხელთ თოფი მისცა, ბრმა თვალი დაუხუჭა და მიართვა მეფესა. ამ საქმეს მიზეზი ვერა ჰპოვა, და მორჩა მხატვარი იგი.

- აწ ვხედავ, მიზეზი ჩემი ეს არის, აწვე მომკლა, ვინ გიშლის, ანუ ვინ დაგგმობს?

უბრძანა მეფემან: არა ნდომითა ჩემითა არის, ბედისაგან მოცემული ხარო.

მოახსენა ლეონ: ხელითწერილი მომეც ფიცისა, ვირემ ჩემი სიტყვა არ მოისმინო, სხვათა ენით არ მომაკვდინო, და ეგრე ვიქმო.

მისცა მეფემან ხელითწერილი ფიცისა. წაიღო ლეონ საფიცარი იგი, მოჭედა ოქროთა და დაირჭო თავსა ზედა. აღაშენა სახლი სამეფო და ჯდა მუნ. დაუწყო ჯუმბერს

წვრთნა და ასწავლიდა დღივ და ღამ. და მეფის წინაშე აღარ მიიყვანის ხშირად.

ნადიმად დაჯდა ლეონ. სამი დღე და ღამე წართვით სვა. ჯუმბერ მწდედ დაიყენა, არც დასვა და არც არა აჭამა. ფეხზე დგომითა და შიმშილითა ესრეთ უღონო იქმნა, ქვე დაეცა და შეწუხდა. მერმე უბრძანა დაჯდომა და ჭამა პურისა. რუქა დიდად მტერი იყო ლეონისა. მან სცნა ესე.

და თქვა რუქამ არაკი:
ქურდი მკერვალი

ერთი მკერვალი იყო დია ქურდი. რაც ნაქსოვი გამოსჭრის, ბევრი მოიპარის. ღამესა ერთსა ნახა სიზმარი: პირთა ხე ამოსლოდა და ყოველი ნაპარევი ნაჭერი ზედ ეკიდა რტოთა. რა გაეღვიძა, შეშინდა. შვილს უთხრა: როდესაც შემატყო მაკრატელთა ხმარებასა შიგან პარვა, ხე

მომაგონეო!

ერთმან დიდებულმან ერთი უცხო ოქროქსოვილი გამოაჭრევინა. რა პარვა დაიწყო, შვილმან ხე მოაგონა. ეწყინა მკერვალსა და მაკრატელი პირში ჩასცა, ეგრე უთხრა: ამისთანა ნაქსოვი როდის ეკიდა მას ხეზედანო?

- ამისთანა მეფის ძის ზრდა ვის უნახავს და ან ვის ასმია? შიმშილითა დაბნედილა და ზეზე დგომით ტერფი დახეთქია.

მეფის შესმენას ცდილობდა. სედრაქ ვაზირმან რქვა:

- რუქა, დიდად მიყვარხარ და თავსა ჩემსა მირჩევნიხარ, მაგრამ საქმენი შენნი მიკვირან.

თქვა ვაზირმან არაკი:

ორი მოლა

ორი მოლა იყო ერთსა ქალაქსა შიგან. ესრეთ მტერნი იყვნენ, ერთად ვერ მოთავსდიან, არცარა ერთად სვიან და სჭამიან. ამას ცდილობდენ, ერთი მეორესა წაეხდინა.

დღესა ერთსა ერთი მოლა ნახეს სხვისა დიაცისა თანამწოლი. კაცთა მათ იგი მოლა და დიაცი ორნივ შეიპყრეს და ერთს ორმოსა შიგან ჩაყარეს. ენებათ მეორეს დღეს მოასხან ყადი და მოწამენი და ორნივე დაახოცონ.

სცნა მეორემან მოლამან, მტერმან მის მოლისამან. ირბინა, მის მოლის სახლში მივიდა, მისი ცოლი მოიყვანა, მას მოლას ღამე ჩაუსვა ორმოსა შიგან და ეგრე უთხრა: მაგ დიაცის სამოსელი მაგას შემოსეო და მაგისი მაგასო, და ეგ ამოუშვიო!

ეგრე ჰყო ყოველივე, რომელი მტერმან უთხრა.

განთიად მოვიდა ყადი და მოწამენი და იგი მტერი მოლაცა მივიდეს. ამოიყვანეს იგი მოლაცა და დიაციცა, ნახეს. მან მტერმან მოლამან თქვა: მე ხომ ყოველნი მიცნობთ, მაგისი მტერი ვარ, მაგრამ რას ემართლებით უბრალოს, თავისი ცოლი ყოფილაო?! გაუშვეს.

მერმე მან მოლამ ასე უთხრა: შენც იცი, როგორი მტერი ვარ შენი, მაგრამ ეს ამისთვის გიყავ, მეც ავის მქმნელი არ ვეგონო ვისმე, რომე ჩემის სახის მსგავსება გაქვს, მისთვის მოგარჩინე, შენც მოლა ხარ და მეცაო!

- ძმაო, რუქავ, შენ რად იტყვი, თუ ამის კაცის სახე არა გაქვს, პატრონისა შენისა უმჯობესსა და საწყენსა რად არ არჩევ?

უთხრა რუქამ:

- ვეზირო, პატრონისა ჩემისა უმჯობესი ვით არ მინდა, მაგრამ კაცი ეგე მას ჰგავს.

თქვა რუქამ არაკი:
მოძღვარი მელი

ერთი მელი დაცანცარებდა. ძველთაგან თურე ნასოფლარი ყოფილიყო. სამღებროს ქვევრი, ლილით სავსე, პირღია დარჩომილიყო. სლვასა იქი-აქა შიგ თურე ჩავარდა, ამობორტყდა, ამოვიდა. მელი შავად შეღებული შეიქმნა. დაიწყო სიარული.

ერთი მამალი შემოეყარა. ჰკითხა მელსა: რა დაგმართებიაო?

მელმან უთხრა: ჩემნი დღენი ცოდვის ქმნით დავაღამე, ახლა ჭკუა მოვიხმარე, ეს სოფელი გავუშვი, ბერად შევდეგ, იერუსალიმს მინდა წავიდეო.

მამალმან უთხრა: რადგან ცოდვისაგან ხელი აგიღია და ქველის საქმეს იმრავლებ, მეც წამიტანე, მადლი მოგხვდებაო!

მელმან წაიტანა და წავიდნენ.

შემოეყარა ძერა. უთხრა მამალსა: რას მოუცთუნებიხარ, ვის მისდევო?

მან უთხრა: მელი ბერად შემდგარა, იერუსალიმს მივა და მივსდევო.

მოეწონა ძერასა და იგიც გაჰყვა. შემოეყარა ოფოფი, იგიც

გაჰყვა.

შეიყარნენ ოთხნი ამხანაგნი. მელი სოროსაკენ გაუძღვა, თავისი ხერხიანი ენა ტკბილად აუბნა და ეგრე უთხრა: შვილებო, იერუსალიმს უმოძღვრო კაცს არ მიესვლება. ცოდვის აღსარება უნდა გამანდოთ და მონანული წავიდეთო.

იგინი დამორჩილდენ. სოროში შეასხა, სამოძღვრო სახლიაო და თვით კარისაკენ დაუჯდა. უთხრა: ოროლის ცოდვის შენდობა შემიძლიაო და მესამისა კი ვეღარაო.

მათ მადლი მოახსენეს: თუცა ორს ცოდვას შეგვინდობ, მესამის შენდობას ვინღა ითხოვსო?

მათ თავნი უბრალონი ეგონათ და მელი მიზეზს ეძებდა.

უბრძანა პირველსა მოწაფეს მამალსა: ღმერთმან ქათმის ყივილი გათენებისას ბრძანაო და შენ ვახშამთ უკან რად წაიცდენ ხოლმეო? მისი შენდობა მოითხოვა და აღარ-ქმნის აღთქმა დადვა. მანც შეუნდო.

მერმე ეს უბრძანა: ყოველს კაცს თითო ცოლი ჰყავს და შენ ათს არ დასჯერდები. ვისაც იბრიყვებ შენს ამხანაგს, მასცა წაჰგვრიო. მისიც აღთქმა დადვა და მან შეუნდო.

მესამე უთხრა: მხედარი არა ხარ და მშვილდოსანი, დეზები რად გაკრავს, შენ ხომ მის ჟამში ცხენს არ მჯდარხარო? მამალი მესამეს ცოდვაზედ რაღას იტყოდა? მოსწყვიტა თავი და წინ დაიდვა.

უბრძანა ძერას: ის რომ ავი მგალობელი ხარ, არც სტვინვა გივარგა და არც ძახილი, მუდამ რად ყივიო? ძერამ აღთქმა დადვა, და მან შეუნდო.

მეორე უთხრა: ღმერთმან შენ საზრდოდ ხვლიკი და თაგვი მოგცაო. ერთს ქვრივს სარჩოდ ერთი ქათამი ეგულების, დასვამს, ამაგსა იქმს და შენ მიხვალ და წიწილს რისთვის მოსტაცებო? ესეც შეუნდო.

მესამე უთხრა: ექვს თვეს მამლობ და ექვს თვეს დედლობ, გიდი ამიტომ დაგირქვამსო? მოსწყვიტა თავი და დაიდვა წინა.

სანამდისინ მელი ამ ორისაგან მოიცლიდა, მანამდინ ოფოფმან ასეთი ხერხები არჩივა, მელს ოსტატობით გარდაამეტა.

ჰკითხა მელმან ოფოფსა: სამეფო თომარ-ჯიღა ვინ მოგცაო?

ოფოფმან უთხრა: სოლომონ ბრძენმან თავისის ხელით დამხურაო.

მელმან უთხრა: მოწამე ვინა გყავსო?

ოფოფმან უთხრა: ერთი მსუქანი ბატი და ერთი მსუქანი იხვიო.

მელს სიხარბით და მსუნაგობით ჭკუა და მცნება დაეფანტა; ასე თქვა გულში: ეს ოფოფი ერთს ლუკმად არ მეყოფის და ერთი ბატი და იხვი ერთს კვირასაც მეყოფაო.

ბევრის ნდომა კაცს ასე წაახდენს. მამალიცა და ძერაც იქივ შეუჭმელი დარჩა და თან გაჰყვა.

ოფოფმან მელი ერთს ხევში დააწვინა, მონადირე ვინმე დახვდა ქორითა და მწევრითა და ძაღლებითა.

ოფოფი წინ დაუჯდა. სეფქა უნდა ესროლა. აფრინდა. მელს ახლო დაუჯდა. მიჰყვნვნ მონადირენი. მანამდინ ქმნა, იმ ხევში მიიყვანა. მეძებრებმა კვალი ნახეს, მელი გაიხტუნეს, მწევრებმან ასე გახადეს, ძვალი და რბილი გაუერთეს. ძლივ დაჩეჩქვილმან სული გარდაჰხვეწა.

ოფოფმან დაუძახა: მელო, მოწამე ვერ გიშოვნეო!

მელმან უთხრა: რასაც მოძღვარს აღსარება სამოწმოდ გაუხდია, უარესიმც დაემართებაო!

ოფოფმან ჯავრი კი ამოიყარა, მაგრამ მამალსა და ძერას კი აღარა ეშველა რა.

- ეგ კაცი ის მელი არის და ბევრგან ნავალი. ასეთს საქმესა იქმს, შენვე თავსა შემოიკრა და აღარა გეშველოს რა!

ლეონ ნადირობდა და ლხინობდა, არას ზრუნევდა. დღესა ერთსა წავიდა ნადირობად. თვით თოხარიკსა ცხენსა შეჯდა. ჯუმბერს ხელთ ქორი შეუსვა, უცხენოდ წინ წაიმძღვანა, საღამომდინ არბენინა, ქორსა და ქორის ნაბულს ადევნა.

მეორეს დღეს მწევრები მისცა ხელთა. მთათა და გორათა არბენინა. ფერხთსაცმელი გასცვივდა და ფეხები დაუსქდა, სისხლმან დენა დაუწყო.

მესამეს დღეს წინ შიკრიკად გამოიმძღვანა. მეტად დაშვრა, მალ-მალ დაეცემოდის, და არ მოეშვა. მანამდინ არბენინა, სადგომს მიიყვანა. ესმა ესეცა რუქას და შეასმინა მეფესა.

თქვა რუქამ არაკი:

ოთხი ყრუ

ერთი ყრუ კაცი იყო და ხარი დაკარგა. საძებნელად წავიდა ერთი კაცი შემოეყარა. კითხვა დაუწყო. თურე ის კაცი უფრო ყრუ იყო და ვირი თურე ეპოვნა. მან ხარისა ვერა შეიტყო. ასე უთხრა. ვირი თუ შენია, საპოვნელა მაინც მომეცო! ერთმანერთსა ვერა შეატყობინეს რა.

ერთი ცხენოსანი კაცი მოვიდოდა და ქალი ვინმე გავას უჯდა. მივიდენ მასთან. ამან ამისი ხარისა უთხრა, მან მისი ვირისა. თურე ის უფრო ყრუ იყო; ეგონა: დიაცს მართმევენო. ფიცი თქვა: ცოლი მომიკვდა და ეს მისი მოახლე არისო, სხვისას ნუ ჰგონებთო! ვერც ერთმა ვერა გაიგეს რა.

ყადთან წავიდნენ, ყველამ თავისი საჩივარი თქვეს. ყადი თურე სიბერით დაყრუებულიყო. რამაზანი იყო. ეს

მოჩივარნი მთვარის გამოჩენის მოამბენი ეგონა. თქვა: რადგან მთვარე უნახავნ, ნაღარას კარითო! ვერც ერთმან ვერა გაიგეს რა.

- აწე, ჩვენ, დიდნი და პატარანი, ყველანი დავყრუებულვართ, თვარემ რატომ არ გვესმის, ლამის იგი ყრმა მოკლასო?!

უშლიდა ვაზირი, არათქმასა ეტყოდა.

თქვა ვაზირმან არაკი:
მთიული და კაკლის ხე

კაცი ვინმე იყო, ზეგანთა ალაგთა მყოფი, რომელსა წალკოტი არა ენახა.

ჩამოვიდა ბართა ადგილთა, წალკოტი ნახა. შევიდა შიგან.

ყოველივე ნახა: ხეხილი, მწვანვილი. დია მოეწონა და ღმერთს მადლი მისცა: ყველა კარგად გაგირიგებია და ეს ავადო; ცოტას ბალახისათვის ნესვი მოგიბამს და დიდის ხისათვის ნიგოზიო!

მიიარ-მოიარა და ნიგოზთა ძირსა დაეძინა. მოვიდა ყვავი, ზე შემოჯდა, კაკალი ჩამოაგდო. მას კაცსა შუბლს დაეცა და გაუტეხა. აღდგა კაცი იგი და თქვა: ღმერთო, შენ უკეთ გაგირიგებიაო. თუ იქ ამისგან უდიდესი ბმოდა, თავს გამიჭყლეტდაო!

- ეგება, ის კაცი უკეთ იქმოდეს და ისრე სჯობდეს, და შენ მეფის წინ სრულ მის აუგს იტყვი.

თქვა რუქამ არაკი:
სოფლის მაშენებელნი

ერთი ძაღლი და ერთი მამალი დაძმობილდენ: სოფელი ავაშენოთო!

ძაღლმან უთხრა: როგორ ავაშენოთო?

მამალმან უთხრა: შენ იყეფე, მე ვიყივლებ და აშენდებაო.

წავიდენ ტყეში. ძაღლმან ყეფა დაიწყო და დაეძინა. მამალი ხეზე შეჯდა, ყივილი დაიწყო. მელს ხმა ესმა, მოვიდა, მამალს ჰკითხა: მანდ რასა იქმო?

მამალმან უთხრა: სოფელს ვაშენებთო.

მელმან უთხრა: ჩამოდი, სახლის ალაგი მომიზომეო!

მამალმან უთხრა: მამასახლისი მანდა წევს, გააღვიძე, ეგ მოგიზომსო!

მელი მამლის ნდომითა სცდა და ვეღარა გაიგო რა. ძაღლთან მივიდა, მამასახლისობით უხმო: ადე, სახლის ალაგი მინდაო.

წამოდგა ძაღლი, მელს გამოუდგა, დაჩეჩქვა და კუდი მოსწყვიტა. დაკოდილი წავიდა. გაგლეჯილი, ნათრევი გორაზე წამოდგა და დაუძახა: მე ხომ ჩემი ჭკუისა დამემართაო და, თუ თქვენ მაგ საქმით სოფელი ააშენოთ, თქვენც შეიტყობთო!

- შენ და მას პირი შეგიკრავსთ, მე წაუხდენელს, ვიცი, არ გამიშვებთ; თუ მეფის ძე კარგად გაზარდოთ, მე თურე არა ვიცი რაო.

მეფეს ყური მიეგდო და იცინოდა. იცოდა, რომე სედრაქ და რუქა ერთს სიტყვაზე არ იდგნენ და ლეონს ვაზირის

სიტყვა შეეწეოდა.

დღესა ერთსა ლეონ გაწყრა ცუდად. შეიპყრა ჯუმბერ უბრალოდ და ერგასი ჯოხი ჰკრა და დიდად ჰგვემა. სცნა რუქამან, მოვიდა გარისხებული, არაკობა აღარ დაიწყო. მეფეს ეგრე უთხრა:

- ღმერთს მრავლის ღონისძიებით ძე სთხოვე, მან წყალობა მოგივლინა. შენ მიეც ერთსა ღვთის წყრომით აღვსებულსა კაცსა. შეუპყრია, ასი არგანი უკრავს, რა ბრალი ჰქონდა? ეგრე ავად არის, ღამემდინ სულს ვერ მიატანს და ლეონ შენ ძედ ისვი და ჩვენად პატრონად.

მრავალი ეგევითარი საუბარი წართქვა, ვითა მტერთა წესია: რა დროს დაიცემს, მაშინ ეცდება მტერობასა.

მეფე ერთობ შეაჭირვა და დიდად განარისხა, რომე

ცეცხლისა ალი მისის ჯავრის კვამლსა მიჰრიდებდა, მეტის გაშმაგებისაგან ძრწოდა. რუქა ცეცხლის გზებას უმატებდა და მრისხანემ მეფემ ვაზირი თვისი გააძო. ლეონს კაცი გაუძახა და თრევით მოიღეს. მოკვლას ლამოდა. ეგრე კადრა ლეონ:

- ვერ მომკლავ, მეფეო, ვერა! აჰა საფიცარი შენი, ამ დღისათვინ გამოგართვი, ამას ველოდი და ვიცოდი. მე ეს წინ მედვა. ვერ მომკლავ უსამართლოდ!

მოეხსენა მეფესა ფიცი და უთხრა რისხვით:

- მოვედ და ვისამართლოთ! ლეონ მოახსენა: არა, ჯერეთ მოწყალებისა ქარითა მრისხანებისა ღველფი განაბნივე და სიტკბოსა წყლითა მისი ალი დაშრიტე, და მერმე მეტყოდე!

სიტყვასა მასა ზედა მოვიდა მეფე ცნობასა, დაწყნარდა და დამშვიდდა.

ლეონ მყოვარ-ჟამ დადუმებითა იდგა. მერმე აუბნა თავისი ბულბულის უტკბესი ენა. ყოველსა კაცსა ასე ეგონა, პირსა იადონი უბუდებსო, ან მერცხალი ჭიკჭიკებსო. თუ რამ იცოდა, რაღას დღისთვის დაეჭირებოდა? მოახსენა:

- მეფეო, დიდად ვმადლობ გულისა შენისა სიმდოვრესა და შენსა ეგზომსა სულგრძელობასა. რაზომ აღგაშფოთა კაცობისა მარცხვენელმან და გაუკითხავად არ მამკალ! აწ ესე ბრძანოს მეფობამან თქვენმან: ძე შენი სამეფოდ გინდა, თუცა მწყემსად? მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა. მწყემსი ხამს ცხოვართათვის იჭირვოდეს, კეთილთა ბალახთა აძოოს, ამოდ ატაროს, დაკოდილი შეუხვიოს და მპარავს არიდოს. ესე თუცა ვერა

ყოს, სამწყსო შეუმცირდეს. ეგრევე მეფე ესეთი ხამს: გლახაკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჭამა და მიცემა იცოდეს. თუცა ეგოდენ ხანს ფეხზე არა მდგარიყო, რამცა იცოდა მონათა, მსახურთა და მწდეთა ჭირი, თუ ზედგომასა რა გარჯა აქვს? თვით მეფე ზის, უნებს აღდგება, უნებს დაჯდება. მათი სამსახური ვითა სცნას, რას მიიჭირვებენ მისთვის? დღე ყოველ ზე დგანან და დაითმენენ. თუცა შიმშილით არ მომყმარიყო, რამცა იცის, გლახაკთა და უღონოთა შიან, ანუ სხვათა ვისმე საჭმელი აკლს? იგი ყველას კეთილსა სჭამს და სვამს, არ მოიმშევს. არაკად თქმულა: მაძღარი კაცი მომყმარს პურს წვრილად უფშვნეტდა და ზედ დაჰყვედრიდა: რად ღორულად სჭამო! თუცა უცხენოდ სლვა და ფეხშიშვლობა არ გამოეცადა, ბაზიერთა, შიკრიკთა და ყოველთა მკვირცხლთა ჭირნი რითა სცნას, რომლითა

სიბრალულითა შეიბრალებდა? იგი მერანთა ანუ თოხარიკთა ცხენთა ჯდეს, გინა ეტლითა ვიდოდეს. არგნისა სიმწარე არ ენახა, რა გამწყრალიყო მონათა ზედა, ებძანა ასისა და ორასისა არგნისა კვრა, სხვათათვის მეტი და სხვათათვის ნაკლები, თვით მცირე სატანჯველი ეგონებოდა. აწ ყოველთა გლახაკთა, უღონოთა და მდაბალთა ჭირნი მისწავებია და ამისა შემდგომად ნახეთ თქვენცა, რა არის სასწავლოდ მისსა?

ნახა მეფემან და მოისმინა სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი. დიდად მოეწონა და შეინანა, რაცა ლეონისათვის ავი ექმნა, მოეხვია ყელსა:

- რა ვყო, შვილო, მიმძიმს, ავთა კაცთა ენამან და შვილისა სიმწარემან აღმაშფოთა.

თქვა ლეონ არაკი:

უსამართლო შირვან-შაჰი

შირვანს შაჰ იჯდა, ერთი უსამართლო, კაცთა უწყალო და მაოხარი ქვეყანათა. სადაცა მოჩივარი, ანუ გლახაკი ნახის, წამსვე მოჰკლის. აოხრდა ყოველი სამეფო მისი.

დღესა ერთსა ნახა მოჩივარი ვინმე. მოკლვა მისი ბრძანა. მან კაცმან თქვა: მე მოსაკლავი კაცი არა ვარ, ამად რომე ყოველთა მფრინველთა და მხეცთა ენა ვიციო.

იამა მეფესა და აღარ მოკლა, მართალი ეგონა, ვაზირსა მიაბარა, ეგრე უბრძანა: ამისგან შენ ისწავლე და შენ მე მასწავლეო!

წაიყვანა ვაზირმან. იცოდა, რომე სიცოცხლისათვის მოიგონა ენათა ცოდნა. კაცი იგი განუტევა.

გამოხდა დღენი მრავალნი და ღამესა ერთსა სმად ჯდა შირვან-შაჰ და გაღმართ ორნი წოტნი იძახდენ. მოეგონა კაცი იგი მოენე მეფესა და ჰკითხა ვაზირსა: ისწავლე მფრინველთ ენა მის კაცისაგანაო?

მან მოახსენა: ვისწავლეო.

უბრძანა: იგი წოტნი რას უბნობენო?

ვაზირმან მოახსენა: ერთსა ქალი ჰყავს და მეორე ვაჟისთვის სთხოვს. ქალის პატრონი ეუბნება: თუცა ჩემს ქალს შვიდას ნასოფლარს არ მოართმევ პირის სანახავად, არ მოგცემო. ვაჟის მამა ასე ეუბნება: შენს ქალს რომ შვიდასი ნასოფლარი მოვართვა, ექვსი შვილი სხვა მყავსო, მათ საცოლეებს რაღა ვუყო? ქალის მამამ ეგრე უთხრა: რას ზარობ და დაღონებულხარ? თუ შირვან-შაჰს დღე გაუგრძელდა, ბევრს სხვას ააოხრებსო!

ეწყინა შაის და თქვა: მე აგრე უსამართლო ვარო?

ვაზირმან მოახსენა: წოტნი ეგრე იტყვიანო.

მას სიტყვის უკან ის შაი მოწყალე შეიქმნა.

- მათ მსგავსად, თუ ეგ თქვენი საჭურისი ცოცხალია, ბევრი ამისთანა დღე გარდამხდება.

ბრძანა მეფემან: საჭურისისა და დიაცის გული უსუსურია და ნუ დაიხსოვნებო!

თქვა ლეონ არაკი:
ენით დაკოდილი

ერთი კაცი და ერთი დათვი დაძმობილდენ. აწვია კაცმან

მან დათვი იგი, ლხინი აჩვენა. დათვი დაეთხოვა, გამოესალმა, მან კაცმან აკოცა და ცოლსაც აკოცნინა დათვისათვის.

მას დიაცსა რა დათვის სიმყრალე ეცა, განერწყვა და თქვა: პირმყრალს სტუმარს ვერ ვეწყობიო!

წავიდა დათვი. და მერმე ეს კაცი ეწვია და თან ცული წაიღო: მოის შეშას დავკოდ და წამოვიღებო!

მოვიდა დათვი და, რაც მათ ეფერებოდა, იმგვარად იალერსეს. მერმე დათვმან დაუჟინა: თავზე ერთი ცული დამკარ და დამკოდეო!

მან კაცმან უარი თქვა. დათვი არ მოეშვა. დაჰკრა ცული და თავი გაუტეხა. დათვი ტყეში წავიდა და კაცი შინ წამოვიდა.

მეორეს თვეს შეიყარნენ. დათვს თავი გამთელებოდა. დათვმან უთხრა: ძმაო, შენის ცულით დაკოდილი თავი გამიმთელდა და შენის ცოლის ენით დაკოდილი გული არაო.

- ეჰა, მეფეო, ენით მოკვდება კაცი, სხვით არა. უდღეოდ ენით მკვდარი ენამ ვეღარ აღადგინოს და აღარც ენით წყლულს ელხინოს. არაკად თქმულა: შენს იქით კაცის ისარის კვრა ბუხუას ცემას დაადარეო! ჩემი ვის რა სტკივა, თუ რა იყო?

უბრძანა მეფემან: შეცდენით ერთი საქმე იქმნა, ნუღარ გახსოვსო!

თქვა მეფემ არაკი:
მეფე და ავსიტყვა კაცი

მეფე ვინმე იყო და ჰყვა კაცი ერთი ავსიტყვა, რომე მისის პირით კარგი სიტყვა არ აღმოვიდის.

მეფე ხუთის წლის სავალს ლაშქრად მივიდოდა და ავსიტყვას უთხრა: ერთი კარგი სიტყვა სთქვი და მუნით მოვალ, კაბას მოგცემო!

ავსიტყვამ უთხრა: რომ ვეღარ მოხვიდე, ვინღა მომცემს და კარგი სიტყვაც დავკარგოო?

წავიდა მეფე. ორი წელი გამოხდა. ავსიტყვამ მეფის უნახაობა ვეღარ გასძლო და წავიდა მათად ნახვად.

რა მივიდა, მეფემ უწინარეს ნახა და ვაზირს უბრძანა: აჰა, ყიამყრალი მოვა და ნურას ამბავს ჰკითხავთ, ავს იტყვის. შენ ჩემი გოშიის ამბავი ჰკითხეო!

მოვიდა და მეფის წინ მიწას აკოცა.

ვაზირმან ჰკითხა: კაცთმაწყინარო, მეფის გოშია რასა იქმსო?

მან უთხრა: მოკვდაო.

ვაზირმან ჰკითხა: რა სჭირდაო?

მან უთხრა: მეფის თეთრი აქლემი მოკვდა, მისი მძორი ჭამა და მით მოკვდაო.

- აქლემი რამ მოკლაო?

მან უთხრა: მეფის დედა ამ სოფლით გარდაიცვალა და იგი ავკიდეთ საფლავამდის და მან მოკლაო.

მეფეს გულთა ცეცხლი მოედვა და ჰკითხა: იგი რამ მოკლაო, რა დაესენაო?

მან მოახსენა ტირილით: პირმზე დედოფალმან საწუთრო დასცალაო და მისმა ნაღველმან მოკლაო.

მეფემ წვერგლეჯით ჰკითხა: მას რა დაესენაო?

მან მოახსენა:

- თქვენი ძენი და ასულნი ყვავილმან გაწყვიტნა და სიმწარეს ვეღარ გაუძლო.

მეფემ ჰკითხა თავში ცემით: მაშ, შენობა აღარა დარჩებოდა რაო?

მოახსენა: მე რა იქ ვიყავ, თქვენს სასახლეში ბზესა ჰყრიდენო და აწ აღარა ვიციო.

თურე მისი სიტყვა ყველა ტყუვილი იყო და კაცთა საწყენად მოიგონის.

- აწე, ჩემო ლეონ, ამ გვარის კაცის სიტყვა ვერას იქმს, თუცა ბედმან არ უყოს კაცსა. არაკად თქმულა: ბედი მომეც და ნეხვთა დამფალო.

თქვა ლეონ არაკი:
ხალიფა და არაბი

ბაღდადის ხალიფამ ინადირა და ცხენის ჭენებაში დიდებულთა მოსცილდა. ერთი ოდენ ვაზირი იახლა. დია მოშივდა.

ნახა უდაბნოში ერთი შავი კარავი. მივიდეს, ნახეს. არაბი იყო. სამი თხა ჰყვანდა, სხვა არა ებადა რა. მუნ გარდახდენ და საჭმელი მოინდომეს. არაბმან ერთი თხა დაკლა, მოხარშა და მოიტანა, მოართვა. ხალიფამ ტვინის მეტი არა სჭამა რა.

არაბმან ვაზირს ჰკითხა: ხალიფამ რად არა სჭამა რაო?

ვაზირმან უთხრა: ჩვეულება აქვს, თუ არ ტვინსა, სხვას არასა ჭამსო.

აღდგა არაბი იგი, ორი თხაც დაკლა, ტვინი შემზადა და ხალიფას მოართვა.

მოახსენა ვაზირმან: ხედავს მაღალი ტახტი თქვენი მდაბალსა და უპოვარსა ამას არაბსა, რა ქმნა? მდიდარმან და უხვმან ვერ შეიძლოს ესრეთი ქმნა. თავმან შენმან,

მდიდარი რასაც დახარჯავს, ათასი სხვა დარჩეს, ამას მის მეტი არარა ჰყვანდა და ყოველივე დახოცა და შენ გიმზადაო.

ხალიფამ თავისი ხელთსაჭერი არგანი მისცა და უბრძანა: მოდი, შენ კარსა ვერავინ დაგიხშავს, მე მრავალს წყალობას გიზამო!

მას დღესა ხალიფა წავიდა. და მეორეს დღეს არაბმან კვერთხი აიღო და მივიდა. კარი შევლო, შევიდა, ხალიფა ლოცვად იდგა, ზურგი კარისაკენ ჰქონდა, არაბი ვერა ნახა.

იკითხა არაბმან: ხალიფა რასა იქმსო: ხან მიწას დაემხობა და ხან ზე ადგებაო?

მსახურთ უთხრეს: ილოცავსო.

მას არაბს თურე არც ღვთის სახელი ასმოდა, არამც თუ ლოცვა სცოდნოდა. ჰკითხა: რას ილოცავსო?

უთხრეს: ღმერთს საქონელსა სთხოვსო?

არაბმან ეგრე უთხრა: ეგ სხვასა სთხოვს, მე მაგას რაღა ვსთხოვოო? და წავიდა: ვისაც ეგ სთხოვს, მეც მასა ვსთხოვ, მომცემსო.

ხალიფამ მისი ვერც მოსვლა სცნა და ვერც წასვლა.

მივიდა არაბი თავის კარავში და მანცა ეგრე ქმნა იწყო, ვითა ხალიფასი ენახა. ამას იტყოდა: ვისაც ხალიფა საქონელსა სთხოვს მეც მომეც, გლახაკი ვარო!

გამოხდა მცირე დღენი. კარავი იგი აიღო და სხვაგან

აღმართა. რა კერის ადგილი გასჭრა, დიდი ორმო გამოჩნდა, ოქროთა და ვერცხლითა სავსე. ეგრევე თავს დაჰბურა. წავიდა არაბი, ჯოხი ხელთ ჰქონდა. შევიდა ხალიფასთან და თაყვანი სცა.

უბრძანა ხალიფამ: აქამდის რად არ მოხვედო?

მან ყოველივე ყოფილი მოახსენა: ვისცა შენ სთხოვდი, მეც იმას ვსთხოვეო და ერთი ორმო სავსე ოქრო და ვეცხლი მომცაო. აწ მწერალი მიბოძე, თქვენთვის წამოაღებინეო.

ბრძანა ხალიფამ წასვლა მწერლისა და აღწერა. შეჰხედა ვაზირმან და მოახსენა: ერთს გლახაკს არაბს სამიოდენ თხა ჰყვანდა და შენ დაგიკლა, ბოძება უბრძანე და არა გთხოვა. ღმერთს მაგისთვის მიუცია და მასაც შენ ართმევო?

- ჰე მეფეო, ეს არაკი ამისთვის მოგახსენე, ბედი ყოველსა კაცსა აქვს, თუცა პატრონი არა რისხავს; თუცა მოგეკალ, ჩემი სვე-ბედი ცუდად იყო.

უბრძანა მეფემან:

- ნაღველი შემომეჭიდა და მან მიყო. ნეტამც უნაღვლო ვიყო, ღმერთს ვევედრები.

თქვა ლეონ არაკი:
უნაღვლოთა მძებნელი

მეფე ვინმე იყო დიდებული, მოლხინე, უხვი და ყოველთა ურჩთა მისთა შემაძრწუნებელი. და ჰყვა ვაზირი ბრძენი და საუბარ-კეთილი ჰკითხა ვაზირსა:

- ურვანი შემაჭირვებენ დიდნი. მინებს ესრეთი კაცი, რითაც ღონისძიებით იყოს, მარგოს.

მან ვაზირმან მოახსენა:

- უნაღვლო და უზრუნველი კაცი არა არს პირსა ყოვლისა ქვეყანისასაო. შენ მეფე ხარ, ყოველნი სალხინონი ხელთა შენთა არიან, რაცა გინდეს უკუიყარეო!

ეწყინა მეფესა ესე საუბარი, უბრძანა: ვით არ არის შეუჭირვებელი კაციო?

მან მოახსენა: არა, მეფობამან შენმანო.

მეფემან აღარ ისმინა. დაუტევა მეფობა, შეიმოსა სხვა, შეჯდა ცხენსა ერთსა, მცირედი ოქრო წარიღო და წავიდა: არც მონა და არც შიკრიკი, არც დიდებული, არავინ

წაიყვანა.

მოვლო პირი ყოვლისა ქვეყანისა. მივიდა წალკოტსა ერთსა, დიდად შვენიერსა. მრავალი კარგი ინახებოდა, ზღუდე თეთრის მარმარილოსი ედგა. შევიდა, ნახა კორდი ზურმუხტისა მსგავსი, ზედან ყვავილნი სურნელნი, ბულბულთა ყეფა, იადონთა სტვენა, შაშვთა მღერა, მერცხალთა ჭიკჭიკი. ყურთა უამესი არა ისმოდა რა, არცა თვალთაგან სახილველი ინახებოდა. შუა თალარი შემკობილი იდგა. წყალნი და წყარონი ამონი დიოდეს.

ათნი კაცნი სხდეს, ზოგნი ჭაბუკნი, ზოგნი მხცოვანნი. წინა ტაბლა შემკობილი. დიდად იხარებდენ. ყვავილთა ფშვანი, ხილთა ფხვრანი, მფრინველთა ხმანი, ღვინოთა სმანი შეიწყობოდეს. მათში შეჭირვებისა ნიშანი არა იპოებოდა.

რა მივიდა მეფე, მოეგებნეს, დასვეს. სამი დღე ესეთი ლხინი აჩვენეს, უკეთესი არ ეგებოდა.

უთხრა მათ მეფემან: უნაღვლოთა კაცთა ვეძებდი და აჰა თქვენ გპოვეო.

მათ მოახსენეს: ჩვენ უნაღვლონი არა ვართ, ყოველთა მწუხარეთა უსაწყლესი გიპოვნივართო, ამად ღონე ამის მეტი არა გვაქვსო. ცუდად დაგიშვრია მაგ საქმეზედ თავი შენიო.

უამბეს მათ კაცთა მათი შეჭირვების ამბავი.

თქვა ერთმან:
მეფე არაბეთისა

მე მეფე ვიყავ არაბეთისა, დიდისა დიდებისა პატრონი.

გავილაშქრე და მზარეულთუხუცესმან მითხრა: ცხრაასი აქლემი მყავს, სამზარეულოს ვერ კმა ეყოფის საზიდრად, სხვაც გვიბოძეო. სხვას გარდა ეს დიდება მჭირდა.

მეორეს დღეს შევიბენით. მტერმა მძლო, ამიკლო, სპანი ჩემნი ამოსწყვიტნა და მე შემიპყრეს, მეფედ ვერ მიცნეს და საჯინიბოში დამაბეს. მოვიდა მეჯინიბე, მცირეს ქვაბში ხორცი მოხარშა და კარი გავლო. შემოიჭრა ერთი ძაღლი, ქვაბში ჭამა დაიწყო და მე შევსძახე გაგდებად. ქვაბისა ლამბი ყელს გარდაეცვა. ძაღლმან ქვაბი აიტაცა და წაიღო. მე დიდად გამეცინა. შემოვიდა მეჯინიბე და მკითხა მიზეზი სიცილისა. მე ეგრევ ვუთხარი: გუშინ ცხრაასმან აქლემმან ვერა ზიდა ჩემი სამზარეულო და დღეს ერთს ძაღლსა ესუბუქა და მისთვის ვიცინი-მეთქი.

რა ჩემი მეფობა სცნეს, გამიშვეს, შინ სირცხვილით ვეღარ მიველ, აქ ეს ბაღი ვპოვე. აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ

გასინჯე!

თქვა მეორემან:
ქობულეთის მეფის ძე

მე ქობულეთის მეფის ძე ვიყავ, ყოველის კეთილის მქონებელი.

მტერი მყვა უძლიერესი ჩემსა. ჭაბუკად მე ვჯობდი და დიდებითა იგი.

ცოლი მყვა ერთი. მისთანა მთიები ცას ვერ გაანათებდა; ყორნის ფრთე მისის წარბისაგან გრემა ქმნილიყო. მისის ღაწვის მეშურნეობითა მაისის ვარდი აღარ იშლებოდა. მისის პირის ფერის ბაძითა, ვეცხლსა ახალი ჩალხი მოევლო. მისის ტანადობის უსულობასა კვიპაროზი გაეკვირვებინა. მყვა და მიხაროდა.

მე ნადირობას ვიყავ. მოსულიყო იგი მტერი ჩემი, ძე მეფისა, წაეყვანა. ჩემმან ჭაბუკობამ ველარა მიშველა რა. აწ დავკარგე სამეფო ჩემი, სირცხვილისაგან აღარა ვნახე და აქ მოველ. აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯე!

თქვა მესამემან:
რომაელი კაცი

მე ვიყავ კაცი რომაელი, დიდებული ფრიად, მამულისა და ქალაქებისა პატრონი. არას დღეს არა მენაღვლებოდა რა ნადირობისა და ნადიმობისა, სმისა და ჭამისა, შემოსისა და გაცემისა კიდე.

ოდეს ქორწილს ვაპირობდი, შეველ აბანოსა. განწმენდასა ჩემსა თანა, შემიცთა ხელი, საპარსვლითა ასონი წარვიკვეთენ. სირცხვილისაგან შინ აღარ მივიქეც, მოველ

აქა. აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯე!

თქვა მეოთხემან:
გრანდუკას შვილი

მე თუ დამიჯერებ, შინ შეიქეც, შენი საქმე იურვე, თვარე ჩვენ უარესნი ჭირნი გვჭირან, რომე კაცთაგან არ ითქმის და ვერც ჩვენი ენა იტყვისო.

აფიცა მეფემან და მასცა ათქმევინა.

და თქვა: მე შვილი ვიყავ დიდებულისა გრანდუკისა. ესრეთ ვუყვარდი მამასა ჩემსა, სულსა თვისსა ჭირსა ჩემსა ანაცვალებდა. და მომგვარა ცოლი, ქალი დიდებულისა კაცისა, შვენიერი, რომელსა გაბადრული მთვარე ვერ ესწორებოდა. დიდად მიყვარდა.

დღესა ერთსა მათდა უცნაურად შეველ. ვნახე, მონა ჩემი, მასთან მჯდომი, ემღეროდა. რა მნახეს, ივლტოდენ ჩემგან. ვუხმე მონასა მას, ქალი იგი ხელთა მივეც და ქალს ეგრე ვუთხარ: არა ღირს იყავ დიდებასა და ნუმცა გაქვს-მეთქი. მე სირცხვილეულმან მამა ვითღა ვნახე. მოველ აქა და აწ თუ უნაღვლო ვიყო. შენ გასინჯე!

თქვა მეხუთემან:
კეისრის სპასპეტი

მე სპასპეტი კეისრისა ვიყავ. ლაშქარს გამგზავნა მეფემან. შევიბენით. ჩემს ჯარს დამარცხებოდა. მე მარტო გამოვიქეც. მოველ. მეფემან განრისხებულმან სასიკვდილოდ მიმცა. წავუველ კაცთა მათ. რბენაში ცხენი დამივარდა. უცხენო მაშვრალი შინ მიველ. ცოლი დუხჭირი, ყბედი და ავენა მყვა. მან ბევრი მაგინა, აღარც მუნ დავდეგ, აქ მოველ, და აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ

გასინჯე!

თქვა მეექვსემან:
ქვის მთლელი

მე ქვის მთლელი ვიყავ და ყოველთა დღეთა თითოს ასპანურს მომცემდენ ხელფასად. მით სასმელ-საჭმელს ვიყიდდი და მის ქალაქის გლახაკთ ვაწვევდი, მეცა ვჭამი და მათცა ვაჭამი და ნამუსრევი ძაღლთა ვაჭამი. ხვალისად არა შევინახი რა. ეგრევე დღე ყოველ ვიყავი.

მოვიდა ერთი ღვთის კაცი, მეწვია, ჩემი ცხოვრება და მუშაკობა ნახა, ევედრა ღმერთსა: ერთი შენი მონა რად გლახაკად გყავსო, ესეც განამდიდრეო!

ანგელოზმან რქვა მას კაცსა:

- ჩვენ მაგ კაცის ბუნება ვიცით. სიმდიდრე თუცა მივეცით, ვერ თავს იდებს.

იგი ღვთისა კაცი თავდები თურე შეიქმნა. მე არცერთი ვიცოდი ჩემისა სიმდიდრისათვის და კეთილმოქმედებისათვის.

დღესა ერთსა კლდესა ვკვეთდი. ხვრელი გამოჩნდა. გამოვკვეთე. ვნახე განძი აუარებელი, ოქრო ფრიადი. იდუმალ გავზიდე. სხვას ქვეყანას წაველ. ესრეთ დიდი კაცი შევიქმენ, რომე მის თემის მეფის თავი-ვაზირობა მომცეს. ასი კაცი ოქროს არგანოსანი კარსა ზედა მიდგა. აღარც გლახაკი მომაგონდა და აღარც ღმერთი. ესრეთ სიხარბეს გავყევ. უთხრა ანგელოზმან თავსმდებსა ჩემსა. გამოგზავნა ჩემთან. მოვიდა კართა ზედა ჩემთა. ენება ხილვა ჩემი და შეგონება. ვინ მოუშვებდა მას ჩემთანა? დიდად გვემეს და განაძეს. რქვა ანგელოზმან

თავსმდებსა ჩემსა:

- რას იტყვი შენის თავსმდებობისასა?

უთხრა მან: რა ვყო, ჩემი ბრალია და, რაც გენებოს, მიყავითო!

ანგელოზმან ეგრე უთხრა: თუცა შენ არ გეწყინება, თავისავ წერაქვს ვაძებნინებთო; კაცი იგი უარესსა იქმსო. თურე ყოველი კაცი სიმდიდრეს და პატივს ვერ შეიფერებს, ისევ სიგლახაკე უჯობსო.

აღარც იმას დავსჯერდი. ვინებე მეფის მოკვლა და ჩემი გამეფება. შეიტყო მეფემან. სხვა ყოველი კაცი ჩემი დახოცა. მე გარდმოვეხვეწე. ჩემი წერაქვის დაჯერებას ვეცადე. შიშით ვეღარც მუნ დავდეგ, აქ მოველ. აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯე!

თქვა მეშვიდემან:
დიდვაჭარი სპარსი

მე ვიყავ დიდვაჭარი სპარსი. ესეთი ცოლი მყვა, ცისკარსა მისი სიბრწყინვალე არა ჰქონდა: თმანი საგდებელს უგვანდა, ტანი ლერწამსა. ესრეთსა სახლსა შინა მიჯდა, მისსა საკადრისსა.

მისი ქება თურე ესმა ედესის მეფის ძესა. მოეკაზმა დიდვაჭრად, მოვიდა ჩემთანა, მეტყოდა:

- შენი ძმაფიცი ვიყო, სავაჭროსა ჩემსა სარგებელი მიჩვენე, კარგად გამიყიდე და ეგრე მადლიერი გამიტევე.

მე მართალი მეგონა. დიდითა პატივითა ვინახევდი. ახლო სახლში დავაყენე. მოძებნა ბებერი გრძნეული, დაუწყო

გზავნა სახლსა ჩემსა. დიაცის გული ლბილია, მოამდოვრა. მეფობა ირჩია, ვაჭრისა პირი აიღო.

მისის სადგომიდამ ჩემის სადგომის ძირი გამოუხვრიტა. გამოართვა საყური, მომიტანა. მე მითხრა: ახლა ვიყიდე და ვით ღირსო?

მე მაშინვე ვიცან და ჯერედ არ ვიჩემე. ვუთხარ: კარგად გიყიდია-მეთქი.

შინ წაველ საყურის სანახავად. ვირემდის გზას მოვლიდი, მან საყური ხვრელითავე მისცა. მიველ, საყური ვსთხოვე. მომიტანა და გამიკვირდა. ვუთხარ ქალსა მას საყურის ნახვა. მას თურე გულში ეშმაკის ბადე ედვა, ეგრე მითხრა: სამკაული სამკაულს ემსგავსების და კაცი კაცსაო.

მეორეს დღეს ყელსაბამი მომიტანა, იგიცა ვცან, ეგრევე

მოველ და შინა ვნახე. დიაცმან იგივე სიტყვა მითხრა, და მე მეგონა სხვის სყიდვა და მსგავსება. სხვასა და სხვასა ეგრევე ჩემსა მიჩვენებდა და ვერა ვსცან.

დღესა ერთსა მითხრა: ქალი ვიყიდე და მინდა ცოლად ვიყოლიო. მოდი, ნახე, თუცა მოგეწონება, შევირთავო.

მიველ, ვნახე, თავზარი დამეცა. გულსა ვთქვი: სხვისა მსგავსება მიჩვენა-მეთქი. თუ ვთქვა, არამც ესეც გვანდეს და შინ დამხვდეს, შემრცხვება-მეთქი.

მოვუწონე და შინ წაველ. სანამდის მივიდოდი, იგი ქალი ხვრელსა გამოძვრა. თურე ხვრელისა პირსა საგებელი ეწყო, რა ვიცოდი გზისა მისისა? შეველ, შინ დამხვდა. გამიკვირდა და ვუთხარ მსგავსება მისი. მიწყინა და ეგრე მითხრა: ჩემი მსგავსი ცისკარი არ არის, შენ ბოზს დიაცზე თვალი გაგირყვნია და მე მადარებო.

გამოველ და დამეთხოვა კაცი იგი და მითხრა: მაყარი შენვე იყავ და წამომყევო!

ავეკაზმე. შინ, სახლსა ჩემსა, სახარჯო დავუგდე. ქალი გამოიყვანა. მაყრად გამიტანა. წავედით. სანამდის არ მოვბრუნღი, შინ არ მოველ, ვერა ვსცან. მოველ: რაღა მეშველებოდა. იქ რაღას პირით დავმდგარიყავ? მოველ აქა. აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯე!

თქვა მერვემან:
ვლახეთის მეფის ძე

მე ვიყავ ძე მეფისა ვლახეთისა. ვითა მეფეთა წესია, ეგრე მზრდიდენ.

ითხოვა მამამან ჩემმან ჩემთვის ცოლად ქალი

დიდებულისა კაცისა და თხოვნასავე თანა მოკვდა.

მეორე ითხოვა და, რა ნიშანი დასდვეს, იგიცა მოკვდა.

მესამე ითხოვა ასული მეფეთა. რა მაწვიეს წვეულებასა ჩემსა, იგიცა მოკვდა.

მეოთხე ითხოვა და მეფისა, მოიყვანა. შვენებით კრონოსსა ჰგვანდა და ღაწვნი მისნი გათლილსა იაგუნდს სჯობდა, თვალნი შავარდენს უგვანდეს. ქორწილი მიყვეს, იგიცა მოკვდა.

მეხუთე უმჯობესი მისი მომგვარა. დაორსულდა, ყრმა ჰშვა. იგი და ყრმა ორნივე დაიხოცნენ. მამამან ჩემმან ეგრე მითხრა:

- შვილო. რა ვყო, სამეფოდ მინდოდი, მაგრამ ბედი

უკუღმა დაგგრეხია და დაცარვა ვის ძალუცს, სვესა შენსა ვინ განმარტებს? წარვედ ჩემგან!

წამოველ და მოველ აქა. აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯე!

თქვა მეცხრემან:
ბუღდანელი დიდებული

მე ვიყავ დიდებული ბუღდანით. ცხრა ძე მყვანდა და დიდებისა ჩემისა რიცხვი არ ეგებოდა. ერთი ციხე მედგა შეუვალი. ღვთის გარდა არას კაცს არ ვეპუებოდი. ვისგან მეგონებოდა შეძვრა ჩემი? რვანი ჩემნი ძენი მორჩილნი იყვნეს, ერთი დია ურჩი და ავი იყო.

შემომიდგა სნეულება. ცოლი, ასული და რვანი ძენი მორჩილნი დამიხოცნა და იგი ურჩი და წყეული ძე

დამრჩა. შვილი იყო, არ მოიკვლოდა ჩემგან. სალარო ჩემი მისცა სხვათა, მოიმხრო და გამომაძო. მუნ ველარ დავდეგ. მოველ აქა. აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯე!

თქვა მეათემან ავპირად:

- თუ მეფე ხარ, რასათვის დაგიტევებია მეფობა და ცუდად რბი? თუცა სირცხვილი იცი, რად არ იმყოფინებ ესოდენსა აუგსა და აუგიანსა სიტყვასა? რა სამეფო სასმენელნი არიან?! წარვედ, მე არას გეტყვი ამბავსა ჩემსა, ვირემ ცოცხალ ვარ და ვერცა ვინ მათქმევინოს. გიჯობს, სამეფო შენი განაგო!

ერთმან უთხრა: მეფობას იჩემებ და რად დაგიტევებია სამეფოო?

მეფემ უთხრა: უნაღვლოს კაცს ვეძებო.

მეორემან უთხრა:

- თუცა მეფე ხარ, რად ესრეთ უმეცარ ხარ, უნაღვლო კაცი დედისაგან არ იშობების!

მეფემ უბრძანა:

- ვაზირმან ჩემმან ბევრი მითხრა და არ ვუსმინე.

მესამემან უთხრა:

- თუცა ყმანი ჭკუათ მყოფნი გვყვანან, იგინი ამეფე და შენ მათ დაემონე!

მეოთხემან უთხრა:

- მით გივლია კეთილსა და სამეფოსა საქმესა ზედა, ვაზირთა არა უსმენდი!

მეხუთემან უთხრა:

- რადგან ეგრე უბადოს საქმესა მავალ იყავ, მამამან შენმან რად შიკრიკად არ დაგადგინა?

მეექვსემან უთხრა:

- გლახაკი თუცა იყო, სლვასა და ცუდსა ტარებასა იკადრებ.

მეშვიდემან თქვა:

- თუცა მეფე იყო, კაციმცა გაეგზავნა პოვნად და თვითმცა დამყარებით ყოფილიყო.

მერვემან თქვა:

- რას აბრალებთ, ანუ რას შეაწუხებთ? უსაქმოდ ყოფილა და წამოსულა. არაკად თქმულა: ცუდად ჯდომას ცუდად შრომა უმჯობეაო.

მეცხრემან თქვა:

- ამისთანა მასპინძელიმც თქვენ დაგიხვდებათ, როგორც თქვენ ამას დახვდით! მეფე გეწვიათ და თქვენ გაკიცხეთ.

მეათემან თქვა: თრევასაც ვემართლებოდით და კიცხვასა აჯერებთო?

წამოვიდა მეფე მუნით და მოვიდა სამეფოსა თვისსა. ვაზირსა თვისსა დიდი პატივი მიჰმადლა და ყოველივე

ყოფილი უთხრა.

მოახსენა ლეონ მეფესა:

- მეფეო, უნაღვლო ხომ არავინ არის! შენ რამდენჯერ ნაღველი მოგერიოს, კაცი არ გაიკითხო, ვით იქმნების, ანუ მერმე რას იტყვის.

მეფეთაგან სამნი უყვარან ღმერთსა: სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელობა.

მეფეთაგან სამს დაიმადლებს უფალი: სამართალსა უქრთამოსა, მოწყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა.

მეფეთაგან სამს ინატრიან ქვეყანანი: ზავთსა მართებულსა, სიმართლესა უზაკველსა და სიუხვესა

მოუკლებელსა.

მეფეთაგან სამს იქენებენ დიდებულნი: სიტკბოსა წესიერსა, ნადიმსა ამოსა და ჭირში - ჭირსა და ლხინში - ლხინსა.

მეფეთაგან სამს ნდომობენ მხედარნი: ცხენსა მალსა, საჭურველსა მაგარსა და დანახვასა ნამსახურისასა.

მეფეთაგან სამს იღვწიან გლახაკნი: კარსა ღიასა, თხოვისა ბოძებასა და სიხარულით წარვლენასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ მონანი: სავსესა ტაბლასა, ჯამაგირთა მოუკლებლობასა და მალე შეუბეზღებლობასა.

მეფეთაგან სამს ინდომებენ ვაზირნი: ყურის მიპყრობასა,

სიტყვის გაგონებასა და რჩევის დაჯერებასა.

მეფეთაგან სამს ინებებენ მოჩივარნი: საჩივრის სმენასა, აუჩქარებლობასა და დაუფერებლობასა.

მეფეთაგან სამს ინატრებენ ვაჭარნი: თვალთა და ლალთა ცნობასა, ღირებულის მიცემასა და უფასურად ვაჭრობასა.

მეფეთაგან სამს ევედრებიან მოგზაურნი: მეკობრეთაგან მორჩენასა, ზვერის წესად აღებასა, ფუნდუკთა უშუღართა დგომასა.

მეფეთაგან სამს იხვეწებიან შესმენილნი: მობეზღრისა წაყენებასა, ურისხველად ბრძანებასა და მართლებასა თავისასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ პატიმარნი: შეცოდებისა

შენდობასა, რისხვის წყალობად შეცვლასა და ხილვასა პირისა მისისასა.

ესე არს წესი მეფეთა, ესე არს საბოძვარი თემთა, ესე არს გოდოლი სპათა, ესე არს ზღუდე ქალაქთა! რომელმან ჰყოს, იგი და ქვეყანა მისი დაემყაროს. რქვა რუქამ საჭურისმან ლეონს:

- თუცა ეგოდენი კეთილი იცოდი და სამეფონი ქცევანი, გვემასა და შიმშილსა ეგ უმჯობე არ იყო, ჯუმბერისათვის გესწავებინა?

თქვა ლეონ არაკი:
ქოსა და ყადი

ერთი ქოსა იყო ერთსა სოფელსა შინა დიაღ გლახაკი და ერთი უსხი ჰყვა მსუქანი. უთხრა ცოლსა: უსხსა ამას

გავყიდი, ეგების შენთვის და ჩემთვის სამოსელი ვიყიდოო.

წაიყვანა უსხი ქალაქად. სხვა ქოსა შემოეყარა, ევაჭრა და სამი მარჩილი აძლივა. ამან ოთხად დაუფასა. ვერ შერიგდენ.

წავიდა იგი მოქალაქე ქოსა, ბაზრები დაირბინა, ყოველსა ყასაბს უთხრა: ერთს ქოსას უსხი ჭამებული მოჰყავს გასასყიდად და ყველამ უთხარით: თხა არის და თხის ფასად ვიყიდითო.

მივიდა, ყადიც გაანდო და ტყავი ყადს უქადა.

რა ეს ზროხის პატრონი ქოსა მომავალი ნახეს, ყოველმან ყასაბმან ნახევარი მარჩილი აძლივეს: ეგ თხა მომყიდეო!

იწყინა ქოსამ და უთხრა: აქლემის ოდენს უსხსა თხის ფასად ვაჭროობთო?

მათ თქვეს: თხა არისო.

შეცილებაზე წავიდენ ყადთან კითხვად. ყადმაც თხობა ბრძანა. მასცა საქალამნე რგებოდა და ქოსას ვინღა რას აუბნებდა?

ნახევარი მარჩილი მისცეს და ქოსას უსხი წაართვეს, დაკლეს. გულმტკივნეულმან ქოსამ თქვა: არაკად თქმულა: თხის პატრონს აღარც თხის კუდიო? მაგისი კუდი აგრემც მომეცითო!

კუდი გამოართვა და წავიდა.

გამოხდა ცოტა ხანი, ყადს ცოლი მოუკვდა. ესმა ქოსას.

გამოართვა ცოლს ლეჩაქი და ტანთ საცვამი, დედობრივ მოეკაზმა და ზროხის კუდი შიგნით შემოირტყა და მოვიდა ყადის კარზე.

გამოვიდა ყადი, დიაცი ნახა, მოჩივარი ეგონა, მან ეგრე მოახსენა: მე მოჩივარი არა ვარ, ქვრივი და უპატრონო დავრჩი, და ვინც შემინახავს, ვემსახურებიო.

ყადს დიდად იამა, დედაკაცი აღარ ჰყვანდა. შეიყვანა, მონათ უთხრა: ამაღამ წადით, თავთავისად მოისვენეთო!

მასთან დაწოლა ენება.

დიაცმან რა თავი დაიხელთა, ყადს აგრე უთხრა: თუცა სრულად არ გაშიშვლდები, ჩემთან ვერ დაგაწვენ, ეგრე ჩვეულ ვარო.

მოტყუვდა ყადი, გაშიშვლდა. მან ზროხის კუდი მოიხსნა, უთხრა ყადს: ეს რის კუდი არისო?

ყადმან უთხრა: ზროხისა არისო.

ქოსამ უთხრა: მაშ, თხად რად გამასყიდვინეო?

დასცა ქვე ყადი, ეგოდენი სცა კუდითა, მკვდარსა დაამსგავსა. მსახურნი შორს იყვნენ და მეშველი დაუძვირდა.

ქოსამ კარი გამოიარა და წავიდა.

მსახურთ იდროეს, გათენდა და მოვიდნენ. ყადი არ გამოვიდა. შევიდენ, ნახეს, ყადი გასივებული იდვა, დიაცი აღარ ახლდა. ყადი ძლივ სულობას მოაბრუნეს, ყოველი ყოფილი შეიტყეს.

რა მოკეთდა, აბანოში შესვლა მოინება და ზეთებით სამკურნალოდ ნაცემთა დაზელა.

შეიტყო ქოსამ, მეაბანოვესთან მივიდა და უთხრა: დიაღ, ხელმარჯვე დალაქი ვარ და აქ მიმსახურეო.

იამა მეაბანოვეს და ეგრე უთხრა: თურე ბედნიერი ხარ, დღეს ყადიც აქ მობრძანდებაო.

არდაგს შიგნით ზროხის კუდი შემოირტყა, მუნ დადგა.

ყადი მივიდა, დია კარგად სამსახური დაუწყო. იამა ყადსა და დაზელა უბრძანა. დალაქმან ქოსამ მსახურთ ეგრე უთხრა: რა ზელას დავუწყებ, ტანმტკივანია, კვნესას და ზახილს იწყებს და ნურავინ შემოხვალთ. თუ უნებს რამე, მე გამოვალ და გეტყვიო.

მონანი გაიტყუა, წაკეტა კარი და ქოსამ კუდი გამოიძრო, ყადს ჰკითხა: რისა არისო?

ეხვეწებოდა ყადი და ეფიცებოდა მრავლის მიცემასა, მაგრამ ქოსა არ მოეშვა: ამდენი სცა, სიკვდილზე მიაყენა.

გამოვიდა, მონათ უთხრა: სძინავს, ნუ შეხვალთ, ძილი არ გაუკრთოთ! მე კიდევ წამლის მოსატანად მივალო.

ჩაიცვა ტანსა და წავიდა ქოსა.

რა მონანი შევიდნენ, ნახეს ყადი ავად დანაყილი და გასივებული დაზელის ნაცვლად. აიღეს, ხირაულით შინ წაიღეს და მუნ დააწვინეს. რა სულობას მოვიდა თქვა: მე ამ ქოსას აქ ვეღარ დავუდგები, ფათერაკს კიდევ გამაბამსო, აქლემები იქირავეთ, ქაბას წავალო.

რა აქლემების თხოვნა დაიწყეს, ქოსამ მეაქლემეს ფასი მისცა სამის დღისა და აქლემები ყადის კარს ჩაატარა. იკითხეს აქლემები და მან უთხრა: ვინც იმიზდებს, კაცს ვეძებო.

იამათ, ყადს მოახსენეს, იმიზდეს. ყადი კუბოში ჩასვეს, აქლემს აჰკიდეს. ყადი ჩაჯდა და წავიდა. რაც ქონება ჰქონდა, იგიც ყველა თან წაიღო.

მეაქლემე ქოსა გზა-გზა კარგს ზღაპარს ეტყოდა და ყადს იამებოდა. მონათ უბრძანა ყადმან: წინ წადით, სოფლად სადგომი, ქერი, ბზე და ნუზლი მოამზადეთ და მე და მეაქლემე ნელიად წამოვალთო!

რა იგინი გაშორდენ, ქოსა ზღაპრად მას მოჰყვა, რაც მას და ყადს გარდახდომოდათ. ყადმან უთხრა: ეგ ბევრჯერ

მასმია, სხვა მიამბეო

ქოსამ თქვა: მე ეს მწვავს გულსა, ამას ვიტყვიო, სხვა რას ჰქვიანო.

ჩამოაგდო აქლემიდან, ამდენი სცა ზროხის კუდით, რომ სული ამოხადა.

გამობრუნდა, აქლემები პატრონს მოუსხა და ქონება თავისთვის წაიღო.

ცოლმან ჰკითხა: ვინ მოგცაო?

და ქოსამ უთხრა: ჩემი უსხის ფასიაო.

ცოლმან უთხრა: ვეჭობ, შენის უსხის ფასი კი აგიღია ათას წილადო.

- ვიცი, მეფეო, ეგ შენი რუქა იმის მსგავსს მიპირებს და ბარემ აწვე მომარჩინე და გარდამხვეწეო.

ბრძანა მეფემან არაკი:
ძალა ერთობისა

მეფე ვინმე იყო დიდებული. ოცდაათი ვაჟი ჰყვა. რა მოიწია დრო სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძეთა თვისთა, მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრა ერთად და მოზიდა, რათა გატეხოს და ვერ გატეხა. მერმე თითო-თითო მოზიდა და ყოველივე დალეწა. უთხრა შვილთა თვისთა:

- თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგეხართ, მტერი ეგრე ვერ გაგტეხსთ, ვითა მე წელან შეკრული ისარი ვერ გავტეხე; თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-

თითოდ დაგლეწოსთ მტერმან. თავიცა მოსთხაროთ და მოყვარეცა.

- აწე, თქვენი საქმე მას ჰგავს. თქვენი სიტყვა თუცა ერთი იყოს, დაემყაროს მეფობა ჩემი. და რადგან მტერნი ხართ, ჩემს საქმეს წაუხდენელს არ გაუშვებთ.

ვაზირთ წესია, რამდენიც იყვნენ, პირი ერთი ჰქონდესთ. ერთის ჭკუა და რჩევა უამხანაგოდ სწორედ არ წავა, არ იქმნების, რაგინდ ბრძენი იყოს, ერთიც არის საქმე არ დაიცდინოს და ერთის საქმის დაცდენითა ბევრი წახდება. ამისთვის ორისა და სამის კაცის რჩევა სჯობს.

ვაზირნი ერთმანერთის მოყვარულნი ხამს.

ვაზიროობა სიქიშპითა და კაცის მტერობით არ კარგა იქმნება.

თუ ვაზირი ბატონის ერთგულია, მტერი უნდა დაიმოყვროს, თავისი აუგიც აპატიოს, გული გაიერთონ და დაემტკიცოს მეფობა პატრონისა მათისა.

ვაზირი ხვაშიადის შემნახავი ხამს. თუცა ერთმანერთში შუღლი მოხდა, ხვაშიადი გამჟღავნდების და მათგან ერთმანერთის მტერობით გაიცემა, სიტყვას და ბრალობას დაუწყებენ: მან თქვა, არა მას უთქვამსო.

ვაზირი, პატრონისა და ქვეყნის სამჯობინაროს მდომი უნდა იყოს. რა მეფე ერთს წყალობას უზამს, მეორე მისი ქიშპი გაორგულდების.

ვაზირი ღვთის მავედრებელი და ჭკუის და სიბრძნის მჩხრეკელი ხამს და, რა კაცმა თავისი მტერი დაინახოს, გული აუდუღდეს და ჭკუა და მცნება დაეფანტოს.

ვაზირთ სიტყვა უნდა შეამოწმონ და, რომელი ამჯობინონ, იგი დაასკვნან. მტერნი ხომ არას ღონით სიტყვას არ შეამოწმებენ და, თუ შეამოწმებენ, კიდეც დამოყვრდებიან!

ვაზირთა მეფისა და ქვეყანისა დაყენებაც შეუძლიათ და წახდენაცა.

ლეონ მოახსენა:

- მართალს მიბრძანებს მეფობა თქვენი, მაგრამ მე მაგ ყვერულმან დამანანა შენი ხლება.

თქვა ლეონ არაკი:
ნალბანდი მგელი

ერთი მგელი მოუხდა ვირსა, შეჭმას ლამოდა. ვირმა უთხრა: ვიცი, შემჭამ, ეს ანდერძი ამისრულე: ქაჩაჩში ლურსმნის ნატეხი დამრჩა და იგი ამოიღეო!

მგელმან პირი მიჰყო, უნდა ამოეღო. ვირმა წიხლი ჰკრა, კბილები ჩაამტვრია მგელსა. ვირი ვეღარ შეჭამა.

მგელმან თქვა: მამაჩემი ხარაზი იყო, მე ნალბანდობას რა მრჯიდაო?

თქვა რუქამ არაკი:
ქურდის მემკვიდრე

თავრიზის ქვეყანას იყო ერთი ქურდი. რომ სხვა ვეღარა დაეხელებინა რა, მკვდარს მოსთხრიდის, სუდარს გაჰხდიდის, შეღებავდის და გაყიდდის.

შეწუხდა თემი იგი კაცისა მისგან. ნატრობდის სიკვდილსა მისსა.

მოკვდა კაცი იგი და დარჩა შვილი, ერთი ვაჟი. ესრეთი ქურდობა დაიწყო, რომ არა ეგებოდა: მკვდარი მოსთხარის, სუდარი გახადის და მკვდარი ანძაზე ჩამოაცვის.

მის ქვეყნისა კაცთა მამასა მისსა ლოცვა დაუწყეს: იგი სუდარს გაჰხდიდის, გაყიდის, მკვდარს ანძაზე მაინც არ ააგებდაო!

- თავმან მეფისამან შენისამან, მას კაცსავით შენ მამაშენს დაგვალოცვინებ და კიდეცა სჯობხარ სიავითა.

თქვა ლეონ არაკი:
მაოხრებელი მკვდარი

კლარჯეთის თემსა, სოფელსა ერთსა იყო ერთი გზირი, ანჩხლი და მტერი სოფლისა მის. შეაწუხა იგი სოფელი და სრულიად ააოხრა. მოიგონის მიზეზი, უთხრის თათართა და მრავალი ვეცხლი წაართმევინის.

მოვიდა დღე გზირის სიკვდილისა. მოიხმო სოფლის კაცნი და ეგრე უთხრა:

- მე თქვენთვის ბევრი შემიცოდებია, და რათგან ცოცხალს ვერა მაწყინეთ რა, გაფიცებთ ღმერთსა, რა მოვკვდე, თოკი ყელს მომაბით, გამათრიეთ და ხეზედ ჩამომკიდეთ!

რა მოკვდა, სცთნენ კაცნი იგი და, რაც უთხრა, ყველა ჰყვეს.

ნახა ვინმე თათარმან გზირი ხეზედ კიდებული, წავიდა,

ყადს უთხრა: ჩვენი გზირი დაურჩვიათო.

გამოუსივეს კაცი სოფელსა მას. ათასი მარჩილი წაართვეს. დაუწყეს გინება გზირსა: ცოცხალმან მოგვთხარა და მკვდარმან აგვაოხრაო!

- მასავით შენ ცოცხალიც წახდენას მიპირობ და მკვდარი უარესს მიზამ. ვიცი, ვერ გარდაგირჩებიო.

რუქამ უთხრა:

- ლეონ, მე შენს სიკვდილს და გაგდებას არა ვდევ. მე მეფისა ჩემისა უმჯობესისა პოვნა მინდა და შენ თუ ამასთან იყოფვი, დიდი დასაკლისია.

თქვა რუქამ არაკი:
სადაფი და კირჩხიბი

ზღვასა შინა რა სადაფი ვალს, პირაშკმული არის. ოდეს კირჩხიბს ნახავს, პირს შეიკრავს. კირჩხიბი რა ახლოს მივა, პირთან ფერხს მიადგამს. რა პირს ცოტასაც არის გააღებს, ფერხს შეუყოფს, ნელ-ნელა შევა შიგ, რაც სიცოცხლე ძევს, შესჭამს.

- შენც ისე გნებავს, ჯერეთ სადაფის პირი ღია ვერ გიპოვნია, მით ეგრე სიტყვარბილობ.

თქვა ლეონ არაკი:
მეხილე და მწყემსი

ბაღდადის ქალაქსა წესი იყო, რა მეხილესთან კაცი მივიდის და ორი ფული მისცის, რაც ენების, ეგოდენი ხურმა შეჭამის. ერთი გარეთმყოფი მწყემსი მივიდა, განწესებული მისცა, დაჯდა და ნახევარ მარჩილისა

ხურმა შესჭამა. მეხილემ უთხრა: ძმაო, ბევრს ნუ სჭამ, გულს დაგწვავსო.

მწყემსმან უთხრა: შენ ნუ იურვი, ვისცა გული დაეწვის, მე ვიციო!

- აწ ჩემი აქ ყოფნა ვისიც ან ზიანია, ან სარგებელი, ან საწყენი და ან სასიამოვნო, მე კარგად ვიციო.

უბრძანა მეფემან ლეონს:

- ვიცი სიტყვაგრძელი და ლაპარაკტკბილი ხართ და შეექცევით სიამესა. ესოდენი ხანია, ძე ჩემი, არ ვიცი, ვითარის სწავლის პატრონია, მაჩვენეო!

მოახსენა ლეონ:

- მეფეო, კაცი უბოძე, მოიყვანე და მისგან კითხვით სცანო!

გაგზავნა ხელარგნოსანი, აწვია ძე თვისი ჯუმბერ და არა მოვიდა მით.

გაგზავნა დარბაზთუხუცესი და არა მოვიდა მით.

გაგზავნა მესტუმრეთუხუცესი და არც მით მოვიდა.

გაგზავნა ვაზირი და არც მით მოვიდა.

მერმე მოლარე გაგზავნა, დაჯდა სპილოსა ზედა და მოვიდა. ჩამოხდა სპილოდამ, სარტყელი შემოიხსნა, სპილოსა ზედა დააგდო და ცალის ხელით მიწა აიღო და ცალის ხელით ქვა და მამას მოართვა, თაყვანი სცა და ხელს აკოცა.

უბრძანა მეფემან შვილსა:

- სიცოცხლეო გულისა ჩემისაო და ნათელო თვალთა ჩემთაო, ხელარგნოსანი გაახელ, რად არ მოხველ?

ჯუმბერ მოახსენა:

- შეცოდება არა მქონდა.

რქვა მეფემან:

- დარბაზთუხუცესი გამოგიგზავნე, რად არ მოხველ?

ჯუმბერ მოახსენა:

- არა მონათაგანი ვიყავ, ჩემზე ხელი არა უცს.

რქვა მეფემან:

- მესტუმრეთუხუცესს რად არ მოჰყევ? ჩემი უდიდესი თავადი არის.

ჯუმბერ მოახსენა:

- მასპინძელი ვინღა იყო, თუცა მე მესტუმრეს შევდგომოდი?

რქვა მეფემან:

- ჩემს ვაზირს რად აღარ მოჰყევ?

ჯუმბერ მოახსენა:

- ნუთუ მეფობასა ვსცდილობდე?! ღმერთმან ნუ ჰყოს! ვაზირი მეფესთან ხამს.

რქვა მეფემან:

- მოლარეს რაღად მოჰყევ, უგვანსა მოხელესა და ცუდსა ჭაბუკსა? ჯუმბერ მოახსენა:

- სხვათა თანა ეგე უგვანია და არც მიივლინება, თვარამ ჩემთან მოლარის მოგზავნა ხამს: მე ვარ შენი საუნჯე, შენი განძი, შენი ლარი.

მოეწონა მეფესა სიტყვა ესე.

ჰკითხა ვაზირმან ჯუმბერს:

- რად შესჯეგ სპილოსა ზედა და მოხვედ მით?

ჯუმბერ უთხრა:

- დიდებისათვის, რომე მეფეთა გვარი და დიდი კაცი დიდსა რასამე ზედა უნდა ჯდეს.

უთხრა ვაზირმან:

- სარტყელი რად შემოიხსენ და სპილოსა ზედა მიაგდე?

ჯუმბერ თქვა:

- რაჟამს მეფე, ანუ დიდი ვინმე საჯდომით თვისით სიჩქარით აღდგეს, ესრეთ ხამს, თვისი ძლიერება თვისსავე საჯდომსა დაუტევოს და თვითან თავი იცნას, რომე იგი საჯდომი არს დადი ჰუბუტი, თვარამ უმისოდ ყოველივე გარე შემოეძარცვება. არაკად თქმულა: ლოდი

მაშინ მძიმეა, რა ადგილას იდვას, და რა ადგილით დაიძვრის, გასუბუქდესო.

რქვა მამამან:

- ქვა და მიწა რად მიძღვენ?

მოახსენა ძემან:

- მიწა ეს არის: რა გინდ დიდებული და ძლიერი მეფე იყო. სცან ესე: მიწა ხარ და მიწად მიიქცევი. ღვთის სათნო გიჯობს კაცთა სათნოსა. და ქვა ეს არის: რაც სალარო გაქვს, თუ არ იხმარებ, ქვა და ოქრო სწორია კაცთათვის.

თქვა ჯუმბერ არაკი:
ძუნწი და ოქრო

ერთმან კაცმან დიდძალი ოქრო მიწასა დაფლა. დღე ყოველ მივიდის და ადგილი იგი ნახის. შეამცნივა ერთმან სხვა კაცმან და თქვა: მივიდე, ადგილი იგი მოვთხარო, რომელსა კაცი იგი ხშირად ნახავს, და ვნახო: რა უცანო? მივიდა და ღამე მოთხარა ოქრო იგი, წაიღო, მის წილ ლოდი დამარხა.

მოუნდა კაცსა მას ნახვა ოქროსი. მოთხარა, ნახა: ოქროსა ნაცვლად ლოდი იდვა. დაიწყო ტირილი და ვაება. მივიდა კაცი იგი მომპარავი, ჰკითხა: რას სტირიო?

მან უთხრა: ოქრო დავფალ, დახარჯვა არ მენება, იგი მოუპარავთ და მის წილ ლოდი დაუფლავთო.

უთხრა მან კაცმან: ვაი შენ! რად სტირ? მაგ მიწაში თუნდა ოქრო იდვას, თუნდა ქვაო, თუცა არ დახარჯევდიო!

- მეფეო, სალაროცა ეგრეა, რაც უნდა იდვას, თუცა არ იხმარებ კეთილად, ანუ არ დახარჯავო!

მამამან უბრძანა:

- მაშა, შენ რომ იტყვი, სრულობით არ ვარგა ქონების შენახვა?

ჯუმბერ მოახსენა:

- არქონება არ ვარგა და ავად ქონება უარესია.

თქვა ჯუმბერ არაკი:
დიდვაჭარი და მისი ძე

იყო დიდვაჭარი და ჰყვა შვილი ერთი. რა კვდებოდა, შვილს მართებული ასწავლა. სამასი ლიტრა ტყვია ერთს

მონას მიაბარა და ამცნო შენახვა და შვილისა არა თქმა, ვირემ არ დაეჭიროსო.

მოკვდა კაცი იგი და შვილი მისი მემთვრალე იყო და ღვინის მსმელთა თანა ილხენდა. ყოველი მამის მონაგები სრულებით გარდააგო, რომე ცოლის სამკაულიც გაჰყიდა და დარჩა გლახაკი.

რა მისთა მსახურთ ნახეს, აღარა ჰქონდა რა, მისი სიყვარული გაცვითეს. მოაგონდა ტყვია და ჰკითხა მას მონას: რა უყავ, მამამან ჩემმან სამასი ლიტრა ტყვია რომ მოგაბარაო? იგი მომიტანეო!

წავიდა კაცი იგი და ტირილით მოვიდა. ეგრე უთხრა: მიწაშიგან დავფალ და თაგვს შეუჭამიაო!

მან ყრმამან არ დაუჯერა და მათ ღვინის მსმელთ

უმოწმეს: მართალი იქნებაო.

დია დაგლახაკდა და მოუნდა მას თავის ამხანაგებთან სმა და არარა აქვნდა მისულიყო და მიეტანა. წავიდა, ცოლსა ლეჩაქი მოჰხადა, გაყიდა. ერთი პური და ცოტა ყველი იყიდა, წაიღო და წავიდა.

მისნი ამხანაგნი წალკოტში ისხდნენ და სმიდენ. რა კართან მივიდა, შარდი მოუნდა. პური და ყველი დადვა, და თვით მიდგა. მივიდა ერთი ძაღლი. პური და ყველი შეუჭამა.

შევიდა ყრმა იგი ამხანაგთა თანა. მათ მისი დიდი ხარჯი და მასპინძლობა დავიწყებოდათ, აღარც მაგიერი უყვეს და დატუქსეს: უძღვნოდ რად მოხველო!

შერცხვა და ეგრე უთხრა: ყველი და პური მომქონდა და

ძაღლმან შემიჭამაო.

მონა იგი მისი მათ თანა სმიდა, გასცინა და ეგრე უთხრა: ტყუის, ძაღლი როგორ შეუჭამდაო.

აეტირა კაცსა მას და ეგრე უთხრა: ღმერთიმც გრისხავს! თუ სამასი ლიტრა ტყვია ერთმან თაგვმან შეჭამა, ერთ პურსა და ცოტას ყველს დიდი ქოფაკი როგორ ვერ მოერეოდა, რომ შეეჭამაო!

და ნამტირალევი გამოვიდა.

ადგა იგი მონა, მოეწია უკან და უთხრა:

- ვერა სცან ჭკუა შენიო! ეგოდენი ქონება რად გარდააგე? ვინ არის მადლიერი? ახლა ჩემი ისმინე და ნუღარ მემთვრალეობ. თავი იცან. მე იგი ტყვია ისევ მაქვს. ეს

დღე ვიცოდი და, თუ უწინა მომეცა, მასცა დაჰკარგევდი. აჰა, ახლა შენი ქონება ღმერთმან მოგახმაროს!

მერე კარგად იხმარა, ისევ დიდებული ვაჭარი შეიქმნა, რა აღებ-მიცემა შეიტყო.

- საქონელი ბევრი სჯობს, თუ კაცი კარგა იხმარებს, თვარა გლახაკი ავს მდიდარს სჯობს. ძველად თქმულა: ერთმან გლახაკმან თქვა: მეფეთა ვჯობვარო ამად, რომ მე რაც მაქვს, მეყოფის და კიდეც ვჯერვარო; და მათ ხმელეთი იშოვონ, არ იმყოფინებენ და არც გაძღებიანო!

ჰკითხა მეფემან:

- რადგან სიბრძნის სწავლას სჩემობ, რა უფრო საამოა კაცის და რა საწყენი და დასამძიმებელი?

მოახსენა ჯუმბერ არაკი:
მეფე და სამი მისი ძე

ერთი მეფე იყო დიდებული და სამი ძე ესვა. თქვა მეფემან:

- გამოვსცადო შვილნი ჩემნი, რომელსა აქვს სამეფო ჭკუა?

ჰკითხა სამთავე: რა უფრო კეკლუცია, რა უფრო მსუქანია და რა უფრო მალიაო?

უხუცესმან ძემან მოახსენა:

- ცოლი ჩემი კეკლუც არს, ცხენი ჩემი მსუქან და ქორი ჩემი მალ. მათი მჯობი არსად იპოვების.

მამამან უთხრა: მეფობამან ვერ გიხილოს შენაო!

საშუალმან თქვა ფერობა მამისა და მოახსენა: დედოფლის ულამაზესი, მეფის ცხენის უმსუქნესი და მეფის შევარდნის უმალესი არა იქნებისო.

მასცა უბრძანა მეფემან: სამეფო წილი არა გხვდესო!

ჰკითხა უმცროსსა, და თქვა:

გაზაფხულის უკეკლუცესი, შემოდგომისაგან უფრო უმსუქნესი და თვალთაგან უფრო უმალესი არა რა იქმნების პირსა ყოვლისა ქვეყანისასაო.

მოეწონა მამასა და სამეფოდ იგი შეინახა.

- ვიცი გამომცდი და, მე რომ კიდეც არ ვარგვიყო, ვინ გივის შვილი სხვა, ანუ ძმა იგი იყოს მკვიდრიო.

რქვა მეფემან:

- კეთილსა იტყვი სიტყვასა და მაშინც ხამს პოვნა მისიო.

მოახსენა ჯუმბერ

- ცოდვის უამესი ცოტა ხანს არა არის რა, და ბოლოს სამსალა არის და საწყენი, პირველ უხაროდეს და ბოლოს ინანდეს. მადლისაგან და კარგის საქმისაგან უფრო ძნელად შესამართავი არა არის რა და რა ხელთა აიღოს, ადვილად ქმნას, პირველ ზარობდეს და ბოლოს უხაროდეს, დიდად სიამე შეექმნას. ავსა და ცუდსა საქმესა ბოლო მოკლე და საწყენი აქვს და კარგსა და სამადლოსა - დაულევნელი საუკუნომდის.

თქვა ჯუმბერ არაკი:

ორნი ძმანი

ორნი ძმანი იყვნენ. უხუცესს ცოლ-შვილი ჰყვა და მრწემი უცოლო იყო. გაიყარნენ ძმობისაგან და ერთად ვეღარ დადგნენ. ყოველივე განიყვეს, რაც ჰქონდათ. რა პური გაიყვეს, ერთის ორმო კალოს აქათ იყო და მეორისა იქით.

უხუცესი მოიპარევდის თავის ორმოდამა პურსა და ძმისაში ჩაყრიდის და იტყოდის: მე ღმერთმან ცოლი და შვილი მიბოძა, მომგებელნი მყვანან. მას ძმას არარა ჰყავს. ესე მისი იყოს და მან ჭამოს.

და იგი უმრწემესი ძმა მოიპარევდის თავისის ორმოდამ და უხუცესისაში ჩაჰყრიდის: მე მარტო ვარ და ჩემი სარჩო, სადაც მივალ, ადვილ არს; იგი, ძმა წვრილშვილ არს და მას უფროსი უნდება და მისი იყოს.

ეგრე დაჰყვეს ყოველნი დღენი და ღმერთმან ორთავ განუმრავლა ყოველი და არა მოაკლდა საზრდო მათ.

- მადლისა და კეთილის საქმე ღვთისაგან განმრავლდებისო.

უბრძანა მეფემან: მალვით არ მოეპარათ და ორმოში არ ჩაეყარათ, ცხადად მიეცათ, ვინ დაუშლიდაო?

გაეცინა ჯუმბერსა და ეგრვ მოახსენა:

- კაცის გული ვიწროა და განაყოფი განაყოფის ქიშპი იქმნება და ცხადად სიკეთეს არ უზამს. მერე სამადლო საქმე მალვითა სჯობს და ღმერთიც უფროსად შეუწირავს: კაცმან შენზე სამსახური ქმნას, იკვეხდეს და ზვაობდეს - გეწყინება!

თქვა ჯუმბერ არაკი:
ორმოში ჩაგდებული მეფე

ორნი მეფენი შეიბნენ. ერთმან მეფემან მეორესა სძლო, შეიპყრა და ორმოში ჩააგდო.

გამოხდა ხანი. მოვიდა ერთი მეცნიერი კაცი და ენება აღმოყვანება და გაპარება მისი. ჩასძახა ორმოსა შიგან და უთხრა: კარგად არა ვიქმ, რომ გაგაპაროო?

მან მეფემან მადლი უბრძანა.

თოკით ამოზიდნა და ამოიყვანა.

კიდევ უთხრა: კარგად არა ვქმენ, რომ ამოგიყვანეო?

მეფემან კიდევ მადლი უბრძანა.

მესამედ კიდევ უთხრა: კარგადა ვქმენო?

ეწყინა მეფესა და დაიძახა: ვინა ხართ, ამ კაცმან გამაპარაო! მოვიდნენ მცველნი, შეიპყრნეს ორნივე.

ჰკითხეს მეფესა: რად გაამჟღავნე და რად არ გაიპარეო?

მან თქვა: ვირემ ამომიყვანდა, საყვედურით ამავსო, თუ შინ მიმეწია, კიდეც დამარჩობდა, აქავ ყოფნა ვირჩივეო.

- აწე კარგი საქმე ასე უნდა ქმნას, ან ღმერთმან დაუმადლოს, და ან კაცმან მოუწონოს.

უბრძანა მეფემან:

- მომწონან ეგრე შენი სიკეთე. რად იცი ესოდენი

მარტვილმანო?

მოახსენა ჯუმბერ:

- ყოველივე ღვთისაგან არს და მას გარდა სამის საქმით მჭირიან. პირველად: კარგის ნერგის ხილი ვარ, მეორედ: ხელოვანის მებაღის შეწვრთილი, მესამედ: ფრთხილის შემნახავის ბარებული.

უბრძანა მეფემან:

- ეგენი ვინ არიან?

შვილმან მოახსენა:

- ნერგი - თქვენა, რომელმან მშევით: მებაღე - სედრაქ ვაზირი, რომელმან აღმზარდა, და შემნახავი - ლეონ,

რომელი მასწავლის.

წარმოდგა რუქა და უთხრა ჯუმბერს:

- ორი ეგე მართალი სთქვი და მესამე იმტყუვნე.

ჰკითხა ჯუმბერ:

- რომელი?

უთხრა რუქამ:

- ნერგი და მებაღე - მართალია და კარგი: მბარებელი ავი და ტყუვილი.

უთხრა ჯუმბერ:

- თუცა მე სამში ერთი ტყუვილი ვთქვი, შენ სამში ორი მართალი გჭირს: მამაცობაში - დიაცურობა და დიაცობაში - ვერც მართლა დიაცურობა.

უთხრა რუქამ:

- ლეონს უწვრთნია ეგე შენთვის.

თქვა რუქამ არაკი:
აქლემი და ვირი

ერთი აქლემი და ერთი ვირი, დიაღ დაღლეტილნი, დაძმობილდენ და თავის პატრონს გაეპარნენ. წავიდნენ აგარათა ადგილთა. დიდად გასუქდენ მთასა მას ზედა. დაავიწყდათ სიმჭლე და ზურგის სიმპლე მათი.

ვირმან უთხრა აქლემს: ძმაო, სიმღერა მინდა ვთქვაო.

აქლემმან დაუშალა: ნუ ძმაო! აღარ გახსოვს, რას ჭირში ვიყავითო? არამც ახლოს კაცნი იყვნეს, ხმა ესმათ, წაგვიყვანონ და უარესი გვიყონო.

არ დაიჯერა ვირმან და დაიყროყინა. მეტად მაღალი სიმღერა მოუვიდა. თურე ახლოს მოგზაურნი იდგნენ. აქლემები და კარაულები დასცვივნოდენ. ესმათ მათ ხმა ესე. გაეხარდათ დიდად და თქვეს:

- მივიდეთ და ვნახოთ, ანუ შენობა იქმნება, ანუ ქარავანი, ეგების ულაყი გვიმიზდონ.

მივიდნენ, ნახეს ერთი აქლემი და ერთი ვირი მსუქნები და უპატრონონი იყვნენ. წაიყვანეს და ორსავ მძიმედ აჰკიდეს.

რა გზა გაგრძელდა, ვირი დამძიმდა და დადგა. კაცთა მათ აიღეს ვირი და მისი ტვირთი, ორივ მას აქლემს დაადვეს.

წაიარეს. ერთი ვიწრო გზა დახვდათ, დიდი კლდე გადასავარდნელი იყო. აქლემმან უთხრა ვირსა: ძმაო, მინდა დავროკდე და სამაია და ცეკო ვქმნაო.

ვირმან უთხრა: - რას ალაგის სამაია და ცეკო არისო?

აქლემმან უთხრა: - იმისთანა სიმღერას ამისთანა ადგილის სამაია და ცეკო უნდაო!

ჯავრით აემართა აქლემი, ვირი კლდეს გარდააგდო და დაჩეხა.

- მის მსგავსად, მაგ შენს სიტყვას ამისთანა პასუხი უნდა, თვარა ყველამ იცის, ჩემი ცოდნა სრულ ლეონის

ნასწავლები მაქვს.

თქვა რუქამ:

- ვაიმე! ლეონ მარტო იყო და რას ლამოდა, აწე მეფის ძეც მიუყენებია და მის ნებად გაუზრდია, რაღა მექმნებაო?!

თქვა რუქამ არაკი:
მეფე და სიკვდილი

ერთი მეფე იყო, ფიცევდა: მე სიკვდილი ეგრე ვერ მომკლავს, მეც ის არ მოვკლაო! მოიმზადა აბჯარი და ხრმალ-დარაკა. მზა უდგა სიკვდილსა.

რა დღე მოუვიდა, დასნეულდა, საჭურველი ახლოს დაიწყო. რა შეწუხდა, ხელი ხრმალს მიჰყო, ველარ ამოიღო. აგინა სიკვდილსა და უთხრა: ეგ რა მამაცობა არისო? კაცს

პირველ ღონეს წაართმევ და მერმე მოჰკლავო. თუ გულოვანი ხარ, პირისპირ შემებიო!

- მის მსგავსად, თვით ის იყო და აწ პატრონის ჩემის შვილი წაგიგვრია და ვითღა ვეუბნათო?

თქვა ჯუმბერ არაკი:
ღვინის ძალა

სულთან სალიმ ჰკითხა ვაზირსა მისსა: ვინცავინ კაცნი ღვინოს რად სმენ, რომე ყოველი ავი სიმთვრალეს მოაქვსო?

ვაზირმან მოახსენა: ღვინოს ავისაგან კარგიც უმრავლესი შეუძლიან. ღვინო ბრმას თვალს აღუხილებს, საპყარს ავლენს და გლახაკს განამდიდრებსო.

მოასხმევინა სამნივე ხეიბარნი ფადიშაჰმან და პირისპირ დასხნა და ასვეს ღვინო. რა დაითრო, თქვა ბრმამან: ღმერთო, ადიდე ხელმწიფე, რა კარგსა და წითელს ღვინოს გვასმევსო!

საპყარმან უწყინა და უთხრა: ვისთან უბნობ? ხელმწიფის მზემან, ესრეთს წიხლს ჩაგაზელ, გვერდი მოგტეხოო!

გლახაკმან უთხრა უპოვარმან: მოჰკალ და სისხლს მე გარდვიხდიო!

ვაზირმან მოახსენა:

- აჰა, ბედნიერო ხელმწიფეო, ღვინოს ესე ყოველი შეუძლია. ან მან რით ნახა, ან იგი რით გალახევდა, ან ეს სისხლს რით მისცემდა?

- ჰე, შენ, რუქავ! შენც ხომ მათსაებრ ხეიბარი ხარ და ღვინოც, ვეჭვობ, გესვას, თვარა ეგრეგვარსა რა გამბობინებს?

თქვა რუქამ არაკი:
უნებლიე მკითხავი

ერთი საბრალო კაცი იყო, ერთი ანჩხლი რძალი ჰყვა. აგინებდა რძალი იგი და ეტყოდა: წადი იქურდე, იშოვნე და მომიტანეო!

ეხვეწებოდა იგი კაცი და დიაცი არ მოეშვა.

დღესა ერთსა ნამტირალევი, რძლისაგან ნაცემი, ვლიდა. ნახა შვიდი აქლემი, აბრეშუმით დატვირთული. უპტრონონი იყვნეს, წაასხა და ერთს ტყეში დამალა და მოვიდა მუნვე.

მის აქლემების მაძებარი კაცი შემოეყარა, ჰკითხა:

- შვიდი აქლემი დავკარგე, და თუცა რამ მისი გამიგო, ერთსა რაც ეკიდოს, მოგცე!

მან კაცმან ეგრე უთხრა: მე არ მინახავნ, მაგრამ ასეთი მეცნიერი ვარ, რომე ჩემისთანა მოგვი არ იქნებაო.

თურე ერთი ცუდი წიგნი ეპოვნა და უბეთა შიგან ეპყრა, გამოიღო და ჩახედა, ეგრე უთხრა: შევიგენ და სხვის გზით წარუძღვა და ეტყოდა: აჰა, კაცთა მიჰყვანანო.

ზოგჯერ რა უთხრა და ზოგჯერ რა. რა მას ადგილს მიახლოვდა, უთხრა:

- მათ კაცთა ალღო აგვიღეს და აქლემნი დაუტევეს და

თვით გაიქცნენ: ჩემმან სამისნომ ეს მამცნო.

მიიყვანა, აქლემები აჩვენა და ერთი ტვირთი აბრეშუმი მისცეს. მოიტანა შინ. რძალმან დია დაუმადლა და ეგრე უთხრა: კეთილი მაზლი ხარ, ეგრე ჰყოფდეო!

მას ჟამსა თურე მეფეს ერთი უსასყიდლო თვალი დაჰკარგოდა და იყო დიდი გამოძიება და ძებნა-კითხვა. მივიდა მასთანა იგი მეაქლემე და მოახსენა:

- ძოღან თქვენი აქლემები დავკარგე და ერთი მისანია, მან მიპოვნა.

გაგზავნეს კაცი და მსწრაფლად მოიყვანეს. დიდსა სეფესა შიგან მრავალი მისანი სხდა და ბოლოს კერძ იგი უწიგნო ახალი მისანიც დასვეს.

ერთსა მონასა ოქროს კროჭითა რაღაც დაქონდა და იტყოდა: რომელიც ამას გამოიცნობს, ამასა შიგან რა ძეს, იგი პოვებს თვალსა მასო?

შეიქმნა თქმულობა: ზოგმან თვალი თქვა, ზოგმან მარგალიტი, ზოგმან სხვა რამე. რა მას ახალს მისანთან მივიდა, მან საწყალმან არა იცოდა რა, ამოიოხრა და თქვა: ვაი, ჩემო რძალო, რა უბრალოდ მომკალიო.

მან გულის მართლით თქვა და მეფეს გაეცინა: იგავით თქვაო!

შიგ თურე მკალი იჯდა და ზმად ჩამოართვეს კაცსა მას.

გაიყვანეს და სამეფო სამოსელი შეჰმოსეს, მეფის საწოლს დააწვინეს და მეფისავე ცხედარი დაუგეს და გარს სეფეწულნი მოუყენნეს, ესრეთ დიდი პატივი დასდვეს.

იგი მისანი ამას სცდილობდა, თუცა სეფეწულთ დაეძინოსთ და მე გავიპაროო.

თურე იგი თვალი ერთს სეფეწულთაგანსა მოეპარა და, რა სხვათ დაეძინათ, იგი მომპარავი ფერხს მოეხვია: მე მოვიპარე და ნუ გამამხელთო!

მას კაცს დია იამა და აგრე უთხრა:

მე დილასავე ვცან, მარა ჭაბუკობა შენი შემბრალდა და არა ვთქვიო. აწ წადი, მეფის საბატესა შიგან ერთსა ღერღეტსა ჩაანთქი და მხარი მოსტეხე, და შენ შენდა განისვენეო!

რა გათენდა, ახალი მისანი მხიარულად ასპარეზსა შიგან დადგა. გამოვიდა მეფე და ჯარი. ჰკითხეს თვალისა. გამოიღო წიგნი, ნახა და თქვა: რაც მეფის ღერღეტნი

იყვნეს, მოასხითო!

რა მოასხეს, ნახა, იგი ნიშანი არ იყო, თურე მუნვე გაეშვათ. უთხრა მათ მომყვანთა კაცთა: ერთი მხარმოტეხილი აკლიაო.

გაუკვირდათ ყოველთა და იტყოდენ მისთვის ქებასა .

მოიყვანეს იგიცა. უთხრა: გაუპეთ უპე, მაგას ჩაუნთქავსო.

გაუპეს და თვალი გამოუღეს.

იამა მეფესა და მრავალი საბოძვარი მიანიჭა და ერთი თავისი სახედარი ცხენი, ოქროთ აკაზმული, მისცა.

ეს კაცი თავის გაზრდაში ცხენს არა მჯდარიყო და იგი

ცხენი ჩვეული იყო, რა მოედნის აქათ გამოვიდის, მეფე იქითვე თურე გაარბევდის. რა შეჯდა და გამოვიდა ამ თავსა, გაბრუნდა ცხენი იგი და გაჭენდა. მან კაცმან თავი ვეღარ დაუჭირა, შეშინდა და შექმნა ძახილი: მიშველეთ, მიშველეთო!

რა საჯინიბოსთან მივიდა, საჯინიბო დაიქცა და მეფის ცხენები სრულიად დახოცა, და ეს ცხენიც დადგა.

მერე მან ახალმან მისანმან თქვა: მოედანს იქით რა გაველ, ეს საქმე ვცან და ვიძახდი მიშველებასა და არავინ მიეშველენითო.

იგი ცხენი მეფესავე მიართვა და მეფემან სხვა ურიცხვი საქონელი უბოძა. რა შინ მივიდა, აიყარა და გარდაიხვეწა. იცოდა ბოლოს მისი სიმტყუვნე სააჯმნოდ შეიქმნებოდა და მით მორჩა.

- აწე, ძეო მეფისაო, შენი ლეონ აწვე გაიპაროს, იგი უჯობს, თვარა მაგის სიცრუვესა სცნობთ და არ უჯობს.

თქვა ჯუმბერ არაკი:
ცრუ და უმეცარი

იყვნენ ორნი ძმანი. ერთი მეფეს ახლდა და ერთი შინ იჭირვოდა. მეფეს რომელი ახლდა, ცრუ იყო და მრავალს აძლევდა. შინ რომელი იყო, უცოდინარი იყო და ძმას ეტყოდის:

- მე შენის ტყუვილის თქმით დარჩომას არა ვჯერვარ; თუცა შენ გაძლევს მეფე, განა მე ტყუვილს ვერ მოვიგონებ - მეფესთან ვთქვა და მეც მომცეს წყალობა?

ცრუ ძმა ეტყოდა: მე რასაც ვიტყვი, იამება და შენ ბევრს

გიზიდავ და არას განაღვლებ და არა გყვედრი, შენდა იყავო!

მან არ დაისულა, მივიდა მეფესთან და მოახსენა:

- ჰაერთა შიგან ძაღლთა ყეფა მესმის!

ენება მეფესა მოკვლა მისი: ესეთი ტყუვილი ვით მკადრაო!

მოვიდა ძმა მისი მტყუვარი და მოახსენა:

- ეგე, ძმა ჩემი, მწყემსია და ბრიყვი, თვარა ტყუვილი არ იქმნება, ამად რომე არწივი ძაღლის ლეკვს აიტაცებდა ჰაერთა სიმაღლეთა შინა და მისი წკავწკავი შემოესმოდა. სიბრიყვითა მას ვერ გაუსინჯავს და ძაღლის ყეფად მოგახსენა.

იამა მეფესა, აღარ მოკლა და კაბა ჩააცვა.

მოვიდა, ძმამ უთხრა: სიკვდილს მოგარჩინე, აწ შინ წადი, სამეფო სიტყვა არ იციო!

მან რა კაბა ჩაიცვა, უდიდესი ტყუვილი მოინდომა. მოვიდა მეფესთან და მოახსენა:

- ერთს ირემს ისარი შევსტყორცე, ყური და ფერხი წარვკვეთე, დაეცა, მჟავით გარაოდ შეიწვა და ვჭამე.

ბრძანა კიდევ მოკვლა მისი მეფემან, დიდად იწყინა ტყუვილი იგი. შეეწყალა ძმასა, წარსდგა და მოახსენა:

- ძოღანვე მეფობასა თქვენსა ვკადრე, უცოდნელი და ავმთქმელია-მეთქი. ისარი კარგად იცის. ირემი ყურს

თურე იფხანდა, ისარი ესროლა და ორივ წარკვეთა. ირემი დაეცა. ისრის პირი ბასრისა იყო. თურე მუნ ტალი დებულა, ისრის პირი სცემია, ცეცხლი დაუკვესებია, ჩალას მოსდებია, ირემი გაურუჯავს; მუნ მსხმოიარე მოცხრის ხე მდგარა, ის ზედ დასჭყლეტია, იგი უჭამია, მჟავვ გარაო ჰგონებია.

მოარჩინა ძმა და განუტევა.

- ეს ლეონ ცრუა თუ არა, ამისი სიტყვა მეფეს იამების და შენ რას ჰშლი? არაკად თქმულა: პატრონსა შენსა უყვარდეს გველი, შენგან უბესა ჩასმას ველიო.

მეფეთა თანა მყოფთა სამნი საქმენი უნდა სჭირდეთ:

პირველად: რომელიც კაცი უყვარდეს, იგი არ შეასმინოს, თვარა სიყვარულით არ შეისმენს და შენ დაზიანდები;

მეორედ: ვისიც სიტყვა იამება, შენც უქო, თვარა თუ უძაგო, არ ეძაგება და შენ გასცრუვდე;

მესამედ: ამას სცდილობდე, რომელიც მისი გულითადია, იგი გაიერთო, თვარა დღე დაგიმოკლდება.

თქვა რუქამ არაკი:
სამნი ამხანაგნი

სამნი ამხანაგნი შეიყარნენ: ერთი ისპაანელი, ერთი გილანელი და ერთი განჯელი. ერთმანერთს თავიანთი თემი უქეს.

ისპაანელმან კაცმან თქვა:

- ჩემი თემი ისეთია: ძველი და ახალი ნესვი ერთად

დასდვა, ვერა სცნობ, რომელი წლეულია და რომელი შარშანდელი.

გილანელმან თქვა:

- ჩემი თემი ესეთია: ცოცხალი კაცი და მკვდარი ერთს საგებელში დააწვინო, თუ ცოცხალსა ძინავს, ვერა სცნობ, რომელი მკვდარია და რომელი ცოცხალი.

განჯელმან თქვა:

- ჩემი თემი ესეთია, რა კაცი მოკვდება, ექვს თვე ფეხზე ვალს და მეშვიდეს თვეს სამარედ ჩავალს, გაზაფხულ ცხელებას დაუწყებს და შემოდგომაზე მოკვდება.

არც ერთის თემი ვარგიყო, მაგრამ მათ მოსწონდათ.

- ეგ შენი ლეონც დია ავი კაცია, მაგრამ მისი ავი და კარგი, ორივ კარგა გიჩნს, რასათვის მას არ მაუბნებ და შენ მეუბნები?

ჯუმბერ უთხრა:

- შენ რომ ასონი დაგკვეთეს, რასათვის ულვაში და წვერი გაგცვივდა და მის გარშემო არა?

უთხრა რუქამ:

- ლეონ მხიბლავია და შეუგრძნებიხარ.

თქვა ჯუმბერ არაკი:
თვალხილული და უსინათლო

თვალხილული კაცი ვინმე მოვიდოდა გზასა და ოცი

მარჩილი თან აქვნდა. გზასა ზედა ერთი უსინათლო და უწინამძღვრო გლახაკი შემოეყარა, რომე არგნის ცეცებითა ჰპოვებდა გზასა.

თქვა თვალხილულმან: გამოვსცადო ბრმა ესე, ვითარი კაციაო? წავიდა მის პირისპირ და ზედ შეეტაკა და დაიძახა: ვინ მეძგერე ბრმასა ამას, რომელსა წინამძღვარიც არა მყავს და დამარეტიანე, ღვთისა არა გეშინოდა, რომ ესე მიყავო?

მან ბრმამან უთხრა: მეც ბრმა ვარ და ჯოხით ვალ, უცნაურად გეტაკე, ნუ მაბრალებო!

დასხდენ და საუბარი რამე დაიწყეს და ალერსობდენ. უთხრა თვალხილულმან: მე ნათხოვნი ოციოდე მარჩილი მაქვს და არ ვიცი, რომელი წმინდა ვეცხლია და რომელი შერყვნილიო?

ბრმამან უთხრა: მე ვიდრე თვალი მედგა, ვეცხლის მუშა ვიყავ და მე ვჭრიდი. მომეც, განვიხილავ, ყველას ხელით ვიცნობ და მე გაუწყებო!

მისცა ყოველი და მან ბრმამან სარტყელსა გაიხვია, გაეპარა და ხნულში ჩაწვა, დამალვა ეგონა. რა ხანი დაიგვიანა, თვალხილულმან ზახილი დაუწყო:

- რა ჰქენ და რა უყავ, რად დაიგვიანე?

დაუწყო ვედრება:

- ნუ წამიღებ უსინათლოსა, მრავლითა ჭირითა და სლვითა მიშოვნია, ჩემი ბრალი ნუ გინდა!

მას ბრმას დასტურ ბრმა ეგონა და იმალვოდა.

თვალხილულმან ვედრება დაასრულა, აიღო ერთი ქვა და თქვა: ღმერთო, თუცა იგი კაცი არ მემართლებოდეს წართმევასა, ეს ქვა ფერხთა ზედან ვჰკრაო.

გაუშვა ქვა და ფერხთა ზედან დასცა. ბრმა იგი მუნით ადგა და სხვაგან დაწვა, გაპარვა ეგონა. აიღო მეორე უდიდესი ქვა და ევედრა ღმერთსა: მე უსინათლოსა ესოდენი ნასულთქმი მომპარა, თუცა ვემართლებოდე, ბეჭთა ზედან ვჰკრაო.

სტყორცნა და ბეჭთა ზედა დასცა. ბრმამან იგიცა გასძლო და ხმა არ გასცა. მუნითაც გაიპარა და სხვაგან დაწვა.

მესამე აიღო და თქვა: ღმერთო ეს ქვა შუბლსა ვჰკრაო.

მან ბრმამან ესრე თქვა: ორი სადაც დამინიშნა, მკრა და

იმასაც თუ შუბლთან მკრავს, მოვკვდები და ეს ვეცხლი ვის დარჩეს? უყივლა: ძმაო, რას სწუხ, გამორჩევა მნებავს ავ-კარგთა და მოგცემო. მან თვალხილულმან აგინა და ეგრე უთხრა: ბოროტ ხარ! მე თვალხილულსა შენ ბრმა ვეცხლსა მპარავო!

- მის მსგავსად, შენც გონების თვალით ბრმა ხარ და ყოველი შენებრ გგონია.

რუქამ უთხრა:

- შენ მარტვილი ხარ და უგუნური და ლეონის მაცდურს სიტყვას აყოლილხარ, არ გასინჯავ და გაუსინჯავი კაცი უღონიოდ ფათერაკს დაებმის.

თქვა რუქამ არაკი:
ვირი, ვეფხი, მელი და მგელი

ერთი ვირი გლახაკისა კაცისა, მიჭირვებული და მჭლე, გაეპარა პატრონსა თვისსა და წავიდა, ერთსა მაღალსა ადგილსა დაისადგურა.

ესეთი ადგილი იყო: დიდი წყალი ჩადიოდა და წყალთა პირსა ხენი შვენიერნი იდგნეს, დიდნი კლდენი მოსცემდენ, კორდნი - მწვანენი, ყვავილოვანნი. თურე ვეფხის სამკვიდრო იყო და მუნ დადგა.

ვეფხი ნადირობად იყო. მოვიდა, ნახა, დიდად ეუცხოვა და დიდად შეშინდა. რა ვირმან ვეფხი ნახა, თავისის სიკვდილის მოციქული ეგონა, ყურნი წაიცქვიტნა და დიდი დაიყვირა. ვეფხს ესეთი შიშის ზარი ეცა, გზათა კვალი ვეღარ გაიგნო, კლდეზედ გარდაიჭრა და გაიქცა.

მიმავალს მელი შემოეყარა. სცნა შეჭირვებული

მივიდოდა, თაყვანი სცა და მოახსენა: ნადირთ მეფეო, სად მიბრძანდები, ანუ რად დაგიღრეჯიაო?

მან უთხრა: ჩემსა სამეფოსა ერთი უცხო ბუმბერაზი მოსულა, მისის შიშით ველარ დავდეგ და გამოვეცალე, მით დამიღრეჯიაო!

ჰკითხა მელმან მისი ამბავი. მან ყველა უამბო: სახე მისი, ოთხფერხობა, ყურდიდობა და ხმამაღლიობა, ფერი და, რაც რამე სჭირდა, ყველაყა.

მელმან მოახსენა:

- ეგე ვირია, ნუ მირბი, მე მას გავაძებ და თქვენ უზრუნველად განისვენეთ!

ვეფხმან არ მოუსმინა; მელიც თან გაჰყვა, წავიდნენ.

შემოეყარათ მგელი, თაყვანი სცა და მერე მელს ჰკითხა:

- რად შეჭირვებულა, ანუ სად მიბრძანდება?

მელმან მგელს ყოველივე უამბო: ვირის გამოქცეული მირბისო, ვუშალე და არ დაიშალაო.

მგელმან მოახსენა: ნუ სწუხხარ, ჩემი სადილია, დია მშიან, შეიქეც, მის საქმეს მოგახსენებო!

ვეფხმან ეგრე უთხრა: თუ ჩემი ღალატი არ გნებავსთ და მართლა მეტყვით, ერთი თოკი მოიღეთ, შუა მე მოვებმი და აქათ ერთი მომებით და იქით მეორე. ერთად მივიდეთ და რაღაცა დაგვემართოს, სამთავ სწორად დაგვემართოსო!

წავიდა მელი, თოკი მოიპარა, მოიტანა. სამნივ გამოებნეს და ერთად მივიდნენ. რა ვირმან ესენი ერთად მისულნი ნახა, ვაება გაუმრავლდა, შექმნა ყვირილი და ზახილი. ვეფხი შეშინდა, მრჩევლებს აღარა უსმინა რა, თოკს მოზიდნა და ორნივე დაარჩო, თვით გარდაიხვეწა. უკანის თქვა: თუ არ მას ადგილს ჩემი დარჩომა არსად არ იქმნება, წავიდე და მას ბუმბერაზს ვეყმოო, ეგება დამინდოს და ჩემსა ალაგსა კიდევ ვნახევდე ხოლმეო.

მივიდა ვირთან დიდის კრძალვით, შეეხვეწა და ეყმო. ვირს მისგან ეშინოდა და მას უფრო ვირისაგან.

უბრძანა ვირმან:

- რადგან მეყმევ, კარგად დაგარჩენ, ჩემის სახლის უხუცესობას მოგცემ, ორს შეცოდებასაც შეგინდობ, და მესამეს ერიდე!

იყვნენ და განისვენებდენ.

გამოხდა ხანი. ვირს ეძინა. ვეფხს ნავარდი მოუნდა და წყალს გახლტა, მჭავლს კუდი დაჰკრა, ვირს წუნწკლი შეასხა; გაიღვიძა, იწყინა და დიდად დატუქსა.

მეორეზე ვირი წყალში ჩავიდა, წყალი დიდი იყო, ვირი წააქცია და დაღუპა. შეიჭრა ვეფხი, ვითამ ბატონს მოეხმარა, და გამოიყვანა. ვირი მიზეზს ეძებდა, თუცა გავიცალოო, არა ამიტეხოს რაო.

გაუწყრა: მე კალმახს ვნადირობდი, შენ რად გამომიყვანეო?

ვეფხს მესამის შეცოდების რიდი ჰქონდა და გარდაიხვეწა, იგი ადგილი ვირმან დაიმკვიდრა.

- ძეო მეფისაო! ესე არაკი ამად მოგახსენე, მას ვეფხივით მრჩევლებს ნუ დაარჩობ, უგვანს ნუ დაენდობი, გაუსინჯავად საქმეს ნუ იქმ, თვარა ბოლოს დაინანებ.

თქვა ჯუმბერ არაკი:
მეფე და დალაქი

ინდოთ მეფე აბანოს იბანებოდა და დალაქი თავსა პარსავდა. რა ყელთან სამართებელი მიიღო, მეფეს უთხრა: შენი ასული შემრთეო.

გაუკვირდა მეფესა და მიცემას დაჰპირდა.

გამოვიდა აბანოდამ, ვაზირთა ჰკითხა: ვით შემომდვა ქალის თხოვაო?

მათ მოახსენეს: ფერხი სალაროსა ზედა სდგმია და მას უთქმევინებიაო.

მოთხარეს აბანოს ძირი და სულ ოქროთა და ვეცხლითა სავსე იყო.

- ჰე, შენ, რუქავ! შენც ფერხი ან განძთა ზედან გიდგას და ანუ ღმერთს გაუწირავხარ სიკვდილად, თვარა ესრეთსა უბრალოსა რას უბნობ?

თქვა რუქამ არაკი:
მხვნელი, ფეიქარი და მკერვალი

სამნი ძმანი იყვნენ: ერთი მხვნელი, ერთი ფეიქარი და ერთი მკერვალი. უხუცესი მხვნელი და ბერი კაცი იყო. ცოლი მოუკვდა და სხვის შერთვა მოინება. ძმათ უშალეს და არ დაიშალა. რა არ იქმნა, ერთი ხანდაზმული ბებერი

დიაცი მოჰგვარეს, ვითა მას ჰფერობდა და ქორწილი უყვეს.

მასვე ღამესა ერთი აქლემი, აკიდებული განძითა, კარსა მიადგა. მათ მექორწილეთ აქლემი მოკლეს, ორმოში ჩააგდეს და ტვირთი დამალეს. პირი შეკრეს: თუცა მაძებარი მოვიდეს, სხვა სიტყვა უთხრან.

ქორწილობა გარდაწყდა. აქლემის პატრონიც მოვიდა. უხუცესი სახვნელითა ხვნიდა, მუნ მივიდა, სცნა აქლემის პატრონობა. უთხრა მეაქლემემ: ჯილღას გამარჯვებაო!

მან მხვნელმან უთხრა: ასლსა ვთესავო.

გაუკვირდა მეაქლემეს და ჰკითხა: აქლემი დავკარგე, თუ იცი, მითხარ და ბევრი მოგცეო.

მან უთხრა: თუ ზაფხული იყოს, დიდი ანეული მოიხვნისო.

მეაქლემემ უთხრა: აქლემისასა გკითხავ, ხვნისას არაო.

მან უთხრა: ზანგელა ხარი უარშიოობსო.

შემოსწყრა მეაქლემე და წავიდა.

მივიდა სოფლის ბოლოს. ფეიქარი ნასთსა ქსელავდა. მასთან მივიდა, მასცა ჰკითხა: აქლემი დავკარგე, მისი რამ მაცნობე და ბევრს მოგცემო.

ფეიქარმან უთხრა: ჩქარი მქსოველი ვარო, დღივ ორს მოვქსოვო.

მეაქლემემ უთხრა: აქლემსა გკითხავ, განა საქსოვარსაო.

ფეიქარმან უთხრა: ძმაო, სხვისაა, თვარა მოგყიდდიო!

მეაქლემე შეწუხდა და იტყოდა: რას ხელს თემს ჩამოვვარდიო! და წავიდა.

მივიდა სოფლად, მკერვალს ჰკითხა. მან ეგრე უთხრა: ჩემი ხელფასი ექვსი შაურიაო.

მეაქლემემ უთხრა: ვაჟო, აქლემს ვიკითხავ, აქლემსაო!

მკერვალმან უთხრა: დია მესწრაფება, შენ სხვას შეაკერვინეო!

გაუშვა იგიცა და წამოვიდა.

რა წყალზე ჩამოვიდა, იგი ახალი ნაქორწილევი ბებერი

დახვდა. მას ჰკითხა. მან ყველა უთხრა, ანიშნა:

- ერთი ამისთანა აქლემი მოვიდა. ჩემმან ქმარმან და მაზლებმან დაკლეს და ქონება დამალეს.

მეაქლემემ ჰკითხა: როდის იყოო?

ბებერმან უთხრა: სწორედ ჩემის ქორწილის ღამესაო.

მან კაცმან თქვა: ამ თემის კაცი და ქალი სულობით შემცდარნი ყოფილანო! მე გუშინ დამეკარგა და ეს ბებერი თავისი ქორწილის ამბავს მიამბობსო!

მუნითაც წავიდა შინ ცარიელი.

მან ბებერმან მართალი თქვა, მაგრამ მან კაცმან არ დაუჯერა.

- მე მართალს გეტყვი, მაგრამ ჩემი მართალი ტყუვილის უმტყუვნესად მიგაჩნია: ჩემი სიტყვა კარგი ავის უარესად გესმიან. ყრმა ხარ და სიბრძნეს ჩემობ. პატრონი ხარ და საჭურისნი გძულან. მეფის ძე ხარ და ერთის მეტი კაცი არ გინდა. რადგან ესრეთ ბრძნობ, იგავს დაგიდგამ, და იგი ჰქმენ შენ და შენმან ლეონ.

ჯუმბერ უთხრა: რაო?

რუქამ უთხრა:
მგელი, თხა და თივა

ერთს ვიწროს ხიდს გაგიდებ და ზედ ერთი მგელი, ერთი თხა და ერთი ხორომი თივა ესრეთ თითო-თითო გაიტანე, მგელმან თხა არ მოკლას და თხამ თივა არ შეჭამოს.

დაჰყვა ძე მეფისა.

გადვა რუქამ წანწალა. მოასხნა მგელი და თხა და ერთი ხორომი თივა მოიღეს, მოვიდა ჯუმბერ, აიყვანა თხა, გაჰხდა ხიდსა და დასვა მუნ. გამოჰხდა, აიყვანა მგელი, გაჰხდა ხიდსა, მგელი მუნ დაუტევა და თხა ამიერ გამოიყვანა. თხა დასვა, თივა აიღო, გაჰხდა ხიდსა და თივა მგელთან დადვა. გამოჰხდა, თხა აიყვანა, გაიყვანა იგიცა იმიერ.

და უთხრა რუქას:

- აჰა შენი სიბრძნის იგავი, და აწ შენ ჩემი იგავი სცან. მე ხელით მიქნია და შენ სიტყვით ჰყავო.

უთხრა რუქამ:

- რომელი?

უთხრა ჯუმბერ:

- რადგან საჭურისი ხარ, ცვისათვის დიაცისა შეუქმნიხარ და მისი ქმნა შენი ხელია.

სამნი ცოლ-ქმარნი და მდინარე

სამნი კაცნი უმეცარნი ერთის დიდის მდინარის კიდესა შეიყარნენ. სამთავ ცოლები ჰყვა თანა. მუნ წყალში ერთი მცირე ნავი ჰპოვეს, ორის მეტი კაცი ვერ დაეტიოდა. ამ მდინარესა ეს ექვსი იმიერ ასე გაიყვანე, რომ ერთმან მეორის ცოლი ვერ იხელთოს!

რა გასინჯა რუქამ, ძნელი იგავი იყო, დია დაჭმუნდა და ვერა გაიგნო რა. შეიქმნა დიდი თქმულობა მეფესა,

ვაზირსა და რუქას შორის: არა ასრეა, არა ესე უნდა იყოსო. ვერა რომელმან დაასკვნა.

რუქამ ჰფიცა: ცუდი, უგვანი მოიგონა, თვარა არა ბრძნისაგან არ გაიყვანებაო.

უთხრა ჯუმბერ:

- ჰე, ნადირში კურდღელო და მფრინველში ძერაო, და კაცთა შიგან შენვე იცი, რაცა ხარ, არ გასცუდდებია!

რუქამ იგივე თქვა.

ლეონ აფიცა ჯუმბერს:

- შენვე გაიყვანე ეგენი, თუცა ფიცი არ გატეხოს!

რუქამ ნება დართო. ჯუმბერ თქვა:

- სამთა მათ კაცთა სახელები ესე არს: მელას, მეტურ და მარასან. მოიღო მელას ნავი და ჩაჯდა, ჩაისვა ცოლი თვისი და გაჰხდა გაღმართ, გარდასვა ცოლი თვისი და გამოჰხდა ამიერ. ჩასხეს მათ ორთავ ცოლები და გაჰხდნენ მას ქალთან. ჩაჯდა მელას ცოლი, გამოიტანა ნავი და მოვიდა ქმართან. ჩასხდნენ მეტურ და მარასან და გაჰხდენ თვითოს ცოლთან. ჩაჯდა მეტურ, ჩაისვა ცოლი თვისი და გამოჰხდა მელასთან. მეტურ და მელას ცოლნი იმიერ დაუტევნეს და თვით მარასანთან გაჰხდენ. ნავში მარასანის ცოლი ჩაჯდა, გამოჰხდა და მელას ცოლი გაიყვანა. მერმე ნავი მეტურ გამოართვა, თვისი ცოლი გაიყვანა და წავიდნენ.

გაეცინა მეფესა და თქვა:

- არა ვგონებდი ამა ქალთა წყალთა გახდომასა.

მოახსენა ვაზირმან სედრაქ:

- ამით ავი კაცია ლეონ, ნუ გინებს სიცოცხლე მისი და მოკალ! შენი ძე უმეცარი გაუზრდია.

მამამან შვილი შვას ესეთი და მზრდელმან აღზარდოს მსგავსი ამისი: სიმდაბლით თხოვილი, წყალობით შოვილი ძე და ჩვენებით ნახული, სიბრძნით დასახული ლეონ. არცა ჯუმბერ ულეონოდ და არც ლეონ უჯუმბეროდ!

მოჩივარნი ძმანი

ამაზედან მოვიდენ მოჩივრად სამნი ძმანი წინაშე მეფისა, რომელნი გაყრილიყვნენ ძმობისაგან. ყველა გაეყოთ და

ოცდაათი თხა ჰყვათ, იგი ვერც გაეწილათ და ვერცა რიგდებოდენ.

მოახსენეს მეფესა თხათა მათთათვის:

- ათსა თხასა თითო თიკანი ჰყავს, ათსა ორ-ორი და ათსა - სამ-სამი: ესრეთ გვინებს გაყოფა, არცა რომელმან ძმამან ძმაზე მეტი აიღოს და არცა თიკანი დედას მოსწყდეს.

შეიქმნა ცილობა და თქმა. ვერა რომელმან გაყო. ჰკითხეს ჯუმბერს, ძესა მეფისასა, და მან თქვა:

- ოცდაათი თხა არის და სამოცი თიკანი. იგი ათი თხა, რომელსა ორ-ორი თიკანი ჰყავს, მიეცით უხუცესსა, რომელ არს ათი თხა და ოცი თიკანი. იგი ათი თხა, რომელსა ჰყავს სამ-სამი თიკანი, ხუთი თხა საშუალს მიეცით და ხუთი მრწემსსა, რომელი იქნება ხუთ-ხუთი

თხა და თხუთმეტ-თხუთმეტი თიკანი. იგი ათი თხა, რომელსა თითო ჰყავს, იგიცა ხუთ-ხუთი მიეცით მათ ორთავე, რომელი იქნება ათ-ათი თხა და ოც-ოცი თიკანი, არცა ძმასა ძმაზე მეტი მიჰხვდეს და არც თიკანი დედასა მოსწყდეს.

რა ესრე გაჰყვნა, მეფესა დიდად იამა, ლეონს მადლი უბრძანა სამეფო სამოსელი შეჰმოსა და თავისსა სახედარსა ტაიჭზე აღსვა, და ფრიადი საუნჯე მიანიჭა.

რუქამ თქვა: თხათა და ცხვართა გაყოფა უსწავლებია და ესოდენი დიდება მიანიჭა, თუცა სამეფო წესი და ჭაბუკთ ზნენი ესწავლებინა, თავის სამეფოს მისცემდაო!

თქვა რუქამ არაკი:
მღმერთობელი მეფე და მისი ვაზირი

იყო ერთი მეფე, ღმერთობას ჩემულობდა და ვერცა ვინ ეტყოდა, რომ ღმერთი არა ხარო.

ერთი ჭკვიანი და კარგი ვაზირი ჰყვა. მან მოახსენა: რადგან შენ ღმერთი ხარ, მაშა მე შენი ანგელოზობა მიბოძეო!

უბოძა მან ღმერთმან თავისი ანგელოზობა.

გამოხდა ხანი. უბრძანა მან ღმერთმან თვისსა ანგელოზსა: მოდი, ერთი სასწაული ვქმნათო!

მისმან ანგელოზმან მოახსენა: თუ მისმენ, უცხოსა და კარგს სასწაულს გაქნევინებო.

დაუჯერა და დააცლევინა სახლები მეფისა. სრულად ნეხვითა და ცხოვართა და ზროხათა ფაშვითა ფალანგით

აავსებინა. გამოიხშა კარი. ზაფხულის ჟამი იყო.

ათი დღე დაიყოვნა. მეათერთმეტე დღეს მივიდნენ: ჩვენი ნაქმარი სასწაული ვნახოთო!

დააღეს კარები, ნახეს: სულ მატლი. ჭია და ფუნდურა დაჰხვეოდა და დია აყროლებულიყო.

მეფემან უთხრა ვაზირსა: ეს რა გვარი სასწაულიაო?

ვაზირმან მოახსენა: შენ რომ ღმერთი ხარ და მე შენი ანგელოზი, ჩვენგან ესეც დიდი სასწაულის ქმნა არის და არც უფროსი გამოგვივაო!

- ჯუმბერ რომ უფლისწულია და ლეონ ოსტატი, ესეც დიდია, თხა-თიკანთ საქმე უსწავლებია და ყველაყას მოწონებაც გვმართებს, თვარა დაუწუნოთ, შერცხვინდება

და მერმე ძროხა-კამეჩის საქმეს ვეღარ ასწავლის.

უთხრა მეფემ არაკი:
კუ და მორიელი

ერთი კუ და ერთი მორიელი დაძმობილდნენ. წავიდნენ გზასა. გასავალი წყალი დახვდათ.

მორიელი დაღონდა, გასვლა არ ეძლო. კუმ უთხრა: ზურგს შემაჯექ, მე გაგიყვანო!

შეაჯდა მორიელი ზურგს. კუ რა წყალში შეცურდა, მორიელმან ზურგზე კბენა დაუწყო. კუმ ჰკითხა: ძმაო, რას იქმო?

მორიელმან უთხრა: რა ვქმნა, არც მე მნებავს, მაგრა ასეთის გვარისანი ვართ, მტერსა და მოყვარეს ყველაყას

უნდა ვუკბინოთო.

კუმ დაიყურყუმალავა და მორიელი წყალს მისცა და უთხრა: ძმაო, არც მე მნებავს, მაგრამ ჩემი გვარი, თუ გესლიანს ხორცს არ გაიბანს, გაუსივდება და მოკვდებაო.

- რუქავ, შენნი მსგავსნი ყოველნი მტრისა და მოყვრის მკბენარნი არიან; მაგრამ შენ ეს მაშინც დამიჯერე. ასეთს საკბენს უკბინე, ან კბილი მოჰკიდო და ან წყალში არ დაირჩო.

მელი პირუტყვია და ესოდენი ჭკუა აქვს: რა მრავალი კრწყილი დაესხმის, იცის, შემაწუხებენო, პირში ჯღანს დაიჭერს და კუდს წყალში ჩაჰყოფს, რა კუდის კრწყილი ტანში შემოვა, მერმე ტანს ჩაყოფს, რა ტანიდამაც თავში ამოვა და ჯღანზე გამოსხდება, თავსაც წყალში ჩაჰყოფს და ჯღანს კრწყილებიანს წყალს მისცემს.

თუ ბევრი კრწყილი სულიერს შეაწუხებს, ბევრის კაცის მტერობა, ნახე, კაცს რას უზამს? ამდენს სულში კაცს ერთი მოყვარე არა ჰყვეს, დიდი სიავეა.

მოახსენა რუქამ:

- კართა შენთა ავსა კაცსა ნუ დაადგენ და მე არ გავუმტერდები.

უბრძანა მეფემან:

- თუცა ავი კაცი არ დავაყენო, პირველ შენ უნდა გაგაძო. ეს იცოდე, მეფენი საჭურისთა და სხვათაცა საქმესა სცნობენ და მეფეთა საქმესა ვერავინა სცნობენ, თუცა კაცი იგი არ გამეფდა, - რომ მათი საჯდომი მაღალია და დაბლიდამ არ ინახება.

შვილს უბრძანა მეფემ არაკი:
ბრძენი და მდიდარი

იყო კაცი ერთი ბრძენი, რომელი ვაჭრობისა სიმდიდრისაგან დაცემულიყო.

წავიდა და მოვლო პირი ყოვლისა ქვეყანისა და მივიდა ინდოეთს. გამოიკითხა მუნ კაცი დიდად მდიდარი და მდიდრობისაგან უმეტესად ღვთის მოშიში. რა აცნობეს, დაისწავლა სახლი მისი, მივიდა და რქვა კაცსა მას:

- ძმაო, ძოღან ორმოცი ლიტრა ვეცხლი ივასხე, ახლა დიდად მეჭირვება და მომეც, ღვთისათვის გევედრები!

მან მდიდარმან უარყო. რომელი არა ევალა, რას მისცემდა? უთხრა:

- როდეს ვივახშე, მოწამე ვინ გივის და ანუ ხელითწერილი სად არს?

მან კაცმან ეგრე უთხრა:

- მაშინ საქმიანად იყავ და ესრეთ მითხარ: არა მცალს და ხვალე მოდი, ხელითწერილს მოგცემო. მე შენი მორწმუნე ვიყავ, დაგჯერდი, მე სხვა საქმე დამეცა, იგი დამავიწყდა, წაველ და აწ გთხოვ, თუცა მტყუარ ვარ, შენ სახელი ღვთისა იფიცე, ჩემი ვეცხლი არ გევალოს, და გარე შევიქცე!

მან, ღვთის მოშიშმა მდიდარმან, ეგრე თქვა: რასათვის ვფიცო სახელი ღვთისა ამა მცირედსა ზედა. ღმერთს ჩემთვის ეგოდენი უბოძებია, მრავალს კაცს ეყოს. ორმოცი ლიტრა ვეცხლი მას მივსცე, სხვა მე მოვიხმარო და

ღმერთი არ გავიწყრომო. არ იფიცა და მას კაცსა თხოვილი მისცა.

მან კაცმან, რომელმან წარიღო ვეცხლი, ეგრე თქვა: ღმერთო, მართალო და ჭეშმარიტო! შენ უწყი, ჩემისა სიგლახაკისათვის ვქმენ ესე. აწ თუ გამემარჯვოს სავაჭროსა ამასა ზედა, ყოველი მონაგები ამავე კაცსა მოვუძღვანო და ყველაყა ვაუწყო.

წავიდა იგი კაცი ჩინ-მაჩინს. ესრეთ ივაჭრა და გამდიდრდა, რომე უდიდესი ვაჭარი აღარ ითქმოდა.

რაოდენთა წელთა უკანის, მუნვე ქალაქად მოვიდა, მონახა მდიდარი იგი, პოვა და იწვია. ამან იცნა და მან მდიდარმან ვერა შეიყვანა სალაროსა თვისსა და, რა რომე აქვნდა, აჩვენა. და უკვირდა მდიდარსა მას დიდება მისი და სიმრავლე უნჯთა. მოუწონა და უქო ყოველივე. მერმე

მან კაცმან ამოიღო კლიტე მისისა სალაროსა, მიართვა, ხელს აკოცა და მოახსენა: ესე ყოველი შენია და ღმერთმან გაუფლოსო!

მას მდიდარსა ძოღანდელი საქმე დავიწყებიყო და ჰკითხა ვინაობა და ვითარობა, და მან ყოველივე ყოფილი მოახსენა: ჩემმან სიგლახაკემ მომაგონა, თვარა შენ ჩემი არარა გევალა. მე რა მქონდა, რომ გამევასხა. ესე ყოველივე შენია, დაეპატრონეო!

გაუკვირდა მას მდიდარსა მის კაცისა სიმართლე და გულკეთილობა. ერთი სარტყელი აიღო და ერთი საპერანგე. ეგრე უთხრა: ესეც ამად ავიღე, ნუთუ გულის კლება შეგექმნას, ღმერთმან შენ მოგახმაროს, რადგან შენი ეგეთი კეთილობა ვიხილე, ჩემი რაც მაქვს, იგიც შენი იყოსო.

- შვილო ჩემო, შენთვის ღმერთსაც მოუნდომებია და მეც მომიცია ადგილი და სამეფო ჩემი და დღეის წაღმა უფლებდე ყოველსა ზედა და ნუმცა ვინ არს ურჩი შენი.

მოახსენა რუქამ არაკი:
მეპატრონე და მემარნე

ერთი მეპატრონე შევიდა მარანსა თვისსა ნახვად ღვინისა. ნახა ქვევრის პირსა ერთი ჯამი იდგა. ჰკითხა მემარნესა:

- რად დგას ჯამი ესე აქა?

მან მოახსენა: რაოდენჯერ შემოვალ თითოს ამით ღვინოს შევსვამო.

ეწყინა მეპატრონესა და ეგრე თქვა: ჩემი ღვინო ამა კაცსა

აუოხრებიაო.

და ერთი კაცი სხვა დაუყენა თავსა, რომე მაგოდენს ღვინოს ნუ ასმევო.

მეორეზე რა შევიდა მარნად, ნახა ორი ჯამი იდგა ქვევრთან. ჰკითხა მემარნესა: ეს რა უნდა იყოსო?

მან მოახსენა: ერთი ჩემია, რომლითა ვსვემდი და მეორე მაგ ჩემს ამხანაგს მოუნდება, ახლა რომე დამიყენეო.

- აჰა მეფეო! შენს შვილს კარგი სამეფო მიეც და ერთი მაგდენი სამეფო ლეონსაც უშოვე, თვარა ორთავ ერთი კი არ ეყოფათ.

დიდად ეწყინა ჯუმბერს და

თქვა ჯუმბერ არაკი:
მკალავი და ვირი

ერთი მკალავი იყო. ვირს საფქვავი აჰკიდა, წისქვილში წავიდა, დაფქვა, გამობრუნდა. გზაზე ვირი დაუდგა. ვეღარ დაძრა, დაღონდა. ჯიბეში ნიშადური ედვა, ქვაზე დანაყა და ვირს კუდ ქვეშ მოსცხო, ეგება დასწვას და ააჩქაროსო. რა ნიშადური მოსცხო, ვირი ესეთი გაიქცა, მკალავი ვეღარ მოეწია. დაღონდა: ვირი არსად გარდამეჭრას და არ დავკარგოო. ცოტა ნიშადური თითონაც ამოისვა: ეგების ვირს მივეწიოო.

ასე გაშმაგდა მკალავი, ვირსაც გაუსწრა, სოფელი და თავისი სახლიც გაირბინა. ცოლს მისძახა: ჩემი ნიშადური ცხარი იყო, მე ვეღარ დამდგარვარ და ვირს ეპატრონეო!

- რუქავ, შენც ნიშადური ამოგისვამს, იგი გაჩქარებს,

თვარა მეფის წინაშე შენგან და ანუ სხვათაგან მაგ რიგი ვითარ იკადრება?

მერმე ჯუმბერ დადრკა, მამას ეთაყვანა, მიწას აკოცა და ეგრე მოახსენა:

- დამბადებელიმცა შენი დიდებულ არს, სვემცა შენი ბედითურთ ამაღლებულ არს, სახელიმცა შენი ნუ დაილევის! შენის სიმაღლით მდაბლის გულითგან ჰბრძანებ, თვარა მე შენსა პირისპირ ჭვრეტასაც არა ღირს ვარ, არა თუ ეგეთსა წყალობასა. მე თუცა შენი მოწყალე ბრძანება მესმიან, ყოველთა დიდებათა უდიდესად მიჩანს.

მე თუ რამ სიკეთე მაქვნ - შენგან, თვარა ვინ ნახა ქვრიმა დათესოს და ებრენიკი მოიმკოს, ანუ ეკალი დაერგოს და ხურმა მაზედ მოეკრიფოს. კეთილი ხე კეთილს მოიბამს,

თვარა თავით თვისით ხილი უნერგი კარგი არ იქმნება, და არცა ალქატი ხე რწყვითა და კაზმით გაკეთდება.

არაკად თქმულა: ქორი ქორსა სჩეკს და ძერა ძერუკასაო. ჩემს სიკეთეს მე ნუ მაკვეხებ და ნურც მე მადებ.

გალატოზმან, რომელმან ნატიფად სახლი აღაშენა, სახლის სიკეთეა, ანუ მაშენებლისა?

მხედარმან, რომელმან კვიცი კარგა სადავედ გაწვართოს, კვიცის საქებელია, თუ მხედრისა?

შენი ხორცი ვარ და ლეონის გაზრდილი. ჩემი სიკეთე ჩემგან არ არის: აგებულობის საქმე - შენგან, და წვრთილობა - ლეონისაგან. არა ამისთვის მოგახსენებ, ლეონს შენგან ბოძება აკლდეს და დიდი წყალობა არა სჭირდეს, არცა ნაათალს ღირსა იგი; მაგრამ მტერი ბევრი

უვის და არ შეასმინონ მეფობისა თქვენისა კარსა.

მოახსენა მამას არაკი:
ქრისტიანი და ურია

სტამბოლს ერთი ქრისტიანი და ერთი მდიდარი ურია ქიშპნი იყვნენ. ურია მალ-მალ ქრთამსა გაიღებდის და ამ საბრალოს ქრისტიანს დააჭერინებდის თათართა. ხან სციან, ხან დააბიან. იყო დიდს საპატიჟოში.

დღესა ერთსა მან ქრისტიანმან ჰკითხა მას ურიას: წინასწარმეტყველნი რამდენნი იყვნენო?

ურიამ თქვა: ოცდაოთხნიო.

ქრისტიანმან უთხრა: სახელები დაწერეო!

ურიამ ყველა დაწერა.

ქრისტიანმან უთხრა: მაჰმადი რად დააკელო?

ურიამ თქვა: როდის იყო წინასწარმეტყველიო?

ქრისტიანმან მისის მტერობით ამ კითხვაში თათარი დაისწრა, მოწმად დაიჭირა. მივიდა. ყადს უთხრა. დაიჭირეს ურია და დაარჩვეს.

- აწე, ყოველი მტერი ამის ცდაშია, რომ დრო შემოიგდოს და წაახდინოს.

დიდს მტერს კაცი ან შეეხვეწება და ან გარდაეხვეწება.

სწორს მტერს ან პასუხს უზამს, ან მოუფრთხილდება.

ცოტასა და ცუდს მტერს უნდა უფრო უფრთხილდეს კაცი:

ცოტა მტერი ცეცხლსა ჰგავს, ნაცარში დამალულსა, არა ჩანს და რა გაჰქექ, ხელს დაგწვამს.

ცოტა მტერი სიკვდილსა ჰგავს უჩინარსა, მოვა, ვერცა ქრთამით, ვერცა ძალით, ვერცა ხვეწნით ვერ მორჩება.

ცოტა მტერი რა კაცზე დროს იშოვნის, აღარას ღონითა არ გაუშვებს, არ გადარჩესო.

ცოტა მტერი ორმოსა ჰგავს, თივას ქვეშე დაფარულსა, რა შესდგე, ჩაიჭრები. ამისათვის უნდა ყოველი კაცი ცოტას მტერს უფრთხოდეს, საფათერაკო იგია.

ავის კაცისაგან წახდენაც სირცხვილია კაცისა და

გაკეთებაცა, თვარამ კარგის კაცისაგან კარგი სჭირს თუ ავი, ორივ სახელია, ამად რომე, თუ ავი არა ხარ, ავს კაცს რად მოირევ და თუ უარესი არა ხარ, რად შეეხვეწები. ეგრევე, თუ კარგი ხარ, კარგს გიზამს; კარგისაგან კარგი გამოვა და მას იქმს, და თუ ავს გიზამს - სიკეთე, ჭკუა და ძალი სამივ შენზე მეტი ექმნება და მოგერევა.

მაგრამ კაცისა დიდი სიკეთე იგია, რომე სიავე არ იმახსოვროს და სიკეთით დაფაროს.

რუქამ უთხრა:

- ძეო მეფისაო, ამას სცდილობ და ამად არაკობ, მე წამახდინო და ლეონ გააკეთო, მაგრამ ჩემის გარდაკიდებით ლეონს ეგრე დაემართება, ვითა მას კაცსა დაემართა.

უთხრა რუქამ არაკი:
დარბანდელნი მთიბავნი

სოფელსა დარბანდს გამოვიდნენ თივის მთიბავნი, ცხენთა სხდეს და ცელები ხელთა ჰქონდათ. შეექმნათ თივაზე ცილობა. ცელის ტარს ჩააბრჯენდიან:

- აქამომდე ჩემიაო!

- არა ჩემია, სამანი ესე არისო!

ერთი მეტად გაგულისდა. ცელის ტარი თურე მოკლე იყო. ცხენით რომ ჩააბჯინა: აქამდინ ჩემიაო! - ცელის პირი კისერს მოჰხვდა და თავი მოჰკვეთა. მისი თივაც მეორეს დარჩა.

- შენის ლეონის დიდებაც მე არ დამრჩეს და ეგ ბოროტად

არ გარდაეგოს, ნახავ!

უთხრა ჯუმბერ არაკი:
გილანელი მოლა

გილანს ერთი მოლა იყო. ბრინჯი დაეთესა და ველურმან ღორებმან დია წაუხდინეს. მოლამ ღორის ქაშანზე დიდი ორმო ჩათხარა და ლელი წაჰბურა და წამოვიდა. რა ნაჩვევნი ღორნი მოვიდენ, ორმოზე გამოიარეს, ლელმან უტყუა და ერთი დიდი ტახი ორმოში ჩავარდა.

მივიდა მოლა, ნახა, ღორი შიგ გდია. აიღო უღელი და ზევიდამ შიგ ჯგვლემა დაუწყო და გინება. უღლის ტაბიკი მოლას კისერზე მოედვა და მოლაც ღორთან ჩავარდა. ღორმან მოლას ღოჯით ცემა და კბენა დაუწყო, ასე გახადა, მთელი ასო აღარ შეარჩინა. რამდენს მოლა ეხვეწებოდა, ღორი უარესს უზამდა.

- მის მსგავსად, შენ შენგან ნათხარს ორმოში ჩავარდები და ვედრება აღარას გაგივა.

რქვა რუქამ ჯუმბერს:

- რადგან შენი ლეონ ღორს შეადარე, ესრეთ გავიხარე, ვითამცა ყოველი ჩემი გულისა ნება აღმისრულდა-მეთქი.

თქვა რუქამ არაკი:
ორი მდიდარი

ერთი დიდად მდიდარი კაცი იყო და ერთი სხვა კაცი იყო. მისი უცხო სიმდიდრის ხმა გასულიყო.

თქვა მან, მრავლის მქონებელმან მდიდარმან:

- ჩემი სალაროსა რიცხვი არა ვიცი, მეფეთაც არა აქვთ ჩემოდენი და მის კაცისა სიმდიდრე უფრო იქება ჩემგან. წავიდე და ვნახო მისი უნჯი, რის უფალია?

მივიდა, მას კაცს ეველრა მისის სალაროს ჩვენებისათვის.

წაიყვანა მან კაცმან მდიდარი იგი, ურიცხვი ბეღლები უჩვენა ხვარბლითა და ქერითა სავსე და მხიარულად უთხრა: ღმერთს ჩემთვის ესოდენი წყალობა მოუნიჭებიაო!

მდიდარმან მასცა აგინა, და რომელიც მის დიდებას აქებდა, მასცა და ეგრე უთხრა: რაც შენ პური გაქვს, იმდენი მარგალიტი მაქვს და სიმდიდრედ არ მიმაჩნიაო, და წავიდა.

მომავალსა წელსა ესეთი სიყმილი მოვიდა, რომე პურის

ხსენება არსად იყო, დაიმშა ყოველი კაცი.

მან მდიდარმან მოუგზავნა კაცი პურით მდიდარსა და თვალ-მარგალიტი მოუძღვნა და პურს ევაჭრა. მან პასუხი არ გასცა. მერმე აქლემთ აჰკიდა მრავალი თვალ-მარგალიტი და მოუძღვანა, რომე სხვაგან არ დაიდებოდა.

მან ფასი აგრევე შეაქცია და ესრეთ შეუთვალა:

- ნუ ჰგონებ, რითაცა ფასითა მე შენ პური მოგყიდო, და თუ ცოლი გამომიგზავნო, რაოდენი გინდეს, წაიღევ!

რა ეს ესმა, კაცი იგი დიდად დაჭმუნდა და თქვა: თუ მივსცე ცოლი, ამხანაგთ რა უთხრა, ანუ ვისთვისღა ვიყიდო პური; თუ არა და, პურს არ მომცემს და შვილნი დამეხოცებიანო.

ღონე გაუწყდა. შესვა ცხენსა ცოლი და გამოუგზავნა.

რა მან კაცმან მისის ცოლის მისვლა სცნა, ეგრე უთხრა: შენ ჩემი დედა ხარ, რადგან შენი ქმარი ესრეთ ვნახე, ამპარტავნად მაგინებელი დია დამბალა, აწ რაოდენი გენებოს, წაიღევ და წადიო!

მრავალი მისცა და გაუშვა.

- ჯუმბერ! რადგან შენ ლეონ ესრეთ მოიძულე, ძაღლთა და ღორთა ადარებ, აწ რაღა მომკლავს?

გაეცინა ჯუმბერს და ეგრე უთხრა:

- ვაგლახი შენთა სიხარულთა! ღორს ავი მოლა ვით უკეთესია? და რადგან ეგრე გიამება, თუ გინებს, კიდევ ღორობით ვახსენებ.

მაგრამ რა სარგებელი გეცა?

რუქამ უთხრა:

- ოღონც შენ ლეონს ღორი უწოდე, და მე მეგობრად შევექმნები!

ჯუმბერ უთხრა:

- ნახევარს კაცსა რასათვის ოცის კაცის გული გიძს? ჭინჭრაქა ესრე უგუნურია: რა იქუხებს, გულაღმა გარდაბრუნდება, თუცა ცა არ დაიქცეს ფეხი მივაშველო, რომ ქვეყანა არ წახდესო; და წერო ამპარტავნობით, თუ არ სლვაში, ორ ფეხსა არ დასდგამს, ჩემის სიმძიმით ქვეყანა არ ჩატყდესო. რა გგონია ეგ შენი ბილწი თავი, ანუ რა ხარ?

თქვა ჯუმბერ არაკი:
მელი და წერო

მელმან წერო აწვია. ოსპი შეუგბო და სპილენძის თეფშზე დაუსხა. ორთავ ჭამა დაუწყეს. მელი ენით სთქლაფვევდა და წერო რას შესჭამდა თეფშზე? თითო-თითოს თუ აიღებდა.

მეორეს დღეს წერომ აწვია მელი და მუხუდო შეუგბო და პირვიწროს ქოთანში ჩაუსხა. ორთავ ჭამა დაუწყეს. წერომ ნისკარტი ჩაყო და ჭამა დაუწყო და მელმან ტუჩი ვერ ჩასტია. რასა სჭამდა? იწყინა მელმან, გაუმტერდა და შეამყრალა. წეროს ეწყინა და თვალთა შეასკინტლა.

ანუ მათი სიტკბო და წვეულება რა იყო, ანუ რისხვა და მტერობა?

- აგრეთე თქვენი მეგობრობა და სიყვარული რა იქმნება, ანუ სიქიშპე? ზოგთა კაცთა, რა პატრონი სიკეთეს მიაპყრობს, თვისის თავისა ეგონება და არა პატრონისაგან. შენ საჭურისი ხარ, მეფის ერთგულობა და დღე და ღამის სამსახურისა ცდა გმართებს. იგი ჭაბუკია, მე მახლავს; მეფის მონობა და ჩემი წვრთა ჰმართებს. ან შენ მასთან რა საბრძოლავი გაქვს და ან მას შენთან რა საშუღლარი?

თქვა რუქამ არაკი:
ყადი და ეშმაკი

ორნი კაცნი გზასა მივიდოდნენ. ერთმან ქვას ფეხი წამოჰკრა და ეშმაკს აგინა. მეორემ უთხრა: რა გაწყინა, მან ხომ არ გირჩია, ყოველნი ეგრე უბრალოდ აგინებთო?

რა იგი ამხანაგი გაეყარა, მივიდა ეშმაკი და მოსარჩლე კაცს უთხრა: რადგან შენ მე მომეხმარე, მეც შემოგზღავ. ერთს გვარიანს ჯორად ვიქცევი, შემჯექ, ჰალაბის ქალაქს ჩადი; მუნებური ყადი ქაბას მივა, ჯორს ეძებს სასყიდელსა, ვირემ ასი ფლური არ მოგცეს, ნუ მიმყიდი და შენ შენდა წადიო!

იქცა ჯორად. შეჯდა კაცი იგი და ყადის კარი ჩაიარა. დია მსუქანი, ჭრელი და თოხარიკი ჯორი იყო. ყადის მსახურთ ჰკითხეს. მან გასასყიდლობა უთხრა. შევიდნენ მაშინვე, ყადს მოახსენეს. მისცეს ასი ფლური და ჯორი გამოართვეს. ყადმან დიდად მოიწონა. მეტის სიყვარულით წინ დაიბა.

რა ორი-სამი დღე გამოვიდა, მოსამსახურენი საქმეზედ გავიდნენ. ყადი შეფრფინვით შესცქეროდა, ჯორმან ავშარა წაიყარა და აეშვა. მუნ ხელსაბანი კუმკუმა იდგა,

მას შიგ ჩაძვრა.

დაიწყო ყადმან ძახილი. მსახურნი მოვიდენ, მათ ყოველი უამბო. ეგრე თქვეს: დაფეთებია რამე და შეშლილია, თვარა რას როტავს, კუმკუმაში ჯორი ვით ჩავა, ან როგორ დაეტევაო!

დაიჭირვს ყადი, ბევრი ტანჯეს და დააბეს. ფიცავს ყადი: ხელი არა ვარ, მართალს ვიტყვიო!

ვინ მოუსმენდა?

ორმოც დღეს არ დააძინეს, ხან აროკებდენ და ხან რჯიდენ. რა ღონე მოსწყდა, თქვა:

- ახლა მოვრჩი, აღარა მჭირს რა!

გაუშვეს. მარტო ჯდა. კუმკუმის პირიდამ თავი ამოჰყო ჯორმან და ყურები გაიბერტყა. დაიძახა ყადმან: აქავ არის, მიშველეთო!

მოვიდენ იგი კაცნი, კიდევ შეიპყრეს და უარესი ჭირი დამართეს. კიდევ, საქმე რომ გაუჭირეს, თქვა: მოვრჩი, აღარა მჭირს რაო!

კიდევ გაუშვეს და ყადი ჭკვიანად ჯდა. კიდევ კუმკუმის პირიდამ თავი ამოყო ჯორმან და ყურების ბერტყა შექმნა. ყადმან უთხრა: დიახ გხედავ, მანდა ხარ, მაგრა შიშით ვერ ვიტყვი, ტანჯვისა მეშინიანო.

- იგი ყადი მართლა ამბობდა, ხედვიდა და არავინ უჯერებდა. მე მასავით ვხედავ, მართალს ვამბობ, არავინ მისმენთ და რა ვქმნა?

თქვა ჯუმბერ არაკი:
მჭედელი და ეშმაკები

ერთი მჭედელი იყო ქალაქსა შამისასა. წამსა და წუთს ეშმაკს აგინებდა. შეწუხდენ ეშმაკნი და მჭედლისათვის მახე გააკეთეს. ერთი ეშმაკი ბერის კაცის სახით მოვიდა, ერთი ვაჟკაცი შვილად მოიყვანა, მჭედელს ოცი ფლური მოუტანა: ამ ჩემს შვილს შენი ხელობა ასწავლეო!

მჭედელს იამა და მიიბარა. კარგს სწავლებას დაჰპირდა.

ორს თვეს უკან ერთი ეშმაკი ბერს, უძლურს კაცად შეიცვალა და მოვიდა მჭედელთანა, ორასი ფლური მოუტანა და უთხრა:

- დია დავბერდი, აღარა ძალმიც რა, ეს ხელფასად აიღევ, დამადნევ, გარდამახალისე და ოცისა წლისა გამაკეთე!

მჭედელმან ეშმაკს აგინა: ეს როგორ იქმნება კაცისაგანაო!

შაგირდმან უთხრა: ფლური გამოართვი, მე თოქმაჩის შვილი ვარ, მე კარგა დავახალისებო.

ეშმაკი ეშმაკურის საქმის მცოდნელია. შეკრეს ეს ბერიკაცი, დადვეს. ნახშირი და ცეცხლი დააყარეს და დაუწყეს საბერველით ბერვა, მრავალი იძახა: დავიწვი, ნუ დამწვავთო!

მათ უფრო უბერეს. ეშმაკს რა დასწვავდა?!

ცოტაოდენი ჟამი გამოხდა, ცეცხლიდამ ოცის წლის კაცი ამოძვრა. გაუკვირდა ყოველსა კაცსა და განითქვა ეს ამბავი: ესეთი ხელოსანია იგი მჭედელი, ორასის წლის კაცს დაახალისებს და ოცის წლის ვაჟკაცად შეიქმსო!

მიესმა შამელს ყადს; დია დაბერებულიყო, ორასი ფლური მოუტანა: დამახალისეო!

მჭედელი დაჰპირდა. ეგონა, ამასაც დავახალისებო. გარდააცვეს თავსა ფერხი, ჩადვეს ცეცხლში და დაუწყეს ბერვა. რა გაჩხრიკეს ცეცხლი, ძვალიც ვეღარ პოვეს, ესრეთ დამწვარიყო.

დაიჭირეს საბრალო მჭედელი და დაარჩვეს. ეშმაკებმან ეს ხრიკი უგდეს.

- ეშმაკი ეშმაკს კიდეც გარდაახალისებს და კიდეც ნახავს. შენ ეშმაკი ხარ და ეშმაკს ჰხედავნ, მაგაზე რა ფიცი გინდა, ან ვინ არ დაგიჯერებს.

თქვა რუქამ არაკი:

სპარსი და ინდო

ერთი სპარსი ვაჭარი წავიდა ინდოეთს. მივიდა ქიშმირის ქალაქად. სადა დიდებულთა ვაჭართა საკრებულო იყო, მუნ შევიდა. გარდაიარა და ყოველსა კაცსა ზევით დაჯდა, რიდე მოიხადა, გვერდს დაიდვა და ფერხი მუხლთა შემოიდვა. ეგრე ამპარტავნად დაჯდა, რომე მის უდიდესი კაცი მუნ არ ყოფილიყო.

თქვენცა გასმიათ ინდოთ სიმდიდრისა ამბავი.

ერთი კაცი გარედამ იმზერდა, რომე შინაგან შესვლასაც არ აღირსებდენ, არა თუ დაჯდომილიყო. მან კაცმან, რა სპარსი ეგრე მჯდომი ნახა, ერთი მოსამსახურე კაცი შეუყენა:

- გამოიკითხე, რაოდენი ათასის სალაროს პატრონია?

რა ჰკითხეს სპარსსა, მან კვეხნით თქვა: სამასი თუმანი მაქვსო.

რა ეს ესმა გარემდგომსა მას ინდოსა, წყენისაგან უჭკოდ გახდა, ეგრე თქვა:

- მე სამასი სახლი ქარვისა მიდგანან და სხვას დიდებას გარდა, რვა ვეცხლის ბალავარი კართა მიგდია კაცთა უკუსაჯდომად, და მუნ შესვლას არა ღირს ვარ, მათ პატრონ კაცთა ლოცვა მოვახსენო, და იგი უმსგავსო შესრულ არს და ყოველსა ზემორე უზის, რომლითა ჯდომითა ანუ რომლითა დიდებითა!

რა იგი სპარსი გამოვიდა, ინდო კართა დახვდა და ეგრე უთხრა:

- შენ აქაურის ვაჭრობის უმეცარი ხარ და, თუ შენც გნებავს, რაც სავაჭრო შენ გაქვს, ეგოდენს მე ჩემსას მოგცემ, ერთად ვივაჭროთ, ზიანი და სარგებელი ერთად სწორი იყოს ჩვენთვის!

იამა სპარსსა და ნება დართო. სამასი თუმანი სპარსისა, სამასი - ინდოსი. ექვსასი თუმნისა, ინდომ ურჩივა, სულ ნიორი და ხახვი იყიდეს. ფუნდუკები იქირავეს და იქ დააზვინეს. ინდომ უთხრა:

- სამს თვეს უკან დაძვირდების და ერთი ათად შეგვექმნების.

გამოხდა სამი თვე, სრულებით დალპა ამათი სავაჭრო. სპარსმან უთხრა:

- წახდა ჩვენი ჭირნახული!

ინდომ ურჩია: აიღეს ვალი, მუშა დაიჭირეს, დამპალი გადაარჩიეს და სხვა შეინახეს. კიდევ უთხრა: - დიდად გასარგებლებო!

გამოხდა სამი თვე. სრულობით ასე დალპა, ერთი აღარ დარჩა.

შექმნა სპარსმან ტირილი და ინდოს ბრალობა დაუწყო. ინდომ უთხრა:

- რას ლაყბობ, ზიანი და სარგებელი სწორი იყო, შენი და ჩემი სწორად წახდა!

იგი სპარსი ეგრე დაგლახაკდა, პურის შოვნა არ ძალედვა. მერმე იგი ინდო მივიდა და სპარსი თავისთან წაიყვანა, მისცა სამასი თუმანი სხვა და ეგრე უთხრა: ძმაო, ეს

ექვსასი თუმანი შენმა იქ ჯდომის ჯავრმან დამაკარგვინაო!

- მას ინდოსავით, შენის ლეონის ჯავრი ესრეთს საქმეს მაქნევინებს, ყოველს კაცს უკვირდეს.

თქვა ჯუმბერ არაკი:
ყარყატის თავგადასავალი

ერთს ადგილსა მრავალი თეთრი ყარყატი ბუდობდა. ერთმან კაცმან ერთის ყარყატის კვერცხები დაიპარა და ბატის კვერცხები ბუდესა ჩაუწყო. გამოჩიკა მან ყარყატმან და დაზარდა, თვისი ბარტყი ეგონა. რა დაიზარდა, მამალი ყარყატი მოვიდა, ნახა, მისი მსგავსი არ იყო. შეჰყარა მის თემის ყარყატნი და ყველაყას უჩვენა. დაიჭირეს ეს უბრალო დედალი ყარყატი, მოკლეს და ტვინი ამოსწოვეს.

- აწ რა გაწყინა შენ ლეონ? ცოლი იყო შენი და გაგიბოზდა, მტერი იყო და ძე მოგიკლა? ანუ ცოლი გესვა და მასთან განისვენა? ანუ მაგან ხეიბარ გყო? რა გიყო? მითხარ! თავმან მეფისამან, არა ვუსარჩლი. არცა შენსა მირჩევნია, მაგრამ მართალსა ვიტყვი. შენსა და მას შუა სამტერო არა არის რა.

მტერობა სამთა ჰმართებს:

ერთსა - მესაზღვრეთ, რომ სამანს გარდასვლა მოინდომოს;

მეორეს - სხვის მამული რომ სხვას ეჭიროს, თუ იგი არ წახდეს, მას ვერ იშოებს;

მესამეს - ერთს მეორისაგან სასირცხო საქმე სჭირდეს.

თქვა რუქამ:

- არა ვფარავ, მტერი ვარ ლეონისა.

თქვა ჯუმბერ:

- სამთა არა მართებან მტერობანი:

ერთს - ნავში მჯდომსა - მენავისა;

მეორეს - მინდორს მსახლობელს - მაგართა ადგილთა მსახლობელისა;

მესამეს - ნაკადულთა ზედა ბოლოს მსახლობელს - სათავეზე მსახლობელისა.

თქვა რუქამ:

- მეფის ძე ხარ და დაგვატკბე!

თქვა ჯუმბერ:

- სამთა ჰმართებენ სიტკბონი:

ერთსა - ციხის მოზიარესა;

მეორესა - ბევრის განაყოფის პატრონსა;

მესამესა - ლხინზედ მსხდომთა.

თქვა რუქამ:

- ცუდად ვაშრობ თავსა ჩემსა.

თქვა ჯუმბერ:

სამნი შვრებიან ცუდად:

ერთი - ტალა მოშიშარი;

მეორე - მცდელი ჯორთა მაშობრობისა;

მესამე - მდევარი ქარისა.

თქვა რუქამ:

- ენათ სიმრავლეს იწვრთი.

თქვა ჯუმბერ:

- სამთა მართებენ ენამრავლობა:

ერთსა - გლახაკსა უპოვარსა;

მეორესა - ქადაგსა მოარულსა;

მესამეს - კაცსა მოჩხუბარსა.

თქვა რუქამ:

- გარდავიხვეწო ხელთაგან შენთა.

თქვა ჯუმბერ:

- სამთა ჰმართებენ გარდახვეწა:

ერთსა - თემთაგან პირადაღებულსა;

მეორესა - ურჩის ცოლის უფალსა;

მესამესა - პატრონისა ორგულსა.

თქვა რუქამ:

- ჩემდა სანატრელ არს სიკვდილი.

თქვა ჯუმბერ:

- სამთა ენატრება სიკვდილი:

ერთსა - ბოროტითა სიცოცხლითა ცხოვრებულსა;

მეორეს - სენგრძელსა და უკურნებელსა;

მესამესა - უეჭველად ედემის მომლოდნელსა.

თქვა რუქამ:

- განძება ჩემი გნებავს, უთუოდ.

თქვა ჯუმბერ:

- სამნი განიძებიან:

ერთი - მეზვრე - ქურდი ყურძნისა;

მეორე - მკურნალი - წამლისა უმეცარი;

მესამე - მსხემი უამებელი.

თქვა რუქამ:

- ვხედავ განგარისხე!

თქვა ჯუმბერ:

- სამნი განარისხებენ კაცსა:

ერთი - შვილი ურჩი და უსმინარი;

მეორე - დიაცი მაგინებელი;

მესამე - მონა ყბედი.

თქვა რუქამ არაკი:
ფილოსოფოსნი

ერთი დიდი ფილოსოფოსი იყო ყოვლითა სიბრძნით

შემკული. დაუტევა სოფელი და განშორებულად უდაბნოდ წავიდა. მუნ დადგა და მარტო ილოცევდა. სხვანი ექვსნი ფილოსოფოსნი იყვნენ დია ცოდნის მცდელნი და მოყვარულნი. სიტყვასა რასმე ზედა შესცილდენ, ვერა რომელი დაესკვნათ. წავიდნენ მის განშორებულისა ნახვად. ჰკითხეს, და მან დიდხანს ხმა არ გასცა, მერმე კიდევ ჰკითხეს და მან ეგრე უთხრა:

- თქვენ ყოველი თქვენი მონაგები ბევრის საუბრისა სწავლისათვის წაგიგიათ, და მე ჩემი მონაგები და ეს სოფელი ამაზე დავუტევე, რომ დადუმებით ვიყო და არ ვიუბნა.

მეტი არარა უთხრა, და სირცხვილეულნი წამოვიდენ უპასუხონი.

- მეც, თუ თქვენ მოგრჩები, არა ამ სოფელს, მას

საუკუნოსაც დავუტევებ და განვისვენებ.

თქვა ჯუმბერ არაკი:
დათვი და მონადირენი

ორნი ამხანაგნი ნადირობდენ. ხევი იყო და ხევს გაღმა-გამოღმა რონინებდენ. ერთს ამხანაგს დათვი შემოეჭიდა. ქვეშ ჩაიდვა. მეორე ამხანაგმან უყივლა: გაუშვი ეგ დათვი და წამოდი, სხვა საქმე გვიძსო!

მან დაუძახა: დათვი არ მიშვებს, თვარა მე წელანვე გავუშვებდიო!

- იმისი არ იყოს, შენ არავის ეშვები და არ აწყნარებ, თვარა შენი საუბარი არცა ვის იამება და არცა ვის ეხალისება.

უთხრა რუქამ არაკი:

ობოლი და მისი დედა

იყო ერთი ობოლი მარტვილი. რა მოიზარდა, დედას ჰკითხა:

- დედავ, ყოველს კაცს მამა უვის, მე რად არა მყავს?

დედამ უთხრა:

- შვილო, შენცა გყვანდა, მაგრა წყალმან დაარჩო.

შვილმან უთხრა:

- მას წყალზე ხიდი არ იდვა, მას ზედ გასულიყო?

დედამ უთხრა:

- იდვა, მაგრამ შორს იყო.

შვილმან უთხრა:

- ასრე შორს იყო, რომ აქამდის ევლო, ვერ მოუარდა?

დედას გაეცინა და ეგრე უთხრა:

- თუ მაგდენი გაესინჯა, არც კი დაირჩობოდა.

- ეს არაკი ამად მოგახსენე: თუ აგრე სიტყვის მსინჯავი ხარ, მოუწონებელს კაცს რად ეუბნები და აქამდის რად ვერ მოიგონე ჩემი უბრობა?

აღაღო ლეონ თავისი ბრძნად მოუბარი პირი და ტკბილად მოლაპარაკე ენა, უთხრა ჯუმბერს:

- ძეო მეფისაო! მარტვილი ხარ, სიტყვის გზას ეძებ და მეტის ნდომით უფრო ჰკარგავ, როგორც იმ მეფეს დაეკარგა, რასაც ეძებდა.

მეფემ ჰკითხა: როგორ ყოფილაო?

თქვა ლეონ არაკი:
მეფე და მჭედელი

ერთი მეფე იყო ლანგარუთს და ამის ცდაში იყო, რომ თავის სამეფოში ან ოქროს ქანი ეპოვნა და ან ქიმიის მცოდნე ოსტატი ეშოვნა.

მას ქალაქში ერთი მჭედელი იყო. ერთი ცული შექმნა და გაყიდა: წავიდა, რომელმანც ცული იყიდა, შეშას კოდა დაუწყო. ცული ერთსა ქვას მოხვდა, პირი წაუხდინა. თურმე ის ქვა, რასაც რკინას მოხვდებოდა, ოქროდ

შესცვლიდა. დაჰხედა ცულსა, გაყვითლებულიყო და პირი წახდომოდა. იწყინა ამ კაცმან: მომატყუა მჭედელმან და სინის ცული მომყიდაო.

მოვიდა, მჭედელს უშუღლა. მჭედელი დია ჭკვიანი კაცი იყო. ჰკითხა: პირი რამ წაუხდინა, რას შემოჰკარო?

წაიყვანა მან კაცმან, იგი ჯირკი აჩვენა: ამასა ვსჭრიდი და ამ ქვას მოჰხვდაო!

ფასი ისევ გამოართვა და ცული მისცა და წავიდა.

ამ მჭედელმან იგი ქვა წაიღო. რასაც რკინას წაუსვა, სულ ოქროდ იქცა. გამდიდრდა მჭედელი, რომ რიცხვი არ იცოდა, რა ჰქონდა. მან მეფემან თქვა: ამ მჭედელს ღმერთი სწყალობს, მრავალი აქვს, ამის ქალს ჩემის შვილისათვის ვითხოვო.

ითხოვა ქალი, ქორწილი უყო. მჭედელმან ასე თქვა: ამის უფრო უცხო და უკეთესი მზითევი რა გავატანო? ამ ქვას გავატანო. ჩადო ოქროს კოლოფში, დაბეჭდა ქვა და გაატანა. სხვა არარა მზითევი.

მეფის ჩარდახი ზღვაზე წაკიდებული იყო: მუნ ჯდა. თქვა: ჩემის რძლის მზითევი მაჩვენეთ რა მოჰყოლიაო?

მოიტანეს და მოართვეს: ამის მეტი არა მოჰყოლია რაო.

გახსნა მეფემ, ერთი სიპი ქვა იდვა, იწყინა: ამიტომ ვითხოვე გლეხის ქალი, მრავალი ქონება ჰქონოდა, ბევრი მზითევი გამოეტანებინაო.

და იგი ქვა ზღვაში გარდააგდო.

მოვიდა მჭედელი და ყოველივე მოახსენა. დაუწყო ძებნა, სადღა იპოვნიდენ?

რადგან გულით უნდოდა, იაფად იშოვნა და ადვილად და გაუსინჯავად დაკარგა!

- თუ სიბრძნეს ეძებ, მაგასთან ენას ნუ აშრობ;

თუ სწავლა გინდა, აჰა სედრაქ, ვაზირი მამისა შენისა, რომლისა მსგავსი არა არს ყოველსა ქვეყანასა ზედა;

თუ მეფეთა წესსა იწრთვი, აჰა მეფეთ მეფე, მამაშენი, რომლისა მსგავსი არა შობილა;

და თუცა ამბავი გინდა, ჩემოდენი ჭირი, ლხინი, უცხო თემი, საკვირველნი საქმენი არავის უნახავან. რად ეუბნები ესრეთს უგნურს, უგბილს, უგვანს, კაცთა

არასახესა? რა მოგწონს მაგასა შინა? თუცა სიყვარულით ეუბნები, ანუ სიძულილით ელაპარაკები, რად არ მოეშვები?

უბრძანა მეფემან ლეონს:

- მართალს იტყვი. უწინარესვე მენება მე კითხვა ამბისა შენისა: სადაური ხარ? ანუ ვისი ძე? ანუ როგორ წამოხველ? ანუ გზათა რა ჰნახე? ყველაყა მითხარ.

მოახსენა ლეონ:
უმეცარი დალაქი

ჩემი შობისა და მამა-დედათა უცნობობისა უწინარესვე ვჰკადრე მეფობასა თქვენსა და რა აქათ წამოველ, სოფელსა ერთსა მოველ. ხუთნი ამხანაგნი სხდეს და ლაღობდენ. მაწვიეს მეცა და დამსვეს მათთანა.

თავთა პარსვა მოუნდათ. მას სოფელსა ერთი უმეცარი დალაქი თურე იყო. კარგი ცოდნა იჩემა და მოვიდა.

დაუწყო ერთსა თავსა პარსვა. თურე დია შეაჭირვა.

მიღმა აქლემი ღრიალებდა.

მან კაცმან თქვა: მას აქლემსაც თავს პარსვენო და მისთვის ასე მწარედ ყვირისო.

ჩვენ ვიცინეთ და სხვათაც მოვაპარსვინეთ.

მეორეს დაუწყო პარსვა და დიდად შეაწუხა. ამოიღო ხუთი ბისტი, მისცა და უთხრა: ვიცი, ცოცხალი ვერ გარდაგირჩები, შენი ხელფასი არ შემრჩეს, მას სოფელსა ვალად არ დამეკიდოსო.

მესამეს დაუწყო პარსვა. მოკორტნა თავი და სისხლმდინარეს ბამბა დააკრა, სხვაგან მოჰკორტნა და დააკრა ბამბა. მართ ათამდე ადგილს დაჰკორტნა, ნახევარი მოჰპარსა. და რომ ვეღარ გაუძლო და შეაჭირვა, ეგრე უთხრა: ძმაო, ნახევარი ბამბა დაგითესავს, ნახევარი იყოს, ეს ნესვად მინდა დავთესოო.

ვიცინოდით და ერთმანერთს ამბავს ვკითხევდით.

მეოთხეს პარსვა დაუწყო. რომ შესჭირდა, მე ვკითხე: რავდენი ძმანი ხართ-მეთქი?

მან ეგრე მითხრა: თუ ამ კაცს მოვრჩი, ექვსნი ვართ, თუ არა - ხუთნიღა დარჩებიანო.

მეხუთეს დაუწყო პარსვა. დაჰკორტნა ბევრგან და ბამბა

დააკრა. რა გაათავა, ორი ფული მისცა. იგი დალაქი თურე სიტყვაწყლიანი იყო და ეგრე უთხრა: შენს თავსა ზედა ხუთის ბისტის ბამბა დამეხარჯა და ორს ფულს მაძლეო.

ვიცინოდით და, რომელიც უარს იტყოდა, ძალათ მოვაპარსვინით ხოლმე თავი.

რა მე დამიწყო პარსვა, დია შევჭირდი, მარა თავს არ დავიტყევ, რა გაათავა, ფასი მივე და მადლად ვუთხარ: ასემც მამა-დედათ შენთა სული განისვენებს, ვითა მე განმასვენე-მეთქი.

მათ ჩემთა ამხანაგთა გამკიცხეს: ხმელი ვირის თავი დაიყვირებდაო, შენ რა მადლს ეტყვიო?

მე ეგრე ვუპასუხე: - უარი მეთქვა, არ მომეშვებოდით, და იგი კაცი დავიმადლე და მამა-დედა დავუწყევლე.

მათ მკითხეს: ვითაო?

მე ეგრე ვუთხარ: მე რომ მისგან პარსვით განვისვენე, თუცა მისთა მშობელთა სულნი ეგრე განისვენებენ, ჯოჯოხეთს რა უარესი ტანჯვა იქნების-მეთქი?

ვსვით ღვინო და განვისვენეთ.

იტალიელი მხატვარი

წამოველ მუნით და მოველ ქალაქსა იტალიისასა. მნახა მხატვარმან ვინმე და მაწვია. ყოველთა მხატვართა უხუცესი იყო. მასთან ერთი თვე დავყავ. რომელი მხატვარი მას აწვევდა, მეც მაწვევდა ხოლმე.

ერთმან მხატვარმან გვაწვია. ერთს სარკმელში ერთი

საწერელი დაეხატა, გაშლილი კალამი რომ შიგ იდვას, მის მსგავსად, კაცს ეგრე ეგონებოდა, გაშლილი საწერელი ძესო. ერთი სხვა დია კარგი მხატვარი იყო, ხელოვნების მჩემებელი. მას უთხრა მასპინძელმან: ადეგ, ძმაო, ეგ საწერელი მომეც და მერმე მე გემსახუროო!

ზე ადგა იგი მხატვარი, საწერელი ეგონა. რა ხელი მიჰყო, კედელი დაჰხვდა, მეტად შერცხვენდა. ჩვენ გაგვეცინა.

მეორეზე მან გვაწვია. ამა უწინდელს მასპინძელს საწერლის საქმე დავიწყებოდა და მას კედელსა ზედა ერთი გაღებული კარი გამოესახა. ეგრე ეგონებოდა კაცსა, შესავალი სახლის კარიაო. ღვინოს ვსმევდით და ერთსა სიტყვასა ზედა შეიცილნენ.

მასპინძელმან საწერლის მხატვარს უთხრა: ნუ ცილობთ, ჩემს წიგნში მართალი სწერიაო!

მან ჰკითხა: იგი წიგნი სად არისო?

მასპინძელმან კარი აჩვენა: მას სახლში ძეს და გამოიღეო და ნახეო!

ადგა, სწრაფით შესვლას ლამოდა და კედელს თავი შეატაკა და გაიხეთქა.

მასპინძელმან უპასუხა: ავად გიმასპინძლე, მარა მისთანა საწერლის ხატვას, მაგისთანას სახლში ისწავლიანო.

ღვინო ვსვით და გავიხარენით.

სხვამან გვაწვია მხატვარმან. ჩვენ დაგვსხა და, სადა ჩვენ ვსხედით, იქ გვერდით სხვა სახლი ედგა. მას შიგ ერთი რკინის აუზი გაეკეთებინა. მნახავს მდგარი წყალი

ეგონებოდა.

თვითო-თვითო მხატვარი მოიწვივის, მისცის ჭიქა, უთხრის: ძმაო, შეეედ, მანდ წყალი დგას, ამოიღე და გამოიტანეო!

შევიდიან, წყალი ეგონისთ, ატაკიან ჭიქა, გატეხიან და სხვით გზით გაიპარიან და სირცხვილეულნი წარვიდიან.

ერთი ბრძენი მხატვარი იყო. რა იგი აწვია, მოვიდა. ჭიქა მისცა და შეგზავნა. ნახა. აგრძნა, ხრიკი რამე არისო. ხელი მიჰყო, რკინა იყო. სამხატვროს საწერელი. მუნ მზა იდვა. მას რკინაზე ერთი მყრალი ძაღლის მძორი გამოხატა, რომე შიგ ჩავარდნილს ჰგვანდა. გამოვიდა და უთხრა: ვინღაცას ძაღლის მძორი ჩაუგდია, იგი აღარ იხმარების და აღარ ავავსეო.

შევედით, ვნახეთ, გვიამა, ღვინო ვსვით. დია მომეწონა მათი ხელოვნება.

სხვამან გვაწვია. მეორისა ამხანაგისა ცოლი თურე ენახა და მისი სახე გამოესახა, სრულად მას ამსგავსა. ჩვენ დავსხედით მას სახესთანა. მერმე იგი კაცი აწვია. შემოვიდა, ნახა ჩვენში მჯდომელი. ფიცხელი კაცი იყო. მას მართლა მისი ცოლი ეგონა. მეტის ჯავრისაგან ველარა გაიგნო რა. მოუხდა, ცემა ენება. რა მჯიღი შემოჰკრა, კედელი დაჰხვდა.

დიადი ვიცინეთ და ესრეთ დავლიეთ თვე იგი მუნ.

წამოველ მუნით, მოვხვდი კაცთა ვისმე სამთა. მინდვრად სხდეს მებოძირთა გზათა თანა. იგინიცა მას დღესა შეყრილიყვნენ, ძმათა სტიროდენ და ცოლებს აგინებდენ. მიველ, ვკითხე: რა წაგკიდებიათ-მეთქი!

მითხრეს: ცხენით გარდამოხედ, დაჯედ და გეტყვითო!

ერთმან თქვა:
მოშურნე რძალი

ერთი ძმა მყვანდა, საყვარელი, მორჩილი ჩემი და ნება გულისა ჩემისა. მისი ცოლი ჩემს ცოლს სიმწყაზრით სჯობდა. ამაზედ გაგლისპდა, დაემტერა: რად იგი უკეთესიაო!

გარდამეკიდა: ანუ რძალი შენს ძმას გააგდებინე და ანუ ძმას გაეყარეო!

მან, ჩემმა ძმამ, ცოლი არ გაუშვა, მე გავეყარე და აწ საგლახაკოდ დავიარები.

მეორემან თქვა:
პურის პურით ჭამა

ოთხნი ძმანი ვიყავით ცოლიანები. შემომადგა ცოლი ჩემი და ეგრე მეტყოდა: თუცა შენ ძმათა გაეყრები, ესეთი დიაცი ვარ, პურს პურით გაჭმეო.

დღე და ღამე არ მომისვენა. რა ძმას გავეყარე, ვუთხარ: პურით პურის ჭამა რა არს, მაჭამე-მეთქი!

შექმნა კორკოტი, წინ დამიდგა, პურიც ხელთ მომცა: აჰა, პური პურით ჭამეო.

ჯალაბნი მომძულდენ და გავეყარე.

მესამემან თქვა:
წაჯე-უკუჯექის ცეცხლი

რვანი ძმანი ვიყავით. შემომადგა ცოლი: თუცა შენს ძმათ გაეყრები, ასე გაგამდიდრებ, წაჯე-უკუჯექის ცეცხლს აგინთებო.

ღონე ვეღარ დავიდევ: გავეყარე ძმათა. ზამთარი იყო. დამსვა, დაანთო ცეცხლი. მოიტანის ჩალა, დააყარის. რა აანთის, უკუვჯდი, რა შემცივდის, წინ წავჯდი. ეგრე მიყვის. ვკითხე: რა არის-მეთქი?

მან მითხრა: ძოღან დაგპირდი წაჯე-უკუჯექის ცეცხლსა და იგიაო!

ახლა ვაებით ვიარები.

მითხრეს: შენც შენი ცოლისა და ძმის ამბავი თქვიო.

მე ეგრე ვუთხარ: არც ერთი მყავს-მეთქი.

მათ მაგინეს და გამომაძეს: მაშა ჩვენი აუგი რად მოისმინეო?

წამოველ. მოველ ქალაქსა მუყამისასა. მუნ მნახა მკურნალმან, რომელი ყოველთა აქიმთა მთავარი იყო. გამასვენა, მალხინა. აწვია ყოველნი აქიმნი და უთხრა:

- რომელთა უფროსად. ძნელი სამკურნალო საქმე გენახოსთ, ანუ გექმნასთ, სტუმარი ჩემი მოაყურეთ, თუცა იამოს!

თქვა ერთმან:
თავში სპილენძის ჩამდგმელი

კაცი ერთი ომში დამწყვდეოდა. თავის ჭაშა სრულობით

დამსხვრეული ჰქონდა, იგი ძვალი აღარ მოებმოდა. სრულობით ძვალი გამოვიღე და ძვლისა წილ სპილენძი ჩავუგდევ. შედუღდა და მან კაცმან დიდი ხანი იცოცხლა.

თქვა მეორემან:
მკლავის გაჩსნით მკურნალი

ბიძაჩემი დია ხელოვანი მკურნალი იყო. მაღლა დერეფანთა ჯდა. მის სახლის ძირს ფოლორცი იყო. ერთმან ჭაბუკმან ცხენით ქვე გაირბინა. აქიმმან ზე გარდახედა და კაცი მისწივა და ეგრე შეუთვალა: მკლავი გაიხსენ, თვარა სისხლი მოგაკვდინებსო!

მან ჭაბუკმან მოციქულს აგინა და აქიმი გაკიცხა. რა შინ მივიდა, სისხლი შემოექმნა და სიკვდილს მიეახლა.

რა ბიძაჩემმან იდროვა, მივიდა. ტირილი იყო. შევიდა, მოტირალნი გამოსხნა, ორნივე მკლავნი დაუხსნნა და მრავალი სისხლი ადინნა. მორჩა კაცი იგი, და უქებდენ სიბრძნესა და ცოდნასა მიერითგან.

თქვა მესამემან:
ვირის წვივის ჩამდგმელი

მეზობელი ჩემი ხელმარჯვე დოსტაქარი იყო. მეზობელმან ჩემმან წვივი დაილეწა ასე, რომე ძვალი სრულობით დაიფქვა, აღარ შეერთდებოდა და ხორცი გაუჭრა, ძვლები გამოუღო და წვივად ვირის წვივი ჩაუგდო. წამლები აყარა და შეადუღა და მოარჩინა.

თქვა მეოთხემან:
ბრძენი მკურნალი

ჩემი გამწვრთნელი დიდი აქიმი იყო. ყოვლის სენის მკურნალი იყო და თვით დასნეულდა დიდად. მოვიდენ მრავალნი მკურნალნი და რომელნიცა შემოვიდის საწამლოდ, მან სნეულმან ერთი თითი აუშვირის. იგი აქიმნი ვერას მიუხვდიან და აღარ აწამლების.

გამოხდეს მრავალნი დღენი. ეს ამბავი გაითქვა ყოველგან. ერთი სხვა აქიმი მოვიდა და ნახა. მან სნეულმან რომ ერთი თითი აუშვირა, მან მოსულმან ორი თითი აჩვენა. იამა სნეულსა, მოიხმო და მაჯა აჩვენა. უწამლა და მორჩა.

მე ვკითხე:

- რად სხვათ არ აწამლებინე-მეთქი?

მან მითხრა:

- ყველა გამოვსცადე და სიბრძნე არც ერთსა ჰქონდა, და უსიბრძნო აქიმი სამსალას მშობელია.

ვჰკითხე:

- თითის ჩვენება რა იყო-მეთქი?

მან მითხრა:

- მე ერთის თითის ჩვენებით ამას ვეტყოდი, თუცა ასი კაცი არ გაგიტყავებია, სრული აქიმი არა ხარ-მეთქი. სხვათ ვერა შეიგნეს რა. და მან ორი თითი მით მიჩვენა, ორასი გამიტყავებიაო და იგი, ამისი ცოდნა, მიამა და მით მოვრჩი. რა სნეულს გულს დიდად იამოს, იგი მორჩეს უსაცილოდ.

თქვა მეხუთემან:

მეფე და აქიმი

ბასრელს მეფეს საჭმლის ჭამასა შინა ყიას ძვალი დაეხირა. ვერა მკურნალმან ვერ არგო. წაიყვანეს პაპა ჩემი. მივიდა და ნახა. ჰკითხა ყოველი ყოფილი და შეიგნო.

მერმე ჰკითხა: შვილი გივისო?

მეფემ უბრძანა:

- ერთი ძე მივის ვირე ცხრისა წლისა და მსგავსი მზისა არის.

აქიმმან მოახსენა: თუცა მას დამაკვლევინებ და მის ღვიძლსა სჭამ, მორჩე, თვარა სხვა ღონე არა არის მორჩენისა შენისაო. მეფემ შორს დაიჭირა და მან იგივე უთხრა. რა ღონე აღარ იყო, ვაზირთაც ურჩიეს:

- თუ შენ მოჰკვდე, მტერნი შენნი შენს ძესაც მოჰკვლენ და სამეფოსაც ააოხრებენ და, შენ თუ მორჩები, სხვა ძე გეყოლება.

გამოიყვანა მეფემან ძე, მუხლთა დაისვა და აკოცებდა, ტიროდა და ეტყოდა: შვილო, ესრეთ მეტყვიან, ძე შენი დაკალ და მისი ღვიძლი ჭამე და მორჩებიო!

შვილმან ეგრე მოახსენა: თუცა შენ გერგება, ჩემი თავი შენისა ჭირისამც ნაცვალი იყოს, აჰა, დამკალ. მამა შვილსა შობს და შვილი მამას ვეღარაო!

მოსცეს აქიმსა დასაკლავად.

მან აქიმმან ეგრე თქვა: ერთი ფარდაგი გამიბით, მეფემ თავისი შვილის დაკვლას არ უმზიროსო!

ფარდაგს იმიერ ერთი თხა მოაყვანინა მალვით. რა თხას ყელზე დანა დააჭირეს, დიდი დაიბღავლა. მეფეს შვილის ხმა ეგონა, გული დაეწვა, ესეთი დაიყვირა «ვაი შვილოო», რომ ძვალი შორს გასტყორცა.

გამოიჭრა, ნახა, შვილი ცოცხალი იყო. აქიმს უთხრა: რა ესრე მიყაო?

მან ეგრე მოახსენა: თუცა ეს ხრიკი არ მექმნა, შენ თხისათვის ეგეთს რა დაგაძახებდა, ძვალი გამოგლეჯილიყოო?

მეფე იგი მორჩა.

ჩემს უხუცესს ძმასთან მოვიდა ერთი სნეული. ყოველთა აქიმთა უკვირდა მისი სენი. ჩემმან ძმამან რქვა სხვათა:

- ამა კაცსა გვამსა შიგან პირდაქცეული ბმო აბია; თვით არ გამოირწყვის, შაშარი არ მისწვდების და წამალი არ დაედების, რა ვუყოთ?

მათ რგების ღონე ვერა თქვეს რა. მან ხუთი წურბელი მოასხმვინა და ჩაანთქა. კაცი იგი მკვდარს დაემსგავსა. თურე წურბელი ბმოს მოეკიდა და დახეთქა. რა იდროვა ჩემმან ძმამან ერთი წამალი ჩაასხა, წურბელებიც წამოაგდო და მრავალი სისხლი და ბაყლი ედინა და მორჩა.

თქვა მეშვიდემან.
ქირმან-შაჰის ძე

ქირმან-შაჰის ძე დია დასნეულდა. მისთვის მრავალნი მკურნალნი შეკრბნეს და ვერა არგეს რა. აბდულ-ჯაფარ წაიყვანეს. ბევრი რამ უწამლა და ღონე ვერა დაიდვა. მერმე მის ყრმის და მამა-დედისა მისისა სახე გასინჯა. მაშინ ეჭვი რამე ჩაიგდო: სახეს სახისა მსგავსება შორევდა.

გამოიხმო იდუმალ დედა მის ყმისა და უთხრა: თუცა ძისა შენისა სიცოცხლე გინებს, მითხარ, ვისგან გივის? ესე შაჰის ძე არ არის, მე ვსცანო.

პირველად ბევრი უარი ფიცა, მაგრამ, რა ღონე აღარ იყო, გაუმხილა და უთხრა: ქმარი ესე ჩემი უშვილო იყო და ნათესავი არა ჰყვა. მკვიდრი სხვასა რჩებოდა. ერთი მეწისქვილე ვიხელთე უაზრობისათვის და მისგან არისო.

აქიმმან რა ყველაყა შეიგნა, მამა-დედას აღარ აჩვენა; საგებელი გამოაცალა, მცირე ჩალა დაუფინა; მაზე დააწვინა, წამალი აღარ უყო. თუ რამ ითხოვის საჭმელად, აგინის და მცირედი ხმიადი მისცის.

თურე მამის აგებულება ჰქონდა და ძვირფასი წამალი არ იშვნია და ამით მორჩა, და მამა-დედას მთელი მიჰგვარა.

თქვა მერვემან:
საგათის მკურნალი

სიძე ჩემი ერთის მოხუცებულის კაცის მეგობარი იყო და უყვარდათ ერთმანერთი.

სიძე ჩემი სოფლად წავიდა სააქიმოდ და ვირემ მოვიდოდა, კაცი იგი მოკვდა.

რა დაფლეს, მას დღესა მოვიდა აქიმი. რა მის კაცის სიკვდილი სცნა, მრავალი იტირა და მერმე გამოიკითხა: რის სენით მოკვდაო? მათ ყოველივე უთხრეს.

მალვით წავიდა, ერთი ბაროსანი კაცი თან წაიტანა, საფლავი მოთხარა, კაცი ამოიღო. თურე საგათა შეჰქნოდა და ცოცხალი დაეფლათ. მის სენის უფალი მკვდარს ემსგავსება, და ვერ ეცნათ.

აქიმმან ეს კაცი განძარცვა და, სადაც ძარღვი ჰქონდა, ყველა შაშრით დაჩხვლიტა, საფლავი ეგრევე განგოზა, ვით იყო. კაცი შინ წამოიღო. მრავალი სისხლი ადინა, უწამლა და მოარჩინა და დამალა თავისავ სახლს შიგან.

შვილი მის კაცისა წუხდა და, რამდენჯერ აღაპი ქმნის, აქიმიც აწვივის. აქიმი აღარ სტიროდის, მხიარულად იყვის. უკვირდა მას კაცსა: ესე და მამაჩემი მოყვარულნი

იყვნეს, აწ მისი სიკვდილი რად უხარისო?

რა ორმოცისა აღაპი გათავდა, აქიმმან უთხრა მას კაცსა: მე სიზმარი ვნახე, მამა შენი საფლავიდამ გაიპარაო.

მან კაცმან არ დაიჯერა. წაიყვანა, მოთხარეს, ნახეს, საფლავში აღარ იყო. დაიწყო ტირილი და მწუხარება. აქიმმან შინ წაიყვანა და ეტყოდა:

- მკვდარი რაღას გარგებს, საფლავშია თუ არა, რა სარგებელი აქვს?

კაცი იგი უფროსად ტიროდა. მერმე შეიყვანა შინა და უჩვენა მამა მისი: აჰა, ასეთი აქიმი ვარო!

რა ნახა, დიდი სიხარული შეექმნა.

თქვა მეცხრემან
მტერობით განკურნებული

მეზობელი ჩემი დასნეულდა. ყოველი მონაგები მკურნალზე წარაგო, და ვვრავინ რა ჰკურნა.

ესმა: შირაზის ქალაქსა ერთი აქიმი არის, რა სნეულს ნახავს, სცნობსო, თუცა სასიცოცხლოა, წამლის ნუსხას მისცემს, ეს იწამლეო, და თუ იწამლა, უეჭველად მორჩებაო და, თუცა სასიკვდილოა, პირს მიიმრუდებს და არას ეტყვისო.

რა ეს ამბავი ესმა, წავიდა სნეული იგი, ერთი მონა წაიტანა და მივიდა. რა მან აქიმმან ნახა, ფიცხლავ პირი მიიმრუდა და არა უთხრა რა. სნეული უღონო შეიქმნა, გამორიდა და მონასა თვისსა უთხრა:

- შენვე იცი, რამდენი ვეცადე და ვეღარ მოვრჩი, მოკვდავი ვარ. წადი, მაწონი მიყიდე, გული მითქვამს: ვჭამ, მოვკვდე.

ერთს წალკოტს შიგან გარდასვა, მიაწვინა. მოუტანა მაწონი და აჭამა. სრულად ვერ შეჭამა. გადანარჩომი მიაბარა. მიღმართ ხის ძირს დადგა. მონა ფხიზლობდა და სნეულს ეძინა.

მოვიდა ერთი ასპიტი და მაწვნის ჯამში თავი ჩაკიდა, სრულად შენთქა. მან შიშით ვერა განაძო. ასპიტმან ისევ ამოანთხივა, ჯამშიგავ ჩაასხა და წავიდა. მონა იგი პატრონისა სნეულობით აბეზარ ქმნილიყო: თუცა ჭამოს, მოკვდეს და თავისუფალ ვიქმნაო!

რა გაეღვიძა, მაწონი მოითხოვა. მოართვა. სრულ ასრე შეჭამა, ჭურჭელიც მოლოკა, დაწვა და დაიძინა. დაასხა

ოფლმან და განიკურნა. გაიღვიძა, გამრთელებული ადგა, აღარა სჭირდა რა. უთხრა მონასა: წავიდეთ, აქიმი იგი გავკიცხოთ, სიკვდილი ჩემი ეგონა და უწამლოდ მოვრჩიო.

რა აქიმთან შევიდნენ, აქიმმან დაასწრო, აგინა და ეგრე უთხრა: ვინ მოგცა? ასპიტის ნათხევი გიჭამია და მით მორჩომილხარო!

მან კაცმან ეგრე უთხრა: რას მიჰქარავ, უმეცარი ხარ და ვერა სცანო!

ამას ზედა შესცილდენ. მონა იგი წამოდგა კრთომით და ყოველივე უამბო. მერე მან აქიმმან ეგრე უთხრა:

- მე მაშინვე ვსცან, შენ ასპიტის ნათხევი გაგკურნებდა, მაგრამ რა მექნა, ძმაო? შეპყრობა არ ძალმედვა და, თუცა

კიდეც შემეპყრა, ვით ვანთხევინებდი? აწ ღმერთს შენთვის წყალობად მოუვლენია და მორჩომილხარ.

თქვა მეათემან:
სოკოს მკურნალი

ჩემმან მასპინძელმან, ქურთისტანის ბატონმან, მე წამიყვანა, დედა მისი თავად ხნიანი დიაცი იყო, და მერმე ასრე თქვეს: ოცი წელიწადია ასრე არისო და ვერა აქიმმან ვერ უწამლა რაო.

მიველ, ვნახე, უსუსურად იყო, დამჭლობილ იყო, ღონე არა ჰქონდა; ხორცი დაეყარა, ფერი წასლოდა, საჭმელს ვერ ინელებდა, სლვისაგან დავრდომილიყო, სიტყვა დამძიმებოდა, მაგრამ ცნობა კიდევ კარგი ჰქონდა. გავსინჯე. დიდი ზრუნვა შემექნა. რა მრავალი გულისთქმა შევქმენ, მის სენის თავი შევიგენ. ღვიძლზედ

სოკო დასხმოდა და მას გაეხადა. გამიჭირდა და დავღონდი.

ვუთხარ: ამას ასეთი სენი სჭირს, რომ ხნიანიც არ იყოს, ძნელ მოსარჩენი არის, მაგრამ ჩემს ოსტატობას ვსცდი-მეთქი და მადლი ღმერთსა-მეთქი.

მათაც ნება დამრთეს. აბანოს გარ სრულობით ნაბადი მოვაკარ და შიგან ფარდაგი დავკიდე, რომ ნიავი არ შემოსულიყო და ორთქლი დამდგარიყო. შევიყვანე, საძილო წამალი ვასვი, დავაწვინე. მუცელი გავუპე, შიგანი გამოვუშალე, საცა ღვიძლზე ან გვამში სოკო ესხა, ამოვთალე, წამლები დავსცხე, ზეთები დავასხი. შიგანი შიგავ შევუკრიფე, მის მის ადგილს დავაწყევ, მუცელი გავუკერე და მაგრად შევუკარ. რა გაეღვიძა, წამლით ხელი შევუწყევ. გავამთელე. მორჩა, გასუქდა, გაკეთდა. დიდად მიქებდენ ხელოვნებასა და მაქებდენ ყოველნი.

რაც ხანი მუნ დავყავ, მალხინეს, განმასვენეს და კარგის ამბებით შემაქციეს.

ლოდის დამგორებელი

წამოველ მუნით. მიველ ადგილსა ერთსა, მინდვრიანსა და ცხელსა. რა იგი გავვლე, ვნახე ჩაღმართი დიდი. მუნ კაცი ერთი ჩაღმართს ჩავიდის, აიკიდის ლოდი მრგვალი, ამოვიდის აღმართ, დააგორის; ჩაღმართ კიდევ ჩავიდის, აიკიდის, ამოიტანის და დააგორის. ამოტანაში ხვნეშოდის და, რა დააგორის ლოდი, იცინოდის.

მე ვკითხე: ძმაო, რად იჭირვი, ანუ რად იცინი-მეთქი?

მან მითხრა: მე ამ ერთის ქვით ჭირსაც ვნახავ და ლხინსაცა. ერთი ცოტა ქვა მაქვს და ჭირი და ლხინი ორივე

დიდი; და მრავალს კაცს ათასი ამდენი ოქრო აქვს და ცუდად უცან, მით ვერც ჭირს ნახვენ და ვერც ლხინსაო.

მომეწონა მისგან. ცოტა ცუდი სიტყვა დიდად კარგა მითხრა.

ორი პურით მასპინძლობა

მას გამოვეყარე. მიველ ერთსა წყაროზე. ორნი კაცნი წყალსა სმიდენ. რა მნახეს, ჩემი ნახვა იამათ. დასხდენ ჭამად. ორის პურის მეტი არა ჰქონდათ რა. მეც დამსვეს. ერთი პური ერთმან დაიდვა და მეორე მეორემან. მე არა მქონდა. ნახევარი ერთმან მომიტეხა და ნახევარი მეორემან.

ჩემი თურე მეტი შეიქმნა. რა შევჭამეთ, მათ არა ეყო. გამირისხდენ: გვაცდუნაო! ერთი პური ორთავ ვჭამეთ და

ერთი მარტო ამან შეჭამაო.

ორნი ერთს როგორ არ მომერეოდენ! შემიპყრეს, დამაბეს, ორთავ ას-ასი არგანი მკრეს. ჩემი მშველელი კაცი ვინ გამოჩნდებოდა! ხან ვედრებას ვეტყოდი, ხან სხვასა, მაგრა არ გამიკითხეს.

მე ვუთხარ: ვისცა ეწვივნეთ, მასცა თქვენთვის ასრე აქმნევინოს-მეთქი!

დამაგდეს მუნ დაბმული და სწრაფით წავიდნენ.

მოვიდა ვინმე კაცი ერთი მოწყალე; მკითხა ჩემი ამბავი. მე ყოველივე მოვახსენე. მან მითხრა: ძმაო, ხუთ სწავლას გამცნებ და დაიმარხეო:

უმეცარს კაცსა გულით ნუ მიენდობი;

შეუმცნებელს უსუსურად ნუ ეჩვენები;

ყოველ ჟამ ფრთხილად იყავ, შენი სახლიც იყოს;

მშიერს სტუმრად ნუ ეწვევი;

გლახაკისაგან ჩუქება ნუ გინდა!

მე დიდად დავუმადლე. ამხსნა და ესრე მითხრა: მათ კაცთა ბევრი სხვა მოუცდუნებიათო.

საგზალი მომცა და თვით წავიდა. მე რადღა დავდგებოდი?!

ჯიზი-გურგენ

წამოველ მუნითაცა. დამხვდა ზღვა. ჩავჯე ნავად. ამიდგა ქარი. ხომალდი დაგვემსხვრა. ყოველნი მონაგებითურთ დაინთქნენ. მე ერთს ფიცარს შევრჩი. შვიდი დღე და ღამე მატარა.

მერვე დღეს ღადომ კიდურად გამაგდო.

ავდეგ მაშვრალი, ზღვის ღელვისაგან დაღლილი, ვიარე. მცირე მთა იყო. გარდავხედ. ჟამი ზამთრისა იყო. დიდი თოვლი იდვა, ვიდრე მუხლამდე. მიველ ერთ კერძო. თუცა შენობა ვპოვო, მნებავს ჭამა პურისა.

ვნახე ჭაბუკი ერთი მომავალი, ახოვანი, შვენიერი, მხნე, მწყაზარი. თხელი ტილოს ნიფხავ-პერანგი ეცვა, სხვა არარა. თავშიშველი, ფეხთუცმელი, დაეკარწახა. პერანგზე ოქროს სარტყელი ერტყა. ორი ისარი გაეპყრა. მშვილდი ხელთ ჰქონდა. მოვიდა, მნახა. უცხოს თემობისად მიცნა.

ამბავი მკითხა, მოვახსენე.

მან მითხრა: მე ჯიზი-გურგენ მქვიან. ამ ჩემს ქაშანს მიყევ, სოფლად მიხვალ, ჩემს მაგიერ მათ კაცთა უთხარ: ვიდრე მოვიდე, კაცი ესე მოიმართებულეთ-თქო.

და წავიდა თვისსა გზასა. მე მოვყევ კვალსა მისსა. მოველ, ქალაქი იყო დიდი და კარგი. და რა მისი სახელი ვახსენე, მომეგებნენ კაცნი. ესრეთ დამიჭირეს, ვითა მათი პატრონი ვყოფილიყავ. კარგა დამხვდნენ: გამათბეს, მალხინეს, გამანებიერეს.

საღამოს მოვიდა ჯიზი-გურგენ. ერთი ირემი მოეკლა, ზურგს ეკიდა. კართა დააგდო. შევიდა შინა. სასალუქო შეიმოსა და გამოვიდა. დიდად პატიოსანი კაცი იყო. გვერდს დამიჯდა. ორი მზგეფსი განმასვენა.

მერმე მითხრა: მომყევ, ჩემსა სახლსა და რიგს ყველაყას გიჩვენებო!

ავდეგ, მივყევ. ბევრი კარგი სახლი დამატარა, ყოველი სამოხელო გაწყობილი და შემიყვანა ერთს დერეფანში. შუა დიდი აუზი იყო, ცივის წყლით იდგა და ყინული ეყარა. შიგ სამისა და ოთხის თვის მეტი და, წლისა და ორისა და სამის წლისა მარტვილები ისხდეს. ზოგი დავიდოდა, ზოგი იწვა.

გამოვიდა და ვჰკითხე: ყრმანი ესე არ მოსწყდებიან-მეთქი?

მან ეგრე მითხრა: სიკვდილი ღვთის ხელთ არის, თუცა მოკვდავია, აბანოთა შიგაც მოკვდებიან. ჩვენი აგებულება ესრეთ მამა-პაპათ უჩვევიათ და ესრე ვიქმთ. ვინ მოკვდება, მოკვდეს და რომელიც დარჩება, მე ძოღან რომ

მნახე, მისთანა ჭაბუკი გამოვაო.

გამიკვირდა და წამიყვანა მუნით.

შემიყვანა ერთს პალატში. დია კაი სახლი იყო. შუა ვეცხლის ბოძი ედგა და ოქროს ჯაჭვი ძირს მოება და წვერთა ბორკილი ჰქონდა. მას ზედა ერთი ბერიკაცი ება. ჯაჭვი ესრეთ გრძელი იყო, მას სახლს სულ მოუვლიდა და სხვა სახლსა შევიდის. მას სახლში ერთგნით ცხედარი ეგო, ერთგნით ტაბლა, ყოვლის სანოვაგით სავსე: ერთგნით ღვინო და ერთგნით ჭადრაკი და ნარდი. რომელსაც იგი ბერიკაცი მოინებებდა, მას იქმოდა: სმასა, ჭამასა, ძილსა, თუ შექცევასა.

ვჰკითხე: ვინაა-მეთქი?

მან მითხრა: მამაჩემიაო.

მე ვუთხარ: რად შეგიბორკილავს-მეთქი?

მან მითხრა: ძმაო, რა კაცი დაბერდება, ჭკუა დაუსუსტდება, კაცსა აწყენს. ეს ავი თემია. არავინ დაუთმობს, მე მას არ დავუთმობ. მას შუღლი მოსდევს და შუღლს კაცის კვლა. აწ ნებიერ არის, კართ ვერ გავა და, რაც იამებოდეს, იგი ქმნასო.

მუნით შემიყვანა, ერთი მშვენიერი სახლი იყო, დამსვა. უხმო, ერთი მწყაზარი ქალი გამოვიდა. მისთანა არა მინახავს რა. დია ლამაზი იყო და ტანადაც საროს ჰგვანდა. მრავალი თვალისა და მარგალიტის სამკაული აქვნდა. თავზე ერთი ოქროს წვლილი მავთულით მობმული, მრგვალი რაღაცა ება, თვალ-მარგალიტით შემკული, და ადგილზე მიათრევდა.

იგი არა ვკითხე. შევიგენ, მისი რამ იყო.

მან მითხრა: ეს ჩემი ცოლიაო და იგი კაცის თავი მისთრევსო.

მე ვჰკითხე: რად მისთრევს-მეთქი?

მან მითხრა: ერთს დღეს ამის უცნაურად შემოველ, მას კაცსა ეხვეოდა, და ეგრე უთხრა: ნეტამც შენს თავს არავინ გამყრიდესო. მე ესე სასიკვდილოდ ვერ გავიმეტე, სიტურფეს ჰხედავ და გუნება უკეთესი აქვს, და ცოდნა და რიგი იმისებრი არ ეგების, და ამას დავუთმე. მას კაცსა თავი მოვსჭერ, ოქროთი შევამკევ და ზედ მოვაბი, ნატვრა არ გავუქარვე. ღმერთმან ნუ გაჰყაროს! მის სიცოცხლეში ზედ ებას და იყოსო.

მერმე ეგრე მითხრა: ამაზე ნუ გამკიცხავ, რომ ჩემი აუგი

გითხარ. თუცა არ მეთქვა, უცხო კაცი, უცხო თემს, უცხოს ამბავს ვეღარ იტყოდიო.

ხუთასი ფლური მომცა, კაცი გამომატანა, ზღვაში ნავს ჩამსვა და გამომისტუმრა და წამოველ.

მიველ ქვეყანასა, რომელსა ჰქვიან დია კეთილი და კარგი თემი, მარა მას თემსა სიმართლე და მართალი სიტყვა არ ითქმის. ყველანი, დიდნი და მცირენი, მტყუარნი არიან.

მეფესთან მიმიყვანეს. მუნ ვიყავ, მართალს ვერავინ იტყოდა, დიდი სირცხვილი იყო.

მეფემან ნადიმი დაგვიდვა და დაიწყეს ნადირობის ამბის თქმა.

თქვა ერთმან დიდებულმან:

შავარდენი და წერო

წეროს შავარდენი მოვუტივე. შეიპყრა და ქვე ჩამოიღო. მიველ, ვნახე: შავარდენს თავი აღარ ება. ვთქვი: ნუთუ წერომ მოსწყვიტა-მეთქი! ვძებნე და ვერ ვპოვე. რა შავარდნის ქუდი ვნახე, შიგ იდვა. თურე მოტევებაში ქუდის საფხუწი ვერ მოვუფონე და ძლიერ გამექნივა; გაგდებაში თავი მომეწყვიტნა. შავარდნის სიკეთემ ეგოდენი მისტანა, უთავომ წერო შეიპყრა და მერმე მოკვდა.

თქვა სხვამან:
ბრმა ავაზი

ავაზი მყვა, მამისაგან დანარჩომი, რომე ნადირი ვერ გარდეხვეწის. სენიანობით თვალები დაუბრმავდა. დავღონდი და ვეღარა ვუწამლე რა. მიმძიმდა მისი

წახდენა. მისთანა აღარ იშოებოდა.

ერთმან კაცმან მითხრა:

- მაგას თავსა ზედა კატა დააკარ და ნადირს ადევნე; კატა ნახავს და ავაზა შეიპყრობს.

ეგრე ვქმენ და ველარას ღონით ნადირი ველარ გარდაეხვეწა.

თქვა სხვამან:
ბზიკის მწვრთნელი

მე ბზიკს ასრე გავწვრთნი, ჰაერიდამ მფრინავი წერო და ვარხვი ჩამოიღოს.

პირველ მოუწონეს. მერმე ჰკითხეს: ვითაო?

მან თქვა:

- ლერწამში ჩავსხამ, რა დაიმართება, რა წეროს კავკავი მოვა, ამოვუტევებ, ჰაერში ავლენ ორნივ, ერთი ერთს თვალში უცემს, მეორე - მეორეში. თვალნი დაუბრმდებიან და ჩამოცვივიან.

იწყინა ვაზირმან და მეფესა ჰკადრა: რა შენი საკადრისია, ასეთსა სიტყვასა მოგახსენებს! ეგება ეს კი იქმნას და მართალი იყოს: ის ბორა ბუზი რომ არის, იმან ამ რიგად ქმნას, რომ შეაწუხოს მეკალოვე ხარივითა და ძირს ჩამოიღოს.

თავმან შენმან, ამისთანა კაცი შენ წინ არ უნდა მოიყვანო!

თქვა სხვამან:

ნადირობას ვიყავ. მამალი ხოხობი გაფრინდა. ქორი მოვუტიე. მერმე დედალი გაფრინდა. აღარა მაქვნდა რა. მათრახი შევსტყორცნე. მათრახის ბილდირგა ხოხობს ყელს გადაეცვა და წავიდა.

მეორეს წელს შემოვიარე, მას ხოხობს ღლაპნი დაეფრინნეს და ყველას ყელზე წვრილნი მათრახნი ეკიდნეს.

თქვა აქიმმან:
თავტაფიანნი

მე ნადირობისა არა ვიცი რა და ეს ვიცი: მე სომხითის მეფისა აქიმი ვიყავ. მასთან ვჯე. ერთი შემცოდე კაცი მოიყვანეს. მეფემ მისის თავის წარკვეთა ბრძანა. მე

მცირედი დავაყოვნე, მუნვე წამალი შევაგებე. რა თავი მოჰკვეთეს მას კაცს, იგი წამალი ყიას ჩავასხი და ტაფა ყელზე დავაკარ.

აღარ მოკვდა კაცი იგი და თავის ნაცვლად ტაფა ება. სიკვდილს უკან სამი-ოთხი შვილი ეყოლა და თავი არც ერთს არ ება და წვრილი ტაფები ებნეს თავთა ნაცვლად.

თქვა ვაზირმან:
ბნელეთისა პირსა მსახლობელი კაცი

მე ვიყავ ბნელეთისა პირსა მსახლობელი კაცი. გლახაკი და უპოვარი ვიყავ. ერთი ცოლი მყვა და ერთი სახლი მედგა.

გავედ მინდვრად მარტო და ვლიდი ცუდად. ვნახე, ერთსა მგელსა პირთა ყრმა სჩრია და მოაქვს. შევუზახე. ყრმა

დააგდო და გაიქცა.

ავიყვანე ყრმა და ვჰკითხე: ვისი ხარ-მეთქი?

მან მრქვა: ქაჯის შვილი, მგელმა მომიტაცა. აწ რადგან მომარჩინე, დამმალე, მამაჩემი მოვა ძებნად, ჩემს წონას თვალსა და მარგალიტს მოგცემს, ნუ მიმცემ, ვირემ თავისი მარნის კლიტე არ მოგცეს. იგი შენ გეყოფისო.

ჩავსვი ჯირკსა შიგან და წამოსასხამი ჩემი მივაფარე. მოვიდა ქაჯი და მითხრა:

- მგელმან შვილი მომტაცა: თუ იცი და მასწავლი, ეგოდენს ოქროს მოგცემ, დასასრულამდე გეყოს.

მე ბევრი მიზეზი დავიდევ: ვიდრე მარნის კლიტეს არ მომცემ, არა იქნება-მეთქი.

მარნის კლიტე დია დამძიმებით მომცა და შვილს აბრალა, თვარა შენ რა იცოდიო და კლდე დამანახვა: მას კლდეს მიაყრდენ და კარი გაეღებაო! და წავიდა.

მიველ მას კლდესთან, კარი გავაღე. შეველ, არა იყო რა. ერთი ვირი ება. მეწყინა და ასე ვთქვი: ქაჯი იყო და მაცდინა, თვარა მრავალს მაძლევდა, ამის კლიტეს რას ვაქნევდი-მეთქი.

გამწყრალმან ვირს არგანი ვკარ. ვირმან უკანით ხაზინა გახსნა. სულ ვეცხლი და ოქრო გაყარა. რა ეს ვნახე, დიდად მიამა და შინ მოვიყვანე. ცოლს ვახარე. შევიყვანე სახლში, დავაბი. ქვეშ ვარცლი შევუდგით ხოლმე, ვცემდით და ვეცხლი და ოქრო გამოგვიყარის.

გამოხდა ხანი. გაავმპარტავნდი. აბანოში წაველ. მას

ვირზე შეჯდომა მოვინებე.

ცოლმა დამიშალა: მაგ ვირს ნუ წაიყვანო!

არ დავუჯერე. შევჯე, წაველ, ვირი აბანოს კარზე დავაბი და მე შინ შეველ. თურე მეაბანოვე სხვაგან იყო, მოვიდა, აბანოს კარზე ვირი ნახა, არგანი ჰკრა და აგინა. ვირმან თავისი ხაზინა გახსნა.

მეაბანოემ ნახა, იამა, მოიპარა და სხვა მისი მსგავსი ვირი დამიბა.

გავათავე აბანო, გამოველ, შევჯე, წაველ. რამდენი ვსცემე, ჩონჩორიკის მეტი აღარა გაყარა რა.

დამიწყო ცოლმან ბრალება და საყვედური. წაველ კიდევ მარნისაკენ, მეგულებოდა რამე. მიველ, შეველ, ერთი

ხელსაფქვავი იდვა. სხვა ვერა ვნახე რა. წამოვიღე დაღონებულმან, მომეხმარება-მეთქი.

მოველ. თუ წაღმართ მოვაბრუნი, სრულ სასმელ-საჭმელი, რაც მინდის, ყოვლის ნივთისა გამოყარის. აწ მით დავიწყე რჩომა.

კიდევ გაავმპარტავნდი და მეფის წვევა მოვინდომე.

ცოლმა დამიშალა: ნუ იწვევო!

არ დავიშალე, ვიწვივე. რა ფიცი მინდა, კარგა დავხვდი. შემიტყეს და ხელსაფქვავი წამიღეს. დავრჩი დაღონებული.

წაველ მარნისაკენ, ჩემი ღონე იქივ მწევდა. შეველ, ერთი გოგრა ეკიდა. სხვა აღარა იყო რა მის მეტი. წამოვიღე და

წამოველ.

მაშვრალი, მოწყენილი გზაზე დავჯე და გულისთქმა მომივიდა და თავს ვაბრალე: რად ვქმენ, მე აბანოს რას ვაქნევდი, ან მეფის წვეულობასა? ამისთანა ვირი და ამისთანა საფქველი დავკარგე. ნეტამც ოთხი კაცი ხელარგნოსანი მომაყენა და ეგოდენი მირტყა, რომ სულად მიმწურა.

გოგრიდამ ოთხი კაცი ამოძვრა, ეგოდენი მირტყეს, სულად მიმაგდეს. რა მოვისვენე, მიამა.

წამოვიღე გოგრა, მოველ ქალაქის პირსა. ვთქვი: ნეტამც თორმეტი ათასი კაცი ამოვიდეს, მეფეს ვირიცა და საფქველიც წამირთონ და მომიტანონ-მეთქი!

ამოძვრნენ ამდენი კაცი გოგრიდამ, ჩაესივნენ ქალაქს,

ვირიც და საფქველიც წაართვეს და მომიტანეს.

ცოლმან მითხრა: სხვა თემს წავიდეთ, ჩვენი ყოფნა აქ აღარ იქნებაო!

წამოვედით, ზღვაში ჩავსხედით. აღელდა ზღვა, ხომალდი დაამტვრია. ყველა დაინთქა. მე მარტო ფიცარს შევრჩი, ღადომ გამომაგდო კიდურსა. მოველ აქა და ამ დიდებას მივხვდი.

თქვა მეფემან:
აბდულ-აზიმ დავრიში

მამის მამა ჩემი, აბდულ-აზიმ, დავრიში იყო და ვლიდა პირსა ყოვლისა ქვეყანისასა. ესეთისა ტილისმისა ხელოვნობა ჰქონდა, რომე მას საქმე ვერ გადურჩებოდა. მრავალს უცხოსა და საკვირველს საქმესაც იქმოდა. თურე

სადაც მიწათა, ანუ კლდეთა საუნჯე შეამცნივის, ამოუღებელი არ გაუშვის და რაც ზედ ძნელი ტილისმა ნახის, მოშალის და განძი გლახაკთ განუყვის.

დღესა ერთსა ნახა ერთს ქვაბის კარს ტილისმათა ნიშანი და დაუწყო მას ჩხრეკა.

მას გზაზე მრავალი უცხო ტილისმა ნახა შექმნილი. ნახა პირველად ხრმალი, რომელი იქცეოდა, და მოშალა.

შევლო, ნახა წყალი, მდუღარე მომდინარე, რომ გასვლა არ ეგებოდა, და გაახმო. მასთან - მაიმუნი სპილენძისა, მებრძოლი სასტიკად, და იგიცა მოშალა.

შევლო, ნახა ტბა ვეცხლისა წყლისა. ეს კლდის ბილიკი ვერას ტილისმას, ვერას მხარს ვერ გადაუვლის, ზედ მიადგება. ვეცხლის წყლის მოშლა დიდად ძნელია და

იგიცა განვლო.

ნახა ცოტა სახლი, მას შიგან ზარდახშა დაბეჭდილი, აიღო, გამოიღო. ნახა ერთი ბალნით და ჩალით დაწნული ქუდი, ერთი დაბალი მაშია და ერთი სასანთლე იდვა.

გაუკვირდა და თქვა: ეს რა უნდა იყოს? ამას რაერთი ფასი აცნ, რომ ერთი უცხო და მძიმე ტილისმანი დაუცან ამისთვისო?

მუნით წამოვიდა, მოვიდა ქალაქსა ერთსა. ქუდი თავს ერქვა. ვისაც ეტყოდის რასმე, იგინი არას მიუგებდენ და უკვირდა დიდად. რა იგი ქუდი მოიხადის, ყოველმან კაცმან ხმა გასცის. თურე ვირემ თავს ერქვა, ვერა თვალი ვერ დაინახევდა. ეს იყო ქუდისა მისისა საქმე.

თქვა პაპამან ჩემმან:

- ქუდი შევიგენ რა არის და აწ ამათი რა ვყო?

შევიდა სახლად და ამოიღო სასანთლე და აანთო. და რა სანთელი დაანთო, ერთი დიდი, შავი და მაღალი ჭაბუკი წამოდგა და ხელს აკოცა და დადგა.

ჰკითხა პაპამან ჩემმან: ვინ ხარო?

მან მოახსენა: მე მონა მაგ სანთლისა ვარ. ვისცა ეგ აქვს, მას ვმსახურებო.

პაპამან ჩემმან უბრძანა:

- რა სამსახური ძალგიც?

მან მოახსენა:

- ასეთს კაცი ვერას მომიდებს, რა გინდ ძნელი საქნარი იყოს, არა ვქმნა.

პაპამან ჩემმან ბევრი რამ შეუკვეთა და რაც უთხრა მოსატანი, მოუტანა, საქმნელი უქმნა.

მერმე უბრძანა: ინდოეთს მინდა წასვლა და მალ მიმიყვანეო!

მან კაცმან მოახსენა:

- მე ამ სანთლის მსახური ვარ და ესეები შემიძლია, და სხვა უდიდესი საქმე და ეგ თემზე ტარება მაგ მაშიის წესია. ჩაიცვი, ფერხი ქვეყანასა ჰკარ და სადაც გინდა, წუთზედ მიხვალ.

ქუდი თავს დაირქვა, სასანთლე უბეს ჩაიდვა, მაშია ჩაიცვა, ფერხი მიწას ჰკრა: ინდოეთს მივიდეო, და წუთსავ მუნ მივიდა მეგობრის კარზე.

მაშინ რა მაშიის, სანთლისა და ქუდის საქმე სამივ სცნა, მოვლო ყოველი ქვეყანა.

ამ თემს დიდი მძლავრი მეფე ჯდა, მოუსივა სასანთლის მონა, იგი მეფე მოკლა და თვით დაემკვიდრა.

- აქა მათმან ტყუვილმან გამაკვირვა. მრავალი სხვა ასეთი ტყუვილი ითქვა, ვერც დავისწავლე და არც მეფეთ წინაშე იკადრება.

მისანი ყვავი

წამოველ მუნით და მოველ თემსა ევლათისასა. ვერას

ღონით პური საჭმელად ვერ ვიშოვნე. ძუნწნი, უღთონი და ავნი კაცნი იყვნენ. ორი დღე მშიერი ვიარე. მერმე ეს ღონე მოვიგონე: ყვავს ჯოხი შევსტყორცე, მხარი მოვტეხე და უბეს ჩავისვი. ვაჩხავლებდი. მით მისნობა დავიწყე.

მოვადეგ ერთსა სახლსა. მარტო დიაცი იყო. კარი არ გამიღო, სახლად არ შემიყვანა. ღამე მესწრა. ღონე არ მქონდა, კარზედ მივეყრდნენ.

დიაცმან ცეცხლიდამ ფუნთუშის პურები ამოიღო, კიდობანში ჩადვა. ცოტა ხანი გამოვიდა. მის სოფლის მამასახლისი მოვიდა, დოქით ღვინო და ერთი ნამზადი ბატი მოიტანა. ღვინო და ბატი სარკმელში შედვა. დასხდეს, მცირე იალერსეს. კარზე ერთი ცხენოსანი კაცი მოადგა. რა ცხენის ხმა ესმათ, მამასახლისი, გოდორი იდგა, მას ქვეშ შესვა. დიაცი მიწვა. მე ყოველივე ვნახე. ეს კაცი თურე მის დიაცის ქმარი იყო, საქმარზე წასულიყო

და არ მოელოდენ.

მოვიდა, მე მკითხა: ვინ ხარო?

მოვახსენე: ღვთის სტუმარი ვარ-მეთქი და სახლში არავინ შემიშვა-მეთქი.

კაცმან უყივლა. დიაცმან ხმა გვიან გასცა, ვითამ მძინარობა შეიფერა. ცეცხლი აანთო, შემიყვანა. ორნივ მშიერნი ვართ. ცოლს საჭმელი სთხოვა. ცოლმან ზუზვით ორი მჭადი მოიღო და მოსცა: საჭმელი ვინ მომცა, შუაღამეაო!

მე ყვავი უბეში მიჯდა, მკლავი მოვუჭირე და დავაჩხავლე.

მან კაცმან მკითხა: რა არისო?

მე ვუთხარ: მისანი ყვავია და ყველას სცნობს, ამისი ენა კარგა ვიცი-მეთქი.

იამა მას კაცსა და წლის მოსავლისა მკითხა. ყველა კარგი ვუთხარი.

მერმე დავაჩხავლე და მკითხა: რა თქვაო?

ვუთხარ: ეს თქვა-მეთქი: მჭადს რად სჭამთ, კიდობანში ორი თეთრი ფუნთუში ძევს და ისა სჭამეთო.

მერმე დავაჩხავლე და ბატისა ვუთხარ და იგიც ამოვაღებინე. კიდევ დავაჩხავლე და ღვინოც მოვაღებინე.

კაცმან ცოლი დატუქსა: თუ ეს გქონდა, რად არ მოგვართვიო?

მან თავის გამართლება დაიწყო: სამშობლოს მივიდოდი, ნუზლად მინდოდაო.

რა გავძეღ, მეტი აღარ მინდოდა, ყვავი კიდევ დავაჩხავლე.

მასპინძელმა მითხრა: რა თქვაო?

მე ვუთხარ: ეს თქვა-მეთქი: თქვენ რომ სმად სხედხართ და მშიერი მამასახლისი გოდორ ქვეშ ზის, უკაცრაოდ რატომ დარჩებით, მასცა ლხინი აჩვენეთო.

მამასახლისსა რა ესმა, გოდორი თავს გარდაივლო, კარში გამოვარდა, კაცი თან გამოჰყვა, მე ჩემს გზას მივმართე.

ცოცხლად დამარხული და უსახოდ დიდი ადამიანები

მოველ ქვეყანასა ერთსა. უცხო და უცხო რიგი და საკვირველი წესი ჰქონდათ. შეველ ქალაქად. მშიერი ვიყავ. ხუთი ბისტის ხორცი მინდოდა მეყიდნა.

მათ კაცთა ასე მიპასუხეს: შენ უცხო თემის კაცსა ჰგავხარ, თვარა მაგდენი ხორცი მიმინოს ვერ კმა ეყოფისო.

ერთი მათი უხუცესი კაცი იყო, ოქროს სელზე ჯდა, მასთან მიმიყვანეს და ეს სყიდვა აცნობეს. მან ჩემი სადაურობა მკითხა. მე ცოტა რამ ვუამბე და უცხო ვარ-მეთქი.

მან მითხრა: კარგს ვისმე გამსგავსე. მე ძე არ მყავს, უმკვიდრო ვარ, ერთი ასული მივის, იგი შეირთევ და ჩემი მონაგები და მამული შენ დაიმკვიდრეო.

მე დავჯერდი. ვნახე ქალი მისი, მეტად შვენიერი იყო.

შემრთო, ქორწილი მიყო. თვით შინ დაჯდა და მე მას ოქროს სელზე დამსვა. ხორცის სყიდვის საქმე მე მაურვებინა.

რა ათი დღე გამოვიდა, ქალი დასნეულდა და ოთხს დღეში მოკვდა.

მომკაზმეს უცხოდ, რაც უკეთესი ჰქონდათ. შემმოსეს პატიოსნითა თვალითა და მარგალიტითა. ძვირფასები ჩამაცვეს მეცა და მას მკვდარს ქალსაცა.

მე ვუთხარ: რასა იქმთ? უნდა ვსტიროდე, თავი დავაკლა და თქვენ მკაზმავთ-მეთქი.

მე რა ვიცოდი, რას მიპირობდენ?

მათ მითხრეს: ჩვენი წესი ეს არის და ასრე უნდა ვყოთო.

მოიღეს ქოსი, ტაბლაკი, დაფი და დაფდაფი, ნაფირი. ჰკრეს და ლხინით მკვდარიც წაიღეს, მეც წამიტანეს.

მაღლა გორაზე ერთი დიდი ციხე იყო, იქ ავიდენ. ციხეში ერთი დიდი ღრმა აკლდამა იყო, მართ ორი უტევანი განი ჰქონდა.

მკვდარი ჩაიტანეს, მეც ჩამსვეს, შვიდის დღის ნუზლი ჩამატანეს. კიბე აგრევ აიტანეს და დავრჩი მუნ მარტოკა.

ავდეგ, მივიარ-მოვიარე, ვნახე, ის აკლდამა სრულ მის ქალაქის სასაფლაო იყო და, რაც ქვეყანას კარგი და პატიოსანი იარაღი, ან სამკაული იყო, იქ ეყარა. ქალისათვის საქალო იარაღი ჩაეტანებინათ და ვაჟისათვის - სავაჟო. დიდად გამიკვირდა.

ოთხი დღე დავყავ. ქოსისა და ნაფირის ხმა მომესმა. მოვიდნენ. თურე ერთი დიდებული კაცი მომკვდარიყო. ახალ ნაქორწილევი ცოლი თან მოსდევდა.

მკვდარიცა და მისი ცოლიც მუნ ჩემთან ჩამოსვეს. შვიდის დღის ნუზლი მას ჩამოატანეს. ქალი შეჭირვებული იყო, თვარა დია უზომოდ კეკლუცი იყო. სიმწყაზრემან მისმან გამაკვირვა. კიბე აიღეს და იგინი აგრევ წავიდნენ.

ვჰკითხე მას ქალსა: ეს რა არის, რასათვის ასრე გვიყვეს-მეთქი?

მე ჩემი ამბავი ვუთხარ.

მან ქალმან მიპასუხა:

- ამ თემს ასრე წესობს. თუ ცოლი მოკვდება, ქმარი უნდა

თან ჩაჰყვეს, და თუ ქმარი ამას - ცოლი. შვიდის დღის ნუზლს მისცემენ და მერე უნდა ზედ დააკვდესო. მას უკან აღარ უნდა იცოცხლოს, ვეღარც დღე ნათელი ნახოს.

მე დიდად დამიმძიმდა და გულითა ვეტყოდი:

- ვაიმე, ჩემი ჟამი უსახელოდ მივლია, მე ცოლს რას ვაქნევდი, ანუ დიდებასა, თუ ასრე ადრე დამშხამდებოდა!

ბევრი ვიზრუნე, მაგრამ ღონის მოშვება არას მარგებდა. მას ქალს სხვა რიგი საუბარი დავუწყე.

ამას ვეტყოდი: ვინც მოკვდა, რა სარგებელია? ჰხედავ, რამდენი მკვდარი ძევს, სულობით წამხდარი? მე და შენ ღმერთს შესაყრელად ვუნდოდით და აწ გულის ნებას ვეწიოთ-მეთქი.

ამგვარი რამე შევუმრავლე, გავიტკბევით და, რა შევრიგდით, ვნახე, ერთი დიდი ძღარბი, მართ ღორისაგან უფრო დიდი, შემოვიდა. ციხე თურე შემოეთხარა, ქვეშ მიწა სოროდ შემოეხვრიტა, მკვდრის ხორცს შემოსჩვეოდა საჭმელად.

რა იგი ვნახე, გავიხარე და მას ქალს ვუთხარ: აწ ღმერთმან დაგვიხსნა ჯოჯოხეთისაგან-მეთქი.

მუნ მრავალი აბრეშუმის თოკი ეყარა, მოვძებნე სოროს პირი და მასზე მახე მოვუდგი. შევიპყარ ძღარბი, უკანას ორსავ ფეხზე თოკი მოვაბი და მივუშვი. შევიდა სოროსა. თოკს გამოვზიდე. ძღარბმან მიწას თითებით ბრდღვნა დაუწყო. ამგვარად ბევრჯერ ვქმენ. ასე გამოთხარა, რომ ჩვენ გავეტეოდით. დავუწყე მიწას ყრა და სორო გავსწმინდე. რაც ორთავ თვალ-მარგალიტი და ოქრო

გვეზიდებოდა, ავიკიდეთ და გამოვძვერით.

გამოვედით. დღისით დამალულნი ვიყავით და ღამით ვიარებოდით. ერთი კვირა ეგრე ვიარეთ. მერმე ორი ცხენი ვიყიდეთ. შევსხედით და სისტანის ქვეყანას მივედით.

ვნახე ერთი კაცი, დიდად უსახოდ დიდი, წინ დამხვდა, მკითხა: ვინ ხარ, სად მიხვალო?

მე შიშით ხმა ვერ გავეც. მან შემატყო შეშინება და ეგრე მითხრა: ნუ გეშინიან, არას გავნებ. ამ ქალს თუ მომცემ, შვილურად შევიტკბობ, თვარა ქალსაც წაგგვრი და ბევრსაც გავნებო.

მე ჩემს თავს ვუთხარ: თუ მშვიდობით გარდარჩები, სხვაც დაუსართე-მეთქი.

მივეც იგი ქალი. დია იამა, გამეწყო, უბეს ჩამისვა და წამიტანა.

მისი სიდიდე ამისგან კიდე რაღა გითხრა?

რა მთას ავედით, ორნი დიდნი კაცნი შუღლობდენ. ჩემსა უფრო იყვნენ, თვარა მისოდენი არ იყვნენ. ამაზე შეცილებულიყვნენ. ერთს კაცს ზურგს ერთი რუმბი ღვინო ჰკიდებოდა და აღმართში დამძიმებოდა, მეორე მოსწეოდა და ეთქვა: თუ გემძიმება, მე ამკიდე, მთამდის ავიტან და მუნ ერთი ხლაპი მაქნევინეო.

მას ღვინის პატრონს ეთქვა: თუ მთამდის ამიტან, ხლაპსაცა და ხლუპსაც გაქნევინებო.

რა წვერზე ასულიყო, რუმბისათვის პირი დაედვა და ღვინო ერთ ყლაპად შეესვა.

ღვინის პატრონი ეშუღლებოდა: სულ რატომ შემისვიო.

და იგი კაცი სხვასა სთხოვდა: დამპირდი, ხლაპი შევსვი და ხლუპად აღარ მერგოო.

ამ ცილობაზე მან კაცმან აღარც ერთი აუბნა. ორივ შეიპყრა. ერთი ერთს მოგვში ჩაისვა, მეორე - მეორეში.

მივიდა შინ. ცოლი მოეგება, დიდობაზე კეკელა ქალი იყო. უთხრა: მოგვი გამხადეო!

გაჰხადა ერთი - კაცი ჯდა, მეორე გაჰხადა, - მეორე ჯდა. მე უბით გამომიყვანა. მოიწონა თავი და ცოლს დააქადნა: ჩემისთანა კაცი გინახავსო?! და იგი ქალი რომ წამგვარა, იგიცა უბეს უჯდა, გამოიყვანა და ცოლს მისცა. თურე ცოლი იგი მოტაცებით მოეყვანა და მისი სამშობლო არ

ენახა.

მან ქალმან უთხრა: მამაჩემს ვერ ედარებიო.

იწყინა მან კაცმან და ეგრევ უბეში ჩამისვა და წავიდა სიმამრის ნახვად.

მისი სიმამრის სიდიდე ამის მეტი რაღა გითხრა: ყანასა რწყევდა და მისი სარწყავი რუ რომ მიაქვნდა, ამ მისმან სიძემ შიგ გასვლა მოინდომა. ცხენით კაცამდინ წყალმან აიტაცა და წაგვიღო. რა სიმამრმან ნახა წყალს ცხენი და კაცი მიაქვს, ამოჰკრა ბარი და ცხენკაცით აიღო და მშრალზე დასვა.

ჰკითხა: ვინ ხარო?

მან მისი ამბავი უამბო.

მან კაცმან უთხრა: ვაგლახთა! - ჩემი სიძე ყოფილხარ, კინაღამ მოგკალო!

გააშრო, დასვა.

წუთი გამოხდა. ცოლი მოუვიდა, სადილი მოუტანა. სადილი ვჭამეთ, მეც მაპატივებდენ. მათის ქვეყნის თაგვის ოდენი თუ ვიყავ!

მერმე სიდედრი შინ წავიდა და სიძე აწვია. წაიყვანა. იგი დიაცი უცხენოდ მოვიდოდა. მათი სანუზლე გოდორი ზურგს ეკიდა. სიძე ცხენს მიაჭენებდა და ვერ მიეწია. სიდედრმან მოიხედა, სიძე დავარდნილი ნახა, დადგა, აიყვანა ცხენით, გოდორში ჩაისვა, აიკიდა და წაგვასხა.

მივიდა შინ. კარგად დახვდა. რა დაღამდა, ერთი

ცალთვალი კაცი მოვიდა, თურე მის დიაცის აშიყი იყო; ბანიდამ სვლა დაიწყო, დიაცი სიძის სირცხვილით არ გავიდა. მას კაცსა გულმან არ მოუჭირვა, ჩამოვიდა. მისი სიძე აითვალწუნა და დიაცს კოცნა დაუწყო. სიძემ იწყინა, მას სახლს სვეტნი გამოუყარნა თავს დასაქცევლად და თვით კარი გაიარა. დიაცმან ორივ ფეხი ძელებს სვეტად მისცა, ვირემ კაცი მის ალერსს აღასრულებდა. მერმე მან კაცმან სვეტნი შეუდგნა, სახლი აღარ დაიქცა და გამოგვიდგა.

ჩვენ ვიარეთ. ნახა ერთი კაცი ცერცვსა სთესვიდა. საფარცხავი ფეხზე ება და თან ფარცხვიდა. კალთას ცერცვი ეყარა. თითოს მჭელს პირში შეიყრიდის და იტყოდის: ეს ჰოო! თითოს მჭელსა დასთესდის და იტყოდის: ან ჰო, ან არაო.

იგი კაცი მას შეევედრა: ერთი ცალთვალი კაცი მომდევს

და მიშველეო!

მან კაცმან ცხენიანად აგვიყვანა და ცერცვიან კალთაში ჩაგვისხა. პირში რომ ცერცვი ჩაიბნივა, ცხენ-კაციანად თან ჩაგვატანა. ერთი ქვევითი კბილი მოტეხილი ჰქონდა, იმაში ცხენი უკუაყენა და მორჩა.

მოვიდა, მან ცალთვალმან კაცმან ჰკითხა, მან უთხრა: აქათ არ გამოუვლიაო.

გაბრუნდა, წავიდა. მან კაცმან კალთა ინახა, აღარ ვიყავით. სინანული შექმნა, ჩანთქმა ეგონა. შიგნიდამ გამოეძრახა კაცი იგი: აქა ვარ და ცოცხალ ვარო!

გამოგვიყვანა და ქვეყანაზე დაგვსხა.

მერმე შეევედრა კაცი იგი: ეს კბილი რას მოუტეხიაო?

მან კაცმან თავისი ამბავი უამბო და უთხრა: ჩვენ თორმეტნი ამხანაგნი შევიყარენით, ყველა ჩემსა უახოვნე იყო.

წავედით სამეკობროდ. აგვიდგა ქარი და ბუქი. მინდორი დიდი იყო და სახვეწარი აღარსად გვაქვნდა. ვნახეთ, ერთი ხმელი კაცის თავი ეგდო. ესრეთ დიდი იყო, რომ ჩვენ თორმეტნივ შიგ დავეტიენით. რა მცირე განვისვენეთ, თურე ერთის მწყემსისათვის მგელს თიკანი მოეტაცნა და მას მოსდევდა. ხან ჯოხი ესროლა, ხან ქვა. რა ჩვენთან მოვიდა, ესრეთ დიდი კაცი იყო, აიღო იგი თავი, ჩვენ თორმეტნი შიგ ვისხედით, შეგვსტყორცა მგელსა და მგელი, რაღა კითხვა უნდა, იქავ დანაყა. თერთმეტი ჩემი ამხანაგი მოკვდა და მე ეს კბილი მაშინ მომტყდაო.

მასცა გაუკვირდა მათი სიდიდე და ძალი, თვარა მე რომ გამკვირვებოდა, რა უცხო იყო?

წამოვიდა ცოლთანა, მოვიდა, უთხრა: ყველას მართალს მეუბნებოდიო.

მე ერთი ჯორი მომცა, სამოსელი შემმოსა, ნუზლი მომცა, ინდოეთამდინ მიმიყვანა: არავინ რა გაწყინოსო და, დაბრუნდა.

ინდოელი ჯამბაზები

მიველ ინდოეთს და მრავალი უცხო რამე ვნახე: ანუ ხე, ანუ ხილი, ანუ პირუტყვი, ანუ მფრინველი, მაგრამ მისის მოხსენებისათვის სიტყვა გაგრძელდების და მეფეს თავი შეეწყინება.

მრავალი უცხო მოთამაშე მოვიდა ხელმწიფესთანა და სამის კაცის თამაშობა დიდად მეუცხოვა და გამიკვირდა.

ერთი კაცი მოვიდა და დადგა. ორმოცი მისი შეგირდი მოიყვანა. ერთი ავიდა. მას ოსტატსა ერთი ფეხი მარჯვენას მხარზე დაადგა, მეორე - მარცხენაზედა. დადგა მასზედა სხვა, აგრევე მას ზედ სხვა. ორმოცნივ ერთმანერთზე შედგნენ. არც ერთი არ ჩამოვარდა, არც გადრკა და არც ქვევითმან კაცმან მათი სიმძიმე შეიმჩნივა და აგრეთვე ხან სვლა იწყო კაცმან მან, ხან დაჯდის, ხან აღდგის. ბოლოს გაირბინა, შეხლტა და კაცნი გარდმოყარნა. არცერთი ზურგზე არ დაეცა, ყოველნივე ფერხზე დადგნენ.

მოვიდა მეორე მოთამაშე. ხენი ფიცრულად დაეთალნეს და მის მფრინველის მსგავსად მხარნი და ფრთენი გაეწყვნეს. შეიხსნა იგი და იწყო ფრენა. ხან მთაზე

გავიდის, ხან მინდვრად ჰაერში ფრინევდის, რომ ყოველს კაცს მფრინველი ეგონა. მისი ფრენა არწივს არ ძალუცს.

მოვიდა მესამე მოთამაშე და ერთი კანაფის გორგალი მოიტანა. ერთი წვერი ხელთ დაიჭირა და გორგალი ჰაერში შეაგდო. წავიდა. გორგალი გაიშალა და ჰაერში ავიდა. რა სრულობით გაიშალა და ჰაერში აღარ გამოჩნდა, მან მოთამაშემ კანაფს დასწია, ვერ ჩამოიღო, კიდევ დაზივა. არ იქმნა. თქვა: გავალ ამ თოკზე, ჰაერში რამ დააბაო?!

გავიდა თოკზე, იარა, ავიდა ჰაერში. მოთამაშე დაიფარა, აღარ გამოჩნდა. რა ცოტა ხანი გამოხდა, ერთი კივილი და კიჟინა შეიქმნა, თოფის სროლა და გრიალი, კაცი გაჩემდებოდა. ჰაერიდამ ზოგან კაცის თავი ჩამოვარდა და ზოგან მოკვეთილი ხელი და ფერხი და ზოგან გაკვეთილი კაცი. ვნახეთ, ეს ჩვენი მოთამაშეც შუა გაკვეთილი ჩამოვარდა.

ეწყინა მეფესა და ყველას დაგვიმძიმდა.

მოვიდა მის მოთამაშის ცოლი და ორი შვილით ცეცხლში შევიდა და დაიწვნენ. ნაცარი გაანიავეს, ვითა ინდოთა წესია.

რა მცირედი ხანი გამოხდა, მოთამაშე ჰაერიდამ გამოჩნდა, თოკზე ჩამოეხვია. უთხრეს ეს საქმე: ცოლისა და შვილის დაწვა. მან თქვა:

- მე არცარა ომი მინახავს, არცარა ყიჟინა მსმენია.

მეფემან სამძიმარი უთხრა და სამეფო სამოსელი შეჰმოსა, სიასამურისა ტყავი წამოასხა. მივიდა, ხელმწიფეს თაყვანია სცა. ერთი კალთა გაიბერტყა, ცოლი ცოცხალი დააგდო; მეორე გაიბერტყა, შვილები დაყარა. გაუკვირდა

ყოველსა კაცსა: ამისებრი მოთამაშე არავის უნახავსო.

მრავალი უბოძა და გაისტუმრა.

თუნჯარელი მეტილისმენი

წამოველ მუნით და მოველ ქვეყანასა თუნჯარისასა. მუნ მრავალი ტილისმა და გრძნება იციან. ასეთი ჭკუათამყოფელი კაცი არ მივა, მათი რამ გაიგოს.

ძველთაგან ვისმე ერთი კლდე გამოუხვრეტია შიგ დიდს მთაშია და შიგნით კამარებით ერთის დღის სავალი შეუკრავს ბნელითად და ერთი დიდი რკინის კარი შეუბამს და ასეთი ტილისმა დაუცს: წელიწადში ერთხელ გაეღება, ექვსსა ჟამსა ღია არის და აგრევ დაიხშვის. მას შიგან ტყავის ქარტების წიგნები შეუკრავს და ზედ არაბულად ტილისმანი და გრძნებანი დაუწერია.

ვისაც მისი სწავლა უნდა, ერთის წლის ნუზლს და მის სანთელს მზას იქმს და მას კარზე დადგება. რა გაიღება, შევა. წლამდის შიგ უნდა იყოს, მონახოს. რა ძნელი ტილისმა უნდა, ჰპოებს და გარდასწერს. რაც გრძნება უნდა, მუნ შეიგნებს და რა წელიწადზე კარი გაეღება, გამოვა, და რაც უნდა იქმს.

აწ მე მუნ ვიყავ, და ამბავი მოვიდა და მე კი თვალით არ მინახავს.

გრძნეული აქიმი

ერთს აქიმს ერთი შეგირდი გაეწრთვნა. თურე ის აქიმიც მას საგრძნეულოში ყოფილიყო და მერმე იგი შეგირდიც შესულიყო და მას უფრო უცხოები ესწავლა. ორნივ ინდონი იყვნენ.

შეგირდი მეფის ქალაქში მივიდა. ერთი ჭაბუკი ნახა, დიდად მოეწონა, კარგი და ახოვანი კაცი იყო, მაგრამ დია გაყვითლებულიყო, დამჭლობილიყო, წყალჯავარი მოჰშლოდა და ვარდი ზაფრანად შეჰქმნოდა.

ჰკითხა აქიმის შეგირდმან: რა გჭირს, ძმაო, რა სენის უფალი ხარო? მე მოგარჩენო.

მან კაცმან უთხრა: შენ არა და, ქვეყნის აქიმნი შეიყარნენ, მე ვერას მარგებენ; დამთმე, წადიო!

მან აქიმის შეგირდმან ფიცი უთხრა: ესეთი არა გეჭირება რა, მე არ გიწამლოო.

უთხრა მან კაცმან: შენ ამას რას მიწამლებო? დღესა ერთსა მეფის ასული აბანოდ მივიდოდა და სარკმლით

დავინახე და მას ვეტრფიალე. მას ჩემი გული გაჰყვა და მან გამხადა. შენ რით მიშველი? შოვნა არ ძალგიც, და თხოვნა და ქორწილი, და მე უმისოდ არ მოვრჩებიო.

აქიმმან უთხრა: შენ მეფიცე, ხვევნა-კოცნის კიდე არა დააკლო-რა, და მე მალე გიწამლებო.

ეფიცა კაცი იგი და აქიმმან რაღაც ულოცა. ერთი ასეთი გრძნება ჰქმნა, რა დაღამდა, ქალი ზეწარში გახვეული შემოვიდა, მან კაცმან გვერდს დაისვა, ეხვია, უალერსა და, რა რიჟრაჟი შეიქმნა, ქალი აგრევ წავიდა. რა შინ მივიდა ქალი, ცნობას მოვიდა, შექმნა ტირილი, კივილი, მეფე-დედოფალი შემოვიდნენ, კითხვა დაუწყეს: რა დაგემთხვიაო? მან ყოველი უამბო. შექმნეს დიდი მოწყენა.

ჰკითხა მეფემან ვაზირთა და მათ მოახსენეს: არა, მეფეო,

ეგე კაცი ამა თემისა არ არის, სხვაგნით მოვინმევიდა. აწე ამას ღამესაც წაიყვანენ ასულსა შენსა, და ამცენ, რათა ხელი მელნით გაისვაროს და, რა მივიდეს, კართა ხელი ჰკრას, ზედ ხელი გამოისახვის. ხვალ მოვნახოთ. სადაც ხელი ჯდეს მელნიანი კართა, იგი იქმნება და შევიპყრათ, და რაც გენებოს, ჰქმენო.

ჰყვეს ეგრე და მას ღამეს წავიდა ქალი და კარი მელნით შეუსვარა. დილა გათენდა. მან აქიმმან უთხრა მას ჭაბუკსა: შვილო, თუცა ჩვენი ესე საქმე ცნეს, ავია, და გარე გადი და ჩვენს მიდამოს ნიშანი არა იყოს რაო!

გამოვიდა კაცი იგი, კართა ხელი ნახა. შევიდა და აქიმს უთხრა. აქიმმან ერთი რაღაც შეულოცა. მას ქალაქის სახლის კარზედა ხელი ყველგან გამოისახა.

ვაზირმან მრავალი ხელარგნოსანი კაცი შეყარა ხელის

საძებრად. წამოვიდა, ნახა თავისავე კარზე ხელი გამოსახული. გაუკვირდა და შეშინდა. მოვიდა მეფის კარზე, ნახა ხელი აგრევე და, რაც კარი გაიარა, ყველგან ხელი გამოსახული იყო. მოვიდა მეფესთან და მოახსენა: თქვენს ასულს ამაღამ ქალაქი სულ დაუვლიაო.

შექმნეს რჩევა და თქვეს: ამას ღამესა ხელმანდილსა შიგან ფეტვი ჩაიყაროს, ძირი გაუხვრიტოს და მუნამდის ბნევით წაიღოს და ხვალ მივყვეთ და ვპოვებთო.

ჰყვეს ეგრე.

მეორეს დღეს გამოვიდა კაცი იგი, ნახა და აქიმს უთხრა:

- ფეტვი მოუფანტავთ ჩვენს კარზე.

ჰქმნა გრძნება. მოვიდა მრავალი ჭივჭავი და სრულობით

აკენკეს.

რა ვაზირთ ვეღარცარა მით შეიგნეს, ქალი ვაჟად მოკაზმეს. ოცი კაცი თან გაატანეს და ფოლორცთა სლვა დააწყებინეს და უთხრეს: სადაცა იგი კაცი ჰნახო, ხომ იცნობ და უთხარ კაცთა ამათ და შეიპყრანო.

დაიწყეს სლვა და ნახეს ჭაბუკი იგი ბაზართა ჯდა.

აქიმი მუნ არ იყო. შეიპყრეს და მეფეს მიჰგვარეს.

მეფემან ბრძანა:

- ეგე ძელსა დამოჰკიდეთ და ყოველი კაცი გამოვიდეს, ვინც ხმასა ჩემსა ერჩის. თოფი და ისარი დაუშინონ და ზედ ძელზე დაწყვიტონ!

გამოვიდა ყოველი კაცი და აქიმიც მათთანა. რა აქიმმან მისი შვილი ძელზე დაკიდებული ნახა, ჰქმნა გრძნება და ვინც თოფი შესტყორცა და ან ისარი, უკუიქცის და მსროლელსავე ეცის და მოკვდის. ამოსწყდა მრავალი ჯარი.

მოახსენა ვაზირმან მეფესა:

- ამ კაცსა ჩვენ ვერას დავაკლებთ, სხვაფრივ ვიურვოთ, მცირეს ხანს საპყრობილეში დავაბათ და მერე, რომელიც სჯობდეს, ვყოთ.

ბრძანა მეფემან კაცისა მის ჩამოშვება და პატიმრად შენახვა. მივიდა აქიმი. მესაპყრობილეს ერთი ფლური მისცა და უთხრა: ეგ კაცი ჩემი მოვალეა და კარი გამიღე, შევიდე, ვნახო, ვახში არ დამეკარგოს, და მერმე გამოვალო.

შეუშვა აქიმი და გარეგან კარი დაკლიტა და საქმარზედ წავიდა.

რა მოვიდა და კარი გააღო, ნახა საპატიმრო სახლი წალკოტი შექმნილა. თურე აქიმს გრძნება უქმნია. მრავალი კარგი ხილი დგას, უცხო ყვავილნი ყვავიან, სურნელება ფშვის, აუზნი წყლით სავსენი არიან და ორნი კაცნი მაღლა ოქროს ტახტზე მსხდომარენი არიან. ეგრევ კარი დახშა. მივიდა, ვაზირს უთხრა:

ვაზირმან მეფეს მოახსენა: მათგან დასაჯერიაო, წავიდეთ, ვნახოთო!

მივიდნენ მეფე და ვაზირი, შევიდენ, ნახეს. ქების უმეტესი იყო. ყოველივე ნახეს.

აუზის პირს ერთი ატამი იდგა. მეფემ მოკრიფა და დაჯდა, ჭამა ენება. ვირემ მეფე ერთს ატამს გაფცქვნიდა, ვაზირმან პირზე წყალი შეისხა, დიაცად შეიცვალა, ვითომ კაცისა ვისმე ცოლი იყო და მოვიდა მისი ქმარი, აგინა და წაიყვანა.

დიაცი დაორსულდა, ვაჟი ეყოლა, მან ყრმამან ფეხი აიდგა. დიაცს ისევ ვაზირის ბუნება ჰქონდა. წამოვიდა საპატიმროსა, ვაჟი თან მოჰყვა, ეგრევე კაცად შეიცვალა. მეფეს ჯერ ატამი არ გაეფცქვნა.

ჰკითხა ვაზირმან: ეგ ატამი წლეულია თუ შარშანდელიო?

მეფემან უთხრა: რას ამბობო? ახლა არ შემოვედითო?

ვაზირი სიტყვას შეეცილა, თავისი დიაცობა და ყრმის შობა უამბო. გაკვირდენ და თქვეს: რადგან ვერას თავს

გაუვედით, ესე ვქმნათო. მეფის ასული მას კაცს შევრთოთ და ვაზირისა აქიმსაო!

ქორწილი უყვეს და ლხინობდეს.

გამოხდა ხანი. ვაზირს თავისი აუგი არ დავიწყებოდა. თავისი ქალი ცოლად მისცა და ამცნო; რა აქიმი შენთან დაწვეს და წყალი გაათბოს საბანებლად, ვირე იბანდეს, მაცნობეო!

რა წყალი გაათბო აქიმმან, ცოლმან დაუქცია და მამას აცნობა. მოვიდენ. აქიმმან გრძნება ვეღარ ქმნა და შეიპყრეს. მივიდა მეფესთან ვაზირი და ორისავ დახოცა არჩივეს.

მეფემ ქალს ჰკითხა, მან არა ჰყო: რადგან ერთს ავს კაცს მიმეცი, მე აღარ ვიკადრებ ამის გამოცვლასო.

ქალმან იგი არ მოაკვლევინა, და აქიმისა ზოგმან თქვა: მოკლესო და ზოგმან თქვა: არ მოუკლავთო. უდიდეს გრძნებას ამბობდენ. და მე ამათ სიკვდილი უფრო მეჯერება. ის გრძნებაები კაცისაგან არ იქმნება, და, რა კაცის სახელი გაითქმის, ბევრს მოუმატებენ, თვარა მოკლეს. მაგრა ვინც მოუკლაობას ამბობს ამას იტყვის: აღარ მოკლეს, გამოაძესო. და მოკვლა ტყუვილი იყო და გამოძება მართალი.

რა ეს გრძნებაები შეიტყო ამ აქიმის ოსტატმან, გაწყრა იმ შეგირდზე და მოსაკლავად წავიდა, რომ უარესსა საქმეს იქმსო.

რა მივიდა, უამბეს: შენი ოსტატი მოვიდა და სიკვდილს გიპირობსო.

შეგირდი შეშინდა, ტრედად იქცა და გაფრინდა; ოსტატი შავარდნად იქცა და გამოუდგა. რა მოწევნას ლამობდა, ჩინეთის მეფე ნადირობდა, გვირგვინად იქცა შეგირდი და თავს დაერქვა. შეექმნათ სიხარული, რომე ზეცით გვირგვინი მოვიდაო. ოსტატი მეჭიანურედ შეიცვალა და მივიდა.

მეფე სმად ჯდა, უცხო ხმები ჰკრა და ტკბილად იმღერა.

ჰკითხეს: სადაური ხარო?

მან უთხრა: საიდამაც გვირგვინი მოვიდა, მეც მუნებური ვარო.

ეს უფრო გაიხარეს. მეფეს აფიცა მეჭიანურემ: რადგან ორივ ერთის ადგილიდამ მოვსულვართ, მაგ გვირგვინის თავს მაკოცნინეო!

მეფემ რა კოცნა ბრძანა, გვირგვინი ბროწეულად იქცა და ჩამოვარდა. დაეცა, გასქდა და გაიბნია.

ოსტატი მამლად იქცა და მარცვალს კენკა დაუწყო.

გაშტერდენ ყოველნი კაცნი.

იმ ბროწეულის ქერქიდამ კაცი გამოძვრა და მეფეს მუხლს მოეხვია: მიშველე რამე, ჩემი ოსტატია და მკლავსო!

შეიქმნა კითხულობა. მამალიც კაცად შეიცვალა. მეფემ ყველა შეიტყო. მას აქიმს აღთქმა დაადებინეს, რომ კვლა გრძნება აღარა ქმნაო, მაგრამ მე სიკვდილი უფრო მემართლება, რომ ამგვარი გრძნება არ იქნებაო.

რა ლეონ გრძნეულთ ამბავი დაასრულა, სხვის ამბის თქმა აღარ დააცალა რუქამ და მოახსენა მეფესა:

- დღეს აქამომდე ავად მიქმნია ქიშპობა ლეონისა, რადგან ესრეთ მცოდინარეა და ამდენის კარგის საქმის სწავლულია და ამდენის თემის მნახავი, ეს შესანახავია და ნურც მოიშორებთ. რაცა თქვა, ქმნაც ძალუცს. აქ გამოაჩინა ლეონ თავისი გრძნების ხელოვნება.

თქვა ჯუმბერ არაკი:
გლახაკი და ფლური

ერთი კაცი დია გლახაკი იყო. დღე ყოველ ღმერთს გამდიდრებას ევედრებოდა.

გამოხდა ხანი, და მას კაცს მუცლის ტკივილი და ყვანა დაემართა. რა კარში გავიდის, ტკივილი დაუწყის. აზომ

შეწუხდა, მიწას გლეჯა დაუწყო. რა მიწა მოგლიჯა, ერთი ქილა ფლური ჰპოვა.

მან კაცმან ღმერთს მადლი მისცა და თქვა: დიდად მოწყალ ბრძანდები, მაგრამ ვირემ კაცსა სისხლს არ დაანთხევინებ, არას მისცემო!

- ეს არაკი ამისთვის მოგახსენე, რომ ლეონ ვირემდის სამჯერ-ოთხჯერ სიკვდილად არ წააყენე, არ მოეხმარე და აწ წყალობა უყავ!

ლეონ უთხრა ჯუმბერს:

- ძეო მეფისაო, ყრმა ხარ და მოხმარებას ჰგონებ, თვარა აწ დამკლა სრულიად. მტერი რა კაცსა მტერობით ვერას დააკლებს, დაემოყვრების და მით გაუსრულებს მტერობას.

თქვა ლეონ არაკი:
ორნი მომტერენი

იყვნენ ორნი მომტერენი. არ იქმნა, ვერა დააკლო რა მან კაცმან მის მტერსა.

გამოხდა ხანი. დამოყვრდენ, დიდად გაიწყვნენ. წავიდენ გზასა და ოთხნი ამხანაგნი სხვა გაიტანნეს.

მივიდნენ ერთი კაცის სახლში და დადგნენ. ეს სტუმრები გამოღმართ დაწვნენ და სახლის პატრონი მისის ცოლით გაღმართ დაწვა. რა ცეცხლი დანელდა, აიპარა ეს კაცი და მას დიაცთან განსვენება მოინდომა. დიაცმან დაიძახა, ქმარი წამოაყენა. კაცი იგი გაიპარა და მუნვე თავის ლოგინში დაწვა.

ადგა სახლის პატრონი, მივიდა, ეს სტუმრები დაჩხრიკა. გულში ყველას ხელი ჩაუყო. ბნელა იყო, სხვით ვერათი იცნა, და შემცოდეს გული უძგერდა. ზედ ქუდი ნიშნად დაადვა, ცეცხლს დავანთებ და ამ კაცს ვსცნობო.

იგი კაცი ვირემ ცეცხლს დაანთებდა, მან კაცმან ქუდი თავისაგან აიღო და მას ძველთაგან მტერს და ახალს მოყვარეს დაადვა. მას გულით ეძინა, ვერა შეიგნა რა.

ცეცხლი აანთო, ნახა ამ საბრალო უბრალო კაცს ქუდი აძევს. მან მისი უბრალობა რა იცოდა, შემცოდე იგი ეგონა. დაჰკრა თავში ცული და მოკლა უბრალო დაუნაშავებელი კაცი.

ყოველი მტერი ასრე უზამს, თვარა რით მომეხმარა, გრძნების ქმნა და ეშმაკობა შემომითქვა.

თქვა კიდევ ლეონ არაკი:
უსაქმო კაცი

იყო ერთი მოცლილი, უსაქმო კაცი. არას ნივთისაგან საქმარი არა იცოდა რა. შემოუვიდა გულშიგან და იწყო მიწის თხრა და ნიავება. სამს-ოთხს თვეს მის მეტი არცარა საქმე ჰქონდა და არცარას ისაქმებდა. მოუვიდა კაცი მოურავისა, სამკალად აწვიეს და არ წავიდა: სამუშაო შინ მიცსო, გარ რად ვიმუშაოო.

მოუვიდა მეზობლის კაცი, მამა მოჰკდომოდა, და აწვიეს: მოდი მიტირეო და აღაპიც მიჭამეო! არც მუნ წავიდა.

მოუვიდა სხვა მექორწილის მაწვევარი და ეგრე უთხრა: ძლივ ერთს საქმეს შევმართე, ვირემ გავასრულებდე და ამისაგან მოვიცლიდე, არც სეფაზე წავალ და არც სატირლად მცალიან და არც ლხინს ვნახაო. რა

დავათავებო, მას უკან ყველას ვიქმო.

- მის მსგავსად, ვიდრემდის ჩემის საქმისაგან ეგ არ მოიცლის, მაგას არცარა ქორწილისა, არცარა ვაებისა, არც მეფისა და არც ერისა არა უნდა რა, და მასუკან სხვას რასმე მოიგონებს, თვარა ჩემის მეტი საწუხარი და სალხინო მაგას არა აქვს რა.

თქვა რუქამ:

- არა ახალია ეს საქმე. ძველთაგან თქმულა: არას კაცს კარგის მოქმედისათვის კარგი არ უქმნია და მის მაგიერ ავი მიუგია. თვარა ლეონ რას მემტერება? ერთი დაკარგული კაცი არავის შეეწყნარებინა და მოვიდა, მეფეს გავაწყევ და დიდი წყალობა მიანიჭა.

აწ მე რას მიპირებს?

თქვა რუქამ არაკი.
კაცი და გველი

ერთი კაცი მოვიდოდა გზაზედა. ნახა, ერთს ძეძვს ცეცხლი შემოჰგზნებია და ზედ გველი გასულა. წასასვლელი გზა არა აქვს, ღონობს და წივის. ნახა მან კაცმან, შეეწყალა და თქვა: ამ გველს მოვარჩენ, მადლია ჩემთვისაო.

მივიდა, შუბის წვერი მიუშვირა. გველი ზედ შემოეხვია, მხარზე შეახლტა და ყელს შემოეღვლარჭნა, მაგრა მოუჭირა.

ჰკითხა მან კაცმან: რა გაწყინე, რატომ მიზამ? სიკვდილს მოგარჩინეო!

გველმან უთხრა: კარგისათვის კარგი არავის უქმნია და

მეც ასრე გიყავო.

კაცი შეეხვეწა: ამდენი მაცალე, იგი ჭანდარი რომ დგას, მუნამდის მივიდეთ და მას ვჰკითხოთ. თუ ჩემის ცოდვით ხემაც ხმა ამოიღოს და დაგიშალოს, გამიშვი, თუ არა და, რაც გინდა მიყავო.

ცოტა მოუფონა გველმან და მივიდნენ ჭანდართან.

ჰკითხა მან კაცმან: ეს გველი სიკვდილს მოვარჩინე, აწ ასე მიზამსო.

მან ჭანდარმან ეგრე უთხრა: ამ ცხელს მინდორში მარტო ერთი ხე ვდგავარ; მგზავრი, თუ არ ჩემს ჩრდილში, ვერ განისვენებს. მოვლენ, მოიგრილებენ, დავაჩრდილებ, მერმე შტოებს დამამტვრევენ, ზოგს დასწვენ, ზოგს კოლოფებად აკეთებენ: რა კარგი ხეაო! კარგისათვის

კარგი არავის უქმნია, მოუჭირე, გველოო!

მოუჭირა ყელსა გველმან.

კიდევ შეეხვეწა კაცი გველსა: ცოტა მოუშვიო, აგერ ხარი სძოვს, მას ვჰკითხოთო!

წავიდნენ, ხარს ჰკითხეს.

ხარმან უთხრა: მოვხნავ, დავფარცხავ, გავლეწ და ზაფხულ-ზამთარ სულ კაცთათვის ვმუშაობ, დამაწვენენ და დამკვლენ: რაო და, სტუმარი მომივიდაო! კარგისათვის კარგი არავის უქმნია, მოუჭირე, გველოო!

მოუჭირა კიდევ ყელსა.

შეეხვეწა კაცი: ცოტა კიდევ მაცალე, აგერ მელი არის და

მასაც ვჰკითხოთო!

მივიდნენ, მელს ჰკითხეს. კაცმან თავისი საჩივარი და გველმან ხისა და ხარის მოწმობა მოახსენა.

მელმან უთხრა თავის ხერხიანის სიტყვითა გველს: ლომნადირთ ხელმწიფისაგან დასმული მდივანბეგი ვარო, ყელზე შემოჰხვევიხარ და ისე მესამართლები, როგორ იქმნებაო? შემოეშვი და შენც დამიჩოქე და ამ კაცმანცაო!

რა გველი შემოეშვა და დაბლა ჩამოვიდა, დაჰკრა მელმან ტოტი თავში, გველი მოკლა და თქვა: გველის სამართალი ეს არისო!

მერმე მან კაცმან ის მელა აღარ დაინდო და შუბის ცემა მოინდომა: კარგი რამ ბეწვი აქვსო.

შეუტყო მელმან, გაექცა და თავსა აბრალა: დავაშავე, მოვარჩინეო!

- აწ შენც ლეონ, მას გველსავით გამომიყვანე, მარჩობ და რა ვქმნა? ლეონის სიტყვა ჰხამს.

თქვა ლეონ არაკი:
კეთილი გველი

ერთი გლახაკი კაცი მივიდოდა გზასა. ნახა ორი გველი, ერთი შავი და ერთი წითელი, იბრძვის და შავი ერეოდა.

და თქვა მან კაცმან: ამ წითელს ეჭირვება მოხმარება და მოვეხმარებიო.

მივიდა, შავს გველს ჯოხი დაჰკრა და მოკლა.

მოვიდა წითელი გველი, თავი ადგილზედ დაუკრა და კალთას კბილით მოეკიდა და გაზიდა. გაჰყვა ეს კაცი. ერთის კლდის ქვაბში მიიყვანა. ეგზომი განძი აჩვენა, მეფეს არა ჰქონდა იმდენი, და გამდიდრდა კაცი იგი.

- რუქავ! როგორიც კაცი შენა ხარ, ის გველიც, შენი ნათქვამი, შენისთანა ყოფილა, თვარა კარგისათვის ავს ვინ უზამს კაცსაო.

თქვა რუქამ არაკი:
გლახა და მდიდარი

ერთი გლახა კაცი თავის სახლში იჯდა და ინატრა: ღმერთო, ხუთასი მარჩილი მომეცო და თუ ან ერთი აკლია, არ ვინდომებო.

ერთი მდიდარი კაცი თურე ბანზე იარებოდა, მან გაიგონა და თქვა: მივიტანო და გამოვცადო კაცი ესე თუ რასა იქმსო? წავიდა, ხუთასი მარჩილი დათვალა და ათი დააკლო. დაბეჭდა და ბანიდამ ჩაუგდო.

დათვალა კაცმან მან და ათი აკლდა. თქვა: ღმერთო, შენმც კურთხეულ ხარო! ერთი მარჩილიც გებოძა, იმასაც დავიმადლებდი, არამც თუ ეს დაგამწყრალოო.

ჩამოვიდა იგი მდიდარი კაცი და უთხრა: ჩემია, გამოგცადე. მომეც, წავიღოო!

მან შორს დაუჭირა: შენთვის არ მითხოვნია, ღმერთსა ვსთხოვე და მომცაო.

შეიცილნენ და ყადთან საჩივლელად წავიდნენ.

მან გლახამან უთხრა: მე არა მაცვია რა და შენ კარგად მორთულხარ, ეგ შენი ტყავ-კაბა მათხოვე და წამოვალო.

მან კაცმან ამდენს სიკეთეზე ისიც დაამატა, ათხოვა. ჩაიცვა, და წავიდენ ყადთან. იჩივლეს.

მერმე მან გლახაკმან თქვა: ეგ ასეთი მაცილობელი კაცია, თუ ამ ტყავ-კაბასაც არ შემომეცილება, ნახავთო!

მან კაცმან უთხრა: ახლა არ გათხოვეო?

ამაზე ყადი გაწყრა, მრავალი ჯოხი ჰკრეს, მდიდარი კაცი გააძეს. ასრე კარგი პასუხი უყო, კიდევ გაძარცვა და ათრევინა.

- კარგისათვის კარგი არავის უქმნია, ნუ ამბობ!

თქვა ლეონ არაკი:
მოხერხებული არაბი

ბაღდადის ხალიფა დია კარგი მეჯინიბე იყო და კაის ცხენს ძვირფასად იყიდდა. დავარდა ამისი ხმა. ერთმან არაბმან ერთი ცხენი მოიყვანა, ორი ათას მარჩილად დააფასა. ხალიფამ მაშინვე მოუტანინა.

მან არაბმან უთხრა: ერთს ძაძაში ჩამიყარეთ, თვარა რით წავიღოო?

ჩაუყარეს და მისცეს. მოჰკრა არაბმან ვეცხლს ხელი, გარდაჰკიდა ცხენსა, შეჯდა, გააჭენა ცხენი. გამოუდგნენ სულ ხალიფას ჯარი კაის ცხენებითა. გზა და კვალი ვეღარ გაიგნეს. მობრუნდენ დაღონებულნი.

მესამეს დღეს არაბი მოვიდა, ცხენი მოიყვანა.

ჰკითხეს: რატომ ჰქმენო?

მან მოახსენა: შორს ვიდეგ, საკიდარი არა მყვანდა რა, ვეცხლი მძიმე არის, ვერ ვზიდევდი, წავიღე და, ახლა ცხენი მომიყვანიაო.

მერმე უთხრეს: ვინღა მოგდევდა, ცხენი რადღა მოგყვანდაო?

მან გაიცინა და უპირობა უზრახა: კარგის პასუხად ეგ მექმნა, ღმერთი რას მიზამდაო?

- თუ არაბმან იცის კარგისათვის კარგი, სხვას კაცს ვის არ ეცოდინება. ან ავს ვინ იქმს, თუ არა ღვთის შემცოდე. თვარა მისთვის მას კაცს რა კაი ექმნა, ან მან რა კაი უყო?

ღმერთს მისთვის წაურთმევია და ამ საბრალოს კაცისათვის მიუცემია.

თქვა რუქამ არაკი:
ჭაბუკი და მეკობრენი

ერთი კაცი, კარგი ჭაბუკი, მოვიდოდა და ხმალიც კარგი ერტყა. ყოველი საჭურველი კარგი ჰქონდა. ცოლი თან მოჰყვანდა, დია, ლამაზი და კარგი ქალი. გაიარა გზა და მიჰხვდა ადგილსა სამეკობროსა. ხუთნი ამხანაგნი იდგნენ და ბევრს კაცს აზიანებდენ. იგი კაი ჭაბუკი უცნაური იყო და უფიქროდ მივიდოდა. ვიდრემდის ხელი არა სტაცეს, ვერა შეიტყო რა.

გაძარცვეს, ხელი შეუკრეს და წაიყვანეს.

ერთს მათგანს ამხანაგს მისი ხრმალი თურე მოეწონა,

მალვით უთხრა: ამ შენს საჭურველსა და სხვას ქონებას შენ გაგაყოფინებ. შენი ხრმალი წილად მე მომახვედრე და შენს ცოლს მოგცემ და გაგიშვებო.

მან კაცმან ფიცი მისცა: თუ მე გამაყოფინებ, ჩემს ხრმალს შენ მოგახვედრებო.

წაიყვანეს. ერთს სამზირალს ალაგს ციხე იდგა, მუნ დაესადგურათ. ათი კაცი სხვა მხარშეკრული იდვა და ნაძარცვი აუარებელი.

მან განდობილმან ამხანაგმან თქვა: ეს დღევანდელი კაცი სულის კაცსა ჰგავს და მოდი ამას გავაყოფინოთო!

ნება დართეს სხვათაც და ხელი გაუხსნეს.

დაუწყო ყოფა მან კაცმან; ერთ წილად თავისი ცოლი

დასვა და ერთ წილად ერთი ფარი და ზედ შიშველი თავისი ხრმალი.

ანაზდად დაავლო ხელი, უწინ, რომელსაც ხრმალი უქადა, სცა მას და მოკლა. ერთი სხვა მოკლა. სამნი გაექცნენ. მუნ ხელდაკრულნი კაცნი დაჰსნნა, ხრმლები მისცა, გამოუდგნენ და ყველა დაჰოცეს. მან კაცმან თავისი ცოლი წაიყვანა და თავისი საჭურველი. სხვა მათ კაცთ მისცა: მე ეს მეყოფაო.

- რადგან მან ერთმან ამჰანაგმან ამდენი სიკეთე უყო, რომ ენდო, ხელი გაუჰსნა, გააყოფინა, ცოლი მისცა, ეს მის სიკვდილ რასღა ემართლებოდა? კარგისათვის კარგი არაოდეს ქმნილა, რასაც შენ არა სტყუი და ახლა არ იგონებო!

ლეონ უთხრა:

- კარგი ჰქმენი, მას კაცსა მათზე ავის ქმნა დაუწუნე. ცოლი წაართვეს, გაძარცვეს, თავი დაიხელთა და ის მოკლა, ავად უქმნიაო. მე მასცა ვუძრახავ, უწინვე რასათვის ასრე ღაფლად დარჩა? თუცა უკანის არა ექმნა რა, შენებრი კაცი იქმნებოდა.

თქვა ლეონ არაკი:
დიდვაჭარი და მეფუნდუკე

ბოლნისისა მთისა ძირსა, გზის გადასავალსა, ერთი კარგი ფუნდუკი აეშენათ, და მუნ ერთი მეფუნდუკე იდგა. ასეთი კაცი იყო, რომე, რაც მგზავრი გაიარდა, მას ღამეს სამადლოდ ასვის, აჭამის, ცხენის ქერი და ბზე მისცის, ფასი არ აიღის, და მეორეს დღეს გაისტუმრის.

ერთი დიდი ქარავანი მოვიდა და დადგა. კარგა დახვდა.

მას ღამეს ასეთი თოვლი მოვიდა, მთა შეიკრა: ვეღარ გარდავიდა და ვეღარც გამობრუნდა. მას ზამთარს მას ფუნდუკში დარჩა. მან მეფუნდუკემ არა რა დაახარჯვინა, სულ კაცთათვის და აქლემთათვის თავისი ხარჯი მისცა.

გაიწყვნენ დიდვაჭარი და მეფუნდუკე, და ჰკითხა: შვილი გყავსო?

მეფუნდუკემ უთხრა: არა მყავსო. თურე არ უჩენდა, კეთროვანი იყო და ამ ჩემს სტუმარს არ ეზიზღოსო, და ჩემი ლხინი აღარ იამებაო. მუნამდინ შვილი კარში არ გამოუტევა, ვირე ვაჭარი არ წავიდა.

გაზაფხული მოვიდა, მთა გაიხსნა. ეს დიდვაჭარი წავიდა, დია მადლიერი იყო და ნაცვალს პასუხსაც სცდილობდა.

მერმე მეფუნდუკემ შვილი გამოუშვა.

შემოსწყრა შვილი და უთხრა: მე მაინც გძულვარ და აქეთგან წავალო.

გამოუდგა უკან ქარავანსა და მოეწია.

ჰკითხა დიდვაჭარმან: ვინ ხარო?

მან უთხრა: მეფუნდუკის შვილი ვარ. შენ ამაზე უშვილობა გითხრა, ნახვას მოინდომებს, გონჯია, აღარა იამება რაო. ახლა მეც შემოვსწყერ და წამოველ, წავალ სადმე, ან ვიშველებ და ან დავიკარგებიო.

მან დიდვაჭარმან ფიცი უთხრა: თუ რამ გეშველება, გიშველიო!

წაიყვანა და წავიდა.

მივიდა შინ. აქიმი მოაყვანინა, ვერა ღონე დაუდვა.

ერთმან აქიმმან უთხრა: ერთს კაცს რომე ერთის მეტი ვაჟი არა ჰყვანდეს, ორის წლისა იყოს, ლამაზი, კარგი. მამამან ნებით მისცეს, დაკლას, და მისი სისხლით შეიბღალოს, მით მორჩებაო!

დაღონდა. ამას ვინ მისცემდა? თურე მასვე ვაჭარსა ჰყვანდა ამისთანა ვაჟი, მის მეტი არა ჰყვანდა რა.

ასრე თქვა: თუ ეს ჩემი შვილი არ დავკლა, მაშ მამისა ამის ნაკეთარი რით გადავიხადო?

ცოლი სხვაგან გაიტყუა. დაკლა შვილი. სისხლით კეთროვანი შებღალა, და მაშინვე მას კაცს ხესავით ქერქი გასძვრა და მორჩა. მკვდარი შვილი აკვანში ჩააწვინა და

ზეწარი წაჰხურა.

იქ იმ ვაჭრის ცოლს მუცელმან და ძუძუებმან ტკივილი და წვა დაუწყო, მოიჭრა. ქმარს უთხრა: ძუძუნი მეწვიან, მარტვილს თუ არა სჭირს რაო?

ქმარმან უთხრა: რა სჭირს, კარგად სძინავსო.

მივიდა, დედამ ძუძუ მისცა, მარტვილმან წოვა დაუწყო. ამოიყვანა კარგად მყოფი, დედას სიცილი და ფოფინი დაუწყო. ყელზე ოქროს სალტესავით აჩნდა რამე.

ქმარს დაუძახა: ეს რა არისო?

ქმარმან ღმერთს მადლი შესწირა და ცოლს ყოველი ყოფილი უთხრა.

შენ რომ ამბობ, კარგისათვის კარგი არავის უქმნიაო, აჰა, ნაკეთარიც ნახე! რა გამოიმეტა წამლად და ღმერთმან რა წყალობა უყო? ავს კაცს ყოველი კაცი თავისი მსგავსი ჰგონია, თვარა რა სიტყვაა.

თქვა რუქამ არაკი:
სამნი ბრმანი

იყო ერთი გლახაკი ყრმა. წავიდა სხვაგან სამწიროდ. დაჰყო ერთი წელი. ცხრა ფლური მოიღვაწა. წლის გასრულებაზე წამოვიდა თვისსა თემსა.

რა ქალაქს მოახლოვდა, მდინარე იყო და გაშიშვლდა, დაიბანა და ტანს ჩაიცვა. წამოვიდა, ფლურები თურე მუნვე დარჩა.

მოაგონდა ფლურები და აღარ აქვნდა. ღმერთსა აღთქმა

დაუდვა: თუ ჩემი ფლურები ვიპოვნე, ერთი შენს სახელზე გლახაკს მივსცეო.

მივიდა, სადაც ტანი ებანა, მუნვე პოვა.

წამოვიდა ქალაქად. ერთი უსინათლო გლახა პოვა, უთხრა თავისი ამბავი: ასე აღთქმა დამიც და აჰა ფლურიო!

იგი გლახა ორისავ თვალით ბრმა იყო. ასე უთხრა: რადგან ღვთისათვის შეგიწირავს, ცხრავე მომეც, მე რომელიც მნებავს, გამოვარჩევო.

დაენდო კაცი იგი, და ცხრავ მისცა. მან ბრმამ ცხრავ ჯიბეში ჩაიდვა. ამ კაცმან თხოვა დაუწყო.

გლახამ ზახილი შექმნა: მიშველეთ, ეს კაცი რას მიპირობსო?

მოწამე არა ჰყვანდა. წაართვა მან ბრმამან ფლურები. დაღონდა ის საბრალო კაცი, თან გაჰყვა: ამ ჩემ ფლურებს რას უზამსო?

შევიდა ეს გლახა თავის სახლში, ერთი ქილა ამოიღო, სულ ფლური ედვა, ისიც ზედ დააყარა და უთხრა: ჩემო ხუთასო ფლურო, ეს ცხრაც შემოგმატეო!

სამჯერ შეაგდო ქილა და დაიჭირა. მეოთხედ რა შეაგდო, მან კაცმან ჰაერში ხელი მოჰკრა და დაუმალა. ეძება ბევრი, მაგრამ სადღა ჰპოვებდა? გამოვიდა და დაიწყო ტირილი.

მოვიდა სხვა უსინათლო გლახაკი და უთხრა: რა გატირებსო? უამბო მის ამბავი: ასე, ხუთასი ფლური დავკარგეო!

მან მეორე ბრმამ უთხრა: აგრე უნდა ფლურის შენახვაო! ამ ჩემს მრუდს ჯოხში შვიდასი ფლური ძეს, სადაც დავაგდებ, ვინც აიღებს, მევე მომიტანსო!

უწინდელმა ბრმამ სთხოვა: მაჩვენეო!

რო მიაძლია, ეს საბრალო კაცი იქივ იდგა, მან გამოართვა. რა დაგვიანდა, თხოვა დაუწყო.

მან უთხრა: არ მოგიციაო. ამაში შუღლი გამოერიათ ორთავ ბრმათა.

ამ ჩხუბზე ერთი სხვა უსინათლო ბრმა მოვიდა, ჰკითხა: რა გაშუღლებსთო?

მან მისი ქილისა უთხრა და მან მისი ჯოხის ამბავი.

მან მესამემ ბრმამ უთხრა: ვაი თქვენს ჭკუასა, რა კარგა შეგინახავსთ ფლურებიო! ამ ჩემს ძველს ჩოხაში ათასი ფლური ძეს, სადაც გავაგდებ, მევე მომცემენო.

საბრალო იგი კაცი მუნვე დგა. ესმოდა, წავიდა, თაფლი იყიდა და ჩოხაზე შესცხო. ფუტკარი დაეხვია. ბრმამ ჩოხა გაიხადა. ისიც მან საბრალო კაცმან წაიღო. შექმნეს ამ სამთავ ბრმათ ყვირილი და ტირილი.

ეს საქმე სამეფოდ გახდა.

მეფემ კაცი დააძახა: ვინც ჰქმენით, მოდით, მე მიამბეთ, თვარა სულ ამოგწყვეტთო!

იგი საბრალო კაცი შეშინდა. მივიდა და ყველაყა მოახსენა: ესრე კარგი ვუყავ და სიკეთის პასუხი ეს მიყოო.

მას საბრალო კაცს მეფემ ესრე უბრძანა: რადგან კარგისათვის კარგი არავის უქმნია, ას-ასი ფლური შენს სამლოცველოდ მიეც და სხვა შენი იყოსო.

უთხრა ლეონ:

ეგ კარგისათვის ავი პასუხი არ არის. მას საბრალოს კაცსა ღვთის აღთქმა გარდაუხდია, ბრმა დაჰხარბებია, სამთავ უსამართლოებით ნაშოვნი ჰქონიათ და ღმერთს სულ იმ საბრალოსთვის მიუცია.

თქვა ლეონ არაკი:
მაგისტროსი კეისრისა

იყო მაგისტროსი ერთი, დია კარგი და სახელოვანი ჭაბუკი, ყმა კეისრისა. და გაგზავნა კეისარმან

მოციქულად საფრანგეთს. დია ქველის მოქმედი კაცი იყო, უფროსად ფარულად იქმოდის.

წავიდა. რა გზა განვლო, ნახა, ერთს ადგილს ერთი შიშველი მკვდარი კაცი გდია. წავლო პაშტა ადგილი, მოსამსახურეთ უთხრა: თქვენ წადით, მე ნუ მელითო!

რა ისინი გაიცალა, დაბრუნდა, ტანს გაიხადა, ორი პერანგი ეცვა, ერთი მას მკვდარს წახურა. ჩაიცვა აგრევ და მსახურთ მოეწია.

მივიდა ქალაქსა ერთსა. ნახა, ფოლორცში მწვირე დგას და შიგ საპყარი გლახა ეგდო. არცავინ ამომყვანი პყვანდა და არცავინ მიმცემი რისამე. თვით მაგისტროსი ჩამოხდა სახედრით და ამოიყვანა საპყარი, ხმელზე დასვა და ერთი ფლურიც მისცა.

წავიდა საფრანგეთს, ჩაჯდა ნავში, ზღვა აუღელდა, ნავი დაემსხვრა და მაგისტროსი უფსკრულში დაინთქა.

მოუხდა კაცი ერთი, მოჰკრა ხელი და ხმელზე გამოიყვანა და უთხრა მაგისტროსს: მე ის გლახა ვარ, შენ რომ წუმპით ამომიყვანე; მე მის მაგიერ ეს მიქნიაო!

წავიდა საფრანგეთს, ყოველი კეისრის ბრძანებული გაასრულა, მობრუნდა, მოვიდა კონსტანტინეპოლედ. მოედანზე ცხენი გამოაჭენა, წაექცა, წვივი სრულებით დაილეწა. გამოვარდა მეფე და სრული ჯარი. აიყვანეს მაგისტროსი, შეიყვანეს, დააწვინეს, მკურნალნი დააყენეს. ვერა უწამლეს რა.

მაგისტროსს ერთი გულითადი მონა ჰყვა, სულ საწოლს უწვის, იგი შეუყენა დასტაქართა: ჩემთვის რას იტყვიანო? დასტაქარნი გავიდენ, მონა გაჰყვა, დასტაქართ თქვეს:

ხვალ მოვიდეთ, თუ მუხლში მოგვაჭრევინოს, უწამლოთ, და კიდეც მორჩება, თვარა მოკვდება და ხელს ნუ მივყოფთო!

მივიდა მონა და ყველა უამბო.

რა მაგისტროს მოისმინა, ასე თქვა: მე ცალფეხს სიცოცხლეს, მოვკვდე, დია მიჯობსო!

მრავალი იტირა და მიეძინა. და მონა იგი ფერხთით უწვა.

შუაღამისას შემოვიდა კაცი ერთის სარკმლიდგან, თეთრი პერანგი ემოსა, დაჯდა. მაგისტროს მოიკითხა და ფერხის ამბავი ჰკითსა. მერმე უთხრა: მაჩვენე ფერხი, რა რიგად გაქვსო?

გაუხსნა და უბეთა ერთი მოთხე ედვა, ამოიღო. მას შიგან

წამალი რამ იდვა, ამოიღო, თითი დააწო და ფერხი დაუზილა. უთხრა: გაიძარო! არ მოეხსნა და გააძვრევინა. ფერხი კარგა გაიძრა.

მეორედ კიდევ წასცხო წამალი და უთხრა: ადეგ, მამეყრდენო! მაგისტროს კიდევ უარი თქვა და არ მოეხსნა, აღადგინა და მიიყრდნა.

დააწვინა და მესამეც წასცხო და უთხრა: აღდეგ, წარვლე, მორჩიო!

წარვლო, მთელი კაცი შეიქმნა. უთხრა: მე იგი მკვდარი ვარ, შენ რომ გზაზე მნახე და პერანგი წამხურეო. მე მის სიკეთის პასუხი ეს მიქნიაო!

- აწ, ძმაო რუქავ, დიდმან იცის და მცირემან კარგისათვის კარგი პასუხი. გლახაკმან და ვაჭარმან, მკვდარმან და

საპყარმან ესე ქმნა და შენ რად იტყვი კარგისათვის ავსა და მაგიერის უქმნელობასა?

თქვა რუქამ არაკი:
მეფე ანაკოფიისა

მეფე იყო ანაკოფიისა. მრავალი ერი მონებდა და ყოველი კაცი უყვარდა. ერთგულისას ამას იტყოდის: რა გინდ ბევრი ვაწყინო, ისევ ერთგული ბუნება აქვს და არ დამთმობსო და ორგულს ეგოდენს წყალობას ვუზამ, გავიერთგულოო.

გამოხდა ხანი. ორგული არ გაუერთგულდა და ერთგულიც გაუორგულდა. მტერნი აუჩნდნენ. მეფე სამკვიდროზე ვეღარ დადგა და სხვას თემს ივლტოდა. თან ორივ გარდაჰყვა: ერთგულიცა და ორგულიცა.

რა დიდად გასჭირდა ხანთ სიგრძისაგან, თუ რამ ორგულს უბრძანის სამსასური, აყვედრის: რა მეწყალობება? სახლი გაუშვი, მამული და შენ გახლავარ. აწ კიდევ აქა-იქ ტანტალს არ მაჯერებო!

რა ერთგულს უბრძანის, უთქმელად ჰყვის.

გამოხდა ხანი და უფრორე გაუძნელდა საქმე.

რა აღარას ხსნა იყო, მოახსენა ერთგულმან: გარდმოვარდნილხარ და საგანძური დაგლეკია, აღარა გეშოვება რა. მე გამყიდე და ჩემის ფასით სხვანი დაარჩინე!

შეწუხდა მეფე და არა ქმნა ენება. მაგრა ღონე აღარ იყო. გაყიდა ერთგული და მისი ფასი იხმარა. მან ერთგულმან, რა თავი გაიყიდა და გაჰშორდა, გამოიპარა და პატრონთან

მოვიდა. რამდენჯერ გაუჭირდის, თავი გაიყიდის და გამოიპარის და პატრონთან მოვიდის.

ჟამთა ვითარებით, მეფე იგი მუნვე მამულსა თვისსა მოვიდა და გამეფდა. მას ერთგულის ნამსახურს აღარა პატივი მისცა და მისი მამულიც მიუღო, და ორგულს ბევრი შეჰმატა, რომ ეს მხნე და გამძრავი კაციაო, და შენ უღონო და გულდედალი კაცი ხარო!

- ამით სცან, რომ კარგისათვის კარგი არავის უქმნიაო.

უთხრა ლეონ რუქას:

- რამცაღა გითხარ, ესრეთ შმაგხარ, მეფეს პირისპირ ეტყვი: კარგისათვის კარგი არ ძალგიც და ავისათვის ავიო. მე შენ დღეის წაღმა აღარას გეუბნები, თავმან მეფისამან!

მან სიტყვის მდინარემან, ამბავტკბილმან, ენამრავალმან ვაზირმა სედრაქ დაუწყო წვრთნა რუქასა და ეტყოდა:

- რუქავ, მე რა ამაღლებულისა და ღრუბელთა უმაღლესისა ხელმწიფისა საფარველს ქვეშე შემოვსულვარ და შენ შემისწავლიხარ, ძმასა და შვილსა ორსავ მირჩევნიხარ და არცა შენგან უკეთესი მეგობარი მყოლია. ამას გეტყვი და გასწავლი: რა კაცი კაცს გაუმტერდება, სიქიშპე ვეღარას დაანახვებს, თვარა შენგან მართებული არ არის. რასაც კაცისათვის ავი და ბოროტის მთქმელი იყო, ყოველს კაცსა სიყვარულს უნდა აჩვენებდე, თვარა, რა გაუმტერდე და ვეღარ შეიძლო, დაძაბუნდები.

თათვალი

არის ინდოეთს მფრინველი ერთი, რომელსა თათვალს

უხმობენ, მიმინოს უფროა და მფრინველს ნადირობს, თუცა მოუხდა. რასაც დღეს მფრინველი ვერ ინადირა, მივა და გუშინდელს ნაჭამს ძვალს მონახავს, დაჯდება და თითო-თითო ძვალს აიღებს ნისკარტითა და უკანით შეიყოფს. თუ სრულიად დაეტია, მერმე ჩანთქამს. იცის რომე მოვიდნობო და განსავალითაცა გავაო. და თუცა არ დაეტია, აგრევე დასდებს, რომ ვერ მოვიდნობო, და არცა ხელჰყოფს ჭამად.

- თუცა მფრინველს ეგოდენი გონი აქვს, წინასწარ გამოიკითხავს საქმესა, შენ ხომ კაცი ხარ და მეფის წინ აღზრდილი, რად იქმ უგვანსა, რად არ დაადუმებ ცუდის საუბრისაგან ენასა.

კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, გზაზედ ცუდად არ იპოვების, იაფად ვერავინ იყიდის.

ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაგრე დაურღვეველია.

ამხანაგი ლხინი ფრიადია, სიხარულთა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია.

ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია.

ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია, მოყვარეთათვის საიმედოვნეა, უცხოს თანა გამოსაჩენია და მეცნიერსა თანა მოსამსახურეა.

ამხანაგი მარტოსათვის ხმის გამცემია, ჯართათვის მარგებელია და ცოტას კაცთა შემაქცეველია.

ამხანაგი ჭირში მომხმარია, სნეულებაში მკურნალია,

სიკვდილში თავის წამგებია.

ამხანაგის უკეთესსა შენ რას იშოვნი? რად გძულან, რად ეშუღვლი, რად ეკამათები? მე მრავალი კარგი კაცი მინახავს, მამაშვილობასა და ძმობას გაჰყროდეს და ამხანაგს შესწყობოდეს.

ამხანაგში თუ არ სიყვარული, საქიშპარი არა არის რა.

უთხრა რუქამ არაკი:
სალამანდრა

ინდოეთს არის სულიერი ერთი, რომელსა სალამანდრას ეძახიან. სადაც სააგურე ენთება, ან აბანოს სახმილი, ან საკირე, მას ცეცხლში იქმნება და მუნ იპოვების. რა ცეცხლი მოაკლდება, მაშინვე მოკვდება მეტის სიგრილისაგან. ცეცხლის სიცხე არჩენს.

მუნებური მეფე მის ტყავს შეიმოსს სიგრილისათვის. მას ეგეთი აგებულება აქვს, რომე ცეცხლი თუ მოაკლდა, მოკვდება და სხვას სულიერს, თუ ცეცხლი მიეხლო, დასწვავს.

რა რიგადაც სხვადასხვა რიგი აგებულობის პატრონი მფრინველია, აგრევ სხვადასხვა რიგისა კაცია.

შენ მაგ ბუნების პატრონი ხარ, რომე ყოველი კაცი გიყვარს და მე ყოველნი მძულან. მე კი არავინ მძულს, მაგრამ მე ყველას ამაზე ვძულვარ, მეფის ერთგული ვარ. მე ამის მეტი არავინ ვიცი და არცავის ვეფერები, ვირემ მეფე ცოცხალია, არცავინ მინდა. თქვენ ყველაყანი სხვასა დაეკვრით და სხვას პირს ჰკრავთ, თვარა მე ვისზე რა დანაშაული მაქვს, რაც ცუდად არ ამიმტერდით.

თქვა რუქამ არაკი:
სამნი ამხანაგნი

იყვნენ სამნი ამხანაგნი. ერთი დია კარგი და ბატონის ერთგული და ყოვლის კაცის შეუცოდარი, მართალი და მართლის მთქმელი იყო და ორნი მტყუარნი და ორგულნი.

იგი ორნი ამხანაგნი ორგულებაზე აწვევდენ მას ერთსა, და იგი ერთი ეტყოდა: ნუ, ძმანო, არა სჯობს. პატრონისა ორგული ღმერთსაც სძულს და კაცსაცა, და ნუ ბოროტებთო!

იგინი გაუმტერდენ და პატრონთან შესმენას ეცადენ. არ შეიბეზღა და ღამე ბაგირი წაუჭირეს და დააშთვეს.

- თქვენც აგრე მიპირობთ, განა ვერა ვხედავ? ამხანაგს რომ

მიქებ, ამხანაგი ესეთი მინდა, ჩემის ნებისა და ჩემთვის კარგის მოქმედი, კეთილისმყოფელი, უზიანო, მეფესთან კადნიერად სიკეთის მოქენე, არა მაოხარი, ქიშპი, მტერი და წახდენის მცდელი. ღმერთმან ეგეთი ამხანაგი თქვენ მოგცეს, თქვენ მე ამხანაგები მყავხართ, ან როგორსაც ამხანაგობას მიპირობთ!

თქვა ვაზირმან არაკი:
გლახაკი და ქილა ერბო

ერთი გლახაკი კაცი მივიდოდა გზასა ზედა და ერთი ქილა ერბო ჰპოვა. აიღო ქილა, საკიდარში ჯოხი გაუყარა და მხარზე შეიდვა. დაიწყო გზა-გზა სლვა და გულთა ამასა უბნობდა:

- აწ გამდიდრება მოინდომა ღმერთმან ჩემი. ჩავალ ქალაქად და ერბოს ნახევარ მარჩილად გავყიდი; მით

თორმეტს ქათმის სამამლე წიწილებს ვიყიდი, მოვიყვან, დავზრდი, დავყვერავ, დავასუქებ და თითოს თითო აბაზად დავყიდი. მერმე მით საეშვე გოჭებს ვიყიდი, დავასუქებ, დავაკერატებ და ორ-ორ მარჩილად დავყიდი. მერმე მით სახარე ხბორებს ვიყიდი, დავზრდი, მოვხნავ, მოვთესავ და აშენებული შევიქმნები.

და ამ გულისთქმაში შეშა აუდვა და ქალაქს გასასყიდლად წამოიღო.

ერთი ხიდი დახვდა. თქვა მან კაცმან: აქ ხარი არ გაიარს, ხმა გავცეო. შესძახა: ჰარიო!

დაუქნია ჯოხი, ერბოს ქოთანი ხიდზე დაჰკრა, ქოთანი გატეხა, ერბო დაიქცა. მისის გულისთქმით გამდიდრება წუთზე წაუხდა.

- შენც შენის გონებით ბევრს რასმე ზრახავ და გამდიდრდები, მაგრამ ასეთი რამ გაგიზრახავს, რომე ღვთის ძალით შენს თავსაც მოჰშლი, არამც თუ განზრახული გაათაო.

უთხრა რუქამ პასუხად არაკი:

ორი დავრიში და შაჰი

ორი დავრიში მოვიდა ისპაანს. ერთი სადგომს დადგა და ერთი ისპაანის შაჰთან მივიდა.

ჰკითხა შაჰმან: მრავალი თემი მოგივლია, რა უფრო უცხო გინახავსო?

მან დავრიშმან მოახსენა:

- მრავალი უცხო მინახავს, მაგრამ ძოღან ღამ აქ საკვირველი რამ უცხო ვნახე, არას ადგილს არ მინახავსო. რა შუაღამე შეიქმნა, მოვიდა ერთი ასეთი მფრინველი: ერთი ფუნდუკი მისის კაცებითა, აქლემებითა, ადგილითა, სახლებითა, გალავანითა, სრულობით აიტაცა და წაიღო.

გაწყრა შაჰი და გააძო: ასეთი ტყუვილი რა სათქმელია, ფუნდუკი და მისი გარეშემო მფრინველმან აიტაცა და წაიღოო!

მოვიდა გაწბილებული დავრიში და ამხანაგს ყოველი უთხრა. აგინა ამხანაგმან და ეგრე უთხრა: საშოვარს მოველოდი და შენ მაგისთანა ტყუვილით გამოძებული მოხვალო! ფუნდუკის აღება რამ გათქმევინაო? ან აქლემის ატაცებას იტყოდი, ან ცხენისასაო.

მერმე მან დავრიშმან თქვა: წავიდე ამ ჩემს ამხანაგს ტყუვილი გაუმართლოო.

მივიდა. შაჰმან დავრიში ნახა, ჰკითხა: მრავალი თემი გინახავს და რა უფრო უცხო გინახავაო?

მან დავრიშმან მოახსენა: ბევრი რამ უცხო მინახავს და გუშინ წინ რომ აქ უცხო ვნახე, მისთანა არა მინახავს რაო. რა მამლის ყივილი შეიქმნა, ჰაერითგან ხან აქლემის თავი ჩამოვარდა, ხან ფერხი, ხან ცხენის ნაწყვეტი, ხან აგურის ნატეხი, ხან ალიზის ნალეწი. გათენებამდის ძილი არ მომსვლიაო.

შაჰს გაუკვირდა და თქვა: თურე იგი გუშინდელი დავრიში მართალს უბნობდა, და ცუდად გავაძეო.

მრავალი მისცა და ის ტყუილიც დაუჯერა.

- თქვენც სამთავ პირი შეგიკრავსთ და რომელიც ტყუვილს იტყვით, მეორეს ასეთს სიტყვას მოახსენებთ, რომ მეფეს დააჯერებთ და მე კი წამახდენთ.

თქვა ლეონ არაკი:
გლეხი და სამი გველი

ერთი კაცი ყანას მკიდა. ნახა, ორი გველი თამაშობდა. ერთმან გველმან მეორე დააწვინა, გარეშემო თვით წრე შემოავლო და წავიდა.

მივიდა ერთი სხვა გველი. დაინახა, წრეს შიგნით ერთი გველი წევს, წრე აღარ შეშალა, შეიკუნჩხა, შეხლტა, წრეში ჩახლტა, გველი მოკლა და ისევ გადახლტა და წავიდა.

მოვიდა მეორე იგი გველი. ნახა, თავისი ტოლი

მოკლულია. მას კაცსა ცხენისათვის ალერდი დაეთიბა, ხორომად შეეკრა. მას შიგ შეძვრა და დაიმალა.

მან კაცმან რა მუშაობა გაათავა, თივა აიკიდა, შინ წაიღო. მას ღამე გველი გამოძვრა და სულ ჯამჭურჭელი დაუშხამა და თივაშივე დაიმალა.

მეორეს დღეს მან კაცმან მათ გველთ ამბავი ცოლს უამბო. რა გველმან მის კაცის უბრალობა შეიგნა, გამოძვრა და, რაც ჭურჭელი გესლით დაეშხამა, სულ ჩამოყარა და დაამტვრია და კარი გაიარა.

შეიგნეს მათ ცოლ-ქმართა, რომ გველი თან მოჰყოლოდა და ახლა უბრალობისათვის ჭურჭლის დაშხამაც აცნობა და წავიდა.

- ძმაო რუქავ! დია კაი კაცი ხარ და ამას იქმოდე:

უბრალოსას, თუ გველი ცდილობს, არა აწყინოს რა, შენ ხომ ადამის ტომი ხარ. ჩვენ შენთან შეცოდება არა გვიცს რა, და ნურც ეგრე გესლით გვშხამავ, თვარა უბრალოს ღმერთი არ მოიძულებს და არც შენის გულისას უზამს.

თქვა რუქამ არაკი:
სამნი ძმანი

სამნი ძმანი იყვნენ. ორნი ბოროტნი და ხარბნი და ერთი მართალი და ღვთისმოსავი. გაიყარნენ. ავნი ძმანი ერთგან დადგნენ და კარგი ძმა ცალკერძ გააძეს.

წავიდა კარგი ძმა, ნახა ერთს ალაგს ერთი დიდი ქილა ფლური. ერთპიროობით ვერ ზიდა. წამოვიდა შინ. მას ღამესა ცოლს უთხრა: ამა და ამ ალაგს ქილით ფლური ვნახე და ხვალ წავალ, სახედარს წავიყვან და მოვიტანო.

თურე ძმანი ერდოდამ უმზერდენ, დახარბდენ. მასვე ღამეს წავიდენ, ხვალ ჩვენმან ძმამ არ დაგვასწრასო. მივიდენ, ლამპარი აანთეს, ნახეს, ქილა სრულობით გველითა და ღრიანკლით სავსე ეჩვენათ.

მათ ძმათა ესრე თქვეს: ჩვენმან ძმამ გვიღალატა. ეს უნდოდა ჩვენთვის ესმენინა, მოვსრულვიყავით, დაგვენახა და ეკბინათ, თვარა რა ჩვენს მზერაში თქვა იგი ამბავიო.

პირს მაგრა მოჰკრეს ორთავ ძმათ, აიკიდეს, ესრეთ თქვეს: მას ჩვენს ძმას ჩვენი სიკვდილი უნდოდა, და ჩვენ ცოლ-შვილით დავხოცოთო.

წაიღეს ქილა და ბანიდამ ჩაუგდეს. თქვეს: ქილა შეიმუსვრის, გველი და ღრიანკალი სახლს მოიცავს და ყველაყას დახოცსო.

მეორეს დღეს გაეღვიძა მას მართალს ძმას, ნახა, გუშინდელი ფლურები სახლში უყრია. მათ ძმათ მისი წახდენა მოინდომეს, მაგრამ ღმერთმან ფლურები შინ გაურჯელად მიუტანა.

- თქვენც ჩემსა ამ რიგად რასმე სცდილობთ, მაგრამ ღმერთი თქვენის ნებისას არ მიზამს, იცოდეთ!

თქვა ჯუმბერ არაკი:
გრძნეული ცოლის პატრონი

იყო ისპაანს ერთი საბრალო კაცი. და ჰყვა ცოლი ერთი, ფლიდი და გრძნეული, რომე იმისთანა არ იქმნებოდა. ქმარსა სხვა რიგად ახედებდა. მუდამისად ყურანს იკითხვიდა, დღეში ხუთს ლოცვას არ აკლებდა, ნასვამის წყლით ხელს არ დაიბანდა, სულიერობას ჩემულობდა.

თქვა მან კაცმან: რადგან ცოლი ასეთი მლოცავი მივის, მეცა ქაბას წავალ და ორნივ დაუცადებლად სამოთხეში შევალთო.

ერთს დღეს ქარავანი გადგა ბაღდადისაკენ და კაცი თან გაჰყვა. ქალაქს გარეთ ქარავანი ახლოს დადგა და მან კაცმან ესრე თქვა: რადგან ესრეთ ახლოს დგანან, ამას ღამეს შინ მივალ და დილას ადრიან ამათ მოვუსწრობო.

მის ცოლს ქმარი მისი წასული ეგონა. თავისი სატრფიალო კაცი ეწვივა და ლხინად დაჯდა. ღვინოს სმიდენ. კაცი იგი ღამე კარს მიადგა. ნახა დაფის ცემა, როკვა და სიმღერა იყო. მან კაცმან უჩუმრადვე გაიარა და ასრე წავიდა, მათ ვერა გრძნეს რა მისი მოსვლა და წასვლა, და ქარავანსავე მიეწია და წაჰყვა.

წავიდნენ ბაღდადად. და მუნ მერწყულად დადგა. დღივ და ღამივ წყალსა ზიდევდა, და მით ფულს შოობდა და იზრდებოდა. ბაღდადის ქალაქში ასეთი ქურდობა შეიქმნა, სახლი დაუთხრელი არ დარჩა. აოხრდა ქალაქი იგი. შეიქმნა ჩივილი.

იწყინა ხალიფამ და შეიპყრა ბაზრის მცველნი და უბრძანა: თუცა მპარავნი არ მიპოვნოთ, ვფიცავ თავსა ჩემსა, მუცლებს დაგიპობ ყოველთაო!

წავიდნენ კაცნი იგი და ესე ღონე მოიპოვეს: იგი ისპაანელი კაცი შეიპყრეს.

კაცმან ჰკითხა: რად შემიპყართ, რა შეგცოდეთო?

მათ უთხრეს: ამ ქალაქის განძი სრულობით მოიპარეს და შენ უნდა მოგკლათ, მპარავი შენ ხარო.

მან კაცმან ვედრება დაუწყო: ერთა კვირა მაცალეთ, თუცა ქურდი ვერ ვიპოვნო, მაშინ მომკალითო.

მათ თავდები სთხოვეს. მას ვინ უთავდებებდა? ღმერთი მისცა თავდებად და წავიდა. ორი-სამი დღე იარა. ნახა მათი სჯულის თავი, რომელსაც სადრს ეძახიან, მოვიდოდა, წინარე ორნი კაცნი მოვიდოდენ, ცოცხით გზას მოჰგვიდენ.

იკითხა მან კაცმან: ვინ არის კაცი ესე, ანუ გზას რისათვის მოჰგვიანო?

უთხრეს: ამ ქვეყნის რჯულის თავია, ესეთი ღირსი და წმიდა არის, რომ ამისის ლოცვით დგას ეს თემი და წვიმაც და მოსავალიც ამისის ლოცვით მოვაო.

თქვა მერწყულმან კაცმან: აჰა ამ ქალაქის მომთხრელი ქურდი ეს არისო. მის სადრის ჯარში აერია.

მივიდა, სადრმან ხალიფა ნახა, გამობრუნდა, სადგომს მოვიდა.

ის კაცი უცნაურად შინ შეჰყვა, ერთს სამალავს ადგილს დაიმალა.

რა დაღამდა, კაცნი დაითხოვეს და მის სახლის საფენი წამოკეცეს, კარი ახადეს. თურე მის ქვეშ სახლი აკლდამად იყო, და მის ქალაქის ქონება მუნ იდვა. მუნით ათორმეტნი ქურდნი კაცი აღმოიყვანნეს, ღვინო ოქროს სურებითა მოიტანეს და სმად დასხდნენ.

უბრძანა სადრმან: ძმანო, ახლა რას მოინადირებთო?

მათ მოახსენეს: სამის სალაროს მეტი აღარ არის და მათაც წამოვიღებთო: ერთი ხალიფასია, ერთი ვაზირისა და ერთი ნაზირისა. ამაღამ ნაზირს ვეწვევითო. მათ ქურდთა მათი საქმე იურვეს.

კაცი იგი გამოიპარა. მათ ბაზრის მცველებს ყოველივე უთხრა. მათ არ დაუჯერეს და მან კაცმან უთხრა: აჰა მე მომყევით და თვალით გაჩვენებთო!

რა სადრი გამოვიდა და ხალიფა ნახა, დაბრუნდა და მოვიდა. ორნი კაცნი თან შეჰყვნენ, მასვე სამალავში დაიმალნენ და სანათურით უმზირეს. მას ღამესაც ნახეს. ვაზირის სალარო გატეხეს.

წავიდნენ, ხალიფას აფიცეს მოუკლაობისათვის და, რა ფიცი გამოართვეს, მოახსენეს. ეწყინა ხალიფას.

მოახსენეს: ხელმწიფევ, თუცა თავს დაიმდაბლებთ და სამოსელს შეიცვლით, თვით თქვენს ბედნიერს თვალს ვაჩვენებთო.

ხალიფამ სხვა შეიმოსა და გაჰყვა მათ. მასვე ადგილს დაიმალნენ. რაც მოეხსენებინათ, ყველა მართალი იყო.

მას ღამეს ხალიფას სალარო ინადირეს. წამოვიდა ხალიფა თავის სახლსა. მეორეს დღეს სადრი მობრძანდა.

ხალიფამ უთხრა სადრს: რომ დღე ყოველ ჩემს სანახავად გაირჯები, მეც რატომ არ მაწვევ ხოლმეო?

სადრმან დაიმადლა და ხალიფა აწვია. მოვიდა, სადილი მოართვეს. ხალიფამ ღვინო ითხოვა. სადრმან შორს დაიჭირა: ჩემს სახლში ღვინო რამ გახსენებინაო?

მერმე ხალიფამ ქურდობისა უთხრა: ამისთანა მპარაობა შეიქმნა, რა უნდა ვქმნაო?

სადრმან მოახსენა: შენის უღონობით არისო.

ხალიფამ საფენი წამოაკეცინა, კარი იპოვეს და კაცნი გამოასხნეს. შერცხვა სადრსა. გამოათრიეს და, რაც ეკადრებოდა, უყვეს.

მერმე ჰკითხეს მას ისპაანელს კაცს: რით იპოვე, როგორ შეამცნიეო?

მან თავისი ცოლის ამბავი უამბო და მით გამოვიცანო, რომე ესეც მასავით ფლიდი იყო და მით ვპოვეო.

- შენც მის კაცის ცოლსავით ფლიდი ხარ და მეფეს შენს სიკეთეს აჩვენებ. აწეც არ იყოს, შენს საქმეს ბოლოდ

სცნობენ.

უთხრა პასუხად რუქამ არაკი:
მეცნიერი აქიმი

ერთი კარგი აქიმი იყო. სნეულთან რა მივიდის, სნეულის პატრონი ჭიქით მის შარდს მიუტანდის და, რა ნახის, სენი სცნის, წამალი მისცის და განკურნის.

ერთი სნეულის ამბავი მიუვიდა. ჭიქა გაგზავნა, შარდი ითხოვა. მუნ სნეულის სანახავად ორნი მისნი ამხანაგნი იყვნენ. მათ სნეულის შარდში ორთავ თავიანთი შარდიც აურიეს, მას ჭიქაში ჩაასხეს და გაუგზავნეს.

ნახა აქიმმან, გაიცინა და თქვა: მე გაუკიცხავარ, მაგრამ იგი სნეული ორ კვირაში აღდგება. ამ ერთის მთელის კაცის ცოლი ორსულად არის, ყრმასა შობს, და მეორე

მთელი კაცი სამს დღეში დასნეულდება და სწორამდის მოკვდებაო.

მოუვიდათ ეს ამბავი და ყველა ეგრე იქმნა.

- თქვენც მათსავით ერთს მინაში აფსამთ. მე უგუნური ნუ გგონივართ, ვერა შევიგნა რა. რაც თქვენ ქმნათ, თემმან სცნას.

თქვა ვაზირმან არაკი:
ანჩხლი ცოლის პატრონი

ერთი კაცი იყო საბრალო და მართალი. ერთი ანჩხლი ცოლი ჰყვა. ეს კაცი, რა პურს აიღებდის ჭამად, მდინარის პირს დაჯდის, ზოგი თვით სჭამის და ზოგი მდინარეში ჩაყარის.

გამოხდა ხანი. მდინარიდამ ერთი კაცი გამოვიდა და უთხრა: ესოდენი ხანია, რომ შენი საზრდოთი მზრდი. აწ პირში ენას გამოგავლებ და ყოვლის სულიერის ენას ისწავლიო. ამას შემოგზღავ და თუცა ეტყვი ვისმე, მაშინვე მოკვდები უცილოდო.

გამოავლო ენა და ისევ მდინარეში ჩავიდა და წავიდა.

მოვიდა კაცი იგი, სოფლის პირს დაწვა. საბძელზე ყვავი შემოჯდა. მისი ბახალა თან მოჰყვა.

ბახალამ დედას უთხრა: კაცი იგი მკვდარია და წავალ თვალებს ამოვჭამო.

დედამ უთხრა: ნუ შვილო, ადამის ტომი ხრიკიანია, არ შეგიპყრასო!

ბახალამ უთხრა: მივალ, ფეხზე ნისკარტს დავჰკრავ, თუ გაიძრა, გავფრინდები, თუ არა და გულზე დავკრავ, თუ კიდევ არ გაიღვიძა, მკვდარი იქმნება და თვალებს დავთხრიო.

კაცს ყველა ესმოდა. ჩავიდა ბახალა, ფეხზე ნისკარტი დაჰკრა, არ გაიჩუჩუნა, რა გულზე დააჯდა, მისწვდა და შეიპყრა.

ბახალამ დედას დაუძახა: მიშველეო!

დედამ უთხრა: რა ვქმნა, გიშალე და არ დაიშალე. ახლა მაგ კაცმა თუ ჩემი ენა იცოდეს, მალე მოგარჩენ, მაგრა რა გიშველო?

მან კაცმან დაუძახა ყვავსა: რა გინდა, შენი ენა ვიციო!

ყვავს იამა და წაუძღვა. ერთს კაცს მრავალი განძი დაეფლა, აჩვენა და ბარტყი მოარჩინა. წამოვიდა კაცი იგი, შინ მოვიდა.

ერთს დღეს საცაღა ლოცვა მოუნდა. ცოლმან დაუჟინა წაყვანა. რა აღარ დაიშალა, ერთი კვიციანი მაკე ცხენი შეუკაზმა. დიაციც ორსულად იყო. შეჯდა, ერთი მარტვილი უკან შემოისვა, საგზალი გარდაიკიდა და წავიდა.

რა პირშეღმართ შეუდგეს, კვიცი დავარდა და დედას დაუძახა: მომიცადეო!

დედამ დაუძახა: მე ერთი მუცელში მიძს და სამი თავისის ნუზლით ზურგსა მკიდია. თუ მე ვიარები, შენ რა დაგემართა, რატომ დავარდიო?

მან კაცმან რა მოისმინა, დიდად გაიცინა.

ცოლმან უთხრა: რაზედ იცინი, მითხარო?

მან უთხრა: ვერ გეტყვიო.

ცოლი არ მოეშვა.

ქმარმან შეჰფიცა: თუ ვთქვი, მოვკვდებიო.

არ იქმნა, ცოლმან დია შეაჭირვა.

ქმარმან უთხრა: არ დამეხსენ, წავიდეთ, ვილოცოთ, შინ მოდი, ჩემი აღაპისა და სუდარის საქმე გამირიგე და გეტყვიო.

დიაცს იამა, სწრაფით მივიდა, ილოცა, გამობრუნდა, აღაპი

და სუდარა დაუმზადა და თქმას დაუჟინდა.

მას კაცს ერთი ციბა ჰყვანდა. ტირილით კარში გამოვიდა. კარზე მამალი დაჰხვდა. ჰკითხა ციბას: რა გატირებსო?

მან ყოველი უთხრა: პატრონს დიაცი მიკლავს და ის მატირებსო.

მამალმან უთხრა: შედი შენი პატრონი გამომგვარეო!

ვირემდის კაცი გამოვიდოდა, სოფლის დედლები სულ შემოიგროვა და მამალი შუა დაუდგა.

კაცს ჰკითხა: რატომ იკლავ თავსაო?

მან უთხრა: ცოლი არ მეშვება და რა ვქმნაო?

მამალმან მას ქათმებს რაღაც უთხრა და შემოურბინა. ყველანი გაინაბნენ. მერმე კაცს უთხრა: მე სამოცი ცოლი მყავს, ვინძლო უჩემოდ ერთმან საკენკი აიღოსო, და შენ ერთის ცოლის ხელით ჰკვდებიო.

კაცმან ჰკითხა: მაშ რა ვქმნაო?

მამალმან უთხრა: ერთი შინდის ჯოხი მოსჭერ, რა გითხრას თქვიო, მისდეგ, ეგოდენი ჰკარ, რომ მიამკვდარო და აღარ გკითხავსო.

დაუჯერა მამალსა. რა ცოლმან თქმა უთხრა, მუნამდის სცა, ვირემდის სულობას მიდგებოდა, და მორჩა კაცი იგი სიკვდილსა.

- მის მსგავსად, ვირემდის შენთვისაც შინდის ჯოხს არ მოსჭრიან, შენს მანკიერს ენას ვერავინ დაადუმებს.

უთხრა პასუხად რუქამ არაკი:
თხა და მელი

ერთი თხა და ერთი მელი დაძმობილდნენ და საზიაროდ ყანა დათესეს. რა მოსავალი მოუვიდათ, დია კარგი ყანა იყო. მომკეს, გალეწეს და გაანიავეს. ხვავი ცალკერძ დააგროვეს და ბზე ცალკერძ.

მელმან უთხრა თხასა: ხვავი მე და ბზე შენაო.

თხამან უთხრა: არა, სამართალი ასეა, ორივ შუა გავიყოთო.

მელმან უთხრა: მაშ მე წავალ, ბიძაჩემს მოვიყვან და მან განგვიყოსო.

ვირემდის მელი ბიძას მოიყვანდა, თხა წავიდა, ცხვრიდამ ორი დიდი ქოფაკი მოიყვანა და ბზეში დამალა.

მოვიდა მელი, ერთი ასეთი მგელი მოიყვანა, თხას თვალთ დაუბნელდა.

უთხრა მგელმან თხასა: ჩემს დისწულს რატომ აჩივლებო?

თხამ უთხრა: მაშ რადგან მოწმად მოყოლიხარ, მეც მამა-ბიძანი აქ მისაფლავიან, მათ საფლავზე შედეგ, დაისულე და მართალი მოწამე იქმნებიო.

მგელმან თხის შეჭმის ნდომით ვეღარა გაიგო რა. ბზეზე რომ შედგა, წამოუცვივდნენ ძაღლები. მელი და მისი მოწამე ისე გახადეს, შარშანდელიც დაავიწყეს, არამც თუ წლეული ეშოვნათ.

- თქვენ რომ ორნი-სამნი გაბიძამამიდებულხართ, თუ ერთი მისთანა მომხმარო მეც მყვანდეს, შინდის ჯოხებს არა და უზნისასაც გაგითლი, მაგრამ მარტოკამ რა ვქმნაო.

თქვა ლეონ არაკი:
მუშა კაცი და ბედი

იყო ერთი უცხო მუშა კაცი სოფელსა ერთსა და ქონებისა მისისა რიცხვი არ იცოდა.

დღესა ერთსა დილაზე დაიძახა: კაცი ვინც მოვა ჩემთანა, რომ ჩემს ბედთან გავგზავნო და ჩემი ამბავი მიუტანოს, ასს ფლურს მივსცემო.

არავინ გამოჩნდა. შუადღისას დაიძახა კაცი და ოცი ფლური უქადა. არავინ იპოვა. საღამოს ჟამს ერთი ფლური უქადა. ერთი გლახაკი კაცი გამოჩნდა და უთხრა: მე

წავალო.

კაცმან მან არა რა იცოდა, არც ვაჭრობა, არც მუშაობა; ორძალი კარგა იცოდა და უკრევდის ხოლმე და იმღერდის.

გაგზავნა მან კაცმან კაცი მეორძლე და ასწავლა: ამა და ამ ალაგს მრავალნი კარავნი დგანან და მუნ კაცნი ურიცხვნი და ერთი დიდი კარავია. მუნ მყოფი კაცი მე მგავს და ესრე მუშაობს, ოფლი ჩარცხის. მას ჩემ მაგიერ უთხარ: ღმერთმან მადლი მოგანიჭოს, ნუღარ იჭირვი, მე სამყოფი მაქვს, აწ შენც მოისვენე, და მეც მომასვენე-თქო. ერთი ფლური მისცა და წავიდა.

მივიდა, ადგილი იგი პოვა. კაცი იგი ნახა და დაბარებული უამბო. იამა კაცსა მას და მადლი უთხრა. მას ღამეს გაასვენა.

მეორეს დღეს მან კაცმან მისი ბედი იკითხა: რომელიაო?

უთხრეს მას: ასკილის ძირს მეორძლე კაცი რომ ზის, იგიაო.

მივიდა, მოემშვიდობა, ჰკითხა: ჩემი ბედი შენ ხარო?

მან უთხრა: მე ვარო.

უთხრა: დილაზე ასი ფლური რომ მიქადეს, რად არ მაცნობეო?

ბედმან უთხრა: მაშინ ორძალი გამიტყდა და ვაწებებდიო.

კაცმან უთხრა: ოცი ფლური რომ მიქადეს, მაშინ რას იქმოდიო!

ბედმან უთხრა: ახალ ალყას ვაბამდიო.

კაცმან უთხრა: საღამოს ერთს ფლურზე რაღას იქმოდიო!

ბედმან უთხრა: მაშინ გავმართე და გაშოვნინეო.

მან კაცმან ორძალი სთხოვა: მომეც, მეც დავუკრაო. გამოუღო, დაჰკრა თავში და დაალეწა.

ბედმან უთხრა: რას მირისხდები, რაც მე ვიცოდი, შენც გასწავლე და მეტი რა მექნაო. შეუძლებელს ღმერთიც არ მოუდებს კაცთაო.

- აწ შენს უამხანაგობას ჩვენ რას გვაბრალებ? ჩვენს ბედს სიმარტოვე სძულს და მოყვასნი უყვარან. და შენი ბედი შენისთანაა და რაც მას სჭირს, შენც იმას გაძლევს.

უთხრა პასუხად რუქამ არაკი:
მეფე და მებაღე

იყო მეფე ერთი და აქვნდა წალკოტი, ვითა ჰშვენოდა.

მოვიდა მებაღე და მოახსენა მეფესა:

- ვარდსა შიგან ბულბულს ბუდე დაუცს.

მეფემ უბრძანა:

- არა შერჩეს ბულბულსა მაგისი ქმნა!

გამოხდა ხანი. მოვიდა მებაღე და მოახსენა მეფესა:

- ბულბულმან ბარტყნი დაჩიკნა; მოვიდა გველი,

ბულბულიც შეჭამა და ბარტყებიცა.

უბრძანა მეფემ:

- არცა გველს შერჩეს მაგისი ქმნა!

კიდევ მოვიდა მებაღე და მოახსენა:

- შამბსა ვთიბდი და გველი შემომაკვდა, მანგლით დავჭერ.

უბრძანა მეფემან:

- არც შენ შეგრჩეს!

მეფემ დაითხოვნა კაცნი და ჯალაბეურ წალკოტში ლხინი მოინება.

მებაღე ერთს ხეზე გავიდა და დაიმალა, სცნეს ხადუმთა, პოვეს და მეფეს მოგვარეს. მეფემ სიკვდილი ბრძანა.

მებაღემ მოახსენა: ვითა ჩვენ არ შეგვრჩა ბრძანებისაებრ შენისა, აღარც შენ შეგრჩეს სიკვდილი ჩემიო!

გაეცინა მეფესა და აღარ მოკლა.

- ღვთით, იმედი მაქვს, არც თქვენ შეგრჩესთ ჩემი წახდენა, თვარა ჩემს საქმეს მე ვხედავ, რაც მაცან თავსაო.

თქვა ჯუმბერ არაკი:
განშორებული და მარტვილი

იყო ერთი წმიდა კაცი, განშორებული. მოინება სოფლად გამოსვლა. გამოვიდა, მოვიდა ქალაქსა ერთსა, შევიდა

კაცისა დიდებულისასა. დია კარგა დაჰხვდა. ვითა ჰმართებდა, გაასვენა. დიდებულს ერთის რვის წლის მარტვილი ჰყვანდა, უხაროდა.

გამოხდა ჟამი. კარზე ტირილი შემოესმათ, მკვდარი მიაქვნდათ.

უთხრა მამამან:

- გადი, შვილო, მკვდარი მიაქვთ; ნახე: წარწყმდა, თუ ცხონდა?

გავიდა მარტვილი. მოვიდა და მოახსენა სიხარულით: ცხონდაო!

მეორეზე სხვა მკვდარი გამოატარეს. გაგზავნა კიდევ.

მარტვილი მერმე მწუხარებით შემოვიდა: ეს კი წარწყმდაო!

თქვა მან განშორებულმან: მე ორმოცი წელიწადია უდაბნოში ვარ და ანგელოზი საზრდოს მიზიდავს; მე ვერა ვსცნობ, ვინ ცხონდა და ანუ ვინ წარწყმდა, ამ მარტვილმან ვით სცნაო?

უთხრა მარტვილმან: წმიდასა ამით ვსცნობ: ვინცა ვინ უკან ერი მისდევს, მას ყური დავუგდე. წეღან ამას ამბობდენ: კარგი და ღირსი იყოო, უწყინარი და ღვთის მაამებელიო, და ვიცი ცხონებულია, საქმით შეიტყობა. ახლა ამას ყველანი უჩიოდენ: ავი, უწყალო და უსამართლო, მტყუანი იყო, ღვთისა არ ეშინოდა და კაცისა არა რცხვენოდაო. ამით ვიცი, კაცი მისი საქმით იცნობებაო.

- ახლა შენცა გეტყობა. შენის ავსიტყვით და საქმით მრავალის ავის მოქმედი ხარ და ჩვენც შეგვიტყვია.

უთხრა პასუხად რუქამ არაკი:
კატის გაზრდილი ლომი

ერთი კატა დაიარებოდა. ნახა, ერთი ძუ ლომი მომკვდარა და ერთი ლეკვი დარჩომია. წაიყვანა და ზრდა დაუწყო. რა გაიზარდა და დიდი შეიქმნა, დაიწყო ნადირობა და ნადირის ჭამა.

დღესა ერთსა ნადირი ვეღარ იშოვნა, თავისი გამზრდელი კატა შესაჭმელად მოინდომა. კატამ რა შეიტყო, გაექცა და ხეზე გავიდა. ლომი ძირს წამოუწვა, უთხრა: ჩემო დედის უსაყვარლესო და ჩემო დამარჩენელო გამზრდელო, ყოველი შენი ზნეობა რომ მასწავლე, ეგ ხეზე გასვლა რად აღარ მასწავლეო?

კატამ უპასუხა: ეს ჩემთვის შევინახე: რა ასრე გამიჭირდებოდა, მომხმარებოდაო.

- მე ჩემი ცოდნა, თუ რამ ვიცოდი, შენ გასწავლე და ჩემთვის აღარა შევინახე რა, აწ არ ვიცი, ხელთა გყევარ და ბევრს ავსაც მიზამ.

თქვა ვაზირმან არაკი:
მოტირალი და მოცინარი

ორნი კაცნი იყვნენ ქალაქსა ერთსა. ერთი წამდაუწუმ სულ ტიროდა და ერთი სრულობით იცინოდა, რომე მოწყენილს ვერავინ ნახევდა.

ჰკითხეს მოტირალს კაცსა: ავზე და კარგზე, საცინალზე და სატირალზე სულ რატომ სტირიო?

მან ეგრე თქვა: რა ვქმნა, ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ამ საწუთროს საქმეს შვრებიან, საუკუნო სასჯელი დაუვიწყებიათ, და მით ვტირი, ყოველნი ჯოჯოხეთს იშენებენო.

მერმე მას მოცინარეს კაცს ჰკითხეს: შენ რა გაცინებსო?

მან ესრე თქვა: ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ავს შვრებიან, კარგს არ იქმონენ. ყოველს კაცს ვუქადაგე, ვურჩიე, ვერა დავაჯერებინე რა და აწ სიცილს ძალი მივეც. მეც რომ ზრუნვით თავი მოვიკლა, რას მარგია და ან მათი რა სარგებელია?

- მის მსგავსად, შენთვის ვიურვე, ვიწუხე, ვინაღვლე, გასწავლე, ჩემი ვერა მოგასმინე რა; ახლა მეც სიცილს ძალი მივეც.

უთხრა პასუხად რუქამ არაკი:
მელი და მწევარნი

ორნი მწევარნი ნადირობას დადიოდენ. ერთს მინდორში ნახეს, მელს თაგვი შეუპყრია, ხან გაუშვებს და ხან დაიჭერს, ხან ჰაერში შეაგდებს - ათამაშებს. მიეპარნენ და მელი შეიპყრეს.

უთხრა მელმან მწევრებს: ჩემი დღე ხომ მოვიდა. ღმერთმან ჩემი თავი თქვენ მოგცათ. სადღა წაგივალ? ამ მინდორს ხედავთ? ამდენი შემიხვეწიეთ, თქვენც იცით, როგორ ჩემი გვარი თაგვის მტერია. გამიშვით, ერთი თაგვი დავიჭირო, ვითამაშო და მერე, რაც გინდა, მიყავითო!

დატყუვდენ. მწევრებმა გაუშვეს მელი. მელმან თაგვი

დაიჭირა, ათამაშა. შეაგდო და დაიჭირა. ხან აქეთ ათამაშა, ხან იქით. თურე ახლოს სორო ჰქონდა და შიგ შევარდა.

მოუსხდენ მწევრები და უთხრეს: მელო! გამოდი ერთი თაგვი კიდევ ათამაშე, ის ხომ დიდად გიყვარსო და მერე შედიო!

მელმან უთხრა: შარშან რაც ვითამაშე, ისიც მიმძიმს, არა თუ ახლა გამოვიდე და ვითამაშოო!

- შარშან რაც გეუბენ და ან შენი ვისმინე, ისიც დიდად მიმძიმს, თუ დამეხსნებოდე, არცა რას ახლა გეუბნები.

თქვა ლეონ არაკი:
ვირად ცნობილი ყადი

ერთი გლახაკი კაცი იყო, ერთი მჭლე ვირი ჰყვანდა.

გაიპარა ვირი, წავიდა მთაში გასასუქებლად. გასუქებული მუნვე პატრონთან მოვიდა.

იამა პატრონს დიდად და ცოლს უთხრა: საფქვავი აჰკიდე, წადი წისქვილში, დაფქვიო.

ცოლმან უთხრა: თუ ჩვენს ვირს ამდენი ჭკუა ჰქონდა, მთაში მჭლე წავიდა, გასუქდა და მოვიდა, მაგას როგორ ვერა იქმს, უკაცოდ დაფქვას და მოიტანოსო?

დაუჯერა ცოლს, ვირს ჯოხი დაჰკრა და გააძო. წავიდა ვირი. ვინცაღა კაცმან წაიყვანა, ვინ იცის!

გამოხდა ერთი კვირა. ვირი აღარ მოვიდა. წავიდა ვირის პატრონი, მივიდა, მეწისქვილეს ჰკითხა: ვირი გამოვგზავნე შენთანა საფქვავითა და რა იქმნაო?

მან ჰკითხა: ვინ გამოატანეო?

ვირის პატრონმან უთხრა: ჩემი ვირი ასე ჭკვიანი იყო, კაცი არ უნდოდაო.

იგი მეწისქვილე ხრიკიანი რამ იყო, მის კაცის სიბრიყვე შეიგნა. მის ზემოდ ერთი ქოსა მეწისქვილე იყო, დია ეშმაკი, მასთან მიასწავლა: აქ ჯერი არ ერგო და მასთან გავგზავნეო. იცოდა, რომ ის ისეთს უცხოს ტყუვილს ეტყოდა. მივიდა მას ქოსა მეწისქვილესთან, ყველა უთხრა.

მან ეგრე უთხრა: აქ მოვიდა, დაფქვა, მე ისრე ჭკვიანი ვირი არ მინახავს! ერთი შავი ჯოროსანი, ოქროთ აკაზმული კაცი მოვიდოდა, მისი ჯორი ფქვილით იყიდა. შენი ვირი ზედ შეჯდა, ზანგას ჩავიდა. მუნებური ყადი მომკვდარიყო და ყადად შენი ვირი დასვეს, იქ მონახეო!

მან კაცმან დაუჯერა. ზანგას წავიდა. ნახა, ყადი შავს ჯორსა ზის, ოქროთ აკაზმულსა. მის კაცის სიტყვა ენიშნა, შავი ჯორი იყო.

უთხრა ყადს: მე ვერ მიცნობო?

ყადი რას იცნობდა, პასუხი არ მისცა.

მერმე უთხრა: ჩემი ვირი ხარ, რად აგრე მალე გაამპარტავნებულხარო?

რა ეს ისმინა, მრავალი სცეს, თავი გაუტეხეს და გააძევეს.

რა ყადი ტარუღასთან მივიდა, მოვიდა იგი კაციც და იჩივლა: ეგე ჩემი ვირია, საფქვავი მაგ ჯორში მიუცია, გამომეპარა და აქ ყადად დამჯდარა.

ყადმან თქვა: რას ამბობ? ვერავინ მიცნობთ? მამა-პაპანი ჩემნი აქ დაბერებულან, რად არ გააძებთ მაგ კაცსაო.

მან კაცმან ასრე თქვა: მოსამართლენო! ეგ ყადი ნახეთ, ჩემს ვირს შიგნით ბარკლებზე, ორგნითვე დაღი აზის. თუ ეს ნიშანი ჰქონდეს, ჩემი ვირია, მომეცით და თუ არა და, ვსტყუიო.

ყადს თურე ქარი სჭირდა და ორსავ ბარკალზე შიგნით დუგუნები დაესხა. რა ნიფხავი ჩაჰხადეს, ნიშანი ნახეს. გამტყუნდა ყადი, სამართლით მისი ვირი შეიქმნა! მისცეს მას კაცსა.

მერე ყადი შეეხვეწა: შენც იცი, რასაც რეგვენობით არ მედავები. ჩემთან შენ ხელი არა გაქვს, მაგრა ამ ჯორს თავისის აკაზმულობით მოგცემ, შენს ვირს ხომ ესე

სჯობს და ნულარ მარცხვნიო.

მისცა ქრთამად ჯორი ოქროს აკაზმულობით. და მან კაცმან კიდევ დავა დაუწყო: ეს ჯორი ჩემის ფქვილით გიყიდია, შენ ჩემი ვირი ხარო.

დაღონდა, რას გადავეკიდე მე ამ კაცსაო. სხვა ღონე ველარა ქმნა რა და ასი ფლურიც თავის თავში მისცა.

შეჯდა ჯორსა ოქროთ აკაზმულსა და წამოვიდა კაცი იგი.

- რუქავ, ეს ხომ ყოველმან კაცმან იცის, შენც მას უგუნურსავით, რასაც ცუდად არ ედები, ჩვენში საქიშპარი საქმე არა გაქვს რა, და ჩვენც ქრთამს მოგცემთ და მოგვეშორე, გეხვეწებით!

თქვა რუქამ არაკი:

ვირი, კაჭკაჭი და მგელი

ერთი კაცი იყო. ერთი დაღლეტილი ვირი ჰყვანდა. წაიყვანა და საძოვარზე დააბა. თვითონ მიღმა დაჯდა და ყურება დაუწყო.

მოვიდა კაჭკაჭი, ზურგზე შეაჯდა, დამპალს ხორცს გლეჯა დაუწყო.

ვირი დაბმული იყო, ვერ აეშვა და ტლინკვა დაიწყო. რამდენჯერ ვირი ტლინკს შეყრიდა, მისი პატრონი კაცი სიცილით ბნდებოდა.

ტყიდამ ერთი მგელი უყურებდა და თქვა: მე თუ მას ვირთან მნახვენ, ამ სოფლის კაცი და ძაღლი სრულობით მე გამომეკიდებიან, და აგერ ვირი კაჭკაჭმან ლამის შეჭამოს, და პატრონი ხაროობსო!

- მისი არ იყოს, რა მე ხმას ამოვიღებ, ყველანი პირს შეკვრენ და მე გამომეკიდებიან, თვარა უმისოდ თვით გაერთებულან და რას ხრიკს ლამიან, ჩანს.

თქვა ჯუმბერ არაკი:
რნი ამხანაგნი და დათვი

ორნი ამხანაგნი წავიდნენ ნადირობად. ნახეს, ერთი მაწოვარი დათვი მოვიდოდა. იარეს და მისი სორო პოვეს. თქვეს: სოროში მას დათვს ბელები ეყოლება, იგინი გამოვასხათო!

ერთი შიგ შევიდა და მეორე გარედ დადგა. ნახა: დათვი დაბრუნებულიყო და მოვიდა. იგი მეორე ამხანაგი შეშინდა და ხეზე გავიდა. დათვმან სოროში შესვლა მოინდომა. მან ამხანაგმან თქვა: თუცა დათვი სოროში

შევა, მას ჩემს ამხანაგს ხომ მოკლავსო.

დათვმან რომ წელს წინათი სოროში შეყო, ჩამოვიდა ხიდამ მეორე ამხანაგი, დათვს კუდი მაგრა დაუჭირა, სოროს პირს ორნივ ფერხნი მიაჭირნა. დათვმან ყვირილი შექმნა და მიწას ბრდღვნა დაუწყო, სორო სულ მტვრით აავსო.

მან შიგნითმან ამხანაგმან უყივლა: - ნუ ამტვერებ, მტვერმან დამარჩოო!

გარეთმან უთხრა: თუ კუდი ხელთ არ მეჭიროს, შენს მტვრის მოდენას მაშინ ნახავო!

- მეც თუ ამათი კუდი ხელთ არ მეჭიროს და შენზე მოვუშვებდე, შენს ყოფას ესენი მოგანახვებენ.

უთხრა პასუხად რუქამ არაკი:
ყაზან-შაჰ და მისი ცოლი

იყო ყაზან-შაჰ ერთი დიდი დიდებული და ხათუნად ჰყვა ქალი ერთი შვენიერი. ეყოლა ვაჟიშვილი და, რა მოიზარდა, მამა-დედანი ათამაშებდენ.

ცოლს მარტვილი სთხოვა და, რა მიაძლია, ხათუნს ფათერაკი მოუხდა და ქარი დასძვრა.

იწყინა დიდად ყაზან-შამ და ცოლიც გააგდო და შვილიც თან გაატანა მარტო უკაცოდ. და მან სხვა ხათუნი დაისვა.

წავიდა ხათუნი, სამკაული დამალა, ძონძი შეიმოსა და ერთს მეწისქვილეს შეეწყო.

ერთი მისი ტოლი ყრმა მას მეწისქვილეს ჰყვანდა და

ორნივ ერთად იზრდებოდენ და თამაშობდენ. მეწისქვილის ძე მცირეს წისქვილს აშენებდის, ღარსა და ბორბალს აკეთებდის, ვითა მამა-პაპათა წესია.

ხათუნის ძე ტახტს კრევდის, ზედ დაჯდის და ეტყოდის: მე დამიჩოქე და შემომჩივლეო!

ყრმობითგანვე ესრე იყვნენ. რა ათჩვიდმეტისა წლისა შეიქმნა, მას წისქვილთან კაი ადგილი ხევნარი იყო, ყაზანშას სპასალარი თემის ასაწერად იარებოდა, მუნ მოვიდა და დადგა. ნახა ყრმა იგი და მოეწონა. იკითხა: ვისიაო. და მოახსენეს: ერთი საბრალო დიაცის შვილიაო.

სპასალარმან დიაციცა და მისი ძეც, ორნივ თან წაიტანა. მან ყრმამან ასრე შეაყვარა თავი, მის ძეს იგი ერჩია და დიდს პატივს უყოფდა.

დღესა ერთსა ჰკითხა შვილმან დედასა: ვინა ვარ, ან ვისი ძეო?

დედამ უთხრა: შაჰის ძე ხარო და ასე მომიხდაო. მისთვის მეც გამომაძო და შენცაო.

შვილმან უთხრა: თუ სხვა არა შეგიცოდებია რა, მაგისი ადვილი არისო.

დედამ შეჰფიცა: არაო.

გამოუღო დედას სამკაული, ოქროზე გაყიდა. დასხა ოქრომჭედლები და სულ ოქროს ხორბალი დააქნევინა. წავიდა ბაზარში. ყასაბსა, მეწვრილმანესა და მეპურესა სუყველას ხორბალი დაუწინდა:

სამს დღეს უკან ფასს მოგიტანთო, სასმელ-საჭმელი

იყიდა და სპასალარს გაუმასპინძლდა.

რა დრო გარდავიდა, ხორბალი აღარ დაიხსნა. მოვიდნენ ვაჭარნი და ხორბალი მოუტანეს. ფასი სთხოვეს.

მან შორს დაუჭირა: მე ფასი ვინ მომცა? ჩვენს თემს მაგას ვსთესავთ, მოვიმკით და მაგას გავყიდით; მე სხვა არა მაქვს რაო.

წავიდნენ ვაჭარნი და ყაზან-შას შესჩივლეს. უხმეს მას ყრმასა. ჰკითხეს. მან იგივე თქვა.

ყაზან-შამ ყოველი ხორბალი მოაღებინა, წინ დაიგროვა, ჰკითხა მას ყრმასა: აქაც მოვა ამისთანა ხორბალიო?

მან მოახსენა: ყოველგან მოვაო. მაშინვე ბაღი დააბარვინა და უნდა, რომ დათესონ.

მოახსენა: აგრე არ უნდა. ასეთი კაცი იშოეთ, რომ ქარი არა სძროდეს, თვარა არ მოვაო.

შეიქმნა მოკითხულობა: ვის არა სძრომია ქარიო?

ვერავინ პოვეს. მოახსენა: თქვენ ხომ არ იკადრებდითო?

მან უბრძანა: მე წელანაცა დამემართაო.

მერმე მოახსენა: რა სირცხვილია, შინ მოიკითხეთ და ხათუნმან თავი დაიმდაბლოს და დათესოს.

შევიდა ყაზან-შაჰ. ვერც მუნ პოვა. მოვიდა, უთხრა: რა ვქმნა, არ იშოებაო!

მერმე ყრმამან უთხრა: მაშ, დანაშაული რა იყო, ან დედა

რად გამიგდე და ან მე, თუ სხვა კი არ იპოვებოდაო?

რა შეიგნა მისი შვილობა, ყელს მოეხვია და დედა მისი აგრევ ხათუნად დაისვა და შვილი შვილად.

- აწ მეც, თუ მაგის მეტი შეცოდება არა მაქვს, რომ კარგსიტყვა ვარ და პასუხს მოგცემ, მაგაზე რად მომისევ მაგ კაცთა და გამალახვინებ? მითხარ: უთქმელი და უსიტყვო კაცი ვინ არის?

თქვა ვაზირმან არაკი:
მეფის ანდერძი

იყო მეფე ერთი და, რა მოიწია დღე სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძესა თვისსა და უთხრა: სხვას ანდერძს არას გეტყვი, ოღონც ეს ათავო: ქოსა კაცი შენს საბრძანებელში ნუ გინდაო!

მოკვდა მეფე, და გამეფდა ძე მისი. ასრე სძულდა ქოსა კაცი, მის სახსენებელს ვერავინ ახსენებდა.

დღესა ერთსა ერთმან ქოსამან ყვავილი მოუძღვნა. იწყინა, მიუშვა ხელარგნოსანი კაცი, ეგოდენი ჰკრეს, შებნდა. შეეცოდა მეფესა და თქვა: ნუ მოკლავთ, ბრალია, ერთს სახლში შეიყვანეთ, ეგება არ მოკვდეს და გააძეთო!

მზარეულთ-უხუცესმა წაიყვანა. ქოსა ეშმაკობით იქმოდა და მორჩა. ასეთი საჭმლის კეთება დაიწყო, მეფე მის მეტს აღარას სჭამდა.

შეუყვარდა მზარეულთ-უხუცესს და აპატივა. დაიწყო ამხანაგებში ჭადრაკის მღერა და ასეთი არავინ გამოჩნდა, მისთვის ეჯობნა.

ესმა ვაზირსა, დია უყვარდა ჭადრაკის მღერა და კარგადაც იცოდა. მიიყვანა ვაზირმან, მღერა დაუწყო, მასცა აჯობა.

მის ქოსის ქებამ მეფემდის მიაწია. მიაყვანინა მეფემან, ვაზირსა და მას ჭადრაკი ამღერა. აჯობა ვაზირსა და დიდად შეუვიდა მეფესა.

გამოხდა ხანი. მას ვაზირსა ვაზირობა წაართვა და ქოსას მისცა. ასეთი ყმა შეიქმნა ქოსა, მის გარდავლილს არას იქმოდის მეფე.

მოუხდა მტერი. ვეღარ გაუმაგრდა. რაც ეზიდებოდა ორს ცხენს, თვალ-მარგალიტი აჰკიდა, ერთზე თვით შეჯდა, ერთზე ქოსა ვაზირი შესვა და გარდაიხვეწნენ.

მივიდნენ სხვას სამეფოსა. ვაზირმან ურჩივა: შენ ყმა კაცი ხარ და მე ხანდაზმული ვარ. აქ რომ შენ პატრონობა

სთქვა და მე ყმობა, არამც სირცხვილი იყოსო და პატივი არ დაგვდვანო. თუ დამიჯერებ, შენ ჩემი ყმობა თქვი და მე შენს პატრონობას ვიტყვიო.

მეფემ უთხრა: ეგეც აგრე იყოს: რასაც კაცს მამის ანდერძი არ დაუსწავლია, უარესიმც დაემართებაო!

- ვიცი, შენც მას ქოსასავით ხომ ქოსა ხარ და კარგსიტყვა და ენიანი; ასეთსაც იტყვი, კაცი დააჯერო. მას ქოსასავითაც გინდა ჰქმნა, თუ დრო დაიეც.

თქვა რუქამ არაკი:
ბროწეულის წვენი

ერთი მებაღე იყო მოსავი ღვთისა და მართალი კაცი. ვინც მასთან მივიდის, ხილი მიართვის. ერთი ბროწეული გამოუწურის. რაგინდ დიდი ჯამი ყოფილიყო, ერთის

ბროწეულის წვენით აივსის და მას ასმევდის.

დღესა ერთსა მეფე ეწვია სხვის ტანისამოსითა. მებაღემ ვერ იცნა და ხილი მიართვა და ბროწეული გამოუწურა. გაუკვირდა მეფესა ერთის ბროწეულისაგან ეგოდენი წვენი და თქვა: თუ ერთს ბროწეულს ამდენი წვენი აქვს, მე რატომ ჩემნი მოხელენი ცოტას მომიღებენო? მათ მოვკითხაო!

ხვალის დღეს კიდევ მოვიდა მეფე და ბროწეული გამოაწურვინა. მცირედი წვენი გამოვიდა. ჰკითხა მებაღეს: გუშინ მრავალი წვენი ჰქონდა, ახლა რა დამართებიაო?

მებაღემ უთხრა: ძმაო, ჩვენი მეფე აქამომდე გულხსნილი და უხვი კაცი იყო და მით დიდი გამოსავალი ჰქონდა, ახლა თურე გულში ზრუნვა რამ შესვლია და მით

მოაკლდაო.

მეფემან სცნა მისი გულის ზრახვა და წავიდა.

- თურე ჩემს მოწყალეს მეფესაც თქვენის გესლოვნის ენისაგან ჩემზე გული გარყვნია და მით მეუბნებით მაგ რიგად, თვარა ვერა მეტყოდითო.

თქვა ლეონ არაკი:
ყასაბი და მყიდველი

ერთი კაცი მივიდა ყასაბთან, უთხრა: ძმაო, ფასი მზა არა მაქვს, ერთი ცხვრის ფეშხო მომეც და ხვალ ფასსა მოგცემო.

ყასაბმან უთხრა: შენ არ გეკადრება სისხლიანი ხორცი გეპყრას და მიხვიდოდე; სადგომს მიდი, ერთის მონის

ხელით შენის თმის ბეწვი გამომიგზავნე, ვინიშნებ და გამოგიგზავნიო.

წავიდა კაცი იგი და ერთის მონის ხელით თმის ბეწვი გამოუგზავნა. მოუტანა მან კაცმან და უთხრა: მან კაცმან გამოგიგზავნა ნიშნად ბეწვი და ხორცი გთხოვაო.

ყასაბმან უთხრა: ვაჟო! თვით აქ იყო, წვერიცა და ულვაშიც ზედ ესხა, არამც თუ თმის ბალანი, და ერთი გამოსაცოხნიც არ ვაჭამე, ახლა ერთის ბალნით ბევრი რად გავუგზავნოო?

- შენც ისე როტავ. მეფის შვილი და ვაზირი რომ შენთვის კარგნი იყვნენ, მაშინ როდის იყო მეფე შენზე გულტკბილად, რომ ახლა ესენი გემდურვიან, მეფე შენზე გულგაურყვნელად იყოსო?

უთხრა პასუხად რუქამ არაკი:
ქაჯთა შემპყრობელი

იყო სოფელსა ერთსა ხევი კლდიანი და ხრამი, ღრმა ჩასასვლელი მთანი მოსდგმიდენ. მუნ ხიდი იდვა და მის თემის კაცნი მასზე დადიოდენ.

დაიმკვიდრეს ქაჯთა და მასზე მიმავალს კაცს ზოგს ლოდს ესროდენ, ზოგს ეფეთებოდენ და შეშლიდენ.

შეწუხდა თემი და მეფე მის ადგილისა. ვერა უწამლეს რა. მოახსენა ერთმან კაცმან: მე თუ მიბრძანო, გმსახუროო!

დაუმადლა მეფემან და წავიდა კაცი იგი. ორი ორძალი წაიღო, ორი ხირაული, ერთი ქიშა ღვინო, ერთი ქიშა საძილო წამალი, ორი ფიალა და ერთი ღორის ჯაგრის თოკი.

მივიდა მას ხიდზე. ერთი ხირაული მიღმართ გაფინა, ერთი ორძალი და ერთი ფიალა და საძილო წამალი მასზე დადგა. მოღმართ სხვა ხირაული გაფინა, თოკი ქვეშ დაიდვა და ზედ დაჯდა. ღვინო მოიდგა, ორძალს კვრა დაუწყო და ზედ ემღეროდა. ღვინოს სმიდა და მარტოობის ლექსსა იტყოდა.

ნახეს ქაჯთა ეს საქმე. ორნი იყვნენ, მივიდნენ, მას ხირაულზე დასხდნენ. მათაც სმა დაუწყეს და ორძალს კვრა. მოეკიდა საძილო წამალი და ორთავ დაეძინათ. ადგა კაცი იგი, ორნივ ქაჯნი ხირაულში გაახვია, მაგრა ღორის საბლით შეკრა და მეფესთან მიიყვანა.

მათ ქაჯთაც გაეღვიძათ. ჰკითხა მეფემან: თქვენა ხართ ქაჯნი?

მოახსენეს: ჩვენ არა ვართ, ეს თქვენი კაცი ყოფილა ქაჯიცა და ეშმაკიცაო.

- მის მსგავსად, თქვენ ხართ ყოვლის ავის მქმნელი და თქვენ აავებთ მეფის გულსა, თვარა ჩემი უზომოდ მოწყალე ბრძანდებოდა.

თქვა ჯუმბერ არაკი:
მავალი გლახაკი

ერთი გლახაკი კაცი გამდიდრებულიყო და მისის შვილისათვის ერთის მდიდრის ქალი ითხოვა. მან მდიდარმან თქვა: უარი უთხრა, დამემტერება, და მივსცე არ იქმნება; ამასაც ვეცადო, მიზეზით მოვრჩეო. უთხრა: თუცა ეგ შენი შვილი ერთს წელს სიგლახაკეს იწყებს და კარდაკარ მავალი და მათხოვარი შეიქმნება, მივსცემო.

რა მისმან ძემან მოისმინა, იწყო წლამდის მავლობა და თხოვა. რა წელიწადი გასრულდა, კიდევ სთხოვა. მერმე უთხრა: თუცა ახლა მავლობას და თხოვნას მოიკვეთს, მივსცემ, თვარა მავალს როგორ მივსცეო?

რა მას მავალს ესმა, შორს დაიჭირა: ერთს წელიწადს ძლივ ვისწავლეო, როგორღა მოვიკვეთოო?

იმან მავლობა არ გაუშვა და მან ქალი აღარა მისცა.

- აწ შენცა მაგ ჩხუბიანსა და ავს ენას ნაჩვევი ხარ და არას მიზეზით არ მოიშლი, რადგან წლის ჩვეულება ძნელი მოსაკვეთია. შენ ხომ შენი დღენი მაგ საქმეში დაგიღამებია.

უთხრა პასუხად რუქამ არაკი:
სანთლით საძებარი მოურავი

იყო ერთი მოურავი. დია კარგი კაცი იყო, მაგრამ მისი სახელო კაცნი გაუმტერდენ, შეასმინეს მეფესა. მას წაართვა მოურაობა და სხვას მისცა.

ახალი იგი მოურავი ავი კაცი იყო და ბევრი ძალა უყო. დაღონდნენ იგი კაცნი და თქვეს: ეს ხომ არ ძალგვიც, მეფეს კიდევ სხვა მოურავი გამოვთხოვოთ, და აწ რა ვქმნათ?

შეიყარნენ კაცით დედაკაცამდის, და ათსავე თითზე სანთლები დაინთეს და ფოლორცში სვლა დაიწყეს.

იკითხა მეფემან: რას ეტარებიანო?

მათ მოახსენეს: მაშინ რომ მოურავი გავაძეთ, მას ვეძებთო და ვერ გვიპოვნიაო.

- მე ხომ თქვენ კიდეც გამათავეთ და ვიცი, თქვენის ნებისას დამმართებთ, მაგრამ თუ სანთლით არ მომნახოთ, შეიტყობთ!

მიეპყრო ყური მეფესა: ხან იცინოდის, ხან იამის და ხან გაწყრის და არ გამოიჩინის სიყვარულისა მათისათვის. და დაეტყო ბოლოდ, რომ რუქაზედ ავგულად ქმნილიყო.

თქვა მეფემან არაკი:
ძაღლები და მგელი

ერთი მძორი იდვა ადგილსა ერთსა. და შვიდი-რვა ძაღლნი ეხვივნენ, სჭამდენ მძორსა და იღრინებოდნენ და შუღლობდენ და კბენდენ ერთმანერთსა. ნახეს მგელი მომავალი. მათი შუღლი, ღრენა და კბენა გაუშვეს და ყოველთა ერთად შეუტივეს და მგელი გააძეს. მოიქცნენ

და მასვე მძორზე შუღლი დაიწყეს. რამდენჯერ მხეცს ნახევდენ, მას ერთპირ გაუხდიან და მერმე აგრევე შუღლობდიან.

- ჰა, თქვენც ან დღე იცოდეთ, ან ღამე. ან მტრისა გაიგევით, ან ჩემი რამ იურვეთ და მერმე კიდევ იუბენით და იკამათეთ.

თქვა ვაზირმან არაკი:
დიდვაჭარი და ტრედი

იყო ბურსას დიდებული ერთი, დიდვაჭარი, მდიდარი, ღვთისმოყვარე, ბედნიერი. რასაც სახლში იდგა, იმ სახლის კედელში ერთი პალო ერჭვა. მოვიდის ერთი ტრედი და მას პალოზე ბუდე ქმნის და ხუნდები გამოჩიკის.

დღესა ერთსა ნახა ქარავანი დიდი მომავალი და მიაგება

კაცი, მოიყვანა და ახლო დააყენა. მას ქარავნის უხუცესი ყრმა კაცი იყო, ინდოეთით წამოსული, დიდვაჭრის შვილი. და მამას ასი აქლემის საპალნე დარიჩინი და მიხაკი გამოეტანებინა და ესრე დაემცნო: ერთს კაცს მიჰყიდე და ერთი რიგი ფასი აიღე, ან ფლური, ან სულ მარჩილი, ან ასლანი.

მან ვაჭარმან ესე ყველა უთხრა. თქვა: მამის ბრძანებას ვერ გარდავხდებიო, და ესოდენი ვის ექმნება ესრეთის რიგის ფასით იყიდოსო?

მან ბურსელმან კაცმან უთხრა: მე ვიყიდიო, რომელი ფასი გინდაო?

მან ინდოელმან ვაჭარმან გამოსცადა და უთხრა: სრულობით ასლანი მინდაო.

ბურსელმან ვაჭარმან უბრძანა მსახურთა. მისის ფასისა სულ ასლანი ვეცხლი შეკრეს.

მერმე ინდომან თქვა: არა ეგ არ მინდა, სრულობით მარჩილი მინდაო.

დაცალეს მისი ტვირთები და მარჩილით აავსეს. მერმე ფლური მოინდომა. ამიტომ სცდიდა, მისი საქონელი უნდოდა შეეგნა, რაერთის მქონეაო. ბურსელს ვაჭარს აბანოს შენება უნდოდა. კირი დაზელილი მზად ჰქონდა და, რა რომ ინდოელი ვაჭარი მოვიდა, მაშინვე ის ასი საპალნე დარიჩინი და მიხაკი დაანაყვინა და მას კირში გაურია. აბანო ააშენა და მაშიგ აბანა, მრავალი აჩუქა და გაისტუმრა.

ინდოელი ვაჭარი წავიდა დიდად გაკვირვებული მისის სიმდიდრისაგან.

გამოხდა ხანი და ტრედმან რიგი გარდაიცვალა. მას პალოზე ტრედმან ბუდე აღარ დადგა და აღარც შემოვიდა სახლსა.

თქვა მან ვაჭარმან: დღეს ვნახე, ჩემი ბედი უკუღმა დაბრუნდაო, ქონებიდამ დავიცლებიო.

ვაჭრობიდამ ხელი აიღო, სალაროები დაბეჭდა, გლახური შეიმოსა, აღარც ცხენზე შეჯდა და წავიდა ქვეითი. იარა მრავალი და დაშვრა მეტად და მიეგდო ერთსა ადგილსა. მოვიდა სოფლის ხვასტაგი და ერთმან ვირმან ზედ ვაჭარზე გარდაილაჯა და დააფსა.

მან დიდვაჭარმან თავი არ მიჰრიდა; თქვა: ვიცი ბედი დაბრუნებული მაქვს და ესეც შევირაცხო, თვარა განა სხვას ადგილს ვერ ჰპოებდა, ჩემთვის არ დაეფსაო.

ზე ადგა და წავიდა. მუნამდე იარა, ინდოეთს მივიდა, დაიწყო გლახაკურად სვლა. ბაზარში ვიდოდა და ნახა მისმან ვაჭრის შვილმან, რომელმან დარიჩინი და მიხაკი მიჰყიდა. იცნა და ორი ფლური მისცა საგლახაკო და მონას უთხრა მისსა სადგომს მიიყვანეო.

რა დაღამდა, მივიდა, ჰკითხა: რა დაგმართებია ან რა მოგიხდაო?

მან ყოველივე უამბო. რა მართალი შეიგნა, მივიდა, მამას უამბო. დიდად გაიხარა და დიდის პატივით შეინახა. იმყოფებოდა მუნ. თურე ღმერთმან მისის სასჯელი და ეგოდენი ჭირი შეუწირა და ბედი წაღმავე დაუბრუნდა.

მას სახლში, სადაც იდგა, ერთი პალო იყო. შემოვიდა ტრედი და პალოზე კვერცხი დადო. შეიგნა მან ვაჭარმან

მისის უკუღმართის ბედის წაღმართობა და გამოეთხოვა მასპინძელს, მივიდა შინ ეგრევე ვაჭრობა დაიწყო.

- მაღალო ხელმწიფეო! თვით უძლეველმან თავმან თქვენმან უწყის, მე ვითარი ამხანაგი და მოყვასი ვარ რუქასი, მაგრამ ვიცი, ბედი უკუღმა დაბრუნებია. ვუშლი, ვასწავლი და არ ისმენს, თვარა მე ან ერთთან და ან მეორესთან სანამეტნაო, სამტერ-სამოყვრო რა მაქვს?

თქვა მეფემან არაკი:
მეფე და მისი შვილი

იყო ერთი მეფე მოსამართლე, მოწყალე და მდიდარი ურიცხვი. დაბერდა და შვილი ჰყვანდა კარგი. მისი მეფობა მას მისცა და უთხრა:

- შვილო ჩემო! ჩემ მაგიერ შენ იმეფე და, მე ვირემ ცოცხალ

ვიყო, ჩემს სალაროს ხელს ნუ მიჰყოფ და რა მოვკვდე, ჩემი სულისათვის გლახაკს მიეც!

უსმინა შვილმან და ესრეთი სამართალი და სიკეთე გამოიჩინა, მამა ყოველთავე დაავიწყა და კარგად დაიწყო მეფობა. დღისით ცხენს არ შეჰჯდის, ღამით შეჰჯდის, წავიდის და ლამპარი უკან მიიდევნის, წინ არ გაიმძღვანის. უკვირდა ყოველსა კაცსა და ვერვინ აკადრა მოხსენვბა.

იკითხა ერთსა დღესა მამამან მისმან შვილისა: ვითარ მეფობსო?

მათ ყოველივე მოახსენეს, მეფობისა ქება, ღამე სიარული და ლამპრისა უკან მიყოლა.

მოიყვანა მამამან და უთხრა: შვილო, შენი დიდი ქება

მესმის და ღამით თუ სლვა გიყვარს, ლამპარი წინ წაიმძღვანო, იგი არ უმჯობესია, უკან ტარებასაო!

შვილმან მოახსენა: დღეისამდინ მე ვერა შემოგკადრე, თვარა მისთვის ვქმენი ეს საქმე, სალაროც თქვენსავ სიცოცხლეში წინ წაიმძღვანო და გლახაკს უბოძო, ისი სჯობს, თვარა მას უკან გაცემული უკან მიდევნებული ლამპარი იქმნებაო.

იამა მეფესა და ყოველივე გასცა. დაუმადლა შვილსა და თქვა: ყოველივე კეთილი სიცოცხლეში ქმნას სჯობსო და სიკეთის ქმნას დაეშუროსო.

- სედრაქ ვაზირო! განა მე არ ვუწყი, მაგრამ მაგ რუქას ესრე ჰგონია, ჯერეთ ესრე სჯობსო, მერმე სიკეთეს ვიქმნო. ეს კი არ იცის, სოფელი მოკლეა და მოუსწრობს. ავნაქმნარი და კაის უქმნელი რჩება და მერმე ველარას

წაიძღვანს ავნაქმნარის მეტსა.

თქვა ვაზირმან არაკი:
ქორი, იხვი და კაკაბი

ერთმან ქორმან ერთი იხვი შეიპყრა და ჭამა ენება. იხვი ეგრევე უვნებელი ცოცხალი ეპყრა, ზევიდამ მონადირისაგან შეშინებულმან ერთმან კაკაბმან ჩამოუარა. ქორი წაეტანა, ამასაც დავიჭერო. იგი იხვიც ჭანგიდამ დაეხსნა და წაუვიდა. ველარც კაკაბს მოეწია და ორივ დაეკარგა.

- ახლა თქვენმან რუქამ რომ ავკაცობა გაუშვას და სიკეთეს გამოუდგეს, მას ველარ მოეწევა და ისიც დაეკარგება, მას ქორსავით დაემართება და საბრალო შეიქმნება.

თქვა მეფემან არაკი:
იხვი და მყვარი

ერთს მთაში ერთი მომცრო, წვიმის მდგარი გუბე დარჩომილიყო. მივიდა ერთი იხვი, ჩაჯდა და იყოფებოდა.

ერთი მყვარი დაეძმობილა იხვსა და ერთად იყვნენ და, რაც გაეწყობოდა, შეექცეოდიან. რა მზე გაცხარდა და ზაფხულმან სიცხე მოუმატა, წყალმან კლება შექმნა.

იხვმან უთხრა მყვარს: მოდი, ადგილი ვიცვალოთო!

მყვარმან უთხრა: შენ აქა-იქ თრევას ჩვეულხარ, მე სამკვიდროს ვერ დავუტევებო!

იხვი გაფრინდა, სადაც დიდი წყალი იყო, იქ მივიდა.

მყვარმან სამკვიდრო არ გაუშვა.

ცოტას ხანს უკან იხვმან თქვა: წავალ, ჩემს ძმობილს ვნახავ, რასა იქმსო?

მოვიდა, ნახა, გუბე გამხმარიყო, მყვარი მომკვდარიყო. უთხრა: ძმობილო, მაგისთანას სამკვიდროს სიყვარულს ჩემეულად სიარული სჯობნებიაო.

- რადგან რუქა აგრე ავის საქმის ქმნაზე დამკვიდრებულა, თქვენ კი ნუ აჰყვებით, კარგი ქმენით და მაგას იმ მყვარსავით დაემართებაო.

თქვა ვაზირმან არაკი:
აქიმი და ორი სნეული

იყო ერთი მეფე სახელოვანი, მოწყალე და ძლიერი. ჰყვა

აქიმი ერთი, რომ სენი უკურნებელი ვერ მოურჩებოდა.

ორი დიდებული დასნეულდა მეფისა სასტიკითა სენითა. ერთი ესრეთ შეკრულ იყო მუცელში, ათხუთმეტს დღეში ერთხელ ვერ გავიდის. და ერთი ასრე გახსნილიყო, დღეში ორმოცჯერ იყვანდის. დიდად დაშვრა მათ აქიმობაზე და ვერა რა ჰკურნა. ჰკითხვიდის მეფე მრავალგზის მათს ამბავს.

დღესა ერთსა მოეხვია აქიმი მეფესა მუხლსა და მოახსენა:

- თუცა რისხვა გნებავს ჩემი, მომკალი და ამიკლე, და, თუცა მწყალობ, ეს მითავე, მათს აქიმობას მომარიდე. ერთისათვის ამაზე ვაღამებ დღესა: ცოტად გავიდეს, და ერთისათვის ამაზე ვათევ ღამესა, როდეს მეღირსოს მისი გასვლა! ჩემის სიმდიდრისათვის მეფეს ვევედრები და ცხოვნებისათვის ღმერთსა. ღვთის ხვეწნა ამაზე

დავასრულე და რიღათ აწ ერთს ვეღირსო?!

- ჰე მეფეო, შენც შემივედრე, და მათს უბნობას და ამათში გართვას გარდამარჩინე!

თქვა მეფემან არაკი:
მოყვარულნი ცოლ-ქმარნი

იყვნენ ქალაქსა კონსტანტინეპოლისასა ერთი ცოლ-ქმარნი დიდად მოყვარულნი. ქმარი ბაზარში ჯდის სყიდვად რაოდენისა რისამე და თვალაგნა ქალმან ვინმე. იგი მრავალგზის გარს უვლიდის, და ვერ აგრძნა მან კაცმან ტრფიალება აშიკისა მისისა. მერმე ქალმან მან ფიალა ერთი წყლით აღავსო და ფურცელი ჭანდრისა ზედ დაბურა და წინაშე დაუდგა. კაცი იგი გაჰკვირდა და ვერა შეიტყო რა და დასნეულდა.

უთხრა ცოლსა:

ერთმან ქალმან ესრეთ მიქმნა და მას უკან ავად ვარ, მე ველარ ვკეთილობ.

ცოლმან უთხრა:

- ქალი იგი შენი ტრფიალი შექმნილა და ამით დასნეულებულხარ. თავს რად მოიკლავ, წადი მას ქალსა თანა!

ქმარმან უთხრა:

- არ ვიცი სად არის.

უთხა ცოლმან: სადაც სახლის წინ ჭანდარი იდგეს და ჭანდრის წინ აუზი იყოს, მუნ მონახე და პოვებო!

წავიდა ქმარი მისი და ადგილი იგი პოვა. კარი დახშული იყო და არ გააღეს. მოვიდა, ცოლს უთხრა.

ცოლმან უთხრა: მის კარიდამ შენი მისვლა არ ნებავს, სხვის კარით მიდიო.

წავიდა კაცი იგი, სხვა კარით შევიდა, მას ქალს შეეყარა, ილხინეს და იმუსაიფეს.

მოვიდნენ ბაზრის მცველნი და მათ ქალ-ყმათ კარი დაუჭირეს, მრავალი ქრთამი აძლიეს და თავი ვერ დაიხსნეს. მან კაცმან ერთს კაცს ერთი ფლური მისცა, მის ცოლთან გაგზავნა: ჩვენ ესრეთ მოგვევლინაო!

იგინი ბაზრის მცველთ წაიყვანეს, საპატიმროსა დააბნეს. ენებათ მეორეს დღეს ყადის მბობა და დახოცა მათი.

მან კაცისა ცოლმან ერთი წიგნი დაწერა ყადთან: შენ, სამართლიანო მსაჯულო! შენს დროში ცოლ-ქმარნი ერთმანერთის ყოფისათვის გაიყვანონ და შეიპყრან და დაატყვევონ ვის ჟამად ქმნილაო?

და თვით ზეწარში გაეხვია, და სადაც ქმარი დაბმული და იგი ბოზი დიაცი იყო, მუნ მივიდა. მეპატიმრეს შეევედრა, ვალი მართებს მას კაცსა ჩემიო და მუნ შემიშვიო!

რა შეუშვა, ზეწარი მას ბოზს დიაცს წამოასხა, გამოუტევა და თვით ქმარს მოუჯდა.

რა ყადს მისი წიგნი მიუვიდა, დია იწყინა. გაგზავნა კაცნი და მის წინ პყრობილნიცა და შემპყრობელნიც მოიყვანნა. მათ შემპყრობელთ ფიცეს: ესენი ისიძევდესო და ბოზობაზე შევიპყარითო.

მან ქალმან ესე უთხრა: მამაჩემი ესადაეს კაცია და მას ჰკითხეთ, თუ მე ამ კაცის ცოლი არ ვიყო! თუ ბოზობას მიდებთ სხვას კაცთან მიწყინეთ, თვარა ჩემს ქმართან მე ბოზობას ვერას საქმით ვერ მოვრჩებიო.

- ჰე სედრაქ ვაზირო, მეც დიდად მიმძიმს თქვენი ასრე გარდაკიდება, მაგრამ ასრე ვხედავ: ვერც შენ გარდარჩები ამ საქმეს უფათერაკოდ, ვერც მე და ვერც სხვა ვინმე.

და კმა არს დღესა ამას თქმად მრავალი ესე მეტყველება ჩვენი.

მოგზაურობა ევროპაში

...ი~ზ მარიამობისთვეს წმიდას პაპასთან წავედით. მის პატარა სამწირველოში ხუცესმა წირა ჟამი. პაპა მარჯვენას მხარეს მოფარებით იჯდა. მე ვერ ვხედავდი. ჩემის მეტი ეკლესიაში არავინ იდგა. მისი ძმისწული უფროსი კარზე ეჩოქა. დიაღ, კაი ვაჟკაცი იყო. ამის მეტად არ მენახა. წირვას უკან მოვიდა. მიალერსა, უკაცრავად ვიყაო, ვერ გიახელო. დიდხან დაჯდა ჩემთან. ქვეით მომიჯდა. მერმე პაპამ დაგვიძახა. მივედით. კიბით ჩასავალი იყო. ხელი მომკიდა დიდხანს. მითხრა: გაირჯებიო, მაგრამ მიმზირეო. ეს საქმე წმიდა გრიგოლის დიოლოღის დაწესებული არისო. მასუკან სულ ყოვლის დღეს ასე უნდა იქნასო. საკრიპანტი კარდინალი მისდევდა, მერმე მისი ძმისწული კარდინალი, მერმე მე, მერმე მისი ძმისწული კარლო და მერმე მისი ძმა

ალექსანდრე, მერმე დავით და მერმე პაპის მოსამსახურენი. ჩავედით ერთს მომცროს სახლში. პაპის წესია, ყოველ დღე თორმეტი გლახა იჯდა. იმ დღეს ცამეტი გლახა იჯდა. ვერ შევიტყევ როგორ მომხდარიყო. ტაბლა უცხო ყვავილებით შეემკოთ. თავს პაპა იდგა. არდაგი მოირტყა. იმისთან მე დამაყენა, მერმე საკრიპანტი კარდინალი. არდაგი ერტყა. მერმე პაპის ძმისწული კარდინალი, მერმე ალექსანდრე და ორი სხვა არდაგებითა. სხვათ მოატანინა საჭმელი. უწინ პაპას მოართვიან. პაპა ორს გლახას მიართმევდის. მერმე კარდინალებმა იმ სხვათ ჩაურიგიან. მერმე პაპამ ტაბლა აკურთხა. ყველამ დავიჩოქეთ. ჯვარი დაგვწერა. გლახებმა ჭამა დაუწყეს. ხუთი რიგი საჭმელი მოიტანეს. დიაღ, საბატიურად სჭამდენ გლახები. დიდი ხანი გამოვიდა. მერმე ხილი მოიტანეს. პურსაც პაპა უჭრიდა, ხორცსაცა იმ ზეითებსა. და ქვეითებსა სხვანი. და ღვინოსაც პაპა მიართმევდა. ის ზეით გლახა ყმაწვილი კაციც იყო და

გვანდა საქციელიანი იყო. რამდენჯერ პაპა ღვინოს მიართმევდა, ადგის, თაყუანისცის, დაჯდის, დალიის და ჭიქა პაპას არ მისცის. მაგრამ არა ქნის, ააღებინის, ხელით გამოართვის. მერმე ბოლოს ჩაბძანდა და იქიდამ ღვინო ყველას ჩამოურიგა. მერმე ხილის ჭამის დრო რომ მოვიდა, ერთმა ხუცესმა პურები შემოიტანა, პაპას მოართვა, დაიჩოქა. პაპამ ლოცვა წაუკითხა, აიაზმა ასხურა. გლახები ააყენა ფეხზე და ის პური თითო თითოს ჩამოურიგეს, იმათ წინ დაიწყეს. მერმე ხილი ჭამეს. მასუკან შაქრის ქადა ჩამოურიგეს. ისიც წინ დაიწყეს. სხვა საჭმელები აიღეს. მერმე პაპამ ტაბლა აკურთხა. ხელი დაიბანა. არდაგი შემოიხსნეს. ისევ ბოლოს ჩაბძანდა. თვითო ნახევარი მარჩილი და თვითო ამინაშატი უბოძა, თავის ხელით ჩამოურიგა. მერმე გლახები ადგენ. ყველამ ფეხზე აკოცეს. წამოვიდნენ. მე ისევ თან წამიტანა. ჩემთვის უღირსი სიტყვა მიბძანა: რაც გინდა მთხოვეო. მადლი გარდავიხადე. ჩემი სათხოვარი ყველა უთხოვრად

აღმისრულდა-მეთქი. მომეხვია. მაკოცა. ფეხს ვაკოცე. გზის საქმეები დაგვარიგა. გამომისტუმრა. მიბძანა: ასე მალე არ გაგიშვებდიო, მაგრამ ვახტანგ მეფის უკითხავად წამოსულხარო, რომ დამეჭირე, იმას გულს დააკლდებაო, და წადი, მისი საქმე მოიჭირვეო. ას სამოცი იქაური სკუთი ებოძა, სამასი მარჩილია, გზის ხარჯად. გამოის ერთის წმიდის მართას დედათ მონასტერი მაჩვენეს. მომცრო ეკკლესია იყო, მაგრამ უცხოდ შემკული იყო. სულ მოწერილი, მარმარილოთ იყო აშენებული. კედელი, სვეტი, თუ ხატის ყდები. უცხოთ გამიკვირდა. ენკრატისები გალობდენ, მაგრამ მათი გალობა საკვირველი რამ არის. ამავ საღამოს წავედით სულის წმიდის მონასტერში. პაპის სამადლოა. ერთის ეპისკოპოსის ხელთ არის. შიგა დგას. დიდის ფრენჭიფის შვილია მიმიძღვა, დამარონინა. უპატრონო ექვსასი სნეული იწვა კაცი. და იმ კაცების სახლი ზედ გზაზე იყო. ვინც ავი დედაკაცი დაორსულდება შვილს ვერ წაიხდენს.

იქ გზაზე ერთი ჭახრაკია. იმაში რბილად აგია. შიგ ყმაწვილს შეაწვენენ. მოაბრუნებენ, ზარს დაჰკვრენ. ქალები წავლენ. ის ავადმყოფის მომვლელი წაიყვანს ამ ყმაწვილს. სხვა ჭახრაკია. იმაში ჩააწვენს. მოაბრუნებს. დედაკაცებში გაიყუანს, რომ დედაკაცი კაცს ვერ ნახავს სალაპარაკოდ და კაცი დედაკაცსა. იქ თორმეტი ძიძა იყო. ცამეტს ჩჩვილს ყმაწვილს ზრდიდენ. რომ ყმაწვილი სამის ოთხის კვირისა შეიქნება, გარეთ მისცემენ სხვას ძიძასა. თვეში მარჩილი აქვსთ, და ოთხს წელიწადზე ამათვე მოაბარებს. თუ ქალია, ქალებში გაურევენ, და თუ ვაჟია, ზოგს გარეთ ოსტატს მიაბარებენ, ზოგს იქავ შემოიყუანენ, იქ ზრდიან. ჩემობას შვიდასი ქალი შინ იყო მონასტერში და ორმოცდა-ათი ვაჟი და ცამეტი ჩჩვილი. სამი იმ დღეს მოეყვანათ, მე რომ მიველ. და რვაასი ქალაქში ებარა. ეს სულ პაპის სასმელ-საჭმლითა და ტანსაცმითა, წამლითა, აქიმით, ჯარათი. იქ აკეთებდენ ქალები საქალოს ხელობასა და კაცები საკაცოსა. მათი

მოძღვრები და გამდელები გაუყრელად იქ უდგას. წალკოტები, შადრევნები გარიგებული. თუ ქალი მონაზონად შედგა, თუ ქმარი შეირთო, მათ ას მარჩილს ზითვად მიცემენ. და ბუშს ბუშსა შერთვენ, მართალს მართალსა.

მათას მისვლა. ოცდა ხუთი ღვინობისთვე. ოთხი ჟამი დარჩომილიყო, მალთას მივედით. მალთას ამბავი რომ დავსწერო, ძნელია, როგორც არის, მის დაწერა.

მალთა კუნძულია—მელიტონი, რომ წმიდა პავლე მოციქულს ხელზე გველმა უკბინა, მრავალი გველით და მას უკან კაცს ვეღარ უკბენს. მრავალი ხუთოც იპოება. მასუკან მთელი გველი, გაქვავებული გველის თვალი, ენაები, თავი გაქვავებული მრავალი. კურნებაც შეუძლია. მალთა სამოცი მილია სიმგრგვლე და შიგ სამოცი სოფელია. მალთას ქალაქი აღმოსავლეთის მხარეს არის, ზღვის პირს. უწინ ზეით ყოფილა. ხვანთქარი სამჯერ

თითონ მიხდომია. ერთხელ კიდეც აუღია, მაგრამ გამოუქცევიათ. მიმშველე მრავალი მიშველებია. მასუკან ზღვის პირად აუშენებიათ. ზღვის პირს ერთი კლდეა ვაკე. უფლის ციხის მსგავსი, ადვილი საჭრელი. და ერთი ნავსაყუდელი ერთს მხარეს მოუვლის, მეორე - მეორეს მხარეს. და მერმე ოროლად გაიყოფა. ორივ ქალაქს უკან თავებს მოიკრებენ ახლო-ახლო და ორი სხვადასხვა მხარეს მიდგებიან. სულ კლდეა. ერთი კარი ზღვიდამ შევა, ერთი ხმელეთიდამ. ორივ კარები, კლდე გაუხვრეტიათ დიდს ადგილსა, და ისე შეისვლება. შესავალზე ორგანვე ხიდები დაუცთ. ქვეშეთ კლდე ჩაუჭრიათ. ხიდს როსცა უნდა აიღებენ, როცა უნდა გასდებენ. ჯაჭვებით არის გამართული. ხმელეთის გზისკენ, ხიდს იქით, ერთი კაი მინდორი აქვს. მინდორსა და ქალაქსა შუა ორს ალაგას კლდე გაუჭრიათ. ორი ფილისკინა შემოუვლიათ, რომ მეტად ღრმა და განიერი. მინდორს უკან, ზღვის სრუტეებიც ახლო-ახლო მოვა.

ერთი მაგარი ციხე შუა გაუბამთ და კარი გვირაბად ჩაუტანიათ. ეტლები შევა, გამოვა. იმის ქვეით გალავნები: ზოგი ციხის მსგავსად, ზოგი წალკოტები აუშენებიათ, და მაღალი გალავნები მოუსწორებიათ და ხეები დაურგავთ, რომ ფოლორცები ასე დაუქსაქსავთ, მშვიდობაში, თუარ იქაური კაცი, ვერას გაიგებს, ძნელად შევა, არამთუ მიმხდომმა კაცმა რა გააწყოს. ზღვის ორსავ ნავსაყუდელი პირზე სულ გარშემო სხვა სოფლები აუშენებიათ. ერთი ქალაქად გაუხდიათ. შიგ სრულ ახლო-ახლო ციხეები დიდრონი დაუტანებიათ. ოცდაცამეტი ციხეა. და ახლა ჩემობას იმ სოფლებს გარს სრულ გალავანს ავლებდენ, ციხედ ამაგრებდენ ხვანთქრის მოლოდინს ჰგონებდენ. ქალაქი არც დიდია, არც მომცრობა ეთქმის. მაგრამ აქ რაც შენობა დამიწერია, სრულობით გათლილი ქვაა. ქალაქი, გალავნები, ციხეები, გაღმა სოფლები, მისი გალავნები, თუ ფოლორცის ქვაფენილი, გაუთლელი ქვა არსად იპოება. ციხეებში, თუ გალავნებზე სულ ასე ზარბაზნები

აწყვია, ორი კაცი შუა თუ გაუარს. წყალი შორიდამ აქვს მოტანილი. მაგრამ ასეთი ჭები მოურთავთ, ერთის წლის წყალი შეინახება. და ამას გარდა რაც წვიმა მოვა სრულ ხეებში აქვს ადგილი შესანახავი. სიკილია ახლო აქვს. შუა სამოცი მილია ზღვა. ალიკორნა ექვსასი მილია. და მარჩილია ცხრაასი მილი. ჯენევიაც ახლო, ალიკორნიას ზეით. მალე მიეშველებიან.

კ~ვ ღვინობისთვეს მათს უფროსთან წაგვიყვანეს. გრან მაგისტროს ეძახიან, რომელ გამოითარგმანება: დიდი ოსტატი. ვინც მალთის ელად დადგება, დიდის თავადის შვილი უნდა იყოს, ან მეფისა, ან დუკასი, თვარა შვიდს თაობას აქათ, თუ მათს სახლში ან ვაჭრის ქალი, ან უგვაროს კაცისა შესულა, ვეღარ შეიქნება მალთისელად. ის დიდი ოსტატი - სპანელი ფრენჭიფე იყო, სამოცდა თხუთმეტის წლისა, მაგრამ სიბერე მეტად დასჩნეოდა. თავი, ხელი სულ ძალზე უკანკალებდა. მოგვიძღვნენ.

მათი სახლები სულ თლილი იყო. მისი სასახლე ხომ უკეთესი იქნებოდა. მრავალი ჯარი იდგა. დაბლა გავლეთ და კიბეზე ავედით. რიგის რიგისად მალთისელნი გამოგვეგებნეს. გვისალმნენ რა მაღლა ავედით ერთს დიდს სახლში, აქათ და იქით, სრულ მალთისელნი იდგენ. შევლეთ - და სხვა სახლი უპატიოსნესი და უცხოს ფარდაგებითა. და უპატიოსნე მალთისელნი იდგენ წყობითა. შევლეთ სხვა სახლი. აგრევ მათი უკეთესი და მათგან უხუცესნი დგენ. და სხვა სახლში - მხცოვანი და ძველად მისულნი დგენ. და რომელი მიგვიძღოდა, ის მალთისელი ფრანცისი იყო. რასა წამს მივედით, მაშინვე მოვიდა და გვნახა. დიდს ოსტატს ჩამოღმა ის იყო. ისიც მეტად ბერი კაცი. ხელმოკიდებით იარებოდა. მიგვიძღვა დიდის ოსტატის კარზე. დიდი ოსტატი კარზე გამოგვეგება. შეგვიყვანა. დაჯდა. წინ დამისვა. სწორედ მომიკითხა, მიალერსა, ჩვენი ქვეყნის ამბავი მკითხა, ჩემის მგზავრობისა. და წამოვედით. სადაც ვიყავით,

იქიდამ აგვყარეს. კაფუჩინის მონასტერში დაგვაყენეს.

კ~ზ ღვინობისთვეს მოვიდნენ რიგისრიგით მალთისელნი დიდებულნი და გვნახეს.

ი~ე ღვინობისთვეს ერთი მალთისის ხომალდი და ერთი არაბის ხომალდი ღამით შეყრილიყვნენ. არაბის ხომალდში ხუთასი კაცი მჯდარიყო და სამოცი ზარბაზანი. მალთისისაში ცოტანი. არაბისას ეკითხა: ვინ ხართო? მალთისელებს ეთქვათ: ჯენეველნი ვართო. ამათ ეკითხათ. იმათ სიცოტავით აეგდოთ: ჩვენ ზღვისანი ვართო. იმ ღამეს ვერა გაეგნოთ. რა გათენდა, ეცნათ ერთმანეთი. დაეშინათ. ის არაბის ნავი მთლივ დანთქმულიყო. ზარბაზნები წყობით ეკრათ. და ამათში ორი საპატიო კაცი მალთისელი და ხუთი დაბალი კაცი მომკვდარიყო. იმ ხომალდისა ხუთასისაგან შვიდი კაცი მორჩომილიყო. ცურვით მოეწიათ, თოკებით ამოეყვანათ. ოთხი ქრისტიანი ტყვე რომ მათ დაეტევებინა და სამი

არაბი. მათი ახალხანის ომები მრავალი მიამბეს, მაგრამ ერთი ოთხის წლისა მიამბეს. ასევ ორის ხომალდის შეყრა: ერთი მალთისელისა და ერთი ჯაზაირეთისა. მაშინც მალთისელებს ასევ გამარჯვებოდა და მათი რეიზი მცურავი დაეჭირათ. იმ რეიზს ერქვა: მარტო მე ამ ხომალდითაო შვიდასი ქრისტიანის ხომალდი წამიხდენიაო. ეს ამისთვის დავწერე, რომ ამ დიდს საქრისტიანოსაც ასეთი მტერები ჰყვანან. მაგრამ მალთისელები დიაღ კაცნი არიან. ქრისტიანთ მტერთ ასე უზმენ. ღმერთმან იმდენი დღეგრძელება და ცხოვნება მოგცეთ, რამდენი ასი ათასი ტყვე, ან იმ ქალაქში, ან კუნძულში და ან ნავებში ჰყვანდესთ. ქართველნიც ვნახე: ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურული, მეგრელი, რომ თათრისათვის წაერთმიათ. ენა ისევ კარგი იცოდნენ. აფხაზმა რატომ იცოდა, ის გამიკვირდა, ქართული.

კ~ᲬᲔ ღვინობისთვეს ლიმენას გაღმა გაველ პაპის

ჯანიშინის სანახავად. გაღმა ციხეები რომ იყო, მალთისის ქალაქს პირდაპირ, უბრძოლველს სოფელს ეძახიან ამისათვის, რომ ხვანთქარი რომ მოსულა, მაშინ ეს ქალაქი მაღლა სახლებულა. ყველა აუღიათ და ის ციხე ვერ აუღიათ. ახლა ეს ქალაქიც დაბლა ჩამოსახლებულა, უმაგრესსა და მის პირდაპირ ადგილსა. და ის ციხეებიც უფრო გაუმაგრებიათ და დიდი ქალაქი შექმნილა, იმ მხრის ნავსაყუდელი ექვს შტოდ განიყოფა, გრძლად, რომ უფროსი ლიმენი არც კი მინახავს, სივიწროეს გარდა, რომ თოფი ყველგან გაუწევს. და გაღმა ერთი შენობა შექნილა, რომ სამს ლიმენას სულ გარ შენობა შემორტყმია. დიდრონი ციხეები და ქალაქი სრულ თლილი ქვა. გალავნები, წალკოტის კედლები, - სრულ თლილი ქვაა. მე ასე მგონია, ეს თლილი ქვებით შენობა გაძრახ ექნათ. კლდეს სჭრიან. რაც დაღრმავდება, გარდასავარდნელი შეიქნება. და მოჭრილით კედლებზე აგებდენ. ორ რიგად მაგრდება. მაგრამ ქალაქს გარეთ მინდორი და კარი რომ

დავსწერე და გზები დაქსაქსული. იქიც სამს ადგილს ისევ თვითო კარი გაუხვრეტიათ კლდეში, რომ ეტლები შევა-გამოვა, და ზედ ზარბაზნები მოურთავთ. და სრულ ის კუნძული საცნაური, თუ რაც კედლებით დაუქსაქსავთ, რომ კაცს გაუკვირდება.

~ლ ღვინობისთვეს ერთმა მალთისელმა უფროსმა კაცმა გვიწვია სადილად. ფრანცისი იყო. ქალაქს გარეთ ერთი მომცრო ნარინჯის წალკოტი ჰქონდა. კაი სასახლე ზღვაზე წაკიდებული. და კარგა დაგვხდა. მერმე წაგვიყვანეს სადაც წამალს ნაყვენ. დიდი სახლი იყო, სად გვარჯილას ადუღებდენ, სად გოგირდსა და გვარჯილას ნაყდენ. დიდი ორი გელაზი იყო. თორმეტი როდინი იყო სინისა და როდინის სანაყელი იყო ხისა. ერთის ჯორით ჭახრაკს აბრუნებდენ. თორმეტს ადგილს წამალი ინაყებოდა. ერთს დღეს ხუთი ყანთარი დაინაყებოდა. თვითო ყანთარი ოცდა ათი სტამბოლის ბათმანი იქნებოდა.

თვითო ბათმანი ორმოცდა რვა თუხტი რომ ხუთი ცხენის საპალნე უფრო მოვა. ერთს სხვას ახალს აკეთებდენ: როდინს ხისასა და როდინის ქვას სინისასა. ასე თქვეს: ეს ორს იმდენს დანაყსო. და ჩემობას მზა არ იყო. კარგა გვიალერსა.

ლ~ა ღვინობისთვე დიდმა ოსტატმა გვაწვია. თვითონ თავს იჯდა. ერთი მე და სამი უფროსი მალთისელი. ერთი ის გუშინდელი მასპინძელი იყო. დაგვსხა. ჩვენ ოთხნი მოქვემოთ გაღმა-გამოღმა ვისხედით. სხვა ვერავინ დაჯდა. მოსამსახურედ სრულ დიდრონი მალთისელნი იმსახურებოდენ. ზოგნი ისე გარ თავს გვადგნენ. მისი ფიალა და ნალბაქი მისი დანა-კოვზები ოქროსი იყო. სხვა სრულ ყველა ვეცხლისა. და უცხოს ფარდაგებით მოფარდაგული სახლები. და სხვა ხარჯი და ულუფა არა დაუხარჯავს რა. სადილს უკან სხვა მალთისელი იყო. ისიც ფრანცისი. იმას უდარბაზე. დია კაი მორთული სახლ-

კარი ჰქონდა, ზღვაზე წაკიდებული. მრავალი რამ კაი ვნახეთ მის სახლებში. მაგრამ გრძელი ამბავი თავის საწყენია. ერთი საკრავი ვნახე მის სახლში. ზღვის საკრავს ეძახდენ. სამკუთხი ჩანა ჰქონდა ექვს მტკაველამდი ჩანის სიგრძე. თავი წვრილად წამოსული. ხელიც გრძელი ჰქონდა. ხუთ ძლის სისხო. ჩანა და ხელით მაღალს კაცს უმაღლე იყო. ერთი ალყა ება ლერწამის კალმის სისხო. და ჭიანურსავით ძუით უკრავდა. ტარის კერძო მარტო ცერს ხმარობდა. ზედ ალყაზე რვას ადგილს ქაღალდის ნიშანი ეკრა, ფარდის მაგიერ. მართალს მოგახსენებ, არც უცხოობით, არც სიტკბოთი და არც სიმაღლე-სიმდაბლით უკეთესი საკრავი არ მინახავს. სხვა საკრავებიც იყო: წინწილი, ჭიანური. მაგრამ ერთის ალყით, ერთის თითით კრული, დიაღ მეუცხოვა და ყველასაც სჯობდა. არ ვიცი, ეგები უცხოობამ მაჩვენა ისე ტკბილად და არ იყო. მაგრამ მე ხომ ასე მგონია მალთისელების უფროსი გრან მაგისტრო, რომელი დიდს ოსტატად გამოითარგმნება,

ყველაზე უფროსობს. და იმას გარდა შვიდი თავი კაცნი არიან: სამი ფრანცისი, ერთი იტალიელი, ერთი ნემსა და ორი სპანისა. იმ შვიდთა თვითოს სამსამი შედეგი ჰყავს, რომ ოცდა ერთი იქნება. ამ ოცდა ერთს კაცს გულზე დიდრონი ჯვარები აკერია როგორც უფროსსა. და თავნი ესენი არიან, ამათგან გამოირჩევა დიდი ოსტატი, რომ მოკვდება, შვიდში, რომელიც სჯობს, ეს ოცდა ერთი კაცი გამოირჩევს: რომელსაც თერთმეტი თანმოხმე ჰყავს ის დაჯდება. ნაკლებით არ იქნება. ამ ოცდა ერთს თავს კაცს ზოგს ასი ახლავს მალთისელი, სულ დიდებულთ შვილი, ზოგს ორმოცი, ზოგს ათი, ზოგს ორასიც. ნამეტნავი კაცის გუნებაზე და სიკეთეზე ჰკიდია. ჩემობას თქვეს ახლა სამი ათასი იქნებიანო და ხან მოემატებაო და ხან დააკლდებაო.

ორს გიორგობისთვეს წამიყვანეს, იმათი ქსენონი მაჩვენეს. ერთს უფროსს მალთისელს ებარა. სამასი

სნეული იწვა. ამ სნეულებს სხვა მოსამსახურე ვერ მსახურებს. შვიდს დღეს ეს შვიდი თავი მალთისელნი, თავისის უმცროსის თავადის შვილებით, ემსახურებიან, მაგრამ, დიაღ, სუფთად და პატიოსნად. მეც მამსახურეს. მათში გამირიეს. მაგრამ სამსახურებელი და ჭურჭელი სულ: ქვაბი, სინი, თეფში, ჯამი, სნეულის შარდის გასასვლელი ამდენის კაცისა სრულ ვეცხლი იყო. ზოგმა უფროსმა კაცებმა გვაწვიეს. მრავალი სიმდიდრე ვნახე. მათს სახლში ვინც მათი მოკვდება, ოთხი წილი საქონელი იოვანე ნათლისმცემლისა არის და ერთი წილი თუ უნდა ნათესავს მისცემს, თუ უნდა სხვას საქმეზე დახარჯავს. ვინც ამათში მრავალს ომსა და საჯილდოოს იქს, დიდი ოსტატი სოფელს მისცემს. ასე თქვეს: ორი წლის მოსავალს თავისთვის დაიჭერსო. ჩემობას თორმეტი ათასი თათრის ტყვე თქვეს, რომ იყო. ან სნეულისა, ან ტყვეს, ან მაგისთანა მწირსა და მოსრულეს სულ ნათლისმცემლის თეთრი ინახავს სასნეულოში. ის

დამავიწყდა: მრავალი რიგი საჭმელი იყო, სხვადასხვა რიგი. და რაც სნეული იწვა თითო ფიცარი ეკიდა. ნიშანი რომ ეწერა საჭმლის ჭამაზე. წამოდგა აქიმი, ნუსხა ხელთ ეჭირა და უკითხავდა: ამ სნეულს ეს საჭმელი მიართვით, ამას ესო და იმ საჭმელს მიართმიდენ. ტყვეების სასნეულო სხვა იყო და დედაკაცებისა სხვა, ცალ-ცალკე.

~დ ნოემბერს წამიყვანეს ნათლისმცემლის ეკლესიაში. ის არის მალთისელთ ბატონი. დიაღ, კარგა ნაშენები და შიგნითაც - უცხოდ მოყვანილი იყო. ცხრამეტი სამწირველო იყო. თვითოს სამწირველოს ტრაპეზი მთელი ვეცხლი იყო და ოროლი სასანთლე ასეთი, თვით ოცს თუმანს ვერ გამოვიდოდა. სხვასა სანთლისა და კანდლის რიცხვი ვინ იცის, არ ამიღია. ვერც გაუელ. პირველ მიმიყვანეს მარცხენას მხარეს სამწირველოში. დიაღ, კარგა მორთული იყო. ერთი ყოვლა წმიდის ხატი მაღლა ესვენა, დიდი, და ძე არ ეჭირა. კარგა შემკული

მურასად. იმისი მითხრეს: პირველ ეს მალთისელნი როდოსს მდგარან და იმის მთაში უპოვიათ. როდესაც აქ ჩამოსულან, თან წამოუყვანიათ. და არც იცოდნენ ვისი დახატული იყო. მერმე დიდს ტრაპეზთან მიმიყვანეს. იქ მარმარილო გათლილი ქრისტე და იოვანე ნათელს სცემდა. რომიდამ მოეტანათ. დიაღ, უცხოდ გასაკვირვალი იყო. ცოცხალი მეგონა. და მასუკან მარჯვენას სამწირველოზე მიმიყვანეს. იქ ესვენა წმიდა მოწამე კლემენტოს მთელი. ეს სხვა მოწამეა. ესეც წმიდა პაპას მოეცა ამათთვის და იმას ზეით მრავალი მოჭედილი: წმიდის კლარას ხელი, თუ თავი, თუ სხვა ნაწილები. იქიდამ ეკკლესიაში ჩაგვატარეს. სამწირველოები ვნახეთ. და ბოლოს კარისაკენ ერთი კარი გააღეს. იქ შეგვიძღვნენ. მრავალი უცხო რამ ვნახეთ: ჯვარის ნაწილი დიდი და მაღალი, ოქროთ მინაქრათ გაკეთებული. ჯვარის ნაწილი ცოტა იჯდა, მაგრამ ჯვარი დიდი მურასად შემკული. მრავალი კაი თვალი. დიდი წინ

საძღოლი ჯვარი ოთხი: ორი ოქროსი მურასა, ორი ვეცხლისა უცხოდ გამოყვანილი. ქრისტეს აკვნის ნატეხი მომცრო, ვეცხლით გაკეთებული. მრავალს ანგელოს, ზოგს ეჭირათ, ზოგი გარ ეხვია. უცხოდ და საკვირველად ნაქმარი, ერთი უკეთესი არცარა მინახავს, ზიარების შარავანდედი წმიდას ნათლისმცემელს თავზე ადგა, ალმასით გაკეთებული. ზიარების შარავანდედი ყირმიზის იაგუნდით გაკეთებული. სხვა უცხო ზიარების შარავანდედი, დიდი, ორი ლიტრა ოქრო მეტი მგონია, უცხოდ ნაქმარი და ვეცხლის კუბო, ორს დიდს ანგელოსს ეჭირა. და მაღლა დიდი გვირგვინი, ვეცხლისა. აგრევ ანგელოსებს ეჭირა. სხვა ზიარების შარავანდედი სხვა მინაქრად პატიოსნად გაკეთებული. ბარძიმ-ფეშხუმი ოქროსი, მინაქარი სამი. სხვა ოქროსი. ორი ვეცხლისა. არ დამითვლია. ჯვარი ბროლისა, ზედ ჯვარცმა და ოთხი მახარებელნი, მინაქრად ნაქმარი. ყელსაკიდი სხვა ჯვარი, კაის თვალებითა და სხვილის მარგალიტით. ყელსაკიდი

კიდევ სხვა ოქროს ჯვარი. ყელსაკიდი იუდას აღებულის ვეცხლისაგან. ორი, თითო აბაზისტოლი იქნებოდა, ბეჭედი მურასა. დიდი სხვა, მურასა. გულსაკიდი დიდის თვალებითა. ყავარჯენი საეპისკოპოსო, კარგა შემკული. მიტრა ექვსი: სამი მურასად თვალმარგალიტით, სამი სირმით შეკერული. წმიდის ნიკოლოზის მარჯვენა მკლავი მურასად შემკული. წმიდის იოვანე ოქროპირის მკლავი, მურასად შემკული. დიდის ანტონის მკლავის ნატეხი, შემკობილი. წმიდის ილარიონის ნაწილი. წმიდის ეკატირინე ალექსანდრიელის ქალწულ-მოწამის მარჯვენა მკლავი, კარგა შემკული. ქრისტემ რომ ბეჭედი შეაცვა, ისე ზედ აცვია. წმიდის სტეფანე პირველ მოწამის მკლავი. წმიდის სტაქოს თავი. წმიდის სილოვანეს მკლავი. წმიდის პიოს, რომ-პაპის სამხრე, წმიდის ურსულას ნაწილები. რაც ვერ დავისწავლე სხვა. ვეცხლის დიდი ზანდუკი, ბროლით გაკეთებული. მრავალი წმიდათ ნაწილები. ვეცხლის ყვავილები უცხოდ მოყვანილი.

ოქროსი ერთი. და ვეცხლის საცეცხლურები. ოქროსი და ვეცხლისა კანდელები, უანგარიშო. სხვა ვეცხლის ზიარების შარავანდედი, უცხოდ ნაქმარი, ძოწით შეწყობილი. ზიარების შარავანდედი, საკვირველი, ოქროთ მოჭედილი. სახარებები, კონდაკები და მისი ვეცხლის სკამები. სხვა სახლში შეგვიყვანეს. მრავალი უცხო შესამოსები. თითოს ფერისაგან ცხრა ხელი. ზოგი ნაკერი, ზოგი სტავრა, ხარა ხავერდი, ზოგი ქამხა. ერთი ვეცხლის ხომლი იყო, მოშლილი, არ ეკიდა. ორი ათას ორას სკუთად გაეკეთებინათ. ოთხმოცი სანთელი აენთებოდა. სხვა კანდელები, რაც დაეკიდებოდა, არ ვიცი. ერთი იმისთანა სხვაგან ვერსად ვნახეთ. იქიდამ გაგვაბრუნეს სხვა მხარეს. ცხრა კლიტით დაკლეტილი იყო. ერთი იმ დიდს ოსტატს ჰქონდა, ერთი დეკანოზს და შვიდი კლიტე შვიდი თავი მალთისელი რომ დავსწერე, იმათ. გააღეს. მაღლა ერთი ვეცხლის კუბო იყო. გამოასვენეს ოქროს კუბო, ბროლით გაკეთებული. მერმე ის გახსნეს.

გამოასვენეს წმიდის ნათლის მცემლის მაჯას წინ მარჯვენა ხელი მთელი, უნაკლულო, რომელიც ხელი ქრისტეს თავზე დაადვა, ძვირფასად შემკობილი. ამას გვამთხვიეს. ის იმისი დეკანოსი ხუცესია და სხვა ხუცებიც მრავალი იყო, მაგრამ ის დეკანოსი მთავარეპისკოპოსის პატივში არის. და იმისი უმცროსი ხუცები ეპისკოპოსის პატივში. სამიოდ დიდის საქმით არის. მერმე თავის სასახლეში აგვიძღვა. სასახლისას ვერას დაგიწერ. ზედ სასახლის ერდოზე ერთი ასეთი ნარინჯის წალკოტი ჰქონდა, გავკვირდი. ბოლოს შადრევანი ამოდიოდა. გათლილის ქვის თალარი ედგა. სამგნით ზღვას უმზერდა. შუა ქალაქში იყო. ქალაქის თავს დასჭვრეტდა. მრავალი კაი ყვავილი უყვაოდა. სხვას მხარეს ისევ ერდოზე ვაზის ტალავარი ჰქონდა. ერთს საკვირველად ესეც იყო. მალთაზე ბარბაროზნი ახლო არიან. ას ოთხმოცდა ხუთი მილია.

მალთადამ მარჩილია ცხრაასი მილია.

მალთადამ ჯენევია რვაასი მილია.

მალთადამ ალიკორნა შვიდასი მილია.

მალთადამ რომი ექვსასი მილია.

მალთადამ ანაპოლი ოთხას ორმოცდა ათი მილია.

სიკილია ნაპოლისა და მალთას შუა კუნძული ძეს.

მალთადამ სიკილია სამოცი მილია.

მალთადამ მორა ხუთასი მილია.

მალთადამ კონსტანტინეპოლი ათას ორასი მილია, მაგრამ ათას ოთხასად უნდა იანგარიშოს, ამისათვის რომ

მრავალი კუნძულია და გზა მიუხვევს, მოუხვევს.

მალთადამ კანდია, რომელსა თურქნი გირითს უხმობენ, ექვსასი მილია.

მალთადამ ზმირინი ცხრაასი მილია.

მალთადამ როდოს კუნძული, რომ მალთელები პირველ იქ მდგარან, იერუსალიმს უკან ცხრაასი მილია.

მალთადამ კვიპრეს კუნძული ათას-ასი მილია.

ერთს დღეს მოვიდა ისევ ფრანცისი, წალკოტში რომ გვაწვივა. წამიყვანა, ქალაქს გარეთ გალავნები დამარონინა და კარები და მათი შემოსავლის სიმაგრეები მაჩვენა. სამას გალავანს გარეთ სამიათასამდი მუშა უდგა. კლდეს ჰკაფდენ. განით ორმოც ადლამდი იქნებოდა და სიგრძით სულობით გარშემო. ასე სიღრმე უნდა ჩაეჭრათ,

რომ კაცი უხიდოდ ვერ გამოსულიყო. და ნაჭერს ქვას გალავნებზე მუშაობდენ, უცხო რიგად რასმე ამაგრებდენ, რომ რომელიც გალავანი აეღოთ, შიგნიდამ ეომათ. მაგრამ გალავნები თავად კლდე იყო ჩაჭრილი. მერმე თლილის ქვით ასეთი კედლები, რომ ზარბაზნისაგან არა გაეწყობოდარა. იმ დიდებულს მუსუ დესამსონ ერქვა. კიდევ წაგვიყვანა თავის სახლში სადილად. კარგა დაგვხდა. ეს ოთხმოცის წლისა იყო და ისევ ვაჟკაცისავით შეძლება ჰქონდა. არც კბილი აკლდა, არც თვალს, არც ყურს. ეს თავის ვაჟკაცობას წასულიყო კონსტანტინეპოლის დასაწვავად. თანადოს რომ მისულიყო მიპარვით, მრავალი ნავი ხლებოდა, იქ ხონთქარის ხომალდებია, ისინი იქ დახდომოდა. შემბულიყვნენ და გამარჯვებოდა. იქიდამ წამოეღო დიდი ყალიონი ი~ბ, ხომალდი ლ~ც, ჩექთურა ორმოცდა თექვსმეტი, სხვა ნავები ასი, და კაფიდნის მანუნა სამი და გამობრუნებულიყო. მშვიდობით მოსულიყო. მერმე სხვა

წასულიყო იქავ. თანადოს მიხდომოდა და იმასაც დიდი ზიანი ექნა. თანადოს კონსტანტინპოლზე ახლოა, თეთრის ზღვის სრუტის პირში. ტაძრად მიყვანება დღეს მათი უფროსი ნათლისმცემლის საყდარს გამოვიდა. ორმოცი ზარბაზანი მეტი გასტყორცეს.

კ~გ გიორგობისთვეს ფრანგულის ანგარიშით ოთხი ქრისტეშობის თვე იყო, - წმიდის ბარბარას დღეობა. იმავ წუხრსა და მეორეს დღეს ორასი ზარბაზანი მეტი, მგონია, გასტყორცნეს. იმავ ბარბარობას დღეს ის გამარჯვებული ხომალდი მოვიდა, რომ ბარბაროზნი დაენთქა, და ცოტახანს უკან სხვა მეკობრე მოვიდა. ერთი ბარბაროზის მეკობრე ნავი შემოჰყროდა. შებმულიყვნენ. მეორედ დაერჩინათ, მოიყვანეს. ასი კაცი იჯდა შიგ.

კ~დ გიორგობისთვეს წაგვიყვანეს ძველს ქალაქში, სადაც წმიდა პავლეს ექადაგა. კაი შენობა იყო. შუა ადგილია იმ კუნძულისა, მაღალი გორა. ზღვა ყოლგნით ჩანს. კაი

წყაროები გამოდის. წყალი მალთას იქიდამ მიდის. შვიდი მილია მალთადამ ის ადგილი. შუა ადგილს ერთი მომცრო, მაღალი ადგილია. წმიდა პავლე იქ მდგარა და იქ უქადაგია. იმისთვის გარ გათლილის ქვის ფანჯარა მოუვლიათ და შუაზე მარმარილოს გათლილი პავლე დგას, ხელგაშლილი, ქადაგებასავით. კაცს გეგონებოდა, აგერ ხმას ამოიღებსო. იმას იქით ერთი კაი ეკკლესია, დიდი, წმიდის პავლესი, სადაც გველმა უკბინა, კარგად შემკული. და იმას იქით სხვა მომცრო ეკკლესია იყო, წმიდა პავლესი. იმას ქვეშ ჩაგვიყვანეს. ერთს ტრაპეზზე წმიდა პავლე იდგა მარმარილოსი, მქადაგებელი, და მეორეს ტრაპეზზე წმიდა ლუკა მახარობელი. ხელთ ყოვლად წმიდის ხატი ეჭირა, მარმარილოსი. ვითამ ხატევდა. სამს თვეს იქ მდგარან ორნივ მოციქულნი. იმას შიგნით ერთი პატარა ქვაბია. წმიდის პავლეს და წმიდის ლუკას ხატები ესვენა. მაგრამ წმიდას პავლეს თეთრი მიწა იქ ითხრება, მრავალი ქვეყნის კაცნი მიდიან, ჰკაფენ,

სჭრიან, საპალნეებით მიაქვსთ და ისევ პატარაა, როგორც მაშინ ყოფილა.

კ~ზ გიორგობისთვეს ფრანგულის ანგარიშით რვა დეკემბერი იყო, ანას მუცლად ღება. მალთას დიდი ჟამი ყოფილა. მრავალი მოწყვეტილაო. წმიდის ანნას შეხვეწიან, აღთქმა დაუცთ. მაშინვე ჟამი გაქარვებულა. ციხეს გარეთ მინდვრის ბოლოს ანნას მუცლად ღების ეკკლესია აუშენებიათ. მომცრო და დია ტურფა. და ყოველს იმ დღეს ნათლისმცემლის დიდ ეკკლესიაში დიდს დღესასწაულს გარდაიხდიან და შუას დღეს უკან დიდებას გამოვლენ, იმ საყდარს მოვლენ. პირველად კაფუჩინების დროშა გამოვიდა და ოროლნი კაფუჩინები მოდიოდნენ. მერმე კომენტვალისა, მას უკან კარმელიტანისა, მას უკან აგვისტინისა, მერმე წოკოლანტისა, მას უკან დომენიკანისა. სრულ ოროლნი მოდიოდნენ. მერმე ნათლისმცემლის ხუცები,

შემოსილნი. დროშა არა ჰქონდათ. ჯვარი მოუძღოდათ, მერმე უფროსი ხუცესი მიტრითა და ყავარჯნითა ერთს მღვდელს, შემოსილს, ცალი ფილონის კალთა ეჭირა, მეორეს - მეორე. იმას უკან გრამსტრა მოვიდოდა. წინ ორი ჯვარი შემოსილს მღვდლებს ეჭირა, მოუძღოდენ. უკან რაც მალთისელია, რაც იქ იყო, თან მოსდევდა. მალთისელნი, საპატიო კაცის შვილნი, სამი ათასი იქნება. ოთხი ათასი სოლდათი ჰყავსთ. მე რომ მიველ, ტყვე თორმეტი ათასი თქვეს. და ას და შვიდი ჩემობას მოიყვანეს. რასაც ქრისტიანეს დაახელებენ, არ დაატყვებენ: თუ უნდა გაუშვებენ, თუ უნდა შეინახავენ. თათარი ტყვედ ჰყოლოდათ. ერთი აფხაზი, ოთხი გურული, ერთი გუგუნავა სეხნიას შვილი იყო. დედაკაცებიც გურიელი, მეგრელი დარჩომოდათ. კაის პატივით ინახავდენ. წამოსვლა უნდოდათ. მე დაუშალე. რომ მოდენა დაიწყო ჯარმა, ყველგან ზარების ცემა შეიქნა. და რა დროშები ქალაქის კარს გამოვიდა, დაიწყეს

ზარბაზნის სროლა. ასე ნელა ისროდენ, თვლა დაესწრობოდა. ასი ზარბაზანი გასტყორცნეს. მერმე დასავლეთის მხარეს ნავსაყუდლის ხომალდებმა დაუწყეს სროლა. მოვიდენ ეკკლესიაში. ილოცეს. გაბრუნდენ. სამხრის ნავსაყუდელში მე რასაც ხომალდს ვხედავდი, იმათ ზარბაზანი არ გაუგდიათ, მაგრამ იქით სხვა ნავსაყუდელი იყო. დიდრონი ხომალდები იმაში იდგა. ოთხი სხვა ციხე იყო. დაუშინეს. თვლა არა და ზარბაზნის სროლაც აღარ გაირჩეოდა. ორი დიდი ციხე ხმელეთის კარს აქათ-იქით არის. ორსავ ბანზე სრულ ზარბაზნები წამოაწყვეს. მერმე ისინი ერთს ამ ციხიდამ გამოაგდებდენ, მეორეს იმ სხვიდამ მოგვიანოდ ისროდენ. მათ თვალსაც დაასწრებდა კაცი. მე ორმოცდა ათამდი ვთვალე და წამოველ. მწუხარის არ მელოცა. და რამდენი ესროლეს, არ ვიცი. მალთაში არიან თორმეტის წლიდამ უზემოესი, რაც ეზიარებიან, ორმოც და ჩვიდმეტი ათას ორმოცდა ცამეტი სული ქალი და კაცი.

კ~ზ გიორგობისთვეს ფრანცისის მეფის ხომალდი მოგვივიდა, კონსტანტინეპოლეს წასაყვანი.

ოცდა რვა გიორგობისთვეს წაველ. გრამესტროს გამოვესალმე. და სრულ დიდრონი კაცები და პაპის ჯანიშნი მოვიდენ, გვნახეს და ეპისკოპოსმანცა. მალთა, დიაღ, თბილი ადგილია. დეკემბერში იასამანი და ყვავილები ჰყვაოდა. ლეღვს გასცვივდა ფურცელი, თვარა ვენახს ისევ ესხა. არც თოვლი, არც თრთვილი, არც ყინვა არ იცის იქაურ ზამთარ. რა ჩრდილოს ქარი აქროლდება, ცოტა რამ სიცივე შეიქნება. ზაფხულ მეტად ცხელს ამბობენ, სულ კლდეა, ვაკე და ყორე. მრავალი გველი და ვერას ავნებს კაცსა. უნაყოფო. სადაც წალკოტია, ნარინჯ თურინჯი დგა, თვარა უწალკოტოთ ხე არსად არის. ზამთარი სულ მწვანეა. ბალახი ზაფხულ არ იქნებაო სიცხისაგან. მალთას პირდაპირ რომ ბარბაროზთ თემია, სამი დიდი ხელმწიფე ზის, რომ ხვანთქარს არ

ემორჩილებიან. აქათ თავს თუნის ხელმწიფეა, ხვანთქარის მესაზღვრე და უარშიო და მალთისაც მტერია. და მრავალი მეკობრე ნავი იარება. იმას იქით ალჯერი არის. და მერმე მორაგო ფრანცისის. ზეით ოლანდისის პირდაპირ ფრანცისის მეფე. და მორაგოს ბატონს თავისის ხელით სამოცდა ათი ათასი კაცი მოუკლავს. მათში დიდი სახელი სადმეა. მეტად ცხელს ქვეყნებს ამბობენ, შავნი არიან.

~ე დეკემბერს წამოვედით მალთადამ. გრამესტროს დიდი კატარღა ებოძა ჩვენის ხომალდის გასატანად ამისათვის, რომ ნავსაყუდელიდამ თუ ხომალდს ასე არ გასწიეს და ზღვამდი არ შეიტანეს, თუ ქარი არა სცემს, ვერ გავა. ქარი სრულებით თავათ ჩვენი არ იყო. მერმე ნავსაყუდელით არ გაისვლებოდა. ორასი კაცი იქნებოდა ნიჩბის მზეველი. გაგვიყვანეს. გავედით, ვიარეთ და ვერ ვიარეთ იმ ღამეს სრულებით დავრჩით ცუდად.

~3 დეკემბერს იქავ შევედით. მალთას რომ ქარი წინააღმდეგი იყო და შვიდსაც იქავ დავდეგით.

~ᲬᲔ დეკემბერს ღმერთმან კაი ქარი გვიბოძა. წამოვედით. შუა დღე და ის დღე, ის ღამე სულ ჩვენი ქარი გვიქროდა კაი, მერმე გაძლიერდა. ხომალდს ჩქარა ატარებდა, მაგრამ ძლიერად ღელავდა. მორია გამოვიარეთ და ვლეთ. ხან ქარი სრულებით დადგა. ნეღრა პონტო გამოვლეთ. ჩრდილოსკენ დარჩა. და სარდენია, რომელ არს კრიტელ და ნამასტაკი და კანდია, რომელსა თათარნი გირითს უხმობენ, სამხრეთისაკენ დარჩა. გამოვეთ ქიო, რომელსა თათარნი სახიზს უხმობენ. აქ გამოდის თეთრი კევი.

ქარი ძლიერი იყო. ის ღამე შიშით ვიბრუნეთ. ზმირინს აღარ მიგვიშვა. გათენდა. გამოვბრუნდით.

ჩვიდმეტს დეკემბერს მიტილინის კუნძულში შემოვედით. უცხოდ დიდი გრძელი და კაი ნავსაყუდელი

ჰქონდა. სხვა კუნძულები, რაც მოჩნდა, უნაყოფო, უხეო. და ეს სულ ზეთის ხე. სხვა ხენი მრავალი, სრულობით შეფოთლილი. ზაფხულივით საამოვნო იყო.

კ~ა დეკემბერს კაი ქარი ადგა. გამოვედით ნავსაყუდლით. სამოცდა თხუთმეტი მილი იყო ზმირინამდე. შუადღემდე სამოცი მილი გამოვლეთ. ქარმა იკლო. შუადღეს უკან ღამით ერთ ჟამამდე ნავსაყუდლამდი ვერ მოვაწიეთ. ზმირინის ქალაქს ქვეით ციხეა. ციხეს მოშორებით ზღვა ჩააგდეს. დავდეგით. იქიდამ აღარ დავიძარით. კაფიდანი ნავით წავიდა ქალაქში. ზმირინის ზღვა ერთი ყურე უკუდწყვეტილია. თხუთმეტი მილი იქნება, განიც დიდი, და ზმირინის ქალაქი მე ვერ ვნახე, კაის ადგილს, ყოველი ქვეყანა მხრად არის იმაზე. ასეთს ადგილს მგზავრი არ დააკლდება. ქალაქი აგრე დიდი არ არის. მიღმადამ ჩნდა: კარგა ვერა, მაგრამ ვისგანაც შევიტყევით, სიდიდე მაგდენი არა აქვს. და სხვა რიგად ყოვლის ქვეყნის

მგზავრი იქ იპოვება. გარშემო მთები. კიდეც წამოეთოვლა შუამდე. მთებზე თხელი თოვლი მოჩნდა. დაბლებზე არ იყო. დაბალი სრულებით ზეთის ხე. გვერდობი და გორები შემწვანებული ხეებითა. უფროსი ერთს ფოთელი ესხა. ისევ ზაფხულის მზგავსი იყო. სიცივეც შევიტყევით. მერმე შობას ღამეს თოვლიც მოვიდა ამდენი, რომ ხომალდებზე ხელით მოიხვეტებოდა. მომცრო ქალაქი კაის ქალაქს გვანდა. მაგრამ ან უწინ რომ კუნძულში ვიყავით, ან ამ ქალაქის გარშემო შენობა არსად ერქვა. უწინდელი კუნძული სახიზის ტოლია. მისი ზომა ზეით დამიწერია. მაგრამ შენობა ერთს ადგილს ექვსიოდ, მეორეს ადგილს ათიოდ კომლი კაცი ჩნდა. სხვაგან თუ რამდენი იყო არ ვიცი. რაც არ მინახავს, არ დავსწერე. გარედამ ზმირინის გარეშემო რაც ჩნდა, დიაღ, დიდი და კაი ადგილი ჩნდა, მაგრამ ხუთი ექვსი სოფელი არა ჩნდა. ერთი მოჩნდა. ასამდი კუამლი, თუ მეტი, თუ ნაკლები იქნებოდა. ორ უბნად იყო, სხვა ათსა და თხუთმეტს

კუამლზე მეტი არა მგონია. მაგრამ ადგილი, მიწა, ნაყოფი სანატრელი და სადაც თათარს მიუწევია, იქ ღვთის ნათელი აღარ დამდგარა, ამას გაუოხრებია. ნეტავი ნახოთ და ვინც ნახავთ, ჩემს სიმართლეს მაშინ შეიტყობთ. ეს რაც ვნახე ხომალდიდამ, თვარე იქ მიწაზე არ გავსულვარ. იმ კუნძულში კი გაველ. მრავალიც ვიარე. ამ ზმირინის თათრები უფრო სიკეთის ხმას იგდებენ. ქრისტიანს პატივს სდებენ. ძალს ვერ უზმენ. კაცთ სიკეთითა, თუ ფრანგების სათნოდ იქმონენ, თქვენ გასინჯეთ. საფრანგეთის გზაც დიაღ არის, პირდაპირ არის.

კ~ზ დეკემბერს წამოვედით ზმირინიდამ და იქვე ახლო ნავსაყუდელში დავდეგით. ქარი არ გვივარგოდა.

კ~თ დეკემბერს კაი ქარი იდგა. წამოვედით. ო მილი ვლეთ. ბიტილიმის ქალაქს მოვედით. მასვე კუნძულს შინ მივდეგით, მაგრამ იმ ნავსაყუდელში სხვას გარეთ ქალაქიც იყო, არც მომცრო და ციხე. ფაშაც იჯდა. ადგილი

კარგი და შვენიერი. შენობა ცოტა რაღაც იყო იქავ. უფრო ერქვა შენობა. მაგრამ ქალაქი კაის ადგილს იყო. ანადოლი ახლო და სხვა კუნძულები. მიწა და ადგილები მოსაწონი და სანატრელი. და შენობა მეტად ცოტა.

ლ~ დეკემბერს წამოვედით ბიტილმიდამ. გამოველთ სრუტი. ბიდლიმის კუნძულში იყო ზეთის ხეოვანი, ნარინჯოვანი. მაგრამ შენობა ძვირად. მარჯვნით ანადოლი. ანადოლზე ახლო ვიარებოდით. ნაყოფიერი და კაი ქვეყნები იყო. ის ღამე სულ ღელვა იყო. კონსტანტინეპოლის სრუტთან რომ მოვაწიეთ, გათენდა.

ლ~ა დეკემბერს სრუტში ვეღარ შევედით. ქარი პირისკენ იყო. იქ ერთს ადგილს ღუზა ჩააგდეს. დადგენ. ავი ქარი ქროდა სხვაგან წასვლა აღარ იქნებოდა. ის ღამე, მეორე დღე, ერთი იანვარი სულ დღე და ღამე ძლიერი ღელვა იყო. ავდარი, ნისლიანი. ასეთი ღელვა იყო, ღუზაჩაგდებული ხომალდი დიდს ადგილს დაძრა. ათს

იანვარამდი ხან ცოტად დაწყნარდის ზღვა და უფროსი ერთს სრულებით ღელვა იყო. ათს იანვარს ცოტა რამ ჩვენი ქარი ამოვიდა. ვიარეთ სრუტისკენ და შევედით, ღვთის ძალითა, პირველს დარდანელს ციხეთა, რომელ არს გაღმა-გამოღმა. პირველითგანვე ქრისტიანობის ჟამთასა. ხოლო არს დარდანელის ციხით მთაწმინდამდე მილი სამოცდა თხუთმეტი. პირველის დარდანელით ამ მეორეს დარდანელამდე, რომელი აწ თურქთ აუშენებიათ, არს მილი ათორმეტი კონსტანტინეპოლის მხარეს.

ი~ა იანვარს შუა ღამე დაიწყო ისევ იმავ ქარმა, წინააღმდგომმა, ქროლა. დავრჩით სრუტეში, მაგრამ ღელვის შიში აღარ გვქონდა.

ი~გ იანვარს ამოვიდა ჩვენი ქარი. ვიარეთ და გამოვლეთ კალიპოლი და მოვახლოვდით მარმარას. კალიპოლი ერთი მომცრო ძველი ქალაქია, ზღვის პირს, ურუმელში. და მარმარის ზღვაში ერთი კუნძულია, მაღალი მთა, თეთრი

მარმარილო გამოდის, ანადოლის მხარეს. იქ ქარი ჩავარდა. ის დღე, ის ღამე იქ ვიდეგით ცუდად. მაგრამ, დიაღ, კაი ქვეყნები მოჩნდა. შენობა ძვირად, და სადაც სოფლები იყო ცოცოტა, თათართაგან აოხრებული.

ი~ე იანვარს ვლეთ ცოტა რამ და მარმარას გამოვცილდით. და ისევ ქარი ჩავარდა. ხანდახან ამოვიდის, არ ერქვა.

ი~ზ იანვარს ქარი გვერდისა ჰქროდა. ღამე ბნელი და ნისლიანი ვიარეთ. ავი კაფიდანი გვყვანდა, ბრიყვი და შეუსმინარი. კონსტანტინეპოლეს მივახლოვდით. ღამით ნავსაყუდელში ვერ შევიდოდით. ქარი იქიდამ იყო. იქავ ტრიალი დაიწყეს გათენებამდი. თურმე ბნელში ვეღარ გაიგეს რა. ხმელეთი ახლო იყო. ჩვენი ხომალდი ლიას მოხვდა და შიგ დაეფლა. ღმერთმან შეგვიწყალა, ქვა არ იყო, არც რიყე, თვარა ხომალდი გასქდებოდა. ჯერ შუაღამე ვერ იყო. გაისარჯნენ. ღმერთმან ქარიც დააწყნარა, თვარა წავხდებოდით. ხან ზარბაზნები

ბოლოზე დააყარეს, ხან ღუზაები ჩაყარეს და თოკით ზივეს. შეგვიბრალა ღმერთმან, გათენდა და ხომალდიც მოგლიჯა. წამოვედით. კონსტანტინეპოლეს მოვედით. იედი-ყულასთან დავდეგით.

ი~თ იანვარს დილაზე დესპანს ნავი ებოძა, ენგიჩრები. გამოვედით ხომალდიდამ. კონსტანტინეპოლის სამი კუთხე შემოუარეთ. იქიდამ კარგა გავსინჯე. ხომალდიდამაცა. დიდი ქალაქია და მრავალი შენობა, მაგრამ საფრანგეთიდამ მოსულს აღარას მოგვეწონა. ოღონ ადგილი მისთანა არსად არის, თვარა შენობა და სხვა რამე არად გვეჩვენა. გარ გალავანი უფროსი ერთს დაქცეული, დაძველებული, ახალი ნაკეთები არცადრა. ოღონ იედი-ყულა, შვიდივ კოშკი. რუსის ელჩი რომ იქ შეიყვანეს, მაშინ გაუთეთრებიათ, გაუგლესიათ სხვა რიგად. შიგნით არ შევსულვარ. არც მინახავ, მაგრამ გარედამ რაც ჩნდა, გავსინჯეთ და შიგნითაც მნახველის

კაცისაგან შევიტყევით, რაც შეიტყობოდა. მოვედით და დესპანმა იქვე ჩვენს სადგომს დაგვაყენა კაის ხელის შეწყობითა.

გ~ მარტს ხვანთქარმა ნაღლი მანქანა ქნა: მორაზე გალაშქრა.

ექვსს მარტს საღამოს კონსტანტინეპოლეს სუკუდარას, პერას, გალატას, რაც მინარი იყო, ყველაზე ჩირახოვანი ქნეს ხვანთქარის გამარჯვებისათვის. მაჰმადის შობის ღამე არისო.

თ~ მარტს გალატასაკენ ნავსაყუდლის სასახლეში დაჯდა. რაც ნავის რეიზი იყო, ხალათები ჩააცვა. და კაფიდან ფაშა გადგა. მრავალი წვრილი ნავი შეიყარა. ხვანთქრის წინ შეგროვდენ. დიდხანს იდგენ. მერმე საომარმა კატარღამ დენა დაიწყო. ოცდა ათი დიდი და მომცრო კატარღა იყო. მრავალი ზარბაზანი გავარდა. კაი შილინგი იქნა.

ი ~ დ დიდი კატარღა იყო. სხვა მომცრო. ერთი დიდი გალიონი. ას ოცი ზარბაზანი ძესო, ათას ხუთასი კაცი არისო. ამ გალიონისა ასე მითხრეს: თხუთმეტი წელიწადია აშენდა და პირველი მგზავრობა ეს არისო. მეტად შვენიერი გალიონი იყო. იმ დღეს ორი დიდი გალიონი სხვა უკან მიყვა. და ყველანი შავის ზღვის სრუტეში დადგენ.

კ~ მარტს გადგა კაფიდან ფაშის უფროსი გალიონი და ხუთი კატარღა თან ახლდა. სხვა თავწვრილად წავიდა.

თ~ აპრილს ხვანთქარს ქალი ეყოლა. და ადრანიდამ ამბავი მოვიდა: სამი დღე სულ შილინგი იყო, ზარბაზნის სროლა. ზედ ვაჟის ყოლის ამბავი მოვიდა. ათს დღეს სულ ზარბაზნის სროლა იყო. სამი დღე ქალისათვის, შვიდი ვაჟისათვის.

კონსტანტინეპოლის სიმგრგვლე არის ექვსი ეჯი, რომელ

არს თვრამეტი მილი.

კონსტანტინეპოლეს და გალატას და პერას და უსკუდარას არიან ხარკის მიმცემი თხუთმეტის წლიდამ სამოც წლამდი:

ბერძენი სული ორმოცდა სამი ათასი,

სომეხი - ჩვიდმეტი ათასი,

ურია - თორმეტი ათასი,

ფრანგი სული - ორი ათასი,

ქრისტიანი სტუმარი - ოთხი ათასი,

ტყვე კატარღისა თუ სხვა - ორი ათასი,

თათარი - ოთხას სამოცდა თხუთმეტი ათასი.

ფრანგი და თათარი ხარკს არ მისცემს.

ჩვიდმეტი თთვე კონსტანტინეპოლეს დავყავ და მაისის ცამეტს წამოვედით. ფრანცისის დესპანმა საგძალი ხარჯი გაგვირიგა. და ერთი ჭანეთის ათინელი რეიზი იშოეს. ოთხასი მარჩილი მისცა: ესენი ქობულეთს გურიას გაიყვანეო და გურიელს მიაბარეო. და ამათი წიგნი მოგვიტანეო, მშვიდობით მისვლისა. და ეს პირობა გამოართვა, რომ ოცის თავის მეხომალდის მეტი არავინ ჩასვას ჩვენს ხომალდშია. წამოგვიყვანა. რა კონსტანტინეპოლის სრუტს გამოვედით, შავი ზღვის შემოსავალზე, მოიყვანა თათრები, ენგიჩრები, ენგიჩარ აღა და სულ ჩვენი ხომალდი ასე თათრით აავსო. მე ზეით ვერც კამარად, ვერც ადგილი ვიშოვე. დაბლა ხომალდის ფსკერში ჩემს პაქსიმადზე ვიჯდი და ვიწვი. მაშინვე შევიტყევ სიმუხთლე. მაგრამ რა მექნა. დაბრუნების ღონე

აღარ იყო. და ტკბილის სიტყვით გვატყუებდა. კარგი ქარები დაგვიდგა. მეათეს დღეს ათინას მის სახლებთან მოვედით. მითხრა: შინ გავალო, ორსაოდ დღეს მოვისვენებო, ამ თათრებს ხომალდიდამ ამოუშვებ, თავთავეთვის წავლენო და შენ მშვიდობით ქობულეთს მიგიყვანო. რომ არ დამეჯერებინა, რა მექნა. გავედით. თათარი ამოიყვანა, სრულ გაუშვა. უკან ტრაპიზონის ფაშას შეატყობინა, წინ გონიის სანჯახსა, რომ ამისთანა დიდი კაცი მოვაო. მრავალი საქონელი მოაქსო და ფრანგები მოჰყავსო. ელჩები არიანო. ესენი დაიჭირეთო. მე თან სამი პატრი კაფუჩინი თბილისის ქალაქისათვის და ერთი პატრი იეზოვიტი შირვანისათვის მომდევდენ და ერთი ზანდუკი ისპანის, პალიოზისა, ფრანცისის დესპანმა გამომატანა, ისპაანს გასაგზანი. და ბურსელი ვაჭარი, ხოჯა აივაზი ჩალაბი ერქვა, შვილიან თან მომდევდა, განჯას აბრეშუმის სასყიდლად. ოთხი დღე იქ დაგვაყენა. მასუკან გვითხრა: მე გურიას ხომალდს ვეღარ

წამოვიღებო, აფხაზი აშლილია, მეშინიანო და თუ გინდათ, პატარას ნავით წადითო, გინდა გურიას, გინდა ახალციხეზედაო. რაღა მექნა. ერთს ნავში ხოჯა აივაზი და მისი ამხანაგები ჩასხდნენ. ერთში ჩვენ და პატრები. წამოვედით. ზღვის პირ ცოტა ხანი ვლეთ. აგვიღელდა ზღვა და ორივ ნავი ერთმანეთს მოსხლიტა. იმათი ნავი ხოფას გააგდო და ჩვენი ნავი იმას ქვეით. იქ მეტყვე თათრები იყვნენ, იმერეთიდამ ტყვეები მიჰყვანდათ კონსტანტინეპოლს დასასყიდლად. თუ ისინი იქ არ დაგვსწრებოდნენ, სრულ წავხდებოდით. მოგვეშველნენ. გავედით. ოთხი დღე იქ ვიდეგით. სრულ დღე და ღამე ძლიერ ღელვა იყო. მოვიდნენ ჭანები. დაგვიჭირეს. მრავალი გვსარჯეს. ოცი მარჩილი წაგვართვეს. ზანდუკები დაგვიმტვრიეს. ტყვილად მებაჟობა იჩემეს და მრავალი გვაჭირვეს. მე ჩემი ზრუნვა არა რა მაქვნდა, მაგრამ სამთა მათ იტალიელთა მამათათვის ვიყავ დაღონებული, რამეთუ უცხონი იყვნეს და ენა არ

იცოდნენ. და ხვანთქრისაგან ბრძანებულ იყო არა წამოსვლა შავთა მათ ზღვათა იტალიელთა და დასავლეთის კაცთა. ოთხი დღე და ღამე მუნ ვიყავით. მეხუთე დღეს წამოვედით ნავებით. მოვედით ხოფას. იქ გონიის სანჯახი დაგვხვდა. ნავები წინ მოგვაგება. დაგვიჭირეს. წაგვიყვანეს. მიგვასწრეს ერთის სახლში. აღარც აივაზა გვაჩვენეს. დაგვიჭირეს ჩვენ და პატრები და ერთს ადგილს დაგვაყენეს. მაშინ ახალციხის ფაშის დისწული იქ მოსულიყო, ალიბეგ, ჩვენი მცნობი იყო. რა შეეტყო ჩემი სახელი, კაცები გამოეგზავნა. ჩვენი თავი და პატრები და ჩვენი საქონელი ყველა წაართვა და თავის სადგომს მიგვიყვანა დიდის პატივით. იმ ღამეს აივაზი ჩალაბი მოვიდა, მითხრა: ეს ალიბეგ ხვალ კონსტანტინეპოლეს მივაო. ხომალდი მზათა ჰქონდა. რა ეს წავა, უკან დაგვეწევიან და უარესს იქმონენ. ახლა ამან მოგვარჩინა. ცოტა რამ მივართვათო, მიზეზი არა დავიდვათ რაო. მომეწონა და ოთხმოცი მარჩილი იმ

გონიის ბეგს მივეცით. და დილაზე ალიბეგ ცხენები გვიქირავა. ერთი ფაშის კაცი თან გამოგვატანა და გამოგვისტუმრა. აივაზა იქავ დარჩა. ჩვენ არტანუჯისაკენ წამოვედით. ის დღე ვიარეთ საღამო ბინდზედ ჩხალას მოვედით. იქ დავდეგით. იმ გონიის ბეგს ალიბეგ წასული ენახა, ევლო ის ღამე. მეორეს დღეს დილაზე უკან მოგვეწია. მე მითხრა: შენ შენი ბარგი გადაარჩიეო, ეს ფრანგები მე მომეცო, ხვანთქარის ყადაღა არისო. მე შორს დაუჭირე: როგორ მივცემდი. დაგვიჭირეს ყველაყანი. ბარგი და კარავ-მოფენილობა სრულ აიკლეს. ჩვენ ენგიჩარებს მიგვცეს. ქვეითები გონიისაკენ გაგვგზავნეს. მე მაცხელებდა. აგვატარეს ერთი უცხო პირაღმართი. სულს იქით გზა აღარ მქონდა: ბერი კაცი და სნეული და მაცხელებდა. სამოცი ფლური უბეში მედვა, ისიც წამართვეს. ამაში აივაზა ჩალაბი მოსულიყო. ეშუღლა: ვის კლავ. ვინ გგონია, რას გიზმენ, არ იციო? მოვიდა ჩემთან. მაღალს წვერზე მთის თავზე დაგვაყენეს. ოთხასი

მარჩილი უქადა ჩვენის გაშვებისათვის. თვითან ჩამობრუნდა ვეცხლის მოსატანად. იქ იმათ მძევლად პატრი ითხოეს. ისინი და ჩემი მოსამსახურენი გამოვგზავნე. მე მზევლად დავდეგ და ჩემთან კანდელაკის შვილიც დაიჭირეს. წამოვიდა აივაზა. სანამ ამ მთას ჩამოივლიდა და თეთრს ამოიტანდა, დაბინდდა, წაგვიკრეს ხელები, თეთრი მოგვატყუეო, და ამ ღამეს გონიისაკენ გაგვგზავნეს. წვიმა და ნისლი. ღამე და ავი დაღმართი. ეშმაკისაგან თუ გაივლებოდა. რას ჭირით ჩავიარეთ, ენით არ ითქმის. შუაღამისას ერთის კაცის სახლში შევედით და მაშვრალთ წაგვეძინა. ორი პალნიანი ცხენი გამოეგზავნათ, დაგვაღვიძეს. შეგვსხეს, წამოგვიყვანეს. ერთი ენგიჩარი მოგვეწია. უბელო ცხენს იჯდა. წვიმაში საწვიმარი წამართო, თვითონ ქვეშ დაიდვა. მე სიცივემ და წვიმამ უარესი მიყო. მოგვიყვანეს აივაზა ჩალაბთან. სანამდის ჩვენ მთიდამ ჩამოვდიოდით, ორი პატრი სხვა თათრებს დაეჭირათ. წაეყვანათ.

ჩამოველ, შევიტყევ. თავზარი დამეცა. ჩვენ გამოგვისტუმრა აივაზა ჩალაბმა და თვითონ წავიდა. სამოცი მარჩილი იმ პატრებისათვის მისცა და მოასხა ისინიც. ვიარეთ. ნიგალის ხევში. ხან იქ გარდაგვიდგენ წინა და დაგვსაჯეს და ხან იქ. თეთრი სულ აივაზა ჩალაბისა იხარჯებოდა. არტანუჯს მოვედით. ისაყ-ფაშის ცოლი კარგა მოგვეპყრა, კარგა დაგვაყენა. სავახშმო ებოძა. ერთი თავისი აღა იმან გამოგვატანა. არტანს რომ მოვედით, მაშინ ახალციხეს ასლან-ფაშა იჯდა, ისაყ-ფაშის ბიძაშვილი. არტანს წინ გადაგვიდგა, ექვსასი მარჩილი იმან წაგვართვა. სხვა რამდენი რამ წამართვა. ძაღლებიც არ გამოგვატანეს. მოვაწიეთ ჩვენს ქვეყანას. მოვედი აბოცს.

მაშინ ქართლში მეფედ იასე იჯდა, გიორგი მეფის ძმის წული ცოლად შეერთო. არ ერგებოდა. ნათესაობაც შეეშალა. და ვერც ჩემზედ იყო კაის გულითა. მე ვალი

მრავალი მემართა ბურსელის ვაჭრებისა. რომ რაც გზაზე წამართვეს, მათგან ავიღე და იმერეთს მათ აღარ გამიშვეს. ჩემს ძმებსაც კაცი გამოეგზავნათ, ქართლში ჩასვლა დაეშალათ. მაგრამ ღონე აღარ იყო. ჩამოველ. მეფემაც კაი პატივი მცა, მაგრამ ასრე სრვა გახშირებულიყო, მრავალი სული ამოეწყვიტა და თბილისიც აყრას და ხიზვნას აპირობდა. ჩემი მოვალეები განჯას აბრეშუმისათვის მიეშურებოდენ. ივლისის თვე იყო. ქართველი ეპისკოპოსნი და სამღვდელონი რომს წასვლისათვის გამიმტერდენ და ასე შეკრეს ყოველი: ჩემი ნათესავი და მოყვარე და მეფე-დარბაისელნი, ვერავინ შემომეწია. ვალის მიცემაც გამიჭირდა. თბილისს ერთი დავრდომილი ნათლიდედა მყვანდა, კათოლიკე მართლმადიდებელი. მან დაიწყო სიარული. მას ავს დროს თავისის მოყვრებისა და მეცნიერთაგან, რაც ვალი მემართა, სულ მოაგროვა და მოვალეები გაისტუმრა.

მერმე სამღვდელოთ შფოთი აღძრეს ჩემზედ. კრება და ბოროტის ქნა მოინდომეს. მაგრამ მეფე ვერ აიყოლიეს. სამი თვე კიდევ იბატონა და მერმე მეფე ბაქარ დასჯდა მეფედ. ვისთვისაც ესოდენი ჭირი მენახა და ვისაც მეფობას ვსცდილობდი, ათხუთმეტის წლისა იყო. მოატყუეს. მცხეთას, ჩემი სიყვარული და სამსახური სულ დაავიწყეს, კრება მიყვეს და წმიდის პაპის გინება მომიდვეს. მე მართლმადიდებლობა ვერ უარვყავ. და მრავალი ავი მოინდომეს, მაგრამ ღმერთმან ყოვლისაგან დაგვიხსნა. მეფემაც პატივი მოგვაპყრა და მათი ვერაგობაც გაცუდდა. ვახტანგ მეფეს სმენოდა, დიდად სწყენოდა და ყოველნი დაეტუქსა.